

საქართველოს სამხედრო ისტორიის
საზოგადოება



მამუკა გოგიტიძე, გიორგი ბეჟიტაშვილი,
მამია გოგოლაძე

საქართველოს 100 ბრძოლა

(დამხმარე სახელმძღვანელო)



გამომცემლობა „მნიგნობარი“
თბილისი

2018

უაკ (UDC): 94(479.22)
გ-603

რედაქტორი - გიორგი ბეჟიტაშვილი ისტორიის აკადემიური
დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტი - ელგუჯა მამუკელაშვილი ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კონსულტანტი - ია შიუკაშვილი ფილოლოგი


დიზაინერი - რევაზ ბეგალაშვილი

ნაშრომში ქრონოლოგიურადაა წარმოდგენილი
საქართველოს მნიშვნელოვანი 100 ბრძოლა I-XXI სს.

© მ.გოგიტიძე, გ.ბეჟიტაშვილი., მ.გოგოლაძე, 2018

© გამომცემლობა „მნიგნობარი“, 2018

ISBN 978-9941-473-71-5



**ნაშრომი ეძღვნება
საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის
მე-100 წლისთავს**

(1918 - 2018)

სარჩევი

რედაქტორის სიტყვა	5
საქართველოს ბრძოლების სია.....	6
საქართველოს 100 ბრძოლა	10
ავტორების შესახებ.....	267
გამოყენებული წყაროები.....	273
რეზიუმე.....	280

რედაქტორის სიტყვა

ძვირფასო მკითხველო!

შენს წინაშეა საკმაოდ საინტერესო ნაშრომი „საქართველოს 100 ბრძოლა, რომელიც წარმოადგენს საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების პირველ ვრცელ ნაშრომს.

ნაშრომში განხილულია საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ბრძოლები I-ი საუკუნიდან 1801 წლამდე, 1918-21 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ გადახდილი ბრძოლები და 1992-2008 საქართველოში მომხდარი საბრძოლო მოქმედებები.

ნაშრომში არაა ასახული მეფის რუსეთის (1801-1917) და საბჭოთა კავშირის პერიოდის (1921-1991) ბრძოლები, რომლებშიც მონაწილეობდა საქართველო.

ნაშრომი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს სამხედრო ხელოვნების ისტორიის საგანში და განკუთვნილია, საქართველოს დავით აღმაშენებლის ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერებისათვის, გიორგი კვინიტაძის სახელობის სამხედრო ლიცეუმის კადეტებისათვის, შსს პოლიციის აკადემიის მსმენელებისათვის და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

გიორგი ბეჟიტაშვილი,
ისტორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების
თავჯდომარის მოადგილე

საქართველოს ბრძოლების სია

1. გარნისის ბრძოლა (52/53 წწ.)
2. რეხის ბრძოლა (76 წ.)
3. უჯარმის ბრძოლა (502 წ.)
4. პეტრის ბრძოლა (542 წ.)
5. რიონის ბრძოლა (550 წ.)
6. მუხურისის ბრძოლა (550 წ.)
7. პეტრის ბრძოლა (551 წ.)
8. არქეოპოლისის ბრძოლა (551 წ.)
9. ტელეფისის ბრძოლა (553 წ.)
10. ონოგურისის ბრძოლა (554 წ.)
11. ფოთის ბრძოლა (555 წ.)
12. ძახარის ბრძოლა (555 წ.)
13. ანაკოფიის ბრძოლა (643 წ.)
14. ასპინძის ბრძოლა (888;)
15. მოღრისის ბრძოლა (978 წ.)
16. შამქორის ბრძოლა (1010/1011)
17. შირიმნის ბრძოლა (1021)
18. სასირეთის ბრძოლა(1047)
19. არყისციხის ბრძოლა (1047)
20. მანასქერთის ბრძოლა (1071)
21. ფარცხისის ბრძოლა (1074;)
22. ყველისციხის ბრძოლა (1080)
23. ერწუხის ბრძოლა (1104)
24. რახსის ბრძოლა (1118)
25. დიდგორის ბრძოლა (1121)
26. ნიალის ბრძოლა (1191)
27. შამქორი (1195)

28. ბასიანის ბრძოლა (1203)
29. გარნისის ბრძოლა (1225)
30. ბოლნისის ბრძოლა (1228)
31. ქვიშხეთის ბრძოლა (1260)
32. ლომისის ბრძოლა (1327)
33. ჩალაღანის ბრძოლა (1412)
34. ჩიხორას ბრძოლა (1463)
35. არადეთის ბრძოლა (1483)
36. მოხისის ბრძოლა (1512)
37. მოხისის ბრძოლა (1520)
38. თელეთის ბრძოლა (1522)
39. მურჯახეთის ბრძოლა (1535)
40. ქარაღაქის ბრძოლა (1543)
41. სოხოისტას ბრძოლა (1545)
42. გარისის ბრძოლა (1556)
43. ციხედიდის ბრძოლა (1561)
44. დიღმის ბრძოლა (1567)
45. სამადლოს ბრძოლა (1568)
46. იანეთის ბრძოლა (1568)
47. ფარცხისის ბრძოლა (1569)
48. თორღვას ბრძოლა (1574)
49. მუხრანის ბრძოლა (1582)
50. ხატისოფლის ბრძოლა (1584)
51. გოფანტოს ბრძოლა (1588)
52. ოფშქვიტის ბრძოლა (1590)
53. გორის ბრძოლა (1598/99)
54. ნახიდურის ბრძოლა (1599)
55. ტაშისკარის ბრძოლა (1609)
56. წინამურის ბრძოლა (1615)
57. გოჭოურის ბრძოლა (1623)

58. ალაიანის ბრძოლა (1625)
59. მარტყოფის ბრძოლა (1625)
60. მარაბდას ბრძოლა (1625)
61. ქსნის ბრძოლა (1625)
62. ბაზალეთის ბრძოლა (1626)
63. ბანძის ბრძოლა (1658)
64. ბახტრიონის ბრძოლა (1659)
65. როკითის ბრძოლა (1684)
66. სიმონეთის ბრძოლა (1714)
67. ატენის ბრძოლა (1724)
68. ზედაველას ბრძოლა (1724)
69. ანანურის ბრძოლა (1739)
70. აჩაბეტის ბრძოლა (1744)
71. დონლისის ბრძოლა (1750)
72. აგრის ბრძოლა (1751)
73. ყირხბულახის ბრძოლა (1751)
74. ტულქითეფეს ბრძოლა (1752)
75. განჯის ბრძოლა (1752)
76. მჭადიჯვრის ბრძოლა (1754)
77. ყვარლის ბრძოლა (1755)
78. სკრის ბრძოლა (1756)
79. ხრესილის ბრძოლა (1757)
80. ასპინძის ბრძოლა (1770)
81. ჩხერის ბრძოლა (1774)
82. რუხის ბრძოლა (1779)
83. მათხოჯის ბრძოლა (1789)
84. ზოვრეთის ბრძოლა (1789)
85. კრწანისის ბრძოლა (1795)
86. ნიახურის ბრძოლა (1800)
87. ბორჩალოს ბრძოლები (1918)

88. ახტალას ბრძოლა (1918)
89. სანაინ-ალავერდის ბრძოლა (1918)
90. ეკატერინენფელდის ბრძოლა (1918)
91. შულავერის ბრძოლა (1918)
92. სადახლოს შტურმი (1918)
93. ბრძოლა ხულოსა და გოდერძის უღელტეხილზე (1920)
94. კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლა (1921)
95. ტფილისის ბრძოლა (1921)
96. სურამის ბრძოლა (1921)
97. ბრძოლა ბათუმისათვის (1921)
98. ბრძოლები აფხაზეთში (1992)
99. ბრძოლები აფხაზეთში (1993)
100. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის 5-დღიანი ომი

საქართველო I-III საუკუნეებში

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ვითარება დაიძაბა რომსა და პართიას შორის, ეს ორი სახელმწიფო იბრძოდა პირველობისთვის. ამ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თუ ვინ დაიკავებდა სომხეთს.

ქართლის მეფეები ცდილობდნენ სომხეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას.

I საუკუნის 30-იან წლებში ქართლმა რომის თხოვნით სომხეთში ჯარი გაგზავნა. სომხეთის ტახტზე ქართველი უფლისწული **მითრიდატე** დაინიშნა. ამან პართიის შაჰის აღშფოთება გამოიწვია და მან ჯარები გამოგზავნა სომხეთის დასაპყრობად. ქართველთა ლაშქარს მითრიდატეს ძმა ფარსმანი ხელმძღვანელობდა. სასტიკ ბრძოლაში **ფარსმანი** პართიელთა უფლისწულს ოროდოს შეერკინა და სასტიკად დაამარცხა. მთავარსარდლის სიკვდილმა პართიელთა ჯარში არეულობა გამოიწვია, ქართველებმა ამ ბრძოლაში გაიმარჯვეს.

ამ პერიოდიდან ფარსმანი ქართლში დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა. მან სომხეთის დაუფლება და მისი ძმის ტახტიდან ჩამოგდება განიზრახა. ფარსმანმა ამ გეგმის განსახორციელებლად საკმაოდ რთული და ემპიკური გზები მოიფიქრა. მითრიდატესთან მივიდა და თავშესაფარი სთხოვა ფარსმანის ვაჟმა **რადამისტმა**. ბიძამ შეიფარა რადამისტი. ეს უკანასკნელი სომხეთში დარჩა და დიდებულების ნაწილი მის მხარეს გადაიბირა. ამის შემდეგ რადამისტი ქართლში დაბრუნდა, მამასთან შესარიგებლად.

რომაელ ისტორიკოსის **ტაციტუსის** გადმოცემით, რადამისტმა მამას უთხრა «რაც მზაკვრობით უნდა გაკეთებულიყო გაკეთებულია, ახლა დანარჩენი იარაღით უნდა აღსრულდეს»

სომხეთში შესულმა რადამისტმა ბიძა დაამარცხა და ტახტი დაიკავა. რადამისტის წინააღმდეგ პართია დაიძრა, რადამისტი დამარცხდა. ის ქართლში გაიქცა. ფარსმანის მოქმედებით რომმა სომხეთი დაკარგა. ფარსმანმა რომთან ურთიერთობის გაფუჭების თავიდან აცილებისთვის რადამისტი მოაკვლევინა.

63 ნელს რომსა და პარტიას შორის დაიდო ზავი. ამ ზავით რომმა დაკარგა სომხეთი. ქართლის სამეფო კიდევ უფრო გაძლიერდა.

63 ნელს რომმა გააუქმა პონტოს სამეფო, იგი რომის პროვინციად იქცა. ამ პერიოდში კოლხეთიც იქცა რომის უშუალო ნაწილად. კოლხეთში რომის ჯარები ჩადგა.

69 ნელს კოლხეთში მოხდა აჯანყება, რომელსაც ანიკეტი ხელმძღვანელობდა. მან ტრაპიზონის ალბაც მოახერხა. რომი აჯანყებას ჯარით გაუსწორდა, დამარცხებულმა **ანიკეტმა** თავი მდინარე ხობისწყლის მიდამოებს შეაფარა. ანიკეტი შეიპყრეს და რომაელებს გადასცეს. ამის შემდგომ რომის იმპერიამ დაპყრობილ ტერიტორიებზე დათმობებზე წავიდა, რამაც ხელი შეუწყო II-III საუკუნეებში ნახევრად დამოუკიდებელი ლაზების, აფშილების, აბაზგების და სანიგების სამთავროების შექმნას.

კიდევ უფრო გაძლიერდა ქართლის სამეფო II საუკუნის I ნახევარში, ფარსმან ქველის მმართველობის დროს. ამ დროს ქართლის სამეფოში შედიოდა დასავლეთის და აღმოსავლეთის ტერიტორიები.

128 ნელს მცირე აზიაში იმყოფებოდა რომის იმპერატორი **ადრიანე**. მან თავისთან დაიბარა ქვეშევრდომი სახელმწიფოების მმართველები, მათ შორის ფარსმან ქველიც. ქართლის სამეფოს მმართველმა საჭიროდ არ მიიჩნია იმპერატორთან გამოცხადებულები. ამიტომ სანაცვლოდ მან იმპერატორს საჩუქრები გაუგზავნა. მათ შორის იყო ოქროს ქსოვილის მოსასხამი. განრისხებულმა ადრიანემ ეს მოსასხამები გლადიატორებს ჩააცვა და ცირკის არენაზე გაუშვა. ეს შეურაცყოფა ფარსმან ქველმა არ აპატია იმპერატორს, გახსნა ჩრდილო კავკასიის გზები და გამოუშვა მომთაბარე ტომები, რომლებმაც აიკლეს რომის აღმოსავლეთი პროვინციები. ამით ფარსმანმა ადრიანეს დაანახა, თუ მას რამხელა ძალები ჰქონდა.

იმპერატორმა **ანტონინუს პიუსმა** რომში ფარსმან ქველი მოიწვია, ფარსმანს გაუდიდა სამფლობელო და ნება დართო მსხვერპლი შეეწირა კაპიტოლიუმში. მისი ცხენოსანი ქანდაკება ენიალიონზე (ომის ღმერთის მარსის ტაძარში) დაიდგა.

ლეონტი მროველის ცნობით ქართლში დაბრუნებული ფარსმან ქველი ირანელებმა მოწამლეს.

III საუკუნის 20-იან წლებში დიდი ცვლილებები მოხდა აზიაში. პართიის სამეფო გაანადგურა სასანურმა ირანმა. ამავე დროს სულ უფრო ძლიერდებოდა კრიზისი რომში.

III საუკუნის პირველ ნახევარში ქართლის სამეფოს სერიოზული საფრთხე არ დამუქრებია. თანდათანობით ძლიერდება სასანური ირანი, ირანმა დაამარცხა რომი და დაიკავა სომხეთი. ქართლის მეფემ **ამაზასპიმ** ირანელების თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით თავი ირანის ვასალად გამოაცხადა.

III საუკუნის 80-90 იან წლებში ირანელებმა რომთან ომში მარცხი განიცადეს და ქართლიც და სომხეთიც დათმეს.

-
- **მითრიდატე I** - მეფე ფარსმან I-ის ძე. ქართლის (იბერიის) მეფე. სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით მითრიდატე I ასოცირდება მეფე «ფლავიუს დადესთან».
 - **ფარსმან I დიდი** - არმავის იბერიის მეორე მეფე I საუკუნის II ნახევარში.
 - **რადამისტი** - ქართველი უფლისწული, სომხეთის მეფე 51-53 და 54-55 წლებში. უფროსი ძე მეფე ფარსმან I-სა.
 - **პუბლიუს (ან გაიუს) კორნელიუს ტაციტუსი** (56 - 117) - რომელი ისტორიკოსი
 - **ანიკეტი** (გ. 69) ყოფილი მონა, დიდი ანტირომაული აჯანყების მოთავე ტრაპიზონში
 - **პუბლიუს ელიუს ტრაიანუს ადრიანე** (ჰადრიანე), (76-138), რომის იმპერატორი 117-138 წლებში
 - **ანტონინუს პიუსი ანტონინუს ტიტუს ავრელიუს ფულვუს პიუსი** (86-161), რომის იმპერატორი ახ. წ. 138 წლიდან
 - **ლეონტი მროველი** - ქართველი მოღვაწე, რუისის ეპისკოპოსი.
 - **ამაზასპი**, იბერიის მეფის ფარსმან I ძე.

გარნიისის ბრძოლა (52-53)

გარნიისის ბრძოლა - ბრძოლა სომხეთის მეფე **მითრიდატე იბერიელსა** და მის ძმისწულ **რადამისტს** (ქართლის მეფის ფარსმან I - ის ძე) შორის.

ფარსმან I-მა, რომელსაც ეწინოდა, რადამისტი მეფობაში არ შესცილებოდა, ნააქეზა შვილი, საკუთარ ბიძას - მითრიდატეს სამეფოს დაპატრონებოდა.

რადამისტი იბერიის ჯარით სომხეთში შეიჭრა და ალყა შემოარტყა გარნიისის ციხეს, რომელშიც მითრიდატე და მასთან მყოფი რომაული რაზმი იყო ჩაკეტილი.

რომაელთა სარდალმა პრეფექტმა **ცელიუს პილონმა**, რომელიც რადამისტმა მოისყიდა, მითრიდატეს ჩააგონა, ძმისწულს დანებებოდა. მიუხედავად იმისა, რომ რადამისტმა ბიძას უვნებლობა აღუთქვა, მისი ბრძანებით მითრიდატე და მისი ვაჟები დახოცეს. რადამისტი მოკლე დროით სომხეთის მეფე გახდა.

-
- **გარნიისი, გარნი** - დაბა სომხეთში. მდებარეობს ერევნიდან 28 კმ-ში, ქოთაიქის პროვინციაში, გელამის მთების ძირას, მდინარე აზატის ხეობაში.
 - **მითრიდატე I** - მეფე ფარსმან I-ის ძე. ქართლის (იბერიის) მეფე.
 - **რადამისტი** - ქართველი უფლისწული, სომხეთის მეფე 51-53 და 54-55 წლებში. უფროსი ძე მეფე ფარსმან I.
 - **ფარსმან I დიდი** - არმავის იბერიის მეორე მეფე I საუკუნის II ნახევარში.
 - **ცელიუს პილონი** - რომაელთა სარდალი, რომელმაც მოტყუებით დაიპყრო მითრიდატი ზავზე.

რეხის ბრძოლა

რეხის ბრძოლა 76 წელს **ფარსმან II** მცირეწლოვანი ვაჟის **მირდატის** მომხრეებმა ეგრისის და რომაელთა ჯარების დახმარებით დაამარცხეს იბერიის მეფე **მირდატ IV**.

ეს უკანასკნელი ამ ბრძოლაში უნდა დაღუპულიყო, რადგან უკვე იმავე წელს იბერიის ტახტზე მირდატ V ზის.

-
- **ფარსმან II (ქველი)** — ამაზასპ I ძე. იბერიის უძლიერესი მეფე.
 - რომელსაც სიმამაცისა და ვაჟკაცობისთვის ქველი ეწოდა. მეფობდა დაახლ. 120-170 წლებში.
 - **მითრიდატე IV მირდატი** - ქართლის (იბერიის) მეფე III საუკუნის დასასრულს ან IV საუკუნის დასაწყისში.

საქართველო IV საუკუნეში

IV საუკუნის 30-იანი წლების ბოლომდე ირანსა და რომს შორის დადებული **ნიზიბისის ზავი** არ დარღვეულა. რომს აკმაყოფილებდა ეს შეთანხმება. როდესაც ქართლის სამეფო გაქრისტიანდა, ქართლი რომის მოკავშირე გახდა. ამ დროს ირანში შიდა აშლილობა იყო. ამიტომ მას აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმართვა აღარ შეეძლო. რომის იმპერატორმა დედაქალაქი რომიდან აღმოსავლეთით გადმოიტანა.

ლეონტი მროველის ცნობით, ქართველებმა წარმატებული ლაშქრობა მოაწყვეს ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ პერიოდში ირანელებმა დაიკავეს სომხეთი. ეს სახიფათო იყო ქართლისთვის. ამიტომ ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში სომხებს ქართველები დაეხმარნენ. საპასუხოდ, ირანელები ქართლში შემოიჭრნენ და, სავარაუდოდ, მალე მთელი ქართლი დაიმორჩილეს. დასავლეთ საქართველოში გაძლიერდნენ ლაზები. ასეთი პოლიტიკური წყობა რომის იმპერიისთვის სრულიად მისაღები იყო, რადგან მას არ აწყობდა კავკასიაში ძლიერი სახელმწიფოს არსებობა, რომელსაც შეეძლო ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელი გზების კონტროლი.

IV საუკუნეში ლაზმა მეფეებმა დაიმორჩილეს აბაზგები, აფშილები და სანიგები; ქართლს წაართვეს **არგვეთი** და მთელი დასავლეთ საქართველო დაიკავეს. ამ სახელმწიფოს ქართლში — **ეგრისს**, ხოლო ბიზანტიაში — **ლაზიკას** უწოდებდნენ. ლაზიკა რომს მხოლოდ ფორმალურად ემორჩილებოდა. ლაზიკის დედაქალაქი იყო **ცინე-გოჯი** (არქეოპოლისი)

- **ნიზიბისის ზავი** - ასევე ნიზიბისის პირველი ზავი, რომის და სასანიანების იმპერიებს შორის 299 წელს დადებული ზავი, რომლითაც დასრულდა 296-299 წლებში მიმდინარე რომაულ-სპარსული ომი. ხელშეკრულებით დადგენილი საზღვარი ფუნქციონირებდა 363 წლის ნიზიბისის მეორე ზავამდე.
- **არგვეთი** - ისტორიული პროვინცია დასავლეთ საქართველოში კოლხეთის სამეფოს დაშლის და მასში შემავალ ტომობრივ-ტერიტორიულ ერთეულების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგად 100 წელს შეიქმნა **ლაზიკის სამთავრო**, შემდგომში ლაზიკის

საქართველო V საუკუნეში

V საუკუნის დასაწყისიდან ირანმა გააქტიურა თავისი დამპყრობლითი პოლიტიკა კავკასიაში.

428 წელს ირანმა მეფობა გააუქმა სომხეთში. ცხადი იყო რომ ანალოგიური ბედი ელოდა საქართველოს და ალბანეთს. ირანის შაჰმა მეტად აგრესიული, რელიგიური პოლიტიკის გატარება დაიწყო.

მან განიზრახა ქართლში, სომხეთსა და ალბანეთში **მაზდეანობა** გაევრცელებინა.

ამ ქვეყნების დიდაზნაურები დაიბარეს ირანის შაჰის კარზე. ქართველთა შორის იყო ქვემო ქართლის პიტიახში **არშუშა**. სამივე ქვეყნის წარმომადგენელს, შაჰმა ქრისტიანობის უარყოფა და მაზდეანობის მიღება მოსთხოვა. ისინი იძულებულები გახდნენ უარი ეთქვათ ქრისტიანობაზე. მათ იმედი ჰქონდათ რომ სამშობლოში დაბრუნებულები კვლავ ქრისტიანობას მიიღებდნენ. შაჰმა უკან გამობრუნებულ დიდაზნაურებს თან გამოაყოლა მოგვები, მათ ევალებოდათ გაევრცელებინათ მაზდეანობა, დაეხურათ ეკლესიები და დაეწყოთ ირანული წეს-ჩვეულებების გავრცელება. შაჰმა თავისთან მძევლები დაიტოვა, რომელთა შორის არშუშა პიტიახშიც იყო. მარტო სომხებს 700 მოგვი გამოაყოლა. ქართლს, სომხეთს და ალბანეთს უდიდესი საფრთხე დაემუქრა, შაჰის ბრძანების შესრულების შემთხვევაში ეს ქვეყნები ირანის პროვინციად იქცეოდნენ. მოგვებმა ჩამოსვლისთანავე აქტიური ქმედება დაიწყეს, ამ ყველაფერს სომხეთსა და ალბანეთში აჯანყებები მოჰყვა. თავიდან აჯანყება წარმატებით მიდიოდა, მაგრამ ირანმა შეძლო მისი ჩახშობა. აჯანყების დამარცხების მიუხედავად შაჰი

სამეფო - ძველი ქართული სამეფო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე

- **ციხე-გოჯი** - ისტორიული ციხე-ქალაქი დასავლეთ საქართველოში, ამჟამად სოფელი ნაქალაქევი და არქეოლოგიური მიდამო სენაკის მუნიციპალიტეტში, სამეგრელოში, მდინარე ტეხურის მარცხენა სანაპიროზე

იძულებული გახდა ამ განზრახვისთვის დროებით ხელი აეღო. ირანელებს მოკავშირეები ჰყავდა ქვეყნის შიგნითაც. ესენი იყვნენ ის დიდაზნაურები, რომლებიც ქართლის განმტკიცება-გაძლიერებაში მონაააღმდეგენი იყვნენ. ქვემო ქართლის პიტიახში **ვარსქენი** ერთ-ერთი მათგანი იყო.

482 წელს მეფის ბრძანებით ვარსქენი მოკლეს. ეს ირანელთა წინააღმდეგ აჯანყება იყო. ირანელებს აუჯანყდნენ სომხებიც, ცნობილი დიდებულის **ვარდან მამიკონიანის** სარდლობით. მათ უნდა შეერთებოდა **ჰუნების** ჯარი. ჰუნებმა პირობა დაარღვიეს და მხოლოდ 300-კაციანი რაზმი გამოგზავნეს. თავიდან აჯანყება წარმატებით მიდიოდა, მაგრამ შემდგომ თავი იჩინა ქართველი და სომეხი დიდებულების ლალატმა. ამასობაში შაჰმა დამატებითი ძალები გამოგზავნა აჯანყებულთა წინააღმდეგ. ვახტანგი იძულებული გახდა უკან დაეხია. მან თავი სომხეთის მთებს შეაფარა. ქართველებისა და სომხების ჯარმა ვახტანგის სარდლობით გადანწყვიტეს გადამწყვეტი ბრძოლა გარდაბნის ველზე გადაეხადათ. ბრძოლის დროს ლალატმა იჩინა თავი. ჯარის ნაწილმა შუა ბრძოლაში მიატოვა მეფე. ირანელებმა გაიმარჯვეს.

484 წელს ქართლში ირანელთა ახალი ჯარი შემოვიდა, ჯარის სარდალს ნაბრძანები ჰქონდა **ვარტანგ გორგასალი** ან დაეპატიმრებინა ან მოეკლა. ირანის სარდალს მალე ეახლნენ მოლაღატე აზნაურები. შექმნილი მძიმე ვითარების გამო ვახტანგი იძულებული შეიქმნა დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. ვახტანგი გარკვეული ხნით იყო დასავლეთ საქართველოში და შემდეგ კვლავ დაბრუნდა ქართლში. ახალი ძალით განახლდა ბრძოლა ირანელთა წინააღმდეგ. თავისი უკანასკნელი ბრძოლა მეფემ სამგორის ველზე გადაიხადა. ბრძოლის დროს, როდესაც ვახტანგმა ხელი ასწია, რათა მახვილი დაეკრა მტრისთვის, მას საკუთარმა მონადეოფილმა ისარი სტყორცნა ილღიაში. მეფეს ილღიაში ჯაჭვის პერანგი გარღვეული ჰქონდა, მონადეოფილმა ეს ყველაფერი იცოდა და სასიკვდილოდ დაჭრა მეფე. ვახტანგ გორგასალი სასწრაფოდ მიიყვანეს უჯარმის ციხეში. მაგრამ მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო.

ვახტანგი **უჯარმაში** გარდაიცვალა. ვახტანგი სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს.

უჯარმის ბრძოლა (502 წ.)

უჯარმასთან გორგასლის მეთაურობით ქართველობამ ირანელთა

წინააღმდეგ გამართა ის ერთადერთი ბრძოლა, რომელში მონაწილე მეომართა რაოდენობა მრავალჯერ აღემატება ქართველების მიერ გადახდილ ნებისმიერ ბრძოლას (დაახლოებით 800-900 000 კაცი ორივე მხრიდან), მათ შორის დიდგორსაც, ბასიანსაც და შამქორსაც.

მეცნიერები დღესაც ვერ არკვევენ, თუ კონკრეტულად უჯარმის შემოგარენის რა ნაწილებში განთავსდა ამდენი ხალხი. სავარაუდოდ ადგილად მიჩნეულია სოფლის განაპირა «ქვირვის ტყე» და ვრცელი ველი, ე.წ. «ლამუანი» (იგივე «ბაკი», ანუ «ლამოვანი»), აგრეთვე ივრის განიერი, 500-800 მეტრის სიგანის და დაახლოებით კილომეტრ-ნახევარი სიგრძის ქალაქის დღევანდელი უჯარმიდან ვიდრე იმ ადგილამდე, სადაც სეზონური მდინარე «ლაფიანთხევი» უერთდება იორს და სადაც მოგვიანებით «მარიამის», ანუ ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი იქნა აშენებული.

ეს ადგილი ერთადერთი ბუნებრივი გასავალი იყო ერწო-თიანეთზე.

-
- **მაზდეანობა** - ერთ დროს სასაღვთისმშობლის სპარსეთის ოფიციალური რელიგია
 - **არშუშა** - ქვემო ქართლის ანუ გუგარქის პიტიახში V საუკუნის შუა წლებში.
 - **ვარსქენ პიტიახში** - არშუშას ძე, სპარსელი უფლისწული, ქვემო ქართლის მმართველი V საუკუნის 60-80-იან წლებში
 - **ვარდან მამიკონიანი** (388-451), სომეხი სარდალი, მემკვიდრეობითი სპასპეტი (მხედართმთავარი) იყო
 - **ჰუნები** - მომთაბარე ხალხი, ცხოვრობდნენ ევრაზიის ტრამალეებზე ჩვ.წ. IV-VI სს.
 - **ვახტანგ გორგასალი** - ქართლის მეფე V ს. II ნახევარში. «გორგასალი» (სპარს. —«მგლისთავა») სპარსელებმა შეარქვეს
 - **უჯარმა** — სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, გარე კახეთში. მდებარეობს მდინარე ივრის მარჯვენა ნაპირზე.

საქართველო VI საუკუნეში

ბიზანტიასა და სასანური ირანის დაპირისპირებისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს. ის ვინც საქართველოში გაბატონდებოდა, მოიპოვებდა დიდ წარმატებებს მონინალმდეგესთან შედარებით. საქართველოს ხელში ჩაგდებით ისინი გააკონტროლებდნენ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსასვლელ გზებს და მომთაბარეების სამხედრო ძალის გამოყენება იქნებოდა შესაძლებელი.

VI საუკუნე კავკასიაში ირანის აქტიურობით დაიწყო.

510 წელს გააუქმეს მეფობა ალბანეთში. ქართლი ერთადერთი ქვეყანა იყო სადაც მეფობის ინსტიტუტი ისევ არსებობდა. ცხადი იყო, რომ ირანის შაჰი ქართლშიც გააუქმებდა მეფობას. ირანის შაჰმა ქართლის მეფეს **გურგენს** ქრისტიანობის უარყოფა და მაზდეანობის მიღება მოსთხოვა.

გურგენის აჯანყება 523 წელს დამარცხებით დასრულდა, მეფემ თავი ბიზანტიას შეაფარა.

თუ ქართლისთვის ირანი სასტიკი დამპყრობელი იყო, მას სხვანაირად უყურებდნენ ლაზიკაში. ლაზები ირანელებს ბიზანტიის მონინალმდეგედ და მათ მოკავშირედ აღიქვამდნენ. სწორედ ამ მოსაზრებით ლაზიკის მეფის შვილმა **ნათე I** მაზდეანობა მიიღო. როდესაც მეფე გარდაიცვალა, სამეფო ტახტი ნათეს დარჩა. იგი მიხვდა რომ ქრისტიანული ქვეყანა წარმართ მეფეს ვერ აიტანდა, ამიტომ ის კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნდა. ნათე I ქრისტიანად ავიდა სამეფო ტახტზე.

მისი პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლამ, ირანის შაჰის აღშფოთება გამოიწვია და ლაზიკის დასასჯელად სამხედრო ძალა გამოგზავნა. ნათემ დახმარებისთვის ბიზანტიას მიმართა. ლაზებმა და ბიზანტიელებმა ირანელები დაამარცხეს. ბიზანტიის იმპერატორმა კარგად იცოდა, რომ თუ ირანი ლაზეთს დაიპყრობდა, იმპერია ძალზედ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. იმპერატორმა **იუსტინიანემ** გადაწყვიტა დასავლეთ საქართველოს ციხეებში **სკანდასა** და **შორაპანში** ბიზანტიური გარნიზონები ჩაეყენებინა.

531 წელს ირანის შაჰი გახდა **ხოსრო I ანუშირვანი**. იუსტინიანეს და ხოსროს მმართველობის დროს მათმა ქვეყნებმა სიძლიერის ზენიტს მიაღწიეს. იუსტინიანე რომის იმპერიის აღდგენაზე ოცნებობდა. მაგრამ ეს ორი ქვეყანა გადამწყვეტი ბრძოლისათვის მზად მაინც ვერ აღმოჩნდა.

ამიტომ 532 წელს დაიდო უვადო ზავი. იუსტინიანე ხვდებოდა, რომ ზავი დროებითი იყო ამიტომ მან დასავლეთ საქართველოს გამაგრება დაიწყო. ლაზიკაში შეიქმნა ახალი სამხედრო ძალა. ააგეს ძლიერი ციხესიმაგრე **პეტრა (ციხისძირი)**. ლაზებისთვის ეს ყველაფერი აუტანელი იყო. ამიტომ მათ ხოსროსთან ელჩობა გააგზავნეს და დახმარება სთხოვეს. სულ სხვა ვითარებაში აღმოჩნდა ქართლი, უვადო ზავის შემდგომ, ქვეყანა კვლავ ირანელთა მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა. საინტერესო ცნობები აქვთ დაცული ბიზანტიელ იმპერატორებს.

VI საუკუნის 30-იან წლებში «იბერიელთა მეფე ძამა ნარსე კონსტანტინოპოლში კეთილსათნო იუსტინიანე მეფესთან თავის მეუღლითა და დარბაისლებითურთ მოვიდა». სავარაუდოა, რომ ქართლის ნაწილი ირანელთა ბატონობას გადაურჩა და იქ ვახტანგ გორგასლის შთამომავლები მეფობდნენ.

VI საუკუნის 40-იან წლებში ქართლში მეფობა გაუქმებულია. ამ დროს ქართლის მმართველია ირანელი მოხელე **მარზპანი** გახდა.

პეტრას ბრძოლა

ეგრისის მეფის **გუბაზ II-ის** მიწვევით ირანის ჯარი ეგრისში შევიდა. ირანისა და ეგრისის მხედრობა პეტრას მიადგა.

ბიზანტიელთა სარდალმა **იოანე ციბემ** ხერხი იხმარა - პეტრის გარნიზონს უხმაუროდ ყოფნა უბრძანა.

ირანის ჯარს, რომელსაც **ანიაბედი** სარდლობდა, ციხე მიტოვებული ეგონა და თამამად მიადგა ზღუდეს.

ბიზანტიელები მოულოდნელად ეკვეთნენ მათ და დაამარცხეს. მარცხის შემდეგ ირანელებმა შაჰის სარდლობით ყოველი მხრიდან მიიტანეს იერიში ციხეზე.

ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ, როდესაც სტრატეგოსი იოანე ციბე დაიღუპა, ხოლო ირანელებმა გვირაბი გაიყვანეს და ერთ-ერთი კოშკი ჩამოანგრის, ბიზანტიელთა გარნიზონი დანებდა. პეტრაში ირანელთა ჯარი ჩადგა.

ბრძოლა ირანისა და ბიზანტია-ეგრისის ჯარს შორის 549 წელს. ბიზანტიელთა უღელზე მძიმე აღმოჩნდა.

გუბაზ II ახლა ბიზანტიის იმპერატორს სთხოვა მის დასახმარებლად 8000 მეომარი გაეზავნა (აქედან 1000 ჭანი) **დაგისტეს** სარდლობით.

გუბაზისა და დაგისტეს გაერთიანებულმა ლაშქარმა ალყა შემოარტყა პეტრას. ირანის გარნიზონს სურსათი და საომარი აღჭურვილობა საკმაო ჰქონდა, თან დამხმარე ძალას ელოდა ირანიდან **მერმეროეს** სარდლობით.

გუბაზმა ახალი გეგმა შეიმუშავა, გადაწყვიტა ალყა არ მოეხსნა, დაგისტეს ეგრისში შესასვლელი გზები დაეცვა, თვითონ კი ქართლიდან ეგრისში გადასასვლელი ჩაკეტა. დაგისტე პეტრას არ მოსცილდა, გზების დასაცავად კი მხოლოდ 100 კაცი გაგზავნა. მერმეროემ ადვილად გაფანტა მცირე რაზმი და პეტრასკენ დაიძრა.

დაგისტემ ალყა მოხსნა და გაიქცა.

მერმეროემ ციხე გაამაგრა და 3000 მეომარი ჩააყენა.

რიონის ბრძოლა (550 წ.)

გაიმართა 550 წელს ეგრის-ბიზანტიისა და ირანის ჯარს შორის ეგრისის დიდი ომის (542-562) დროს.

549 წელს ირანელმა სარდალმა **მერმეროემ** თავისი 30000-იანი არმიის 5000 მეომარი ეგრისში დატოვა, დანარჩენი კი გამოსაზამთრებლად სომხეთში გადაიყვანა.

ირანელები რიონის სამხრეთ სანაპიროზე დაბანაკდნენ.

გუბაზ II-მ, რომელიც ქართლიდან გადმოსასვლელ გზებს და რიონის მარჯვენა სანაპიროს იცავდა, გადაწყვიტა გაენადგურებინა ეს რაზმი და ბიზანტიელთა სარდალს დაგისტეს დახმარება სთხოვა.

ეგრისისა და ბიზანტიის ჯარი შეერთდა. გუბაზმა ჯერ 1000 მეომრისაგან შემდგარი მზვერავი რაზმი გაანადგურა, ხოლო შემდეგ მოულოდნელად ირანელთა მთავარ ბანაკს დაეცა და დაამარცხა. ირანელთა უმეტესობა ბრძოლის ველზე დაეცა, ბევრი ტყვედ ჩავარდა. გაქცეულები კი გუბაზმა ქართლში გადარეკა. ეგრისი ირანელებისაგან გაინმინდა, ირანელთა გარნიზონი მხოლოდ **პეტრას ციხე-ქალაქში** იდგა.

-
- **მერმეროე** - VI საუკუნის სასანური სპარსეთის სარდალი და იმ პერიოდის ბიზანტიურ-სასანური ომების ერთ-ერთი მთავარსარდალი.
 - **გუბაზ II** (გ. 554) - ეგრისის მეფე VI საუკუნის 40-50-იან წლებში.
 - **პეტრა** - ისტორიული ციხე-ქალაქი ეგრისის სამეფოში, ახლ. სოფელი ციხისძირის ტერიტორია (აჭარის არ)

მუხურისის ბრძოლა (550 წ.)

ბრძოლა ბიზანტიელ-ეგრისელებსა და ირანელებს შორის ეგრისის დიდი ომის დროს.

550 წლის ზაფხულში ეგრისს შემოესია ირანის მრავალრიცხოვანი ჯარი **ხურთანეს** სარდლობით.

მტერმა ბანაკი მუხურისის ხეობაში, მდინარე **ცხენისწყლის** ნაპირზე გაშალა.

ეგრისელებს მეთაურობდა გუბაზ II, ბიზანტიელებს - **დაგისტე**. მოკავშირეთა ბანაკში გაიმართა სამხედრო თათბირი, რომელზედაც ეგრისელთა რჩევით გადაწყდა მტერზე იერიშის მიტანა.

ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა და საბოლოოდ მტრის სრული განადგურებით დამთავრდა.

-
- **მუხურისი** - ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში, ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ცენტრალური პროვინცია. მოიცავდა იმერეთის ვაკე ტერიტორიას მდინარეების რიონსა და ცხენისწყალს შორის.
 - **ცხენისწყალი** - მდინარე დასავლეთ საქართველოში
 - **ხურთანე** - სპარსეთის სარდალი
 - **დაგისტე** - ბიზანტიელთა სარდალი

პეტრას ბრძოლა (551 წ.)

ბიზანტიის ჯარმა სარდალ **ბესას** მეთაურობით იერიში მიიტანა პეტრაზე. ქალაქს 2300 ირანელი იცავდა, ხოლო ბიზანტიელთა ჯარში 6000-მდე მეომარი იყო. გაიმართა სისხლისმღვრელი და ხანგრძლივი ბრძოლა. ბიზანტიელებმა უდიდესი მსხვერპლის ფასად შეძლეს ქალაქის აღება, მაგრამ 500-მდე ირანელი აკროპოლისში გამაგრდა და ბიზანტიელთა ტყვეობას ცეცხლში დალუპვა ამჯობინა.

ბიზანტიელებმა პეტრის ზღუდეები მიწასთან გაასწორეს, რათა მტერს ის მომავალში კვლავ არ დაეკავებინა.

-
- **გურგენი** - ქართლის მეფე VI საუკუნის 20-იან წლებში.
 - **წათე I** - ეგრისის მეფე VI საუკუნის 20-იან წლებში.
 - **იუსტინიანე I** - ბიზანტიის იმპერატორი 527–565 წლებში.
 - **სკანდეს ციხე** - ციხესიმაგრე საქართველოში, მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სკანდეს ჩრდილოეთ მხარეს
 - **შორაპნის ციხე** - ანტიკური და შუა საუკუნეების ციხესიმაგრე დასავლეთ საქართველოში, ყვირილასა და ძირულას შესართავში (ახლანდელი დაბა შორაპნის ტერიტორია, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი).
 - **ხოსრო I ანუ შირვანი** (496 - 579) – სასანიური ირანის 22-ე შაჰინშაჰი 531-579 წლებში,
 - **მარზპანი** - უმაღლესი მოხელე, რომელიც IV-VI საუკუნეებში ინიშნებოდა ირანის მიერ დაპყრობილი ქვეყნის მმართველად და შაჰის ადგილობრივ ნაცვლად.
 - **იოანე ციბე** - ბიზანტიელთა სარდალი
 - **დაგისტე** - ბიზანტიელთა სარდალი
 - **ბესა** – ბიზანტიელი სტრატეგოსი (სარდალი) ეგრისში 550-554 წლებში.

არქეოპოლისის ბრძოლა (551 წ.)

ბრძოლა გაიმართა 551 წელს, ბიზანტიელ-ეგრისელებსა და ირანელებს შორის ეგრისის დიდი ომის (542-562) დროს.

პეტრასთან მარცხის შემდეგ, ირანელები შეეცადნენ აეღოთ ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჯი (ახლ. ნოქალაქევი), რომელსაც ბერძნები არქეოპოლისს უწოდებდნენ.

ირანელთა სარდალმა **მერმეროემ** ქალაქის ძნელად მისაღვომ ზემო ჭიშკართან გამოცდილი მშვილდოსნები გაგზავნა, თვითონ კი მთელი ჯარით, ტარანებით და სპილოებით ციხე-ქალაქს ქვემო ჭიშკარს მიადგა. იერიშის დროს ადგილობრივმა მოლაღატემ მერმეროეს დავალებით ცეცხლი წაუკიდა სურსათის საწყობებს, მაგრამ ირანელებმა ქალაქი მაინც ვერ აიღეს.

ტელეფისის ბრძოლა (553 წ.)

წარმართა 553 წელს ეგრის-ბიზანტიისა და ირანის ჯარს შორის, ეგრისის დიდი ომის დროს ტელეფისის ციხისათვის.

ტელეფისის ციხე ბიზანტიელებს ძლიერ გამაგრებული ჰქონდათ. ირანელების სარდალმა **მერმეროემ** მის ასაღებად ხერხს მიმართა:

ხმა გაავრცელა თითქოს უკურნებელი სენით დაავადდა და გარდაიცვალა. ბიზანტიელებმა სიფხიზლე მოადუნეს. ირანელებმა ამით ისარგებლეს და ტელეფისის ციხე მოულოდნელად აიღეს.

-
- **ნოქალაქევი** (ციხეგოჯი - არქეოპოლისი) რომელიც დასავლეთ საქართველოში, ქ. სენაკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 17 კმ-ში მდებარეობს.
 - **ტელეფისი** მდებარეობს ახლანდ. სოფ. ტოლებში, სამტრედიის მუნიციპალიტეტი.

ონოგურისის ბრძოლა (554 წ.)

ონოგურისი - ისტორიული ციხესიმაგრე დასავლეთ საქართველოში.

ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი არქეოპოლისის (ახლანდელი სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორია) მახლობლად. ზუსტი ადგილმდებარეობა დაუდგენელია. 554 წელს ონოგურისთან გაიმართა ბრძოლა ირანისა და ბიზანტიის ლაშქარს შორის.

ონოგურისი ცხენისწყლის დასავლეთით, არქეოპოლისის (ნოქალაქევი) მახლობლად, უნაგირას მთაზე უნდა ყოფილიყო აღმართული.

ფოთის (ფაზისის) ბრძოლა (555 წ.)

ბრძოლა ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის ეგრისის დიდი ომის (542-562 წწ.) დროს ქ. ფოთის სიმაგრესთან.

ირანელების ჯარის სარდალს **ნახორაგანს** იმედი ჰქონდა, რომ ხისგან აგებული სიმაგრის აღება არ გაუძნელდებოდა.

მან მოულოდნელად ერთ ღამეში გადაიყვანა ჯარი მდინარე რიონის მარცხენა მხარეს, რათა ფაზისს სამხრეთიდან მისდგომოდა, სადაც რიონი არ დააბრკოლებდა.

ბიზანტიელებმა ვერ შეძლეს ნავებით ჯარების გადაყვანა მდინარეზე, რომ ირანელებისათვის ფაზისში შესვლა დაესწროთ, ამიტომ ხმელეთის გზით შევიდნენ ქალაქში და გამაგრდნენ.

ირანელების იერიში ფოთის სიმაგრეზე სრული მარცხით დამთავრდა. ირანელებმა ამ ბრძოლაში 10000-ზე მეტი მეომარი დაკარგეს, რის შემდეგაც ქუთაისისა და მუხურისისაკენ დაიხიეს.

• **ნახორაგანისი**- სპარსეთის სარდალი

ქახარის ბრძოლა (555 წ.)

ბრძოლა ბიზანტიელების წინააღმდეგ ეგრისის დიდი ომის (542-562 წწ.) დროს.

ბიზანტიელთა წინააღმდეგ აჯანყებული მისიმიელები ირანელთა მხარეზე გადავიდნენ და დახმარება სთხოვეს მათ.

ირანელები ვერ დაეხმარნენ, რადგან თვითონ დამარცხდნენ ბიზანტიელებთან ბრძოლაში ფაზისთან.

საკუთარი ძალების ანაბარა დარჩენილი მისიმიელები გამაგრდნენ **ქახარის ციხეში**, რომელსაც სიმტკიცის გამო რკინის ციხესაც უწოდებდნენ.

ციხის მისადგმებთან გამართულ ბრძოლაში ბიზანტიელებმა დაამარცხეს ისინი.

600 მისიმიელისაგან მხოლოდ 80-მა შეძლო თავი შეეფარებინა ციხისათვის. შემდეგ ბიზანტიელებმა ციხის მახლობლად კლდეზე გაშენებულ სოფელზე მიიტანეს იერიში, დაარბიეს და გადაწვეს იგი. მისიმიელები ბრძოლას განაგრძობდნენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ბიზანტიელებმა სიმრავლით სძლიეს.

-
- **მისიმიელები** - ერთ-ერთი ძველი ქართული (სვანური) ტომი
 - **სოტერიქე**-ბიზანტიელი სარდალი, სტრატეგოსი

საქართველო VII საუკუნეში

602 წელს კონსტანტინოპოლში სამხედრო გადატრიალება მოხდა.

ირანის შაჰმა გადაწყვიტა ბიზანტიის საქმეებში ჩარევა, ხოლო მიზეზად მოიყვანა ის რომ, ბიზანტიის იმპერატორი თავის დროზე მას დაეხმარა, ახლა კი მას სურდა დახმარება. ირანელებმა ბიზანტიის წინააღმდეგ ომი დაიწყეს, ბიზანტიელები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ.

გართულდა ვითარება კავკასიაშიც. ქალკედონიის მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ დაირღვა კავკასიის სახელმწიფოების რელიგიური ერთობა. სომხეთში **მონოფიზიტობამ** გაიმარჯვა.

განსაკუთრებით გართულდა ვითარება VII საუკუნის დასაწყისში. ყველაფერი იმით დაიწყო რომ ცურტაველი ეპისკოპოსი მოსე, წარმოშობით სომეხი, რომელიც მონოფიზიტობას უჭერდა მხარს, გაიქცა სომხეთში და დახმარება ითხოვა. მოსემ საქმე ისე წარმოაჩინა თითქოს ქათველები დევნიდნენ. მოსეს დაცვა სომხეთის კათალიკოსმა ითავა. გაიმართა მიწერ-მონწერა სომხეთის კათალიკოსსა და ქართლის კათალიკოს **კირიონ I** შორის. მოსე ცურტაველის საკითხი მალევე მიივიწყეს, წინა პლანზე წამოიწია უფრო მნიშვნელოვანმა საკითხებმა.

სომხეთის ეკლესია ქართლის ეკლესიას ბრალს დებდა რწმენის დამახინჯებაში. ქართლის კათალიკოსი ძალზედ ჭკვიანურად და ფრთხილად მოქმედებდა. პოლიტიკური სიტუაცია ქართლისთვის საზიანო იყო. მონოფიზიტ სომხეთს უკან ირანი ედგა. **დიოფიზიტური** ბიზანტია დასუსტებული იყო და ანგარიშგასანევ ძალას აღარ წარმოადგენდა, ამიტომ ქართლს ბიზანტიის დახმარების იმედი აღარ ჰქონდა. კირიონმა შესანიშნავად გაართვა თავი შექმნილ მძიმე მდგომარეობას: დაიცვა დიოფიზიტობა და საშუალება არ მისცა მოწინააღმდეგეებს გამოეყენებინათ მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობა. საბოლოოდ ყველააფერი 608 წლის საეკლესიო განხეთქილებით დასრულდა.

610 წელს ბიზანტიაში ახალი გადატრიალება მოხდა. ტახტზე ავიდა **ჰერაკლე**, თავდაპირველად ვერც ახალმა იმპერატორმა შესძლო მდგომარეობის გამოსწორება. ასეთი წარმატებების ფონზე ირანმა, ანტიბიზანტიური კამპანია დაიწყო, რაც უპირველეს ყოვლისა დიოფიზიტობის დევნით გამოიხატებოდა. მტკივნეულად შეეხო ეს საკითხი ქართლს.

VII საუკუნის 10-იან წლებში კათალიკოსი კირიონი და ერისმთავარი **ადარნასე** იძულებულები შეიქმნენ, ქართლი დაეტოვებინათ.

შექმნილ მძიმე ვითარებაში ბიზანტიამ შეძლო ახალი ჯარის შექმნა და შეტევაზეც გადავიდა. იმპერატორი შეიჭრა სომხეთსა და ალბანეთში და რამდენიმე მარცხი აგემა ირანელებს.

627 წელს ჰერაკლემ ახალი შეტევა წამოიწყო. თავდაპირველად ის დასავლეთ საქართველოში შეიჭრა, დაუკავშირდა ჩრდილო კავკასიელ **ხაზარებს** და თბილისზე ლაშქრობა შესთავაზა.

ხაზარები სიამოვნებით დათანხმდნენ იმპერატორის წინადადებას. იმავე წელს ხაზარები და ბიზანტიელები თბილისს მოადგნენ, ხანგრძლივმა ალყამ არ გაამართლა. ქალაქის აღება ბიზანტიელებმა და ხაზარებმა ვერ შესძლეს. ჰერაკლეს დროის დაკარგვა აღარ შეეძლო, მიატოვა თბილისი და შუამდინარეთისკენ დაიძრა.

628 წელს ხაზარები კვლავ მოადგნენ თბილისს. აიღეს ქალაქი და საშინლად ააოხრეს იგი. იმავე წელს დაიდო ზავი ბიზანტიასა და ირანს შორის. ჰერაკლემ დაიბრუნა : სომხეთი, სირია, მესოპოტამია და ეგვიპტე. მასვე ერგო ქართლიც. ბიზანტიელები წყალობით აჯილდოებდნენ მათ მხარეს გადასულ ქართველებს. ჰერაკლემ ვერ შესძლო ამ წარმატებით დიდხანს სარგებლობა რადგან მსოფლიოს ასპარეზზე ახალი დამპყრობლების ძალა - არაბები გამოჩნდნენ.

VII საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება არაბთა დიდი დამპყრობლობითი ომები, რომლის შედეგადაც მათ უზარმაზარი იმპერია შექმნეს. არაბებს თავიდან დაპყრობილი ქვეყნები,

როგორც განმანთავისუფლებლებს ისე უყურებდნენ.

VII საუკუნის 30-იანი წლებიდან არაბები იპყრობენ : დამასკოს, იერუსალიმს, ანტიოქიას მთელ შუამდინარეთს და ეგვიპტეს.

ამავე პერიოდში არაბები სომხეთშიც შემოდიან, არაბებმა განიზრახეს ქართლის დაპყრობაც. მათ ქართლში ელჩობა გამოაგზავნეს და მოსახლეობას შემოუთვალეს ან დამორჩილება ან აყრა და სხვა ქვეყანაში გადასახლება. ქართლებმა მორჩილებაზე უარი განაცხადეს, არაბებმა გალაშქრება გადაწყვეტეს. მაგრამ ამას ბუნებრივმა პირობებმა შეუშალა ხელი - ზამთარი იდგა.

მოვიდა დიდი თოვლი, რასაც ზედ სასტიკი ყინვები დაერთო. არაბებმა ლაშქრობა შეწყვიტეს და უკან გაბრუნდნენ. არაბთა ეს პირველი გამოჩენა კავკასიაში მიზნად არ ისახავდა ამ ქვეყნების დაპყრობას. ეს იყო ჩვეულებრივი მარბიელი ლაშქრობა, რომლის დროსაც მათ დაზვერეს მომავალი მტრები.

VII საუკუნის 50-იანი წლებიდან არაბებმა დაიპყრეს ირანი, შუა აზია და ინდოეთამდე მივიდნენ. ირანის სახელმწიფოს დაცემამ არაბებს გზა კავკასიისკენ გაუხსნა.

654 წელს მათ დაამარცხეს ბიზანტიელები და ქართლს მოადგნენ. ქართლის ერისმთავარმა **სტეფანოზ II** ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მან არაბთა სარდალ **ჰაბიბ იბნ-მასლამს** დაზავება შესთავაზა.

ირანი აღარ არსებობდა, დასუსტებულ ბიზანტიას კი ქართლის დაცვა აღარ შეეძლო, ამიტომ დაზავება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო. თავის მხრივ არც არაბები იყვნენ წინააღმდეგნი, თუ ქართლი მას ნებით დაემორჩილებოდა. არაბებს დაპყრობილი ტერიტორიებზე განმტკიცება ესაჭიროებოდა, დაპირისპირება იყო არაბებში. საქართველო არაბებისაგან ყველაზე დამორებული ქვეყანა იყო. ქართლსა და არაბებს შორის დაიდო დაცვის სიგელი, რომლის პირობები იმ ეტაპზე ორივე მხარეს აკმაყოფილებდა. ქართველები იხდიდნენ ერთ კომლზე ერთ დინარს (ჯიზია). მათ არ ჰქონდათ უფლება გადასახადების შემცირების მიზნით კომლები შეერთებინათ.

ხოლო არაბებს, პირიქით კომლები გაეყოთ. თუ ქართველი მიიღებდა ისლამს ის თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან. ქართველები ვალდებულები იყვნენ დახმარებოდნენ არაბებს, ჩამორჩენილი არაბი უნდა მიეყვანათ არაბთა უახლოეს რაზმამდე. სამაგიეროდ არაბები დაიცავდნენ ქართველებს სხვების შემოსევებისაგან. თუ არაბთა არყოფნის დროს ქართველები დაემორჩილებოდნენ სხვებს, ეს ქართველებს დანაშაულად არ ჩაეთვლებოდათ.

VII საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს არაბთა სახალიფოში ატყდა შინა ომები, რომელიც რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. ამით ისარგებლა ქართლის ერისთავმა **ნერსე I** და არაბები არა მარტო ქართლიდან, არამედ სომხეთიდანაც გააქცია. არაბთა დროებითმა დასუსტებამ ბიზანტიას საშუალება მისცა დაკარგული ტერიტორიები დაებრუნებინა.

VII საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიელებმა ლაზიკაში მეფობა გააუქმეს და ლაზიკის მმართველს პატრიკოსის ტიტული უბოძეს. იმპერიის ასეთმა აგრესიულმა მოქმედებამ ლაზიკაში აჯანყება გამოიწვია.

-
- **მონოფიზიტობა**, დოგმატიკური თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქრისტეს აქვს ერთი, ღვთაებრივი ბუნება და უარყოფილია მეორე – ადამიანური
 - **დიოფიზიტობა**, ქრისტოლოგიური კონცეფცია, რომლის თანახმადაც იესო ქრისტეში თანაბრად აღიარებულია ორი ბუნება - ღვთაებრივი და ადამიანური,
 - **კირონ I**, ქართლის კათოლიკოსი 599—614/616 წლებში
 - **ჰერაკლე**, ბიზანტიის იმპერატორი (575-641), იმპერატორი (610-641)
 - **ადარნასე I**, ქართლის მთავარი (619 – 639),
 - **ხაზარები** - თურქულენოვანი ნახევრად მომთაბარე ხალხი თავდაპირველად ცენტრალური აზიიდან, რომლებმაც VII საუკუნეში დამოუკიდებელი სახანო შექმნეს ჩრდილოეთ კავკასიაში
 - **სტეფანოზ II** - ქართლის მთავარი (639 – 663), ადარნასე I-ის ძე
 - **ჰაბიბ იბნ მასლამა**- არაბი სარდალი
 - **ნერსე I** - ქართლის ერისმთავარი VII საუკუნის II ნახევარში

პატრიკოსმა **სერგი ბარნუკის ძემ** 697 წელს არაბები დასავლეთ საქართველოში გადაიყვანა. ეგრისელებმა უკვე ნაცადი მეთოდი გამოიყენეს ერთ დამპყრობელს მეორე დაუპირისპირეს. მდგომარეობას ართულებდა ხაზართა დროებითი შემოსევები.

-
- **სერგი ბარნუკის ძე** - ეგრისის ერისმთავარი (ან მეფე) VII საუკუნის 90–ანი წლებში

საქართველო VIII საუკუნეში

VIII საუკუნის დასაწყისში, როგორც კი დასრულდა შიდა ომები, სახალიფომ დამპყრობითი ომები განაახლა. არაბებმა დაიპყრეს აფრიკის ჩრდილოეთი და გიბრალტარის სრუტით ესპანეთში შეიჭრნენ რამდენიმე წელიწადში მათ მთელი პირინეის ნახევარკუნძული დაიპყრეს.

არაბები ევროპაში 732 წელს ფრანკებმა შეაჩერეს. ამის პარალელურად სახალიფომ გააქტიურა პოლიტიკა აღმოსავლეთითაც.

VIII საუკუნის დასაწყისში არაბთა გარნიზონები იდგა თბილისსა და ციხე გოჯში. ბიზანტიის იმპერია ცდილობდა გავლენა აღედგინა დასავლეთ საქართველოში და ჯარიც კი გამოგზავნა. ალყა შემოარტყეს ციხე-გოჯს არაბებმა შესძლეს ბიზანტიელების მოგერიება. მალე არაბებმა დამატებითი ჯარი გაგზავნეს დასავლეთ საქართველოში. ბიზანტიელებმა თავი აარიდეს მათთან შეტაკებას და უკან გაბრუნდნენ. ბიზანტიამ მაინც შესძლო თავისი პოზიციების ნაწილის აღდგენა მან დაიქვემდებარა საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთში მცხოვრები აბაზგია და აფშილეთი. მეტად მძიმე ვითარება შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოში. ხაზარები არაბებისაგან თავის დასაცავად საპასუხო ლაშქრობებს აწარმოებდნენ სამხრეთ კავკასიაში.

VIII საუკუნის 20-იან წლების დასაწყისში ქართლში მოვიდა არაბი სარდალი ჯაჰარი. მისი მთავარი მიზანი ხაზარების დამარცხება იყო. ჯაჰარმა განაახლა დაცვის სიგელი და გაზარდა ჯიზია - ერთ სულზე ერთი დინარი. ხაზარებსა და არაბებს შორის ომში საშინლად აოხრდა ქართლი. არაბთა ახალი გადასახადების გადახდა საშინელ მდგომარეობაში აგდებდა მოსახლეობას. მოსახლეობამ რამდენიმე ჯერ სცადა აჯანყება.

კავკასიის საბოლოოდ დასამორჩილებლად და ხაზარების დასამარცხებლად ხალიფამ 120 000 - იანი არმია გამოგზავნა თავისი ძმისშვილის **მურვან იბნ-მუჰამედის** - იგივე მურვან ყრუს მეთაურობით.

735 წელს მურვან ყრუ საქართველოში შემოვიდა. ქართლის აოხრების შემდეგ ის დასავლეთ საქართველოში გადავიდა. არგვეთში მას ადგილობრივი მთავრები ძმები **დავითი** და **კონსტანტინე მხეიძეები** შეეხნენ. ისინი მურვან ყრუმ შეიპყრო და აწამა. ქართულმა ეკლესიამ ძმები წმინდანებად შერაცხა. მურვან ყრუმ აიღო სამგალავნიანი ციხე-გოჯი, ცხუმი და ანაკოფიას მიადგა. ციხეში გამაგრებულები იყვნენ ქართლის ერისთავი **მირი** და მისი ძმა **არჩილი**. მათ ეხმარებოდა აფხაზთა ერისთავი **ლეონი**.

მიუხედავად დიდი მცდელობისა არაბებმა ციხე მაინც ვერ აიღეს. მურვან ყრუ იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. მურვან ყრუს სამწლიანი გამანადგურებელი ბრძოლების შემდეგ, არაბებმა ქვეყანაში მტკიცედ მოიკიდეს ფეხი. მათ თბილისში თავიანთი მოხელე ამირა, ანუ უფროსი დანიშნეს. მთელი ქვეყნის მართვა-გამგეობა ამირას ხელში გადავიდა. ამირას დაექვემდებარა ერისმთავარიც. ერისმთავრებს მხოლოდ ხარკის აკრეფა და ქართული ჯარის სარდლობა ევალებოდა. საქართველოს შემდეგ მურვან ყრუ ჩრდილოეთ კავკასიაში ხაზარებთან საბრძოლველად წავიდა, ისინი დაამარცხა და უკანვე გაბრუნდა და მალე ის ხალიფა გახდა.

ხაზართა ერთ-ერთ მარბიელ ლაშქრობას უკავშირდება შემდეგი ამბავი. ქართლის ერისმთავარ ჯუანშერს ჰყავდა ულამაზესი და შუშანა. ეს გაიგო ხაზართა ხარაკმა. ხარაკმა ცოლობა შესთავაზა შუშანას. უარის მიღების შემდეგ მან თავისი სარდალი გამოგზავნა შემდეგი ბრძანებით, შეეპყრო და მასთან მიეყვანა შუშანა. ხაზარებმა ტყვედ იგდეს შუშანა, და მისი ძმა ჯუანშერიც. გზაში შუშანამ თავი მოინამლა და ხაზარები ხელცარიელი მივიდნენ ხარაკთან. ხარაკმა სარდალი სიკვდილით დასაჯა, რატომ გვამი მაინც არ მომიტანეო. ჯუანშერი კი ცოტა ხნის შემდეგ გაათავისუფლა.

VIII საუკუნის მეორე ნახევარში არაბების წინააღმდეგ ბრძოლას ერისმთავარი **ნერსე II** ჩაუდგა.

772-773 წლებში ხალიფამ ის თავისთან სახალიფოს დედაქალაქ ბაღდადში დაიბარა. იქ ნერსე ტყვეობაში იყო. შემდეგ

კი გაათავისუფლეს და უკან ქართლში გამოუშვეს. ტყვეობაში ყოფნისას ნერსემ გაიცნო არაბი ჭაბუკი **აბო**. აბო ძალიან დაუახლოვდა ნერსეს და ქართლშიც ჩამოყვავა, ცოტა ხნის შემდეგ გაქრისტიანდა. ნერსე არ წყვეტდა ანტიარაბულ საქმიანობას, ამიტომ ის კვლავ დაიბარეს სახალიფოში. ერისმთავარი მიხვდა რომ ამჯერად სიკვდილი არ ასცდებოდა. თავისი ოჯახი აფხაზეთში გახიზნა, თვითონ კი დახმარების სათხოვნელად ხაზარებთან მივიდა. ნერსემ ხაზარებისგან რეალური დახმარება ვერ მიიღო. ამასობაში არაბებმა აბო შეიპყრეს, მაშინ როდესაც ისინი ისლამს ქადაგებდნენ, აბოს გაქრისტიანება მათთვის დიდი დარტყმა იყო. არაბებისთვის დიდ მნიშვნელობას წარმოადგენდა რომ აბო ისლამზე დაბრუნებულიყო. ვერანაირმა ტანჯვა წამებამ ვერ გაჭრა აბოზე.

786 წელს აბო სიკვდილით დასაჯეს. მას თავი მოჰკვეთეს, გვამი კი დაწყეს და მტკვარში გადაყარეს. აბოს მოწამეობრივი ცხოვრება აღწერა **იოანე საბანისძემ**.

ანაკოფიის ბრძოლა (643 წ.)

ბრძოლა ქართლის ერისმთავრისა და აფხაზთა ერისთავის გაერთიანებულ მხედრობასა და არაბთა ლაშქარს შორის VIII საუკუნის 30-იან წლებში, ანაკოფიის ციხე-ქალაქთან.

«ქართლის ცხოვრების» ცნობით, ამ ბრძოლაში ქართველთა და აფხაზთა ლაშქარმა, რომელსაც სათავეში ედგნენ **სტეფანოზ** ქართლის ერისმთავრის ძენი **არჩილი** და **მირი**, დაამარცხა არაბები, რომელთაც სარდლობდა **მურვან ყრუ**, რომლის შემდეგ ისინი დასავლეთ საქართველოდან უკუიქცნენ.

«დავით და კონსტანტინეს მარტვილობის» მიხედვით კი ქართველთა მცირე ლაშქარი ამ ბრძოლაში დამარცხებულა და შემდეგ არაბებს ეგრის-აფხაზეთის მთელი ზღვის სანაპირო აუოხრებიათ.

- **ანაკოფია**, ფეოდალური ხანის ციხე-ქალაქი საქართველოში, ახლანდელი ახალი ათონის ტერიტორიაზე (აფხაზეთი)
- **სტეფანოზ III** (ქართლის ერისმთავარი) 711-739 წწ. იხსენიება ატენის სიონის წარწერაში, როგორც «კურთხეული მამფალი სტეფანოზ, ღმერთისა მიერ ქართველთა და მეგრელთა ერისთავთერისთავი უფალი», რაც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მთლიანობაზე მიუთითებს.
- 730 წლის შემდეგ იგი ქართლში გადასულ არჩილს (მის ძეს) ემორჩილებოდა გარდაცვალებამდე.
- **არჩილ სტეფანოზის ძე** - ქართლის ერისმთავარი 668-718 წლებში, ჯუანშერის მატეიანეში მოხსენიებულია მეფედ.
- **მირი სტეფანოზის ძე** - VIII საუკუნის I ნახევრის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე. ისტორიკოსი ჯუანშერი მას «მეფეს» უწოდებს.
- **მურვან იბნ მუჰამედ იბნ მურვანი**, მურვან ყრუ ან მურვან II (688-750)
- ომაიანთადინასტიის უკანასკნელი ხალიფა, სახალიფოს მართავდა 744-750 წლებში, 734-744 წწ იყო ომაინთა ნაცვალი ამიერკავკასიაში. ომაინთა მმართველი, რომელიც დამასკოდან მართავდა ქვეყანას. სიჯიუტის გამო არაბები მეტსახელად მარვან-ჯორს ეძახდნენ. სისასტიკისათვის ქართველებმა მურვან-ყრუ, ხოლო სომხებმა მურვან-ბრმა შეარქვეს.
- **დავით და კონსტანტინე** (მხეიძეები)- ძველი ქართული წყაროებით არგვეთის მთავრები VIII საუკუნის I ნახევარში
- **ლეონ I** - აფხაზეთის მემკვიდრეობითი ერისთავი დაახლოებით 720 - 740, ბიზანტიის იმპერატორის ვასალი
- **ნერსე II** - ქართლის ერისმთავარი VIII საუკუნის II ნახევარში (781-მდე) ადარნასე კურაპალატისა და ერისმთავრის ძე
- **აბო თბილელი** (757-786) - ქრისტიანობისათვის წამებული არაბი,
- **იოანე საბანისძე** - VIII საუკუნის ქართველი მწერალი, ჰაგიოგრაფი, ავტორი «აბო თბილელის წამებისა»

საქართველო IX-X საუკუნეებში

საქართველოში არაბთა ბატონობის სიმძიმე ყველაზე მეტად ქართლში იგრძნობოდა.

ეს ბუნებრივად იყო რადგან ქართლი ქვეყნის ცენტრს წარმოადგენდა. სტრატეგიულად ძალზედ მნიშვნელოვან ადგილს, არაბთა შემოსევების დროს ყველაზე პირველად დარტყმას სწორედ ქართლი იღებდა. არაბებმა ვერ შესძლეს დასავლეთ საქართველოში ფეხის მოკიდება, აგრეთვე უჭირდათ კახეთის მთიანეთის დამორჩილებაც.

არაბთა სახელმწიფო: ევროპაში, აზიაში და აფრიკაში იყო გადაჭიმული, იმპერიის ერთი ცენტრიდან მართვა შეუძლებელი გახდა. სახალიფოს სიმტკიცე მხოლოდ ძალაზე იყო დამოკიდებული.

VIII საუკუნის ბოლოს დაიწყო სახალიფოს დასუსტება, რაც საქართველოშიც აშკარად აისახა. ამ პერიოდში იწყება სამთავროების ჩამოყალიბება.

ერთ-ერთი პირველი ჩამოყალიბდა კახეთის სამთავრო. ამ სამთავროს შექმნა დაკავშირებულია წანარებთან. წანარები იყო ქართული ტომი, რომელიც დარიალის ხეობაში სახლობდნენ. შემდგომში ისინი დღევანდელ თიანეთის ტერიტორიაზე დასახლდნენ.

VIII საუკუნის 70-იანი წლებიდან მათ არაბთა წინააღმდეგ აჯანყებები დაიწყეს. VIII საუკუნის ბოლოს კახეთი უკვე არაბებისაგან დამოუკიდებელი გახდა. ამ პერიოდში სამთავროს ცენტრი გახდა თიანეთი. კახეთის მთავრები ატარებდნენ ქორეპისკოპოსის ტიტულს. მალე კახეთის სამთავრომ აქტიური პოლიტიკის გატარება დაიწყო. იბრძვის არაბთა წინააღმდეგ, მონაწილეობს საქართველოს გაერთიანების პროცესში, იფართოებს საზღვრებს.

კახეთის აღმოსავლეთით VIII საუკუნის მეორე ნახევარში ყალიბდება, ჰერეთის სამეფო. ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დროს ის წარმოადგენდა ქართლის ერთ-ერთ საერისთავოს.

IX საუკუნის ბოლოს ჰერეთის მმართველები იღებენ «რანთა მეფის» ტიტულს. არსებობს თვალსაზრისი, რომ ჰერეთის მეფეები ბაგრატიონთა დინასტიის ერთ-ერთი შტოს წარმომადგენლები იყვნენ. სამეფოს დედაქალაქი შაქში იყო.

განსხვავებულ ვითარებაში ხდება აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბება. საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთში არაბთა ბატონობა ფაქტობრივად ვერ დამყარდა. აქ ძირითადი მონინალმდეგე ბიზანტია იყო.

VIII საუკუნის დასაწყისში იწყება აფხაზეთა საერისთავოს გაძლიერება. თავდაპირველად ამას ბიზანტიაც უწყობდა ხელს, რადგან გაძლიერებულ საერისთავოს არაბების წინააღმდეგ გამოიყენებდა. აფხაზეთა საერისთავო თანდათანობით იფართოვებს საზღვრებს, ერთებს აფშილეთს.

VIII საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთის მთავარი **ლეონ II**, სარგებლობს ბიზანტიის დასუსტებით და დახმარებას სთხოვს ხაზარებს. ამის შემდეგ კი იფართოვებს საზღვრებს. აფხაზები კონტროლს ამყარებენ მთელ დასავლეთ საქართველოზე. რადგან ლეონ II და მისი წინაპრებიც აფხაზეთა ერისთავები იყვნენ, ახლად შექმნილ სახელმწიფოს მმართველებმა მიიღეს აფხაზეთა მეფის ტიტული. სამეფოს დედაქალაქი ქუთაისში იყო. აფხაზეთა სამეფო დაიყო საერისთავოებად. აფხაზეთა სამეფო თავიდანვე მკაცრად ცენტრალიზებული იყო. მისი მეფეები აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს გაერთიანებისთვის და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ. დასავლეთ საქართველოში არსებობდა ეპარქიები, რომელიც კონსტანტინოპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა. აფხაზეთა მეფეებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ იმისთვის, რომ დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები მცხეთის კათალიკოსისთვის დაექვემდებარა. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი იყო რადგან, საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უძღვოდა ქვეყნის ეკლესიური გაერთიანება. მთელი საქართველო დაექვემდებარა მცხეთის საკათალიკოსოს.

ყველაზე გვიან ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის სამთავრო. არაბებთან წინააღმდეგობის გამო IX საუკუნის დასაწყისში, ქართლის ბოლო ერისმთავარმა **აშოტ ბაგრატიონმა** მიატოვა

ქართლი და თავის ოჯახთან და მომხრეებთან ერთად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კლარჯეთს შეაფარა თავი. ამოცმა აღადგინა ვახტანგ გორგასლის დროს დაარსებული არტანუჯი და თავის რეზიდენციად აქცია. ამოტ ბაგრატიონზე ცოტა ადრე დაიწყო ამ მხარეში მოღვაწეობა, უდიდესმა სასულიერო პირმა **გრიგოლ ხანძთელმა**. ამ ორი პიროვნების საქმიანობამ ჩაუყარა საფუძველი ტაო-კლარჯეთის გაძლიერებას. შეიძლება ითქვას, რომ ამოტის და გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობით იწყება საქართველოს გაერთიანება. ბიზანტიის იმპერიამ ამოტს კურაპალატის ტიტული უბოძა. ფორმალურად ამოტს ბიზანტია მფარველობდა, რეალურად კი ამოტს მხოლოდ თავისი ძალებით უხდებოდა სამთავროს გაძლიერება. ამოტის დროს სამთავროს ფარგლებში შევიდა: შავშეთი, ტაო, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი. მან შეძლო შემოეერთებინა შიდა ქართლის ნაწილიც. ამოტის პოლიტიკას მონინალმდეგეებიც ჰყავდა ქვეყნის შიგნით.

ისტორიკოს **სუმბატ დავითის ძის** გადმოცემით ამოტი 826 წელს შეთქმულებმა მოკლეს. მეფე ამოტ კურაპალატს დარჩა სამი ვაჟი: ადარნასე, ბაგრატი და გუარამი. კურაპალატობა და ქვეყნის მართვა ბაგრატს ერგო. ბაგრატიონთა შტო ორად გაიყო არტანუჯელ (ადარნასეს მემკვიდრეები) და ტაოელ ბაგრატიონთა (მომავალში ერთიანი საქართველოს მეფეები). გუარამის შთამომავლობა ბაგრატიონთა საგვარეულოს შიგნით ამტყდარი შინაომის დროს ამოწყდა. ამოტის გარდაცვალების შემდეგ სამთავრო დასუსტდა და ტერიტორიებიც დაკარგა.

888 წელს ბაგრატი კურაპალატის შვილმა ადარნასემ მიიღო ქართველთა მეფის ტიტული. ამ დროიდან ტაო-კლარჯეთის სამეფოს ქართველთა სამეფო ეწოდა. ქართველთა სამეფო პატარ-პატარა სამთავროებისაგან შედგებოდა. ყველა ბაგრატიონს თავისი კუთვნილი სამფლობელო ჰქონდა. ნომინალურად მათი მმართველი ქართველთა მეფე იყო, მაგრამ ყველა თავისი ნებით მოქმედებდა.

ცალკე პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა თბილისის საამირო. არაბთა დასუსტების პარალელურად მცირდებოდა

საამიროს ფართობიც. შიდა ქართლის დაკარგვის შემდეგ არაბებს მხოლოდ თბილისი და მისი შემოგარენი ემორჩილებოდა. ამირები ცდილობდნენ სახალიფოსგან დამოუკიდებლად ემართათ ეს ტერიტორია.

საქართველოს გაერთიანება აუცილებლობას წარმოადგენდა. უპირველესად ეს იყო საგარეო ფაქტორი. მრავალრიცხოვან მტრისგან თავის დასაცავად. მართალია ამ პერიოდში სახალიფო დასუსტებული იყო, მაგრამ მას მაინც შესწევდა იმდენი ძალა საქართველოსთვის დარტყმა მიეყენებია. სახალიფოსგან განსხვავებით ძლიერდება ბიზანტიის იმპერია, რომელიც ცდილობს დაკარგული გავლენის აღდგენას. ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მოითხოვს ერთიანი მონარქიის შექმნას. რაც მთავარია საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებში შედიოდა საქართველოს გაერთიანება. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისთვის ძალზედ მძიმე იყო.

აშოტ ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ, ტაო-კლარჯეთმა ვერ შესძლო ქართლის შენარჩუნება, და ეს ტერიტორია კვლავ არაბებს დაუბრუნდა. ამ პერიოდისთვის სახალიფოში ძალზედ მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, სახალიფოს ცალკეულ პროვინციებში აჯანყებები იმართებოდა, ხალიფას აღარ ემორჩილებოდნენ ადგილობრივი ამირები. ამ გზას დაადგნენ თბილისის ამირებიც, მათგან ყველაზე ცნობილი ამირა **საჰაკი**, 23 წლის მანძილზე მართავდა თბილისს.

IX საუკუნის შუა ხანებში არაბთა წინააღმდეგ სომხეთში დიდი აჯანყება დაიწყო. აჯანყების ჩასახშობად, საჰაკის დასამორჩილებლად და საერთოდ კავკასიაში გავლენის განსამტკიცებლად, სახალიფომ **ბულა თურქი** გამოგზავნა. ბულა თურქი სასტიკად გაუსწორდა სომხებს და თბილისისკენ დაიძრა. მან საჰაკს ელჩი გაუგზავნა და დამორჩილება შესთავაზა, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღო. ბულა საქართველოში შემოვიდა და თბილისს ალყა შემოარტყა, მის მოკავშირედ გვევლინება **ბაგრატ აშოტის ძე**. ბაგრატი არაბების საშუალებით ცდილობდა მისი მდგომარეობის განმტკიცებას. მისი უმცროსი **ძმა გვარამ მამფალი** კი არაბების წინააღმდეგ გამოვიდა. ბულა

თურქის წინააღმდეგ მოქმედებდა კახეთის ქორეპისკოპოსიც და აფხაზეთის მეფეც.

853 წლის 3 აგვისტოს ბულამ თბილისი აიღო და გადაწვა. საჰაკის მოკვეთილი თავი კი ხალიფას გაუგზავნა. თბილისის ალების შემდეგ ბულა თურქმა მისი სარდალი **ზირაქი** გაგზავნა აფხაზთა მეფის წინააღმდეგ. ზირაქი დამარცხდა და უკან დაიხია. სწორედ ზირაქმა დაატყვევა ქართველი დიდბნაური **კონსტანტინე - კახი**. მან უარი განაცხადა ისლამის მიღებაზე, რისთვისაც ის სიკვდილით დასაჯეს.

914 წელს საქართველოში შემოიჭრა სამხრეთ აზერბაიჯანის ამირა **აბულ-კასიმი**. ის ჯერ თბილისს მოადგა, შემდეგ გადავიდა კახეთში. აბულ კასიმმა ააოხრა ქართლიც და სამცხეც. აბულ კასიმი იყო ბოლო არაბი სარდალი, რომელიც საქართველოში შემოვიდა. საქართველოში უკვე არაბთა მმართველობის აღდგენა შეუძლებელი გახდა.

საქართველოს გაერთიანებას ხელს უშლიდა ბიზანტია. ბიზანტიის იმპერატორები ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლებს შორის შუღლს აგებდნენ და ამ გზით ცდილობდნენ დაესუსტებინათ ქართველთა სამეფო. თუ საშუალება მიეცემოდა, ბიზანტია აქტიურად ერეოდა აფხაზეთის სამეფოს საქმეებშიც.

IX საუკუნის ბოლოს ბიზანტიის იმპერიის ტახტს, **ბასილ I** იკავებს. მან ჩაუყარა საფუძველი მაკედონურ დინასტიას. ამ პერიოდიდან იწყება ბიზანტიის სიძლიერის განახლება. თუ ბიზანტია ამოტ დიდის დროს ხელს უწყობდა ტაო-კლარჯეთის სამეფოს გაძლიერებას, არაბებთან საბრძოლველად, მას შემდეგ, რაც არაბთა სახალიფო დასუსტდა, ბიზანტიისთვის მიუღებელი გახდა ქართული სამეფო სამთავროების გაძლიერება და საქართველოს გაერთიანება.

საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის წარმოებულ ბრძოლებში ხშირად ერეოდნენ სომხური სამეფოებიც. მათ მოახერხეს მიეტაცებინათ, ქვემო ქართლის ნაწილი. ამ ტერიტორიაზე X საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა ლორე-ტაშირის სამეფო, რომლის ცენტრი სამშვილდე იყო.

ტაო-კლარჯეთის დასუსტების შემდეგ ერთი პერიოდი გაძლიერდა კახეთის საქორეპისკოპოსო, მაგრამ უკვე X საუკუნის დასაწყისიდან უპირატესობას აფხაზთა სამეფო იგდებს ხელთ.

აფხაზთა მეფემ **კონსტანტინე III** დაიკავა შიდა ქართლის ნაწილი და აქ თავისი ერისთავი დანიშნა. მანვე კახეთის ქორეპისკოპოსთან ერთად ილაშქრა ჰერეთში, დაამარცხა ჰერეთის მეფე და ციხეები დაიკავა.

კიდევ უფრო გაძლიერდა აფხაზთა სამეფო **გიორგი II** მმართველობის დროს (922-957 წწ.). ქართლის აზნაურებმა გიორგი II მისი ძე კონსტანტინე აუჯანყეს, რომელიც მეფეს ქართლის ერისმთავრად ჰყავდა დანიშნული. მეფემ დაამარცხა განმდგარი შვილი და კიდევ უფრო დაიმორჩილა შიდა ქართლი. ამის შემდეგ გიორგი II კახეთის ქორეპისკოპოსს შეუტია. ქორეპისკოპოსმა მორჩილება გამოუცხადა გიორგი II, თუმცა როგორც კი ის დასავლეთ საქართველოში დაბრუნდა, ქართლის აზნაურების წაქეზებით ის კვლავ განუდგა აფხაზთა მეფეს. შიდა ქართლის აზნაურებს არ სურდათ დამორჩილებოდნენ მეფის მტკიცე ხელისუფლებას, მათ სურდათ თვითონ ემართად სამეფო. მათ ამჯერადაც მარცხი განიცადეს. აფხაზეთს ქართლი მტკიცეთ ჰქონდათ დამორჩილებული და დათმობას არ აპირებდნენ. გიორგი II კახეთის წინააღმდეგ ბრძოლა თავის შვილ ლეონს დაავალა.

გიორგი II გარდაცვალების შემდეგ მეფე გახდა ლეონი. ლეონის მმართველობის დროს აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში ჯავახეთიც შევიდა. ამ დროისთვის აფხაზეთი ყველაზე ძლიერი იყო ქართულ სამეფო სამთავროებს შორის. ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც აფხაზთა სამეფო ტახტი გიორგი II ძემ თეოდოსმა დაიკავა. თეოდოსი თავის დროზე აუჯანყდა თავის ძმას **დემეტრეს** და სამეფო ტახტის დაკავება მოინდომა. აჯანყებული **თეოდოსი** შეიპყრეს და თვალები დასთხარეს.

975 წელს თეოდოსი ტახტზე ავიდა, რადგან სხვა კანონიერი მემკვიდრე აღარ იყო. ცხადი იყო, რომ მას ქვეყნის მართვა მტკიცედ არ შეეძლო. ამით ისარგებლა კახეთის ქორეპისკოპოსმა

და ქართლის დაკავებას შეეცადა. კახელებმა ქართლში ილაშქრეს და უფლისციხე დაიკავეს.

-
- **ლეონ II** - აფხაზთა სამეფოს (დასავლეთ საქართველოს) პირველი მეფე
 - **აშოტ I დიდი კურაპალატი** (გ. 826) - ქართლის (იბერი) ერისმთავარი (786-809). 809 წელს ტაო-კლარჯეთის სამეფოს დამაარსებელი, ბიზანტიის იმპერიის კურაპალატი და ბაგრატიონთა დინასტიის პირველი მეფე (813) (809 - 826).
 - **გრიგოლ ხანძთელი** (759-861) - ქართველი სასულიერო მოღვაწე და მწერალი, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობის ორგანიზატორი
 - **სუმბატ დავითის ძე** (ბაგრატიონი), XI საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი ისტორიკოსი.
 - **ისპაკ იბნ-შუაბი** (ქართულ წყაროებში საჰაკი; გ. 853) - თბილისის საამიროს ამირა 830-853 წლებში.
 - **ბულა თურქი** ან ბულა ალ-ქაბირ ალ-შარაბი (?-862/868 წ.) - IX საუკუნის თურქული წარმომავლობის აბასიანთა მთავარსარდალი
 - **ბაგრატ I კურაპალატი** - ტაო-კლარჯეთის მთავარი (826-876), ძე აშოტ I კურაპალატისა
 - **გვარამ მამფალი, გუარამ V** (გ. 882) - IX საუკუნის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე
 - **კონსტანტი კახი** (768-853) - ქართველი ერისთავი.
 - **იუსუფ იბნ აბულ-საჯი** (საქართველოში ცნობილი, როგორც აბულ-კასიმი) - აზერბაიჯანის ამირა საჯიდების დინასტიიდან.
 - **ბასილი I მაკედონელი**, ბიზანტიის იმპერატორი 867-886 წლებში
 - **კონსტანტინე III**, კონსტანტი III, «აფხაზთა სამეფოს» (დასავლ. საქართველოს) მეფე დაახლოებით 893-922,
 - **გიორგი II** (დ. 1030-იანი წლების მეორე ნახ. - გ. 1112) საქართველოს მეფე 1072-1089 წლებში, ბაგრატ IV ძე.
 - **დემეტრე (დიმიტრი) III**, აფხაზთა სამეფოს (დასავლეთ საქართველოს) მეფე დაახლოებით 967-975, გიორგი II-ის ძე, ლეონ III-ის ძმა და მემკვიდრე.
 - **თეოდოს III** - დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა სამეფოს) მეფე დაახლოებით 975-978, გიორგი II ძე.

ასპინძის ბრძოლა

ასპინძის ბრძოლის თარიღად მიჩნეულია 888 წელი, როდესაც მემკვიდრის ცნობით:

«იძლივნეს აფხაზნი, **ნასრა** და **ბაყათარ** ოვსნი და ერისთავი აფხაზთა. გაქცეულ ნასრას* დაედევნენ და სამცხეში, ასპინძასთან 888 წელს მოჰკლეს.»

სხვა მონაცემები ისტორიაში არაა შემონახული (ავტ.შენიშვნა)

-
- **ასპინძა** (დაბა). მდებარეობს ახალციხის ქვაბულის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქ ახალციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 34 კმ-ზე.
 - **ნასრა გვარამის-ძე ბაგრატიონი** -მეფე გურგენ I ბიძაშვილი, სამეფო ოჯახის წევრი
 - **ბაყათარი** - ოვსეთის ერისთავი

მოღრისის ბრძოლა (978 წ.)

ბრძოლა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, **ბაგრატ III** ჯარსა და მის წინააღმდეგ განწყობილ აზნაურთა რაზმს შორის.

საქართველოს გაერთიანების პროცესის მსვლელობისას ბაგრატ III არაერთი ბრძოლა გადახდა ტახტის გასამყარებლად.

975 წელს იგი ქართლში გააერისთავეს, თუმცა აშკარა იყო, რომ ბაგრატის წინააღმდეგ რაღაც ძალები იყვნენ მიმართულნი. ამას მისი მომხრეებიც ხედავდნენ და იმის შიშით, რომ მეორე შესაძლებლობა შეიძლება აღარც ყოფილიყო, მაქსიმალურად დააჩქარეს ბაგრატის დასავლეთ საქართველოში გამეფება.

ამ დროს აფხაზეთის სამეფოს უსინათლო **თეოდოსი** მართავს. ბუნებრივია, თეოდოსს მეფობისას საქმეები აერია, რეალური მმართველობა ფეოდალურმა არისტოკრატებმა ჩაიგდო ხელში. ერთი მხრივ, ეს ფაქტიც გახდა ბაგრატის აფხაზეთში სასწრაფო შესვლის მიზეზი.

978 წელს იგი აფხაზეთის მეფედ ეკურთხა. დასავლეთ საქართველოს საქმეების მოგვარებამდე ბაგრატმა ქართლი სამმართველოდ დაუტოვა დედამისს, **გურანდუხტს**. ფაქტობრივად, ქართლის მიწა-წყალს დიდაზნაურები, **ტბელები, ძამელები, ფავნელები, კორინთლები, ფხვნელები** და სხვები დაეპატრონნენ. შეიკრა მეფის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა, რომელსაც სათავეში **ქავთარ ტბელი** ჩაუდგა.

სავარაუდოდ, ბაგრატს უნდა ცოდნოდა აზნაურთა ამ გაერთიანების შესახებ. როდესაც იგი დასავლეთიდან ქართლში ბრუნდებოდა, მეტოქეები უფლისციხისკენ მიმავალ გზაზე დაუხვდნენ, მოღრისთან.

ბაგრატმა დაამარცხა აზნაურები, რის შემდეგაც დედისგან უფლისციხე ჩაიბარა, რამაც განუმტკიცა ხელისუფლება რეგიონში.

- **ბაგრატ III ბაგრატიონი**, (961-1014) - გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პირველი მეფე 975-1014
- **თეოდოს III** - დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა სამეფოს) მეფე დაახლოებით 975-978, გიორგი II ძე.
- **გურანდუხტი** - X საუკუნის II ნახევრის პოლიტიკური მოღვაწე გიორგი II აფხაზთა მეფის (922-957) ასული, გურგენ მეფის (994-1008) მეუღლე, ბაგრატ III (975-1014) დედა
- **ქავთარ I ტბელი** - ქართლის დიდი აზნაური X საუკუნის პირველ ნახევარში,

საქართველო XI საუკუნეში

ბაგრატ III გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა **გიორგი I** (1014-1027).

მეფის მცირეწლოვნებით ისარგებლეს კახეთ-ჰერეთის აზნაურებმა და საქართველოს ჩამოაშორეს ეს კუთხეები. მეფეს შეეძლო კახეთ-ჰერეთის ხელახლა დასაბრუნებლადან თბილისის ამირას წინააღმდეგ ებრძოლა, მაგრამ გიორგიმ საქართველოს ყველაზე დიდ მტრად ბიზანტიის იმპერია მიიჩნია. გიორგი I ისარგებლა ბიზანტიის ომით ბულგარეთთან და დაიკავა იმიერ ტაო.

ბულგარეთთან გამარჯვების შემდეგ **ბასილ II** საქართველოსკენ დაიძრა. გიორგი I შეეცადა შეექმნა კოალიცია ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ. საქართველოს მეფე დაუკავშირდა ეგვიპტეს სულთან **ალ-ჰაკიმს**, მაგრამ ალ-ჰაკიმი მოკლეს. ეგვიპტეს სულთნის მკვლელობაში ბიზანტიის ხელი ერია.

ბასილმა გიორგის დაკავებული ტერიტორიების გათავისუფლება მოსთხოვა. გიორგიმ უარი განაცხადა. ბიზანტია საქართველოსკენ დაიძრა. ქართველებმა რამდენიმე ჯერ მოახერხეს ბიზანტიელთა დამარცხება.

გადამწყვეტი შეტაკება 1021 წელს შირიმთან მოხდა.

გიორგის კახეთ-ჰერეთის ლაშქარიც ეხმარებოდა, მაგრამ

ბრძოლა ბიზანტიელთა გამარჯბევებით დასრულდა. ბრძოლაში პირადად მონაწილეობდა გიორგი I. ბასილმა ააოხრა თრიალეთი, ჯავახეთი, არტაანი და უკან გაბრუნდა ტრაპიზონში. დაიწყო საზავო მოლაპარაკება. გიორგი I დროის მოგებას ცდილობდა და მოლაპარაკებებს აჭიანურებდა.

ამასობაში ბიზანტიაში აჯანყება დაიწყო, აჯანყებულებთან კავშირი ჰქონდა გიორგი I. ბასილმა დაამარცხა აჯანყებულები, მათი ერთ-ერთი მეთაურის მოკვეთილი თავი კი გიორგის გამოუგზავნა.

გიორგი I იძულებული შეიქმნა 1023 წელს ზავი დაედო ბიზანტიელებთან. ზავის თანახმად იმიერ ტაო კვლავ ბიზანტიას დარჩა. ამასთან კონსტანტინოპოლში მძევლად გაგზავნეს უფლისწული ბაგრატ I. 1027 წელს გარდაიცვალა გიორგი I, სამეფო ტახტი დაიკავა **ბაგრატ IV**.

საქართველოს ეკლესიის მამამთავარი **მელქისედეგი** იყო პირველი, რომელიც იწოდებოდა: უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი.

ბაგრატ IV მეფობის დასაწყისში, 1028 წელს საქართველოში ბიზანტიელთა დიდი ლაშქარი შემოიჭრა. ქართველებმა მტერს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. ბიზანტიელები თრიალეთამდე მოვიდნენ და, კლდეკარის ციხის აღებას შეუდგნენ. კლდეკარის ერისთავმა **ლიპარიტ ბაღვაშია** შეძლო ბიზანტიელთა დამარცხება. ბიზანტიელები იძულებულები გახდნენ უკან დაეხიათ. ბიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლას შავშეთში **საბა მტბეველი** ჩაუდგა. მან სასტიკი ბრძოლა გაუმართა მტერს. ომის შეწყვეტის და ზავის დადების მიზნით ბიზანტიაში გაიგზავნა დიდი ელჩობა, ელჩობას მეფის დედა **მარია** მიხელმძღვანელობდა. საქართველოსა და ბიზანტიას შორის ზავი დაიდო. ბიზანტიის იმპერატორმა ბაგრატ IV **კურაპალატობა** უბოძა. ამავდროულად ბაგრატს ცოლად შერთეს იმპერატორის ძმისშვილი ელენე. ელენე მალე გარდაიცვალა. ბაგრატმა ცოლად შეირთო ოვსთა მეფის ასული ბორენა.

1032 წელს ქვეყნის უძლიერესმა ფეოდალმა ლიპარიტ ბაღვაშია შეძლო, თბილისიდან გამოეცყუებინა და შეეპყრო

თბილისის ამირა **ჯაფარი**.

დატყვევებული ამირა მეფეს მიგვარა და თბილისის აღება შესთავაზა. ლიპარიტს ბევრი მოშურნე და მოწინააღმდეგე ჰყავდა. თუ თბილისის აღება ლიპარიტის ინიციატივით მოხდებოდა, ცხადია კიდევ უფრო გაიზრდებოდა მისი ძალაუფლება. ამიტომ დიდებულებმა მცირეწლოვან მეფეზე გავლენა მოახდინეს და ჯაფარი გააშვებინეს.

ლიპარიტის რჩევით და თანადგომით 1037 წელს ალყა შემოარტყეს თბილისს. ალყა 2 წელს გაგრძელდა. ქალაქის მცხოვრებნი უძძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნენ. ქალაქში აღარ იყო საკვები. ამირა მდინარე მტკვრით აპირებდა გაქცევას. ქალაქი სულ მალე დანებებას აპირებდა, მაგრამ ბაგრატმა ლიპარიტის გარეშე თბილისს ალყა მოხსნა. ამ დროს ხმა გავრცელდა რომ თბილისის დასახმარებლად მაჰმადიანები დიდ ჯარს კრებდნენ. შესაძლოა ომის თავიდან აცილების მიზნით მოხსნა ალყა ბაგრატმა. მაგრამ გამორიცხული არ არის ამ საქმეში, კვლავ ლიპარიტის მოწინააღმდეგეების ხელი ერიოს.

ამ ამბის შემდეგ გაფუჭდა ურთიერთობები ბაგარტსა და ლიპარიტს შორის. მალე კლდეკარის ერისთავი აშკარად აუჯანყდა მეფეს. ბაგრატმა სცადა ძალით დაემორჩილებინა ლიპარიტი, მაგრამ ორჯერ მასთან ბრძოლისას დამარცხდა. ბაგარტსა და ლიპარიტს შორის დაპირისპირება 20 წელიწადს გაგრძელდა. ლიპარიტ ბაღვაში განთქმული მხედართმთავარი და ძალზედ ჭკვიანი პიროვნება იყო. ყოველივე ეს მან მეფისა და სამშობლოს წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენა. საქართველოს გაძლიერება ხელს არ აძლევდა ბიზანტიას. ბიზანტიელები ყველანაირად ცდილობდნენ მეფის ხელიუფლების შესუსტებას, ამ საქმეში ბიზანტიას მოკავშირედ ლიპარიტ ბაღვაში მოვევლინა. ბიზანტიამ ბაგარტს დაუპირისპირა მისი ნახევარძმა დემეტრეც. დემეტრემ ბიზანტიას გადასცა უმნიშვნელოვანესი ციხე **ანაკოფია**.

ბაგრატ IV სწორედ ანაკოფიის ციხის აღებისთვის იბრძოდა, როდესაც მასთან მივიდნენ თბილისიდან ელჩები, მათ მეფეს მოახსენეს რომ ამირა ჯაფარი მომკვდარიყო და თბილისის

დაკავება შესთავაზეს.

ბაგრატ IV ჯარის ნაწილი ანაკოფიაში დატოვა თვითონ კი თბილისისკენ გამოემართა. ქალაქის შესასვლელში მეფეს მთელი მოსახლეობა შეეგება ზარ-ზეიმით. ბაგრატი დიდი პატივით შეიყვანეს ქალაქში და ამირას დარბაზში დასვეს. ამ დროს მეფის წინააღმდეგ გაილაშქრა ლიპარიტ ბაღვაშმა, ბაგრატი იძულებული გახდა ქალაქი დაეტოვებინა. მალე ბიზანტიელებმა თავისთან იხმეს ლიპარიტი და თურქ-სელჯუკების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვეს. შუა აზიიდან დაძრულმა თურქ-სელჯუკებმა მრავალი ქვეყანა დაიპყრეს და ბიზანტიას მოადგნენ. ბრძოლა თურქების გამარჯვებით დასრულდა, ლიპარიტი ტყვედ ჩავარდა. ამით ისარგებლა ბაგრატ IV და თბილისი დაიკავა. მაგრამ მას შემდეგ რაც სამშობლოში დაბრუნდა ლიპარიტი, ბაგრატი მიატოვა თბილისი.

ბაგრატ IV კარგად იცოდა, თუ ვინ იდგა ლიპარიტის უკან და ამიტომ კონსტანტინოპოლში გაემგზავრა, რათა ბიზანტიის იმპერატორთან პირადად გაერკვია ურთიერთობა. მეფე სამი წელი საპატიო პატიმრობაში იმყოფებოდა. ამასობაში ლიპარიტ ბაღვაშმა რუისის ტაძარში მეფედ აკურთხა ბაგრატ IV ძე **გიორგი II**. ლიპარიტი ფაქტობრივად მთელი სამეფოს გამგებელი გახდა.

1058 წელს მესხმა აზნაურებმა შეიპყრეს ლიპარიტი და იგი უკვე საქართველოში დაბრუნებულ ბაგრატ IV მიჰგვარეს. ლიპარიტი ბერად აღკვეცეს და ბიზანტიაში გაგზავნეს. ლიპარიტის დამარცხების შემდეგ ბაგრატს საშუალება მიეცა დაეწყო ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისთვის. მეფემ პირველად კახეთ ჰერეთს შეუტია და რამდენიმე მნიშვნელოვანი ციხე დაიკავა. ვითარება კვლავ შეიცვალა 1064 წელს, როდესაც საქართველოში პირველად შემოიჭრნენ თურქ-სელჯუკები. მათ პირადად სულთანნი **ალფ-არსლანი** მეთაურობდა. მტერი სამხრეთ საქართველოდან შემოიჭრა. თურქები ახალქალაქს მოადგნენ. ქალაქის გალავნის მშენებლობა ჯერ დამთავრებული არ იყო. მიუხედავად ამისა მესხებმა მტერს სასტიკი ბრძოლა გაუმართეს. ბრძოლა სამი დღე გრძელდებოდა.

ისტორიკოსი წერს რომ მდინარე ახალქალაქი სისხლით შეიღება. მტერმა ქალაქი აიღო, სამხრეთ საქართველო ააოხრა და უკან გაბრუნდა.

1068 წელს თურქები კიდევ შემოიჭრნენ, ამჯერად ისინი აღმოსავლეთ საქართველოს შეესივნენ. კახეთ-ჰერეთის მმართველები სულთანს ეახლნენ და მაჰმადიანობა მიიღეს. თურქ-სელჯუკების მოკაშირე იყო განძის ამირა. თურქების წასვლის შემდეგ ბაგრატიმა განძის ამირას სასტიკი მარცხი აგემა.

1072 წელს გარდაიცვალა ბაგრატ IV და გამეფდა მისი ძე გიორგი II (1072-1089). გიორგი II უმძიმეს ვითარებაში მოუხდა მეფობა. ქვეყანა თურქ-სელჯუკების შემოსევებისაგან აოხრებული იყო. ამას დაერთო შინააშლილობა სამეფოში. დიდებულებმა დიდი აჯანყება წამოიწყეს მეფის წინააღმდეგ. გიორგი II მოერიდა ძალის გამოყენებას. მეფეს ან ამის საშუალება არ ჰქონდა ან მოერიდა ძალის გამოყენებას. გიორგი II აჯანყებულებს ახალი მიწები უწყალობა და ამ გზით შემოირიგა. არ წყდებოდა თურქების შემოსევები. გიორგი II სასტიკად დაამარცხა ჯავახეთში შემოჭრილი თურქები. ქართველებმა დაიკავეს შავშეთის, კლარჯეთის და ჯავახეთის ციხეები. აიღეს მნიშვნელოვანი ქალაქი კარი. ამავე დროს გიორგი II გაათავისუფლა ბიზანტიელებისაგან ანაკოფიის ციხე. თუმცა ეს დროებითი წარმატება იყო.

1080 წელს საქართველოში **დიდი თურქობა** დიწყო. თურქები ადრიან გაზაფხულზე შემოდიდნენ და გვიან შემოდგომაზე მიდიოდნენ. მათ მთელი საქართველოს ტერიტორია საძოვრებად ესაჭიროებოდათ. საქართველოს გადაშენების საფრთხე დაემუქრა. მშველელი აღარ იყო, საქართველოს კი მარტო ძალის განწევა არ შეეძლო. ბიზანტია თავს ძვლივს იცავდა, სომხური სახელმწიფო კი უკვე დიდი ხანი აღარ არსებობდა. ქრისტიანული საქართველო მარტო დარჩა უზარმაზარი თურქ-სელჯუკების წინაშე.

გიორგი II ერთადერთი გამოსავალი იპოვა. ის თურქების სულთან **მალიქ-შაჰს** ეახლა და ხარკის გადახდა იკისრა. სამაგეროდ თურქებს აღარ უნდა დაერბია საქართველო. აქედან არაფერი გამოვიდა, საქართველო ხარკს იხდიდა, თურქები

კი ქვეყანას მაინც აოხრებდნენ. ქვეყნის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა უმძიმესმა მიწისძვრამ, რომელიც თითქმის ერთი წლის განმავლობაში ხდებოდა.

საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში იყო. ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. ასეთ დროს ქვეყანაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს: 1089 წელს გიორგი II ძე, 16 წლის **დავითი** მეფედ აკურთხეს. გიორგი მეფე ფაქტობრივად ქვეყნის მართვას ჩამოაცილეს. მან ამის შემდეგ დიდხანს იცოცხლა, მაგრამ ქვეყნის მართვაში აღარ მონაწილეობდა.

-
- **გიორგი I** (დ. 998 ან 1002 - გ. 1027) - საქართველოს მეფე 1014-იდან, ბაგრატ III
 - **გიორგი II** (დ. 1030-იანი წლების მეორე ნახ. - გ. 1112) - საქართველოს მეფე 1072-1089 წლებში, ბაგრატ IV ძე.
 - **ბასილ II** ბულგართმმუსვრელი (დ. 958 - გ. 1025) - ბიზანტიის იმპერატორი 976-1025 წლებში.
 - **ალ-ჰაკიმბი-ამირ ალაში** (985-1021) - ფატიმიდების სახალიფოს მე-6 ხალიფა 996-1021 წლებში
 - **მელქისედეკ I** - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1010-33 წლებში
 - **ლიპარიტ IV ბაღვაში** - კლდეკარის ერისთავი XI საუკუნის 30-60-იან წლებში, ლიპარიტ III ძე. ბაგრატ IV მცირეწლოვანების პერიოდში საქართველოს ფაქტობრივი გამგებელი იყო ქართლის ერისთავი ივანე აბაზასძესთან ერთად
 - **საბა მტკვარი** - ქართველი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე ბაგრატ IV (1027-1072) დროს, ტბეთის ეპისკოპოსი.
 - **მარიამ დედოფალი**, (1050-1118) - ბაგრატ IV და მისი მეორე მეუღლის, ბორენას ასული, მიხეილ VII მეუღლე 1065-1078 წლებში, შემდეგ ნიკიფორე III მეუღლე 1078-1081 წლებში, დავით აღმაშენებლის მამიდა.
 - **კურაპალატი** - IV-V საუკუნეების ბიზანტიის კარის მოხელე, სასახლის დაცვის უფროსი. ითვლებოდა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმაღლეს პირად (იმპერატორის შემდეგ) კეისარსა და ნოველისიმოსთან ერთად. კურაპალატის ტიტული IX საუკუნიდან ენიჭებოდათ იბერიის (თავდაპირველად ტაო-კლარჯეთის, შემდეგ გაერთიანებული საქართველოს) მეფე-მთავრებს. დავით აღმაშენებელმა უარყო ბიზანტიის ტიტული და მას შემდეგ ისინი ქართველ მეფეებს აღარ უტარებიათ.
 - **ალი იბნ-ჯაფარი** - თბილისის საამიროს ამირა 981-1011 წლებში
 - **ანაკოფია**, ფეოდალური ხანის ციხე-ქალაქი საქართველოში, ახლანდელი ახალი ათონის ტერიტორიაზე (აფხაზეთი)

შამქორის ბრძოლა (1010/1011 წწ.)

დაპირისპირება საქართველოს სამეფოსა და განძის საამიროს ლაშქარს შორის, დაახლოებით 1010-1011 წლებში.

„მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით, განძის ამირა **ფადლონი** მარბიელი თავდასხმებით მოსვენებას არ აძლევდა კახეთ-ჰერეთს, რომელიც საქართველოს მეფე ბაგრატ III ახალი შემოერთებული ჰქონდა.

ბაგრატმა ანისის სომეხ მეფე **გაგიკ I** ერთად ფადლონის წინააღმდეგ ლაშქრობა მოაწყო. მოკავშირეები ერთმანეთს **ძორაგეთში** შეხვდნენ და ფადლონის წინააღმდეგ დაიძრნენ.

ბაგრატმა «წარმოტყუენა» რანის ქვეყანა, ციხე-ქალაქ შამქორს (ქართული წყაროებით: შანქორი) შემოეწყო და სააღყო მანქანებით («ფილაკავანნი») დაუნგრია გალავანი.

-
- **ალფ-არსლან ბენ ჩალრი** (1029-1072) - სელჩუკთა იმპერიის სულთანი 1063-1072 წლებში
 - **«დიდი თურქობა»**, თურქ-სელჩუკთა განუწყვეტელი შემოსევები საქართველოში XI საუკუნის 80-იან წლებში.
 - **მალიქ-შაჰ აბულ-ფათხ ჯალალ-ად-დინი** (1055-1092) - სელჩუკთა იმპერიის სულთანი 1072-1092 წწ

ამის შემდეგ ბაგრატი შამქორის იერიშს გეგმავდა, მაგრამ ფადლონის ელჩებმა მას ზავი სთხოვეს: ამირა მორჩილებას, ხარაჯის გადახდას და სამხედრო მოკავშირეობას პირდებოდა.

ბაგრატი ბრძოლის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ დიდებულებმა ურჩიეს, რომ სხვა საბრძოლო მოქმედებებისათვის ძალა აღარ ეყოფოდათ და მეფე ზავზე დაითანხმეს. ბაგრატი დიდი ძღვენით საქართველოში დაბრუნდა.

ქართველ მეფეთა კონფლიქტი ფადლონთან ამით არ დასრულებულა: «დიდი ფადლონ ავად იქცეოდა, და სწუნობდა ყოველთა მოთაულთა ამის სამეფოდასათა», რის გამოც ბაგრატი IV მეფობის დასაწყისში ქართველებს კიდევ ერთხელ მოუხდათ მის წინააღმდეგ გალაშქრება.

შირიმნის ბრძოლა (1021 წ.)

ბრძოლა საქართველოსა და ბიზანტიის ლაშქარს შორის, შირიმნთან (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია).

ბიზანტიის იმპერიას არ აკმაყოფილებდა საქართველოსაგან მისი სიუზერენობის ფორმალური აღიარება და ცდილობდა რეალურად განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა, რისთვისაც XI საუკუნის დასაწყისში სამხრეთ ტაოს ტერიტორიაზე დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელოებიდან (დავით III კურაპალატის მემკვიდრეობა) იბერიის თემი შექმნა.

ბიზანტია ყველა საშუალებით ცდილობდა შეეჩერებინა საქართველოს გაერთიანებისა და ზრდა-გაძლიერების პროცესი,

- **შამხორი, შამქირი** - ქალაქი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში
- **ბაგრატი III ბაგრატიონი** (961-1014) - გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პირველი მეფე 975-1014, გურგენ მეფის და გურანდუხტ დედოფლის შვილი, ტაოს მეფის დავით III კურაპალატის შვილობილი და აღზრდილი.
- **გაგიკ I** (გ. 1020) - ბაგრატიუნების დინასტიის ანისის სამეფოს მეფე 990 წლიდან.
- **ბაგრატი IV** (1020-1072), საქართველოს მეფე 1027-იდან, გიორგი I და დედოფალ მარიაშის უფროსი შვილი

დაესუსტებინა ის და ხელში ჩაეგდო მოსაზღვრე მიწები.

1014-1018, როდესაც ბიზანტია ბულგარეთთან ომით იყო დაკავებული, საქართველოს სამეფო კარმა ისარგებლა ამით და ბრძოლა დაიწყო სამხრეთ ტაოს მიწა-წყლის დასაბრუნებლად.

ქართველებს მხარში ამოუდგნენ სომხებიც. გიორგი I დაიკავა ბიზანტიის მიერ მიტაცებული ციხესიმაგრეები, მაგრამ ბულგარეთის დამარცხების შემდეგ ბიზანტიის საიმპერატორო კარმა გიორგი I დაკავებული ციხესიმაგრეების დაცვა მოსთხოვა.

არისტაკეს ლასტივერტცის ცნობით, საქართველოს მეფემ არ შეასრულა ბიზანტიის იმპერატორის მოთხოვნა, ეს უკანასკნელი განრისხდა და საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრა.

გიორგი I სასწრაფოდ შეკრიბა ლაშქარი, მაგრამ მონინააღმდეგის დიდი რიცხობრივი უპირატესობის გამო მასთან შებმა მიზანშეუწონლად ჩათვალა და უკან დახევა დაიწყო.

ბიზანტიელები დაედევდნენ. გიორგი I, მტრის მოძრაობისთვის ხელი რომ შეემალა, გადაწვა ოლთისი. ბიზანტიელები 1021 პალაკაციოს (ჩილდირის) ტბის მახლობლად, შირიმთან შეებნენ საქართველოს ლაშქრის არიერგარდს.

ქართველებმა მედგარი ბრძოლით უკუაქციეს ბიზანტიელები, მაგრამ მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხეს და უკან დაიხიეს.

ამან გაააქტიურა მტერი. ბიზანტიის ლაშქარი დაედევნა ქართველებს, კოლა-არტაან-ჯავახეთზე გადმოიარა და განადგურა ეს მხარე. შემდეგ თრიალეთში შემოიჭრა.

გიორგი I მოიშველია კახეთისა და ჰერეთის ძალები და ბრძოლის განახლება გადაწყვიტა.

ზამთრის მოახლოებისა და, როგორც ჩანს, ქართველთა ლაშქრის გაძლიერების გამო ბიზანტიის მბრძანებელმა ბრძოლა აღარ გააგრძელა და უკან გაბრუნდა, თანაც «კუალად უბოროტესადრე შურისგებით მოაოხრა ქუეყანანი».

შირიმნის ბრძოლაში ქართველი ფეოდალები ერთმანეთთან შეკავშირებულები გამოვიდნენ მტრის წინააღმდეგ.

ბრძოლაში დაიღუპნენ დიდი ფეოდალები კლდეკარის ერისთავი **რატი ლიპარიტის ძე და ხურსი**.

სასირეთის ბრძოლა (1047 წ.)

საქართველოს მეფე ბაგრატ IV და კლდეკარის ერისთავი ს ლიპარიტ IV ლიპარიტის ძეს შორის მიმდინარე ხანგრძლივი შინაკლასობრივი ბრძოლის ერთი ეპიზოდი.

1040 წელს, თბილისის ამირასთან ბაგრატ IV დაზავების შემდეგ კლდეკარის ერისთავი საბოლოოდ გაუორგულდა მეფეს.

ლიპარიტმა დახმარებისათვის მიმართა ბიზანტიას. კეისარმა ერისთავს დამხმარე ლაშქარი, დიდძალი ფული და ტახტის მადიებელი დემეტრე გიორგის ძე გამოუგზავნა. საქმე შეთანხმებით დამთავრდა. ბაგრატ IV ლიპარიტს ქართლის ერისთავობა უწყალობა.

ბერძენთა ჯარი და დემეტრე ბიზანტიაში დაბრუნდნენ, მაგრამ ეს მორიგება დროებითი აღმოჩნდა; ლიპარიტი ბიზანტიის აგენტად დარჩა და განაგრძობდა ბრძოლას მეფის წინააღმდეგ.

-
- **შირიმნი** (ახლ. თურქეთის ტერიტორია).
 - **დავით III** დიდი, კურაპალატი (გ. 1001), ადარნასე III ძე, ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი, ტაოს მეფე.
 - **გიორგი I** (დ. 998 ან 1002 - გ. 1027) - საქართველოს მეფე 1014-იდან, ბაგრატ III ძე.
 - **არისტაკეს ლასტივერტცი** (1002 - 1080) - სომეხი ისტორიკოსი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XI საუკუნეში. არაერთი შრომის ავტორი.
 - **რავი I ლიპარიტის-ძე ბაღვაში** (გ. 1021), ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, კლდეკარის ერისთავი.
 - **ხურსი** (გ. 1021) - X-XI საუკუნეების საქართველოს წარჩინებული ფეოდალი, გიორგი I ერისთავი.

ლიპარიტს კახელები მიემხრნენ, მან ბიზანტიიდან კვლავ ჩამოიყვანა დემეტრე გიორგის ძე, ბოლოს **მანყვერელიც** მის მხარეს გადავიდა.

მეფე და ერისთავი ქართლში, სასირეთის ქალაში შეებრძოლენ ერთმანეთს. ბაგრატ IV ვერ გაუძლო ლიპარიტის მრავალრიცხოვანი ჯარის შემოტევას და დამარცხდა. ლიპარიტმა არტანუჯის ციხე დაიპყრო; ბაგრატ IV იძულებული გახდადასავლეთ საქართველოში გადასულიყო და მხოლოდ თურქ-სელჩუკების მიერ 1048 წელს ლიპარიტის დატყვევების შემდეგ შეძლო ხელისუფლების განმტკიცება.

სასირეთის ბრძოლა მეფესა და დიდებულებს შორის არსებული შინაკლასობრივი ბრძოლების მნიშვნელოვანი ეპიზოდია.

მეტად საგულისხმოა «მატიანე ქართლისა»-ის ცნობა ამ ბრძოლაში ვარიანების (ვარანგთა) მონაწილეობის შესახებ.

ბაგრატ IV მხარეზე იბრძოდა 1000 შვედი ვიკინგი, 3000 - კაციანი ექსპედიცია, რომელსაც სარდლობდა **ინგვარი**.

-
- **სასირეთი** (სოფელი კასპის რაიონში)
 - **ბაგრატ IV** (დ. 1018 ან 1020 - გ. 1072), საქართველოს მეფე 1027-იდან, გიორგი I-ისა და დედოფალ მარიაშის უფროსი შვილი.
 - **ლიპარიტ IV ბაღვაში** - კლდეკარის ერისთავი XI საუკუნის 30-60-იან წლებში, ლიპარიტ III ძე. ბაგრატ IV მცირეწლოვანების პერიოდში საქართველოს ფაქტობრივი გამგებელი იყო ქართლის ერისთავი ივანე აბაზასძესთან ერთად.
 - **გიორგი მანყვერელი**, გიორგი შუარტყლელი, - აწყურის ეპისკოპოსი დაახლოებით IX-X სს.
 - **ინგვარი**-ვიკინგთა სარდალი.

არყისციხის ბრძოლა (1047 წ.)

არყისციხე მდგარა ბორბოლოსხევის მაღალ, კლდოვან ნაპირზე. ციხის აქ აშენებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან აქ გადადიოდა გზა ბორბოლოსხევით ფოცხოვისა და არტაანისკენ.

არყისციხე, როგორც ჩანს, ფეოდალურ ხანაში მუდამ მოქმედი იყო.

«მატიანე ქართლისა» მოგვითხრობს, რომ XI საუკუნეში ბაგრატ IV ერთგულმა **სულა კალმახის** ერისთავმა და **გრიგოლ აბუსერისძე** არტანუჯის ერისთავმა მეფეს ლიპარიტ ბალვაშის წინააღმდეგ მოუხმეს.

მათ მიემხრნენ სხვა მესხი აზნაურებიც. ბაგრატმა გადმოიარა რკინის ჯვრის უღელტეხილი (ზეკარი) იმერეთ-სამცხის საზღვრებზე და არყისციხეში შეხვდა მოკავშირეებს.

1047 წელს კახელებისა და ბერძენ-სომეხთა დამხმარე ლაშქრით ლიპარიტი მოულოდნელად თავს დაესხა მეფეს და არყისციხესთან ბრძოლაში დაამარცხა იგი.

სულა კალმახის ერისთავი და გრიგოლ აბუსერის ძე ტყვედ ჩაცვივდნენ. ამ გამარჯვებით ლიპარიტმა ზემო ქართლის დაპატრონება შეძლო.

-
- **არყისციხე**, (ახლ. ყულალისი, ახალციხის მუნიციპალიტეტი).
 - **სულა კალმახის ერისთავი** - XI საუკუნის დიდი ქართველი ფეოდალი, საქართველოს მეფის ბაგრატ IV (1027—1072 წწ.) ერთგული ვასალი და მოხელე, კალმახის (ციხე ტაოში) ერისთავი.
 - **გრიგოლ აბუსერის ძე** - XI საუკუნის შუა წლების საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, ძე აბუსერ აბუსერისძისა, არტანუჯისა და ხიხათა (აჭარის) ერისთავთერისთავი.

მანასკერტის ბრძოლა (1071 წ.)

ბრძოლა თურქ-სელჩუკებსა და ბიზანტიელებს შორის.

გაიმართა 1071 წლის 19 აგვისტოს მანასკერტთან, თანამედროვე თურქეთის ქალაქ მალაზგირთან.

თურქებმა ალფ-არსლანის ხელმძღვანელობით დაამარცხეს ბიზანტიელები და ტყვედ ჩაიგდეს იმპერატორი რომანოზ IV.

თურქების გამარჯვებამ დააჩქარა სელჩუკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება მცირე აზიაში.

ტყვედ ჩავარდნილმა იმპერატორმა რომანოზ IV საკუთარი სიცოცხლე ბიზანტიის მიწების საფასურად იყიდა.

ფარცხისის ბრძოლა (1074 წ.)

ბრძოლა განძის გამგებელს სარანგსა და საქართველოს მეფე გიორგი II შორის.

სელჩუკთა სულთანმა მალიქ-შაჰმა განძის აოხრებისა და ამირა ფადლონის დარტყმის შემდეგ განძის გამგებლობა სარანგს დააკისარა. მან 48 000 მხედარი დაუტოვა და დაავალა ქართლის დარბევა. სარანგმა მოიშველია დვინისა და დმანისის ამირები და ქართლს შეესია, გიორგი II სწრაფად შეკრიბა ჯარი, მოკავშირედ გაიხადა კახთა მეფე აღსართან I, მტერს ფარცხისთან (ახლანდელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი) შეება, დაამარცხა და გააქცია იგი.

ფარცხისთან ქართველთა გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამით ნახალისებულმა გიორგი II, ისარგებლა რა ბი-

-
- **ალფ-არსლან ბენ ჩალრი** (დ. 1029 – გ. 1072) - თურქ-სელჩუკთა სულთანი 1063-1072 წლებში.
 - **რომანოზ IV დიოგენე** (გ. 1071) – ბიზანტიის იმპერატორი 1068-1071 წლებში. წარმოშობით კაბადოკიელი ფეოდალი.

ზანტიის იმპერიის დასუსტებით, გაილაშქრა და დაიბრუნა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალი (ციხე ანაკოფია და აგრეთვე კლარჯეთის, შავშეთის, ჯავახეთისა და არტაანის მრავალი ციხე).

ბრძოლის წინაპირობები (1080)

ბრძოლა სელჩუკთა სახელმწიფოსა და საქართველოს ლაშქარს შორის 1080 წელს.

სელჩუკებმა გაიმარჯვეს ბრძოლაში, რის შემდეგაც მიეცათ საშუალება შემდგომი ექსპანსიისთვის საქართველოში.

გიორგი II მეფობის დროს საქართველოსთვის მეტად მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობა იყო შექმნილი. ფარცხისის ბრძოლაში მოპოვებულმა გამარჯვებამ მეფეს მისცა საშუალება სხვა ღონისძიებებზე გაეფარებინა, მან აიღო ანაკოფია, კლარჯეთის, შავშეთის, ჯავახეთის და არტაანის ციხეები, აგრეთვე კარის ციხე-ქალაქი. ამის შემდგომ საქართველოსთვის მოვლენები ცუდად განვითარდა. ბიზანტიელებმა თავიანთი გავლენა თურქ-სელჩუკებს დაუთმეს საქართველოსთან მდებარე პროვინციებზე. მტერი უკვე ორი მხრიდან ერტყა ქვეყანას, რაც დამატებით საფრთხეებს ქმნიდა.

1080 წელს სულთანმა, მალიქ-შაჰმა საგანგებო ლაშქარი გააგზავნა გიორგი II წინააღმდეგ საბრძოლველად, ამირა აჰმადის

-
- **ფარცხისი** - სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლის მხარის თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში,
 - **გიორგი II** (დ. 1030-იანი წლების მეორე ნახ. - გ. 1112) - საქართველოს მეფე 1072-1089, ბაგრატ IV ძე.
 - **მალიქ-შაჰ აბულ-ფათხ ჯალალ-ად-დინი** (დ. 1055 - გ. 1092) - სელჩუკთა სახელმწიფოს მმართველი 1072-1092 წწ.
 - **ალსართან I გაგიკის ძე** - კახეთ-ჰერეთის მეფე (1058 - 1084).

მეთაურობით. აჰმად ამირას ჯარმა პირველ რიგში კარის ციხე-ქალაქი აიღო, შემდეგ კი ყველისციხესთან მყოფ გიორგი II დაესხა თავს. სავარაუდოდ, მეფის ყოფნა ყველისციხესთან სამხედრო მიზნით უნდა ყოფილიყო გამონწვეული, არ არის გამორიცხული, რომ მეფე აქ ლაშქრის შეკრებით და თურქთათვის საპასუხო დარტყმის სამზადისით ყოფილიყო დაკავებული. აჰმად ამირამ ზუსტად გაიგო მეფის ადგილსამყოფელი და დაესხა მას. მემაციანე ხაზს უსვამს ღალატს, სწორედ ქართველთა დახმარებით მოახერხეს სელჩუკებმა მეფის სამყოფელის გაგება და იქამდე შეუმჩნევლად მისვლა.

ისტორიკოსები **როინ მეტრეველი** და **ჯაბა სამუშია** მიიჩნევენ, რომ ამ შემთხვევაში მეფის წინააღმდეგ განწყობილ ფეოდალთა დიდ დასთან უნდა გვექონდეს საქმე, რომელთაც დიდი გავლენა უნდა ჰქონოდათ სამხრეთ საქართველოსა და კარის ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე, რადგან, მათი აზრით, აჰმად ამირა მხოლოდ ძლიერი მოკავშირის დახმარებით თუ შეძლებდა ასეთი დიდი მანძილის შეუმჩნევლად გავლას. მტრის თავდასხმა მეტად მოულოდნელი აღმოჩნდა მეფისთვის. ბრძოლაში იგი სასწაულად გადაურჩა სიკვდილს, ხიფათისგან თავდახსნილმა თავისი ამალით სასწრაფოდ დატოვა ბანაკი და აჭარის მთებს შეაფარა თავი.

აჰმად ამირა გიორგი II აღარ დაედევნა, მისმა ჯარმა ექსპანსია გააგრძელა. სელჩუკებმა თავდაპირველად მოაოხრეს ასისფორნი და კლარჯეთი ზღვისპირამდე. შემდგომში მათი რისხვა დაატყდა შავშეთს, აჭარას, სამცხეს, ქართლს, არგვეთს, სამეგრელოს და ჭყონდიდს. მათ ერთ დღეში აიღეს და დაწვეს ქუთაისი. ამავე დროს, მათმა რაზმებმა ააოხრეს კლარჯეთისა და არტანუჯის უდაბნოები. სელჩუკთა შემოსევამ რამდენიმე თვეს გაატანა. ამის შემდეგ ისინი ყოველ გაზაფხულზე ესხმოდნენ თავს აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს და დაზამთრებამდე რჩებოდნენ. დაიწყო «დიდი თურქობა».

-
- **როინ მეტრეველი** (დ.1939 წ.), ქართველი ისტორიკოსი, მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
 - **ჯაბა სამუშია** (დ. 1971), ქართველი ისტორიკოსი და მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი

საქართველო XII-XIII საუკუნეებში
ღავით IV აღმაშენებელი
(1089-1125)

ღავითის გამეფების ჟამს ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში იყო. სამეფოს ხელისუფლება მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ვრცელდებოდა. კახეთი და ჰერეთი კვლავ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. თბილისი მაჰმადიან ამირას ემორჩილებოდა. ქართლი და სამხრეთი საქართველო თურქ-სელჯუკებისაგან იყო აოხრებული. მოსახლეობა ტოვებდა მამაპაპურ სახლებს და მთებში იხიზნებოდა.

ღავითმა აზნაურებისაგან შექმნა სამხედრო რაზმები, რომლებიც თავს ესხმოდნენ თურქებს და ანადგურებდნენ. მეფემ აღადგინა დისციპლინა და წესრიგი ჯარში.

ღავითმა შესანიშნავად იცოდა რომ ქვეყნიდან თურქ-სელჯუკების განდევნა, ქვეყნის გაერთიანება, სამეფო ხელისუფლების განმტკიცება შეუძლებელი იქნებოდა ვიდრე ქვეყანაში ურჩი აზნაურები იყვნენ. სამეფო ხელისუფლებასთან მტრობაში და ქვეყნის მოღალატეურ საქმიანობაში გამორჩეული იყო ბაღვაშთა საგვერეული ლიპარიტ V ხელმძღვანელობით.

ღავითმა დაატყვევა ლიპარიტი, მან მოინანია დანაშაული და ღავითმა გაათავისუფლა. მეფე მალე მიხვდა რომ ლიპარიტი არ გამოსწორებულა.

ღავითმა კვლავ შეიპყრო ლიპარიტი. ორწლიანი პატიმრობის შემდეგ ის ბიზანტიაში გააძევა. კლდეკარი კი მის ერთგულ მოხელეებს ჩააბარა. ცოტა ხნის შემდეგ მეფემ მეორე ფეოდალიც, ზედაზნის ციხის პატრონი ძაგანი დასაჯა ურჩობისთვის. დიდებულებმა დაინახეს რომ ღავითი მამამისივით აჯანყებულებს კი არ ასაჩუქრებდა, არამედ უმკაცრესად სჯიდა.

თურქ-სელჯუკების წინააღმდეგ ბრძოლას ხელს უწყობდა მახლობელ აღოსავლეთში შექმნილი ვითარება.

1092 წელს გარდაიცვალა მალიქ-შაჰი, მისი ტახტისთვის საშინელი ბრძოლა დაიწყო. თურქ-სელჯუკთა სახელმწიფო მანამდეც ერთიანი არ ყოფილა.

XI საუკუნის 70-იან წლებში ქვეყანას გამოეყო რუმის სასულთნო. მაღიქ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ კი თურქ-სელჯუკთა სახელმწიფოს დაშლა კიდევ უფრო დაჩქარდა. თურქ-სელჯუკების მთავარი ყურადღება ჯვაროსნების წინააღმდეგ იქნა გადატანილი.

დავითმა ისარგებლა ჯვაროსნების ლაშქრობით და თურქ-სელჯუკებს 1099 წელს შეუწყვიტა ხარკის მიწოდება. საერთაშორისო ვითარება საქართველოსთვის სასარგებლოდ იცვლებოდა. ქვეყანაში აუცილებელი იყო რეფორმების გატარება. ქვეყანაში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ თავისი დალი დაასვა ეკლესიასაც. სასულიერო პირთა ნაწილი უღირსი იყო, ნაწილი კი მეფის მტრებს უჭერდა მხარს. საეკლესიო რეფორმის გატარება ბაგრატ IV სცადა, მაგრამ მაშინ შესაფერისი ვითარება არ იყო ქვეყანაში. დავით IV გადაწყვიტა წესრიგი დაემყარებინა ეკლესიაში.

1104 წელს გაიმართა საქართველოს საეკლესიო კრება. რომელიც ჩატარდა რუისსა და ურბნისში, ამიტომ ამ კრებას რუის-ურბნისის საეკლესიო კრება ეწოდა. კრებას ესწრებოდა მეფე, კათალიკოსი იოანე VI, ეპისკოპოსები და სხვა საეკლესიო პირები. კრებამ უღირსი საეკლესიო პირები თანამდებობებიდან გადააყენა და მათ ნაცვლად ღირსეული მღვდლები დანიშნა. ამავე დროს მიიღეს საეკლესიო ცხოვრების მოსაწესრიგებელი დადგენილებები.

რუის-ურბნისის კრებიდან ცოტა ხნის შემდეგ დავითმა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო. მან შექმნა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობა. მწიგნობართუხუცესი - მეფის კანცელარიის უფროსი იყო. ხოლო ჭყონდიდელი - ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ეპისკოპოსი იყო. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობაზე მყოფ ადამიანს შეეძლო როგორც საერო, ასევე სასულიერო საქმეებში ჩარევა. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობას ზრდიდა კიდევ ის ფაქტი, რომ მეფემ უმაღლესი სასამართლო სააჯოკარი აგრეთვე დაუქვემდებარა მას. პირველი მწიგნობართუხ-

უცეს-ჭყონდიდელი გახდა დავით მეფის აღმზრდელი **გიორგი (ჭყონდიდელი)** მწიგნობართუხუცესი.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა **მსტოვართა** ინსტიტუტის შექმნას, რაც საშუალებას აძლევდა მეფეს ცოდნოდა ყველაფერი, რაც ხდებოდა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ ომი შეუძლებელი იქნებოდა ძლიერი ჯარის გარეშე, დავითმა პირადად დაიწყო ჯარში რეფორმების გატარება.

მან შექმნა მეფის პირადი გვარდია- **მონასპა**. დავითის დროს ქართული ჯარი სამ ნაწილად იყოფოდა. ესენი იყო მონასპა, ქალაქებსა და ციხეებში მდგარი გარნიზონები და ლაშქრის ძირითადი ნაწილი.

სამხედრო რეფორმები დასრულდა 1118 წელს, როდესაც მეფემ საქართველოში გადმოასახლა 40 000 ყოვჩაღის ოჯახი. მათ ევალებოდათ თითო ოჯახიდან ერთი კაცის გამოყვანა საომრად. სავარაუდოთ, დავითმა პოლიტიკური ნიშნით შეირთო ცოლად ყივჩაღთა ერთ-ერთი მთავრის **ათარქა შალანის ძის** ასული **გურანდუხტი**. ყივჩაღთა გადმოსახლებით, დავითმა გაზარდა ქართული ჯარის რაოდენობა, მათი გამოყენება შეიძლებოდა როგორც საგარეო მტრის, ასევე ურჩი ფეოდალების წინააღმდეგაც. ამ გადაწყვეტილებით სამხედრო ვალდებულება ბევრ ქართველს აღარ დაეკისრა. ისინი მხოლოდ სამეურნეო ცხოვრებით იყვნენ დაკავებული. რამაც ხელი შეუწყო ქართული ეკონომიკის განვითარებას.

დავითმა ილაშქრა ჩრდილოეთ კავკასიაში და ოსები ყმადნაფიცობით დაიმორჩილა. დავით აღმაშენებლის დროს, კიდევ უფრო ძლიერდებოდა ქართველთა გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაში.

იქ გავრცელდა : ქართული დამწერლობა, კულტურა, ქართული ენა, ქრისტიანობა. ყოველივე ამან ჩრდილო კავკასიელი ხალხი კიდევ უფრო დააკავშირა საქართველოსთან.

1104 წელს მეფის მომხრე კახელმა აზნაურებმა შეიპყრეს კახეთის მეფე **აღსართანი** და დავითს მიჰგვარეს. ამის შემდეგ დავითი კახეთ-ჰერეთში გადავიდა და ეს ორი მხარე დაიმორჩილა.

განძის ათაბაგმა იგრძნო თუ რამხელა საფრთხე დაემუქრებოდა მის გვერდით ძლიერი საქართველოს არსებობისას, ამიტომ მან საქართველოში დიდძალი ლაშქარი გამოგზავნა.

1104 წელს ერწუხთან ბრძოლისას დავითმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

1110 წელს ქართველებმა აიღეს სამშვილდე, შეშინებულმა თურქებმა უკან დაიხიეს.

1115 წელს დავითმა გაათავისუფლა რუსთავი.

1117 წელს დავით IV საქართველოს უკიდურე აღმოსავლეთით მდებარე ციხე-ქალაქი გიში დაიკავა.

1118 წელს მეფემ სელჯუკებს წაართვა ლორე, ცხადი იყო, რომ მალე დადგებოდა თბილისის ჯერიც.

საქართველოს გაძლიერებით სერიოზულად შეშფოთდნენ სელჯუკები. მათ გადაწყვიტეს ერთხელ და სამუდამოდ წელში გადაეტეხად საქართველო. მით უმეტეს, რომ თურქებმა რამდენიმე ჯერ მოახერხეს ჯვაროსნების დამარცხებაც. სელჯუკების სარდალმა **ილ-ღაზიმ** დაამარცხა ანტიოქიის მთავარი **როჟერი**. სავარაუდოა რომ სწორედ ამ ბრძოლის შემდეგ მოხდა საიდუმლო შეხვედრა დავით აღმაშენებლის და იერუსალიმის მეფე **ბოლდუინ II** შორის.

1121 წლის 12 აგვისტოს დავით აღმაშენებლის წინამძღოლობით ქართველებმა დიდგორის ველზე უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს. დავითმა მტერი აიძულა ბრძოლა გაემართა ვიწრო ხეობაში, სადაც მტერი ვერ გამოიყენებდა მის რიცხობრივ უპირატესობას. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ 200 მეომრის გამირობას, რომლებმაც თავი შესწირეს, მაგრამ მეფის ჩანაფიქრი შეასრულეს. მათ მოახერხეს არეულობის შეტანა თურქთა უზარმაზარი ლაშქრის შუაგულში. სწორედ ამ დროს ქართველთა ლაშქარმა დავითის და დემეტრეს მეთაურობით შეუტია სელჯუკებს. მტერმა ვერ გაუძლო ქართველთა შეტევებს და უკან დაიხია. ქართველები სამი დღე-ღამის განმავლობაში მისდევდნენ მტერს და დიდი ალაფი ჩაიგდეს ხელთ.

დიდგორში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ გადაწყდა თბილისის ბედიც - 1122 წელს დავითმა თბილისი გაათა-

ვისუფლა. თბილისის აღების შემდეგ დედაქალაქი ქუთაისი-დან თბილისში გადმოიტანეს. წესრიგი და სიმშვიდე აღადგინა ქალაქში. დავითმა მფარველობა აღუთქვა თბილისის ყველა მცხოვრებს, ეროვნული თუ რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად. მუსლიმებს დაუწესა ყველაზე დაბალი გადასახადი - 3 დინარი, ებრაელები იხდიდნენ - 4 დინარს, ხოლო ქართველები - 5 დინარს.

დემეტრე I დროს, 1153-1154 წლებში, თბილისში მყოფი არაბი ისტორიკოსი **ალფ-ფარიკი** წერს, რომ ბაღდადშიც ვერ იხილავთ მუსლიმებისადმი ისეთ კარგ მოპყრობას, როგორც ეს თბილისში არის.

1123 წელს დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა დმანისი.

1123 წელს შირვანშაჰმა მუჰამედმა დავითს შემოუთვალა.

«შენ ტყეთა მეფე ხარ და ვეროდეს მოხვალ ველთა... თუ გენებოს, ძღვენი ჯეროვანი გამოგზავნე. და თუ გინდა, სამალავთათ გამოდი და მნახე»

მეფე სასწრაფოდ დაიძრა მტრის წინააღმდეგ 50 000-იანი მხედრობით და სასტიკად დაამარცხა.

1124 წელს დავითმა დაიკავა შირვანი. ამავე წელს დავითს მიმართეს ანისელებმა და ქალაქის განთავისუფლება სთხოვეს. ანისი სამოცი წლის განმავლობაში მაჰმადიანთა ხელში იყო.

1124 წელს დავითმა გაათავისუფლა ანისი და ჩრდილოეთ სომხეთი საქართველოს შემოუერთა.

საქართველოს უდიდესი მეფე დავით IV აღმაშენებელი 1125 წლის 25 იანვარს გარდაიცვალა. მან თავის მემკვიდრეებს დაუტოვა ქვეყანა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არეგანამდე.

მეფე დაკრძალეს მის მიერ 1106 წელს აგებულ გელათის ტაძარში. ქართულმა ეკლესიამ დავით აღმაშენებელი წმინდანად შერაცხა.

-
- **გიორგი ქყონდიდელი** -იყო დავით აღმაშენებლის აღმზრდელი
 - **მსტოვარი** -მზვერავი, ჯაშუში
 - **მონასპა** - სამეფო გვარდია ფეოდალურ საქართველოში.
 - **ათრაქა შარალანის ძე** -ყივჩაღთა ერთ-ერთი მთავარი

საქართველო დემეტრე I და გიორგი III დროს

დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი დაიკავა მისმა უფროსმა ვაჟმა **დემეტრე I** (1125-1156).

დემეტრეს ერგო გაძლიერებული სახელმწიფო. ამ პერიოდში ერთიანი სელჯუკთა სახელმწიფო აღარ არსებობდა, მაგრამ საქართველოს სამხრეთით წარმოიქმნა რამდენიმე მაჰმადიანური სახელმწიფო. დემეტრეს მმართველობის დროს საქართველო აქტიურ საგარეო პოლიტიკას არ აწარმოებდა, ის დავითის შექმნილი სახელმწიფოს შენარჩუნებით იყო დაკავებული. მაგრამ დემეტრე იძულებული გახდა ანისის და შირვანის აღმოსავლეთი მხარეები ყმადნაფიცობით დაებრუნებია მისი ძველი მმართველებისთვის.

საკმაოდ დაიძაბა ქვეყნის შიგნით მდგომარეობა. 1130 წელს მეფეს აუჯანყდა მისი ძმა ვახტანგი. დემეტრემ აჯანყებულები სასტიკად დასაჯა. საქართველოს გაძლიერებას ვერ ურიგდებოდნენ მაჰმადიანები, ურჩობის გზას დაადგა განძის ამირა.

1138 წელს დემეტრემ განძა აიღო. მეფემ გამარჯვების ნიშნათ ქალაქის მთავარი კარები ჩამოხსნა და გელათის მონასტერს შესწირა.

-
- **გურანდუხტი** (დავით IV მეუღლე) - ყივჩაყთა მთავრის ათრაქა შარალანის ძის ასული
 - **ალსართან I გაგიკის ძე** - კახეთ-ჰერეთის მეფე (1058 - 1084)
 - **ართუკიდ ნაჯმ ად-დინ ილღაზი** (გ. , 1122) - ართუკიდების დინასტიის წარმომადგენელი, ცნობილი თურქი სარდალი და მხედართმთავარი (ამირა)
 - **როჟერ სალერნოელი** (ასევე ცნობილია, როგორც როჟერ ანტიოქელი ან როჟერ დე პრინციპატო - ანტიოქიის რეგენტი 1112-1119 წლებში).
 - **ბაღდუინ II** - ედესის მეორე გრაფი 1100-1118 წლებში და იერუსალიმის სამეფოს მესამე მეფე 1118-1131 წლებში.
 - **გოტიე** - ანტიოქიის სამთავროს კანცლერი
 - **აჰმად იბნ იუსუფ იბნ ალი ალ-ფარაჯი** (1116-1181) - არაბი ისტორიკოსი და მოგზაური

1156 წელს დემეტრე I გარდაიცვალა. ის გელათის მონასტერში დაკრძალეს.

დემეტრე I გარდაცვალების შემდეგ გამეფდა მისი უმცროსი ძე გიორგი III

(1156-1184). გიორგის მეფობის დროს განახლდა ბრძოლები სომხეთის დაუფლებისთვის.

1161 წელს ქართველებმა კვლავ აიღეს ანისი. მეფემ ქალაქის გამგებლად ქართველთა ჯარის მთავარსარდალი **ივანე ორბელი** დატოვა 2 000 ქართველი მეომრით.

1162 წელს ქართველებმა დაიკავეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სომხური ქალაქი დვინი. მიღწეულმა წარმატებებმა შეაშინა მაჰმადიანი მმართველები. მათ რამდენიმე ჯერ სცადეს საქართველოზე გამოლაშქრება. გიორგი III ახერხებდა მტრის დამარცხებას. თუმცა სომხეთის საბოლოოდ შემოერთება მაინც ვერ ხერხდებოდა.

1177 წელს მეფეს აუჯანყდა დავით V შვილი დემეტრე (დემნა). მან სამეფო ტახტის დაკავება მოინდომა. დემნას მხარს უჭერდა მისი სიმამრი, საქართველოს ამირსპასალარი - **ივანე ათაბაგი** და სხვა მრავალი დიდებული. აჯანყებულები შეეცადნენ ქალაქგარეთ მყოფი მეფე შეეპყროთ, მაგრამ ეს გეგმა ვერ განხორციელდა. გიორგიმ მოახერხა თბილისში დაბრუნება და გამაგრება. მეფემ დაიწყო მისი მომხრეების შეკრება. აჯანყებულებს 30 000-იანი ჯარი ჰყავდათ. მაგრამ მათ მერყეობა დაიწყეს და დრო დაკარგეს. ამით ისარგებლა მეფემ და დემნას და მის მომხრეებს შეუტია. პირველი მარცხის შემდეგ აჯანყებულთა შორის განხეთქილება გაჩნდა. ბევრმა მიატოვა დემნა და მეფეს შეურიგდა. აჯანყებულთა ძალები დღითიდღე მცირდებოდა. დემნა და ივანე ათაბაგი ლორეს ციხეში გამაგრდნენ. გიორგი III ციხეს ალყა შემოარტყა, აჯანყებულები დანებდნენ.

გიორგი III გადანყვიტა სამაგალითოდ დაესაჯა აჯანყებულები, რათა სხვას აღარასოდეს გასჩენოდა განდგომის სურვილი. დემნა უფლისწული სასჯელს გადაჰყვა, ხოლო ორბელთა გვარი განადგურდა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ მეფემ

დაანინაურა ერთგული პირები, რომელთა შორის ზოგი დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელიც იყო.

ამირსპასალარად ნაყიფჩალარი-**ყუბასარი**, ხოლო მსახურთუხუცესი -**აფრიდონი** გახდა.

1178 წელს გიორგი III ეკლესიას შეუვალობა მიანიჭა, ანუ ეკლესიის მიწები გათავისუფლდა სახელმწიფო გადასახადებისაგან.

გიორგი III ვაჟი არ ჰყავდა. ტახტის მემკვიდრე მისი ქალიშვილი თამარი იყო. ქალის გამეფება საქართველოსთვის უცხო მოვლენა იყო. გიორგი შიშობდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ თამარის გამეფებას ხელი შეეშლებოდა.

ამიტომ 1179 წელს გიორგი III თამარი თავის თანამოსაყდრედ აკურთხა. მამა-შვილი ერთად მართავდა ქვეყანას.

გიორგი III 1184 წელს გარდაიცვალა. მეფე გელათში დაკრძალეს.

-
- **ივანე ორბელი** - XII საუკუნის I ნახევრის ქართველი მოღვაწე,
 - **დემეტრე I** - საქართველოს მეფე 1125-1156, დავით აღმაშენებლის უფროსი ვაჟი და მემკვიდრე.
 - **ივანე I მხარგრძელი** (გ. 1227) - საქართველოს დიდებული XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის პირველ მესამედში. ამირსპასალარ სარგისის ძე. ჯერ მსახურთუხუცესი (სასახლისა და სამეფო დომენის გამგებელი), შემდეგ - ათაბაგი
 - **ყუბასარი** - XII საუკუნის II ნახევრის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, გაქრისტიანებული «ნაყიფჩალარი»
 - **აფრიდონი** - XII საუკუნის II ნახევრის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე. გიორგი III და თამარ მეფის მსახურთუხუცესი.

საქართველო თამარის მეფობის დროს

1184 წლიდან, გიორგი III გარდაცვალების შემდეგ, თამარმა დაიწყო ერთპიროვნული მმართველობა (1184-1213). საქართველოს ისტორიაში ქვეყნის მმართველი პირველად გახდა ქალი. დავით აღმაშენებლის და გიორგი III დროს ძალაუფლებადაკარგულმა დიდებულებმა სცადეს აღედგინათ თავიანთი დაკარგული ძალაუფლება. დიდებულებმა თამარი ხელმეორედ აკურთხეს მეფედ, რათა ამით ხაზი გაესვათ თავიანთი გავლენისათვის.

მათ გიორგი III დროს დაწინაურებული დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები ამირსპასალარ ყუბასარი და მსახურ-თუხუცესი აფრიდონი გადააყენებინეს.

ამ მოვლენიდან ცოტა ხნის შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესმა **ყუთლუ არსლანმა** სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის და სახელმწიფო მმართველობის რეფორმის გეგმა წამოაყენა. ისანში, სამეფო სასახლის გვერდით, უნდა დაეარსებინათ ე.წ «კარავი».

კარავში შეკრებილ დიდებულებს უნდა გადაეწყვიტათ ქვეყანაში არსებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და ამის შემდეგ ეცნობებინათ მეფისთვის. მეფეს მხოლოდ გადანყვეტილების აღსრულების უფლება ექნებოდა. ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში, მეფის ხელისუფლება ძალზე შეიზღუდებოდა. ბუნებრივია, თამარს არ შეეძლო ყუთლუ არსლანის წინადადების მიღება. ყუთლუ არსლანი დააპატიმრეს. მეჭურჭლეთუხუცესს მრავალი მომხრე ჰყავდა. მათ თავიანთი მეთაურის გათავისუფლება მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი შეიარაღებული გამოსვლებით იმუქრებოდნენ. თამარმა ყუთლუ არსლანი გაათავისუფლა. მასთან მოსალაპარაკებლად გაიგზავნა ორი ქალი, **კრავაი ჯაყელი** და ხვაშაქ ცოლქალი. მოლაპარაკებამ შედეგები გამოიღო. კარვის იდეა ჩაიშალა, სამაგიეროდ გაუფართოვდა უფლებები სამეფო დარბაზს. ამიერიდან მეფე ყველა მნიშვნელოვან გადანყვეტილებას იღებდა დარბაზის ერთიანობითა და თანადგომით. ამგვარად, სამეფოში დამყარდა მშვიდობა.

უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თამარის გათხოვების საკითხი. მისი მეუღლე, მეფის შემდეგ, ყველაზე გავლენიანი პირი იქნებოდა.

XII საუკუნის ბოლოს რუსეთში რამდენიმე სამთავრო არსებობდა, მათ შორის ერთ-ერთი იყო ვლადიმირ-სუზდალის სამთავრო, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა ანდრეი ბოგოლუბსკის დროს. სწორედ ანდრეის შვილზე, **იური ბოგოლუბსკიზე** შეჩერდა არჩევანი. ანდრეი შეთქმულებმა მოკლეს, ტახტი დაიკავა მისმა ძმამ ვსევოლოდმა. ბიძისაგან დევნილმა იურიმ თავი ყიჩაღეთს შეაფარა. იურის ჩამოსაყვანად თბილისიდან გაიგზავნა დიდვაჭარი **ზანქან ზორაბაბელი**.

1185 წელს იური, რომელსაც საქართველოში **გიორგი რუსი** უწოდეს, ჩამოიყვანეს და თამარზე დააქორწინეს. თამარი წინააღმდეგი იყო ასეთი სწრაფი ქორწილის, მას მიაჩნდა რომ ჯერ გიორგი რუსის პიროვნება უნდა გაეცნო. თამარი ბოლოს მაინც დაჰყვა დიდებულების გადანყვეტილებას. დიდებულთა ნაწილი წინააღმდეგი იყო ასეთი ქორწინების, მათ მიაჩნდათ, რომ თამარი უნდა დაქორწინებულიყო ბიზანტიის იმპერატორის, ანდრონიკე I კომნენის ძეზე - ალექსიზე. მალე გიორგი რუსმა მისი უარყოფითი თვისებები გამოამჟღავნა და მისი სამეფო კარზე გაჩერება შეუძლებელი გახდა.

1187 წელს გიორგი რუსი საქართველოდან გააძევეს. ერთი წლის შემდეგ, 1188 წელს, თამარმა ხელმეორედ იქორწინა, **დავით სოსლანზე**. დავითი თამარის მამიდის - რუსუდანის აღზრდილი იყო. გიორგი რუსისაგან განსხვავებით, ქართველები დავით სოსლანს კარგად მოიხსენიებენ. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, დავითი იყო გიორგი I ძის, დემეტრეს შთამომავალი, ე.ი ბაგრატიონი.

ბიზანტიაში გაძევებული გიორგი რუსი არ აპირებდა შეეუბოდა მის ბედს, ამიტომ 1191 წელს ის საქართველოში დაბრუნდა. როგორც ჩანს მას საკმაოდ ბევრი მომხრე ჰყავდა. დიდებულების ნაწილმა მხარი დაუჭირა რუსს და თამარის წინააღმდეგ აჯანყდნენ. დიდებულების ნაწილმა გიორგი რუსი გე-

გუთმი მეფედ აკურთხა, რის შემდეგაც ისინი თამარის წინააღმდეგ დაიძრნენ. ამ მძიმე ვითარებაში თამარმა მოახერხა თავისი მომხრეების შეკრება და აჯანყებულების დამარცხება. გიორგი რუსის თანამზრახველები თანამდებობებიდან გადააყენეს და მამულები ჩამოართვეს.

1193 წელს გიორგი რუსმა კიდევ სცადა საქართველოში შემოჭრა. ამჯერად ის ჰერეთის მხრიდან გამოჩნდა. გიორგი რუსს მხარი აღარავინ დაუჭირა და იგი ადვილად დამარცხდა.

ქვეყანაში მშვიდობის დამყარების შემდეგ, თამარმა აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო. ამ დროისთვის საკმაოდ გაძლიერდა აზერბაიჯანის ათაბაგი აბუ-ბექრი.

1195 წელს შამქორში ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს აბუ ბექრი. ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ძმებმა **შალვა და ივანე ახალციხელებმა**. შალვამ ხალიფას გამოგზავნილი დროშა იგდო ხელთ, რომელიც შემდგომ გელათის მონასტერს შესწირეს. ამ გამარჯვებამ კიდევ ერთხელ დაანახა ყველას საქართველოს ძლიერება. ქართველებმა შემოიერთეს სომხეთის მნიშვნელოვანი ქალაქები ანისი და დვინი.

საქართველოს სიძლიერე არ მოსწონდა მაჰმადიან სახელმწიფოებს. მათ შორის იყო რუმის სულთანი **რუქნ ად დინიცი**. ეს უკანასკნელი დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქართველთა ჯარი დავით სოსლანის მეთაურობით დაიძრა მტრის წინააღმდეგ. მეფემ ჯარი პირადად გააცილა ვარძიამდე.

1202 წელს ბასიანში გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა. თავდაპირველად მტერს ქართველთა მენინავე რაზმმა შეუტია. მენინავე ნანილში იმყოფებოდნენ ცნობილი ქართველი სარდლები: **შალვა და ივანე ახალციხელები, ზაქარია გაგელი, ივანე მხარგრძელი**.

თურქები თავდაპირველად აირივნენ, მაგრამ რუქნ ად-დინმა მოახერხა საპასუხო დარტყმის განხორციელება. ქართველთა მენინავე ნანილს გაუჭირდა, მტერმა ქართველ სარდლებს ცხენები დაუხოცა. მაგრამ ისინი ქვეითად განაგრძობდნენ ბრძოლას. ბრძოლის ბედი მტრების მხარეს გადაიხარა, მაგრამ

ამ დროს მტერს ორი მხრიდან შეუტია ქართველთა მთავარმა ნაწილებმა. მარჯვნიდან ზაქარია მხარგრძელის და მარცხნიდან დავით სოსლანის მეთაურობით. მტერმა ვერ გაუძლო ქართველთა შეტევას და სასტიკად დამარცხდა. ქართველებმა დიდი ნადავლი იგდეს ხელთ. ტყვეთა შორის იყო რუქნ ად-დინის ძმაც, რომელიც ქართველებმა ჯორის ერთ ნალში გაყიდეს. ბასიანის ბრძოლის შემდეგ ქართველებმა მაინც განაგრძეს შეტევები

1204 წელს ქართველებმა აიღეს უმნიშვნელოვანესი ქალაქი **კარი**.

პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ ევროპელი რაინდების მიერ შექმნილი სახელმწიფოს საკმაოდ დიდი ბრძოლების გადახდა უწევდა მაჰმადიანებთან

ბიზანტიაში შექმნილი ვითარებით ისარგებლეს ქართველებმა და **1204** წელს დალაშქრეს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორია. რომელზეც ძირითადად ქართული წარმოშობის მოსახლეობა სახლობდა. ქართულმა ლაშქარმა აიღო : ტრაპიზონი, ლიმანი, სამსუნი, სინოპი და სხვა ქალაქები.

ამ ტერიტორიებზე შეიქმნა ტრაპიზონის იმპერია, რომელსაც სათავეში საქართველოში აღზრდილი, ბიზანტიის იმპერიაში დამხობილი კომნენოსთა კანონიერი დინასტიის წარმომადგენელი **ალექსი კომნენოსი** ჩაუდგა. ტრაპიზონის იმპერია საქართველოს გავლენის სფეროში მოექცა.

1206 წელს გარდაიცვალა დავით სოსლანი, თამარმა იმავე წელს თანამოსაყდრედ დასვა **ლაშა-გიორგი**.

1210 წელს ზაქარია მხარგრძელმა თამარს ირანში ლაშქრობა შესთავაზა. ლაშქრობა წარმატებული, იყო ქართველებმა აიღეს თავრიზი, ყაზვინი და სხვა ქალაქები. და ირანის შუაგულამდე მიაღწიეს. ალაფით და ნადავლით დამძიმებულმა ჯარმა წინსვლა ველარ შეძლო და უკან გამობრუნდა. ეს იყო ფეოდალური სამყაროსთვის ჩვეულებრივი მარბიელი ლაშქრობა. ლაშქრობის მიზანი იყო საქართველოს სიძლიერის დემონსტრირება და ალაფის მოპოვება.

1213 წელს გარდაიცვალა თამარი. მეფის მემკვიდრის ცნობით თამარი გელათში არის დაკრძალული.

- **ყუთლუ-არსლანი** - საქართველოს მეფეების გიორგი III-ისა და თამარის მეჭურჭლეთუხუცესი.
- **კრავი ჯაყელი** - XII საუკუნის II ნახევრის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე,
- **იური ანდრიას ძე ბოგოლიუბსკი**, (გიორგი რუსი), საქართველოს მეფის თამარის პირველი ქმარი, ნოვგოროდის მთავარი 1172-1175, სუზდალის მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის შვილი.
- **ზანქან (ზანქელ) ზორაბაბელი** - თბილისელი დიდვაჭარი XII ს-ში.
- **დავით სოსლანი** (გ. დაახლ. 1205) - სახელმწიფო მოღვაწე, თამარ მეფის მეორე მეუღლე
- **შალვა ახალციხელი** (გ. 1226) - XII-XIII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე,
- **ივანე ახალციხელი** (გ. 1225), XII-XIII საუკუნეების ქართველი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე;
- **სულეიმან II**, ცნობილია როგორც **რუქნ ად-დინი**, რუმის სულთან 1196-1204 წლებში
- **ივანე I მხარგრძელი** (გ. 1227) - საქართველოს დიდებული XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის პირველ მესამედში. ამირსპას-ალარ სარგისის ძე
- **ზაქარია გაგელი** - XII საუკუნის II ნახევრისა და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს დიდი ფეოდალი,
- **კარი (ყარსი)**, (1921 წლიდან თურქეთის ფარგლებშია, ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, ყარსის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი)
- **ალექსი I კომნენოსი** (1056 -1118) - ბიზანტიის იმპერატორი 1081-1118 წლებში
- **გიორგი IV ლაშა** (1192- 1223) - საქართველოს მეფე 1213-1223 წლებში. თამარ მეფის და დავით სოსლანის ძე.

ბრძოლის ბრძოლა (1104 წ.)

ბრძოლა გამართული ერწუხთან (ახლ. აზერბაიჯანის რესპუბლიკა) საქართველოს ლაშქარსა და განძის ათაბაგს შორის.

1104 წელს, მას შემდეგ, რაც კახელმა დიდებულებმა **არიშ იანმა, ბარამმა** და მათმა ბიძამ (დედის ძმა) **ქავთარ ბარამის ძემ** შეიპყრეს და დავით აღმაშენებელს გადასცეს კახთა მეფე **აღსართან II**, საქართველოს მეფემ კახეთ-ჰერეთი დაიკავა, თუმცა ყველა კახელი დიდებული როდი იყო კახეთ-ჰერეთის ერთიან ქართულ სახელმწიფოში შესვლის მომხრე - **დავით IV** მონინალმდეგეებიც გამოუჩნდნენ.

კახელ წარჩინებულთა ეს ნაწილი დახმარების სათხოვნელად ეახლა განძის ათაბაგს, რომელიც თურქეთის სულთნის მოხელე იყო. სულთნისთვის, ბუნებრივია, ძნელად ასატანი იქნებოდა საქართველოს ასეთი მომძლავრება-გაფართოება და ქართული ტერიტორიების ერთ მთლიან ერთეულად გაერთიანება.

იგი, ცხადია, უკმაყოფილო იქნებოდა იმითაც, რომ დავითმა მტკიცედ ამოუკვეთა ფეხი საქართველოდან სელჩუკებს და ხარკსაც აღარ აძლევდა. დავითმა აქტიური სამინაო თუ საგარეო პოლიტიკით საქართველოს სამეფო კარი მთელს მახლობელ აღმოსავლეთში გამოკვეთა.

პრაქტიკულად, იგი უკვე მზად იყო კავკასიის გაერთიანების დიდი პროგრესული საქმე მოეგვარებინა, ამიტომ სულთნისათვის თუ განძის ათაბაგისათვის, რომელიც, ფაქტობრივად, სულთნის გავლენას ემორჩილებოდა, ეს მომენტი ხელიდან გასაშვები არ იყო.

მუსლიმმა მმართველებმა დიდძალ ლაშქარს მოუყარეს თავი და კახეთ-ჰერეთის დასაპყრობად დასძრეს. დავით აღმაშენებელმა მტერს მცირე, თუმცა კარგად განვრთნილი ლაშქარი დაუპირისპირა.

ბრძოლა 1104 წელს ერწუხის ველზე გაიმართა. საქართველოს მეფემ ახალი ტაქტიკური ხერხი შესთავაზა სელჩუკებს - «ქმნა ნყობანი დიდნი» ანუ, როგორც ჩანს, მძლავრი ფლანგური დარტყმები განახორციელა.

«ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი» თვალნათლივ და შესაშური ხატოვანებით აღწერს დავით აღმაშენებლის უშუალო მონაწილეობას ერწუხის ბრძოლაში. მემათიანის სიტყვებით, დავითი არ ჰგავდა სხვა მხედართმთავრებს, რომლებიც ლაშქარს უკან უდგანან და იქედან აძლევენ განკარგულებებს მეომრებს.

დავითი წინ მიუძღოდა მებრძოლებს, ლომივით შეუძახებდა თავისი მაღალი ხმით და ამხნევებდა მათ. იგი გრიგალივით ატყდებოდა თავს მონინაალმდეგეებს სხვადასხვა ფრთებზე, გოლიათივით წინ მიემართებოდა და თავისი ძლიერი, მტკიცე მკლავით მუსრს ავლებდა მტერს. მისი ხმლის ღარებიდან უკუმომდინარე სისხლმა უბე აუვსო ისე, რომ ომის დამთავრების შემდეგ, როცა სარტყელი შემოიხსნა და ეს დაგუბებული სისხლი გადმოიღვარა, მხილველები თავიდან შეეჭვებულან მეფე ხომ არ დაჭრილათ. იმ დღეს დავით აღმაშენებელს სამი ცხენი მოუკლეს და «მეოთხესალა ზედა მჯდომიან სრულ ყო მის დღისა ომი»

ერწუხის ბრძოლაში დავითმა ძლევამოსილად გაიმარჯვა. ბრძოლის შედეგი მეტად მძიმე იყო მონინაალმდეგისათვის, მან სრული განადგურება იგემა.

ამ გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის. ფაქტობრივად, ეს იყო სელჩუკთა მრავალრიცხოვან არმიასთან პირისპირ სამხედრო შეტაკებაში მოპოვებული პირველი სერიოზული გამარჯვება, რომელმაც ხალხს ნათლად დაანახა, რომ თურქები სულაც არ წარმოადგენდნენ დაუძლეველ ძალას.

-
- **ერწუხი**- ახლ. მდებარეობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში.
 - **არიშანი**, საქართველოს სახელმწიფო მოღვაწე XI-XII საუკუნეების მიჯნაზე, ჰერეთის დიდებული აზნაური.
 - **ბარამი, ბაჰრამი** - XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, ჰერეთის დიდებული, რომელმაც ქავთარ ბარამის ძესთან ერთად 1104 შეიპყრო კახთა მეფე აღსართან II და დავით აღმაშენებელს მიჰგვარა.
 - **ქავთარ ბარამის ძე** - ჰერეთის დიდებული XI-XII საუკუნეების მიჯნაზე.
 - მან თავის დისშვილებთან - არიშანთან და ბარამთან ერთად XII

რახსის ბრძოლა (1118 წ.)

დავით აღმაშენებლის ბრძოლა მდინარე რახსის (არეზის) პირას თურქ-სელჩუკებთან.

ნახიდურს დავით აღმაშენებელმა გაიგო თურქ-სელჩუკების ჯავახეთში შესვლისა და ბეშქენ ჯაყელის მოკვლის ამბავი.

მეფე, მიუხედავად ზოგი დიდებულის წინააღმდეგობისა, თავისი ლაშქრით დაიძრა და რახსის პირას მდგომ თურქ-სელჩუკებს შეებრძოლა.

საქართველოს ლაშქარმა სძლია მტერს - მრავალი ამოწყვტილს, ბევრი ტყვედ ჩაიგდეს და დიდი ნადავლიც წამოიღეს.

საუკუნის დასაწყისში შეიპყრო კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართან II და მიჰგვარა დავით აღმაშენებელს, რასაც მოჰყვა კახეთ-ჰერეთის შეერთება საქართველოს სამეფოსთან.

- **დავით IV აღმაშენებელი (1072-1125)** - საქართველოს მეფე 1089-1125 წლებში, გიორგი II-ის ძე, დიდი სახელმწიფო მოღვაწე და ძლევამოსილი მხედართმთავარი, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში.
- **აღსართან II** - კახეთ-ჰერეთის უკანასკნელი მეფე (1102-1104).

-
- **რახსი (არაქსი)** - მდინარე, სადაც გადის სახელმწიფო საზღვარი სომხეთსა, თურქეთსა, აზერბაიჯანსა და ირანს შორის.
 - **დავით IV აღმაშენებელი (დ. 1073- 1125)** - საქართველოს მეფე 1089-1125 წლებში, გიორგი II ძე
 - **ბეშქენ II ჯაყელი (გ. 1118)**, სამხრეთ საქართველოს წარჩინებული ფეოდალი XI საუკუნის ბოლოს და XII საუკუნის დასაწყისში.

დიდგორის ბრძოლა ან ძლიერი საკვირველი (1121 წლის 12 აგვისტო)

ქართველთა ბრძოლა დავით IV აღმაშენებლის მეთაურობით თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ დიდგორის ველზე (მანგლისის მახლობლად, თბილისის მისაღვ ომებთან)

იმდროინდელი საერთაშორისო ვითარება თურქ-სელჩუკებსა და საქართველოს სახელმწიფოს აშკარად უპირისპირებდა ერთმანეთს. ყველაფრიდან ცხადი იყო, რომ ეს ძლიერი წინააღმდეგობა დღეს თუ ხვალ იარაღით უნდა გადაწყვეტილიყო.

მაგრამ საიმდღისო ამოცანად იგი საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ განდევნილ და შვეინროებულ თურქთა და ქალაქების - თბილისის, დმანისისა და განჯის თავკაცთა ელჩობამ აქცია.

ამან დააჩქარა კოალიციური ლაშქრის შექმნა და დიდგორის ბრძოლაც. ყველა ძველი ისტორიკოსის (დავითის ისტორიკოსი, მათე ურჰაელი, ალ-ფარიკი) მოწმობით, დავითის მიერ ანიოკებულმა თურქმანებმა და აღნიშნული ქალაქების მმართველი ზედაფენის წარმომადგენლებმა მწუხარების ნიშნად შავად ხელპირშეღებობა, ტანსაცმელშემოფლეთილებმა და თავზე ნაცარდაყრილებმა გადაწყვიტეს «მათ ზედა მონვენულნი ყოველნი ჭირნი» მოეთხროთ და დახმარება ეძიათ ძლიერ მაჰმადიან მფლობელებს შორის.

ეს ელჩობა, დავითის ისტორიკოსის ცნობების მიხედვით, 1121 წლის აპრილ-მაისში შემდგარა.

ვის მიმართეს დახმარებისათვის თურქებმა და ქალაქების წარმომადგენლებმა?

ამ კითხვაზე საისტორიო წყაროებს სხვადასხვაგვარი ცნობები აქვთ დაცული; ასე მაგალითად, დავითის ისტორიკოსის ცნობით, «შვეინროებულნი თურქმანნი» და მოქალაქეთა წარმომადგენლები «წარვიდეს სულთანს წინაშე და ყოველსა სპარსეთსა», ე.ი. ისინი, უპირველესად, სულთანს ხლებიან,

მაგრამ ამითაც არ დაკმაყოფილებულან და სხვა მაჰმადიანი მფლობელებისათვისაც მიუმართავთ.

ისტორიკოსის განცხადება «წარვიდეს... ყოველსა სპარსეთსა» სწორედ ამაზე მიუთითებს.

სომეხი ისტორიკოსის მათე ურჰაელის მიხედვით კი, შავტანსაცმლიანი და თავდაუხურავი ელჩები «გაჰკიოდნენ თავიანთ სულთანთან ქალაქ განდაკში მელიქთან ტაფარის ძესთან და ტირილით ჩიოდნენ მის წინაშე თავიანთ დაღუპვას.

ხოლო სხვები მივიდნენ არაბთა ოლქში, კარმიანის (კაბადოკიის) ქვეყანაში ამირა ლაზისთან არდუხის ძესთან და დიდი ტირილით უამბობდნენ მას... ხოლო მან თავისი ძლიერებისა და ზვიადობის გამო ბრძანა შეკრებილიყო თავისი ჯარების სიმრავლე».

მათე ურჰაელის მიერ მოხსენიებული სულთანი მალიქი უნდა იყოს დავითის ისტორიკოსის მიერ კოალიციური ლაშქრის მონაწილედ მოხსენიებული და სულთნის ძედ მიჩნეული მალიქი.

ასე რომ, მათეს ცნობით, თბილელთა და სხვათა წარმომადგენელთა ერთ ნაწილს, უწინარეს ყოვლისა, განდაში მყოფი მალიქისათვის მიუმართავს, ხოლო მეორე ნაწილს - ამირა ლაზისათვის, არდუხის ძისათვის. მათე ურჰაელის ლაზი არდუხის ძე იგივეა, რაც სხვა წყაროების ილლაზი არდუხის ძე.

განსხვავებულ ცნობას იძლევა აგრეთვე ალ-ფარიკიცი, რომლის მიხედვითაც, «თბილისის ხალხი წავიდა ნაჯმ-ად-დინ-ილ ლაზთან და სთხოვა მას მოსულიყო და ჩაებარებინა ქალაქი».

ლაშქრობის მთავარ ინიციატორად ილ-ლაზს მიიჩნევს გოტიეც. მართალია, ზემოთ მოტანილ ცნობათა შორის ერთგვარი წინააღმდეგობაა, მაგრამ ეს ადვილად ასახსნელია და ამ ცნობათა ურთიერთშეთანხმებაც მოსახერხებელია.

როგორც ირკვევა, უპირატესობა ამ შემთხვევაში ქართულ წყაროს, დავითის ისტორიკოსს, უნდა მიენიჭოს.

ცხადია, უფრო სარწმუნოა, რომ თბილისისა და სხვა წარმომადგენლებს უშუალოდ სულთნისათვის მიემართათ, ვიდრე განძის მფლობელ მალიქის - ტაფარის ძისათვის, ან კიდევ ილ-ლაზისათვის, რომელიც, მართალია, სახელგანთქმულ მეომრად

იყო მიჩნეული, მაგრამ მაჰმადიან მფლობელებში ისეთი გავლენა ვერ ექნებოდა, როგორც თვით სულთანს.

ამის გარდა, სწორედ სულთანი შეიძლება ყოფილიყო კოალიციური (გაერთიანებული) ლაშქრის შემდგენელი.

მას ექნებოდა უფლება სხვადასხვა მაჰმადიან მფლობელთა მონოდებისა და ერთი დროშის ქვეშ მათი თავმოყრისა.

ამრიგად, უდავოა, რომ თბილისის მოსახლეობის წარმომადგენლებმა დახმარება, უპირველეს ყოვლისა, სთხოვეს სულთანს, ერაცის სელჩუკიანთა იმდროინდელ გამგებელს მაჰმუდ მოჰამედის ძეს (1117-1131 წწ.).

სწორეს ის იყო მაჰმადიანთა ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის ორგანიზატორი. ყურადსაღებია აგრეთვე დავითის ისტორიკოსისა და მათე ურჰაელის ცნობები, რომელთა მიხედვით, თბილისელთა წარმომადგენლები არ დაკმაყოფილებულან მხოლოდ სულთანთან მისვლით და სხვა მაჰმადიან მფლობელებთან «ყოველ სპარსეთსა» თუ «არაბთა ოლქებში» თვით უშუალოდ გაუმართავთ მოლაპარაკება.

ადვილი ასახსნელია ალ-ფარიკისა და გოტიეს მცირე უზუსტობაც, როცა ისინი ამ საქმის მთავარ ინიციატორად ილ-ლაზის მიიჩნევენ; როგორც ჩანს, ალ-ფარიკიმ და გოტიემ თბილელთა ელჩობის შედეგად საქართველოსაკენ დაძრული კოალიციური ლაშქრობის სათავეში მყოფი ილ-ლაზი ჩათვალეს იმ პიროვნებად, რომელსაც «თბილისის ხალხმა» დიდგორის ბრძოლის წინ მიმართა თხოვნით.

სულთან მაჰმუდ მოჰამედის ძე მაშინვე გამოეხმაურა თბილისელთა თხოვნას და სასწრაფოდ დიდი ლაშქრის ორგანიზაციის თადარიგი დაიჭირა.

მან მაჰმადიან მფლობელთა ერთ ნაწილს მოუწოდა, ხოლო მეორეთ უბრძანა: «ვინც კი სადმე იყო დამასკო და ალეპოდან მოკიდებული, ყველას, მოლაშქრეობის შემძლებელს» მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს წინააღმდეგ ომში.

მაჰმადიანთა ლაშქრის შემაღენლობა

ვინ იყვნენ ისინი, რომელთაც სულთნის ამ მოწოდებითა თუ ბრძანებით კოალიციურ ლაშქარში თავი მოიყარეს? ჩვენს წყაროებს ამ მხრივაც დაცული აქვთ საინტერესო ცნობები.

დავითის ისტორიკოსის მიხედვით, «სულთანმა მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს, სადაყის ძეს და მოსცა ძე თუისი მალიქი და ყოველი ძალი მისი, და აჩინა სპასალარად ელ-ლაზი ძე არდუხისი... და უბრძანა... ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომხეთისა ამირთა» მონაწილეობა მიეღოთ ლაშქრობაში.

ამრიგად, დავითის ისტორიკოსის ცნობით, სულთნის მოწოდებითა და ბრძანებით, საქართველოს წინააღმდეგ უნდა გაერთიანებულიყვნენ დურბეზ სადაყის ძე, სულთნის ძე მალიქი თავისი ძალით, ათაბაგი განძისა «მისითა ძალითა» და სომხეთის ყველა მაჰმადიანი ამირა. გაერთიანებული ლაშქრის სარდლად კი სულთნის მიერ დანიშნული იყო ილ-ლაზი ძე არდუხისი.

მათე ურჰაელის ცნობითაც, საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო ილ-ლაზი არდუხის ძემ, მისმა სიძემ არაბთა მეფემ სალა ტუჰაისის ძემ და განძის სულთანმა მალიქმა ტაფარის ძემ.

მისი სიტყვით, ილ-ლაზთან ერთად საქართველოს წინააღმდეგ წამოვიდნენ: დუბეის სადაყას ძე, რომელსაც თან ახლდნენ ყადი ელმ-ად-დინი და მისი შვილი აბულ-ფათთხი, ქ. მარდინის მაშინდელი ყადი და ვეზირი თამამ-იზნ აბდუნი.

აი, ასეთი შემადგენლობით მოსულან ისინი არზრუმში. სულთანი გოღრული მოსულა განძას მხრიდან, ხოლო თულან არსლან კუზიანი დვინიდან უნდა დაძრულიყო. ამ უკანასკნელს კოალიციის მონაწილედ ასახელებს ალ-ჯაუზიც.

ისტორიკოსი იზნ ალ-ასირიც, ილ-ლაზისა და დუბეისის გარდა, დიდგორის ბრძოლის მონაწილეებად მიიჩნევს მალიქ თოღრულს მოჰამედის ძეს და მის ათაბაგს ქენ-თოღდის.

როგორც ჩანს, სულთან მაჰმუდ მოჰამედის ძეს დიდი სამზადისი ჩაუტარებია და საქართველოს წინააღმდეგ მოუწვე-

ვია მაშინდელი მახლობელი აღმოსავლეთის ცნობილი და გავლენიანი მფლობელები. გაერთიანებული ლაშქრობის მოთავეთა შემადგენლობა, ზემოგანხილული წყაროების ურთიერთ შეჯერების შემდეგ, ამგვარია:

ნეჯმ ად-დინ ილ-ლაზი - სულთნის მიერ ბაღდადის გამგებლად დანიშნული, აუღებლად მიჩნეული ციხის – მარდინის მფლობელი, ალექოს დამპყრობი, ხოლო 1121 წლიდან მაიაფარიკინის გამგებელი. ილ-ლაზი, დავითის ისტორიკოსის დახასიათებით, იყო «კაცი დაჰმანი (მარჯვე) და მრავალლონე», «ზვიადსა და ძლიერს» უწოდებს მას მათე ურჰაელი; «უაღრესი ამპარტავნებით თავგასულად» მიაჩნია იგი გოტიესაც.

ილ-ლაზმა, როგორც სარდალმა, დიდად გაითქვა სახელი ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით 1119 წელს. ამიტომაც აირჩია იგი სულთანმა მაჰმუდმა გაერთიანებული ლაშქრის სპასალარად.

დურბეიზი (დუბეის სადაყას ძე) — ქალაქ ჰილას (მდ. ეფფრატზე) პატრონი, დავითის ისტორიკოსსა და მათე ურჰაელის სიტყვით, «არაბეთის მეფე».

«ეს იყო, – წერს მათე ურჰაელი, – კაცი გულადი და მებრძოლი. მან დაატყვევა ქალაქი ბაღდადი და სამი ბრძოლა გადაიხადა სპარსთა სულთანთან – ტუფასთან...»

მან კარვით დაიბანაკა ეთიოპიასა და ინდოეთს შორის და მაშინ მოვიდა და დაესიდა სპარსთა ამირა ლაზის».

მართლაც, დიდგორის ბრძოლის ერთი წლით ადრე, დუბეისს ცოლად შეურთავს ილ-ლაზის ასული გოჰარ ხათუნი; ალბათ, ამგვარი დამოყვრებაც იყო ერთი მიზეზი იმისა, რომ დუბეისი ილ-ლაზის მოწოდებას მაშინვე გამოეხმაურა და აქტიური მონაწილეობაც მიიღო მისი სარდლობით მოწყობილ ბრძოლაში.

თოღრულ მოჰამედის ძე - ყაზვინის, ზენჯანის, გილანისა და სხვათა, ხოლო 1121-22 წლებში არანისა და განძის გამგებელი; სიცოცხლის ბოლო სამ წელს სულთანადაც იყო; იბნ ალ-ასირი მას მალექ თოღრულ მოჰამედის ძედ იხსენიებს.

სწორედ ეს მალექ თოღრული უნდა იყოს დავითის ისტორიკოსის მიერ «სულთნის ძედ» მიჩნეული მელიქი და

მათე ურჭაელის მიერ ქალაქ განძაკუმი მყოფ სულთანად დასახელებული მალიქი ტაფარის ძე. დიდგორის ომის წინ ქალაქ განძას სწორედ მალიქ თოღრული ფლობდა. ამავე დროს ეს მალიქ თოღრული იყო მოჰამედის ძე, ე.ი. ძმა იმდროინდელი სულთნის - მაჰმუდისა.

იქნებ დავითის ისტორიკოსის თხზულების თავდაპირვანდელ ხელნაწერში ასეც ეწერა: სულთანმა «მოსცა ძმა თავისი მალიქი» და არა «ძე თავისი მალიქი», როგორც ეს ამ თხზულების შემდეგ დროინდელ გადანაწერებშია. თუ ეს ასეა, მაშინ ყველაფერი ნათელი იქნება - ძმა სულთნისა მალიქი სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა მალიქ თოღრული.

სულთან მაჰმუდს ჰყავდა ძეც, მალიქ-შაჰად წოდებული, მაგრამ იგი ამ დროს დაბადებულიც არ იქნებოდა და, ცხადია, დავითის ისტორიკოსი მას ომის მონაწილეთა შორის ვერ დაასახელებდა.

ამრიგად, ქართულ და სომხურ წყაროებში მოხსენიებული «სულთნის ძე მალიქი», ან კიდევ, განძის სულთანი მალიქ ტაფარის ძე ნამდვილად არის არაბული წყაროების მალიქ თოღრული მოჰამედის ძე. აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: თოღრული დიდგორის ბრძოლის დროისათვის სულ 12-ოდე წლისა ყოფილა და, ცხადია, მისი პირადი მონაწილეობა ლაშქრობაში უფრო ფორმალური იქნებოდა. თოღრულის ლაშქარს ამ დროს სათავეში, ალბათ, მისივე ათაბაგი, ქენ-თოღდი ედგა, წყაროებში განძის ათაბაგად და ლაშქრობის მონაწილედ მოხსენიებული. ამიტომაცაა, რომ თოღრულის უშუალო მონაწილეობა დიდგორის ბრძოლაში ზოგ მკვლევარს საეჭვოდ ეჩვენება.

თულან არსლან კუზიანი - თურქი ამირა, ბითლისისა და არზანის პატრონი და ქალაქ დვინის დამპყრობი.

განძის ათაბაგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს განძის იმდროინდელი მფლობელის თოღრულის ათაბაგი ქენ-თოღდი. განძის ათაბაგი არა მარტო თოღრულის ლაშქარს უძღვებოდა, არამედ მას ჰყავდა საკუ-

თარიც. დავითის ისტორიკოსის ცნობით, სულთანმა მას უბრძანა «მისითა ძალითა» გამოსვლა.

დავითის ისტორიკოსი შემთხვევით არ მოიხსენიებს ლაშქრობის მონაწილეთა შორის «ყოველთა სომხეთისა ამირათა», ე.ი. სომხეთის ტერიტორიის ნვრილ-ნვრილ მაჰმადიან გამგებლებს, ამირებს, მათაც სულთნის ბრძანებით ლაშქრობაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ.

ზემოთ დასახელებულთა გარდა, კოალიციურ ლაშქრობაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ დუბეისთან ერთად ამ მიზნით არზრუმში (ერზერუმში) მოსულთა და დაბანაკებულთ:

ყადს ელმ-ად-დინ-იზნ ჯაბრის, მის შვილს, ქ. მარდინის **ყადს აბულ-ფათხის** და ვეზირს **აბუ-თამამ-იზნ-აბდუნას**, მაგრამ ყადი და ვაზირი, ალ-ფარიკის ცნობით, არზრუმში წაკიდებულან, კოალიციურ ლაშქარს ჩამოსცილებიან და არზრუმშივე დაჩენილან.

ამრიგად, სულთანს მართლაც თავი მოუყრია ყველასათვის - «სადაც ვინ იყო... მხედრობად შემძლებელი» და მის სათავეში ამ დროისათვის სახელმძღვანელო და დიდი გამოცდილების მქონე, მრავალ ომგადახდილი სარდალი ილ-ლაზი ჩაუყენებია.

ილ-ლაზი, ცხადია, სულთნის სახელით მოქმედებდა და ყველა ზემოხსენებული გავლენიანი მფლობელი თუ სარდალი, მისი დროშის ქვეშ გაერთიანებული, მის განკარგულებებსა და ბრძანებებს უნდა დამორჩილებოდა.

კოალიციური ლაშქრის რაოდენობა

დიდგორის ომში მონაწილეობის მისაღებად მონოდებულთა ვინაობის გარკვევის შემდეგ საჭიროა დაახლოებით მაინც განისაზღვროს მათ მიერ გამოყვანილი ლაშქრის რაოდენობა.

ეს მეტად საინტერესო საკითხიც ისევ ძველი წყაროების მიხედვით უნდა გაირკვეს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ ძველ ისტორიკოსს არც აქვს საამისო ცნობა, ზოგი კიდევ გაზვიადებულ, დაუჯერებელ მონაცემებს იძლევა; ასე, რომ,

ჩვენ ამ მხრივ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობა გვექნება.

დავითის ისტორიკოსი არაფერს ამბობს არც მაჰმადიანთა გაერთიანებული ლაშქრისა და არც საქართველოს ჯარის რაოდენობის შესახებ, მაგრამ მისი ცნობიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს წინააღმდეგ დიდძალი ლაშქარი დაძრულა; მისი სიტყვით, მტრის ლაშქარი «სიმრავლითა, ვითარცა ქვიშია ზღვასი, რომელთა ვერ იტევდა ქუეყანაი».

მაჰმადიანთა «დიდი ლაშქრის თავმოყრის» შესახებ წერს აგრეთვე ალ-ფარიკი, თუმცა არც იგი მიუთითებს მის რაოდენობაზე.

კოალიციური ლაშქრის რაოდენობის შესახებ ცნობები მოეპოვებათ სომეხ ისტორიკოსებს, იბნ ალ-ასირსა და გოტიესაც.

მათე ურჰაელის სიტყვით, ილ-ლაზმა «ბრძანა შეკრებილიყო თავისი ჯარების სიმრავლე, ყოველი ტომი თურქმანთა, ბერძენთა ქვეყნიდან ვიდრე აღმოსავლეთისაკენ ყოველი კარმიანი და ქმნა რიცხვი თავისი ჯარისა ასორმოცდაათი ათასი».

ასე რომ, მარტო ილ-ლაზს, მათეს ცნობით, 150 000 მოლაშქრე გამოუყვანია, მის მიერ მოწოდებულ «არაბთა მეფე» დუბეისს 10 000 და მოკავშირენი 160 000-იანი ლაშქრით განძაში დაბანაკებულან.

იმავე ისტორიკოსის ცნობით, განძაშივე «მოვიდა სულთანი მალიქი (ე.ი. თოღრული მოჰამედის ძე) 400 000 მხედრით, გულადი კაცებით. ისინი დაიდრნენ საშინელი სიმრავლით და შევიდნენ ქართველთა ქვეყანაში ქალაქ თბილისის მხარეს».

ამრიგად, თუ მათე ურჰაელს დაეუჯერებთ, მაჰმადიან მფლობელთა გაერთიანებული ლაშქრის რიცხვს 560 000-ისათვის მიუღწევია.

ეს მონაცემები სწორი არ უნდა იყოს, როგორც ჩანს, იგი გაზვიადებულია. დაუჯერებელია, რომ ამ სამ მაჰმადიან მფლობელს ასე დიდი ლაშქრის გამოყვანა შესძლებოდა.

კიდევ უფრო გაზვიადებულია ანტიოქიის სამთავროს კანც—ლერის გოტიეს მონაცემები.

მისი ცნობით, «ალეპოდან წამოსულმა ილ-ლაზიმ შეკრიბა თურქმანებისა და არაბების ურიცხვი ჯარი, როდესაც მან ნახა შეკრებილთა სიმრავლე, უალრესი ამპარტავნობით თავგასულმა გადანყვიტა, ერთ ხორასნელ სულთანთან ერთად მოენყო ლაშქრობა დავით მეფის წანააღმდეგ... სულთანი და თვით ილ-ლაზი 600 000 მეომრით სალაშქროდ შევიდნენ მეფის ქვეყანაში».

მათე ურჰაელისა და გოტიეს მონაცემებს შორის მაინცდა-მაინც დიდი განსხვავება არ არის – მათე 560 000 მოლაშქრეს ასახელებს, გოტიე კი 600 000-ს.

არ მოიპოვება სხვა ისტორიკოსთა ისეთი სანდო მონაცემები, რომლებიც კოალიციური ლაშქრის მონაწილეთა რაოდენობას დააზუსტებდა.

იბნ ალ-ასირის თხზულების არაბულ დედანში მხოლოდ «ათასი» წერია, მაგრამ რამდენი ათასი, აღნიშნული არ არის. ზოგი მკვლევარი იბნ ალ-ასირის ამ ნაკლულ ტექსტს, ალ-ჯაუზის მიხედვით, 30 000-ით აღადგენს, ზოგი კიდევ 300 000-ით. ასე, რომ იბნ-ალ-ასირის ცნობა ზემომოტანილ მასალათა საკონტროლოდ არ გამოდგება.

ასევე, საამისოდ არ გამოდგება XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის სმბატ სპარაპეტას მონაცემებიც, რომელთა მიხედვით ამირა ილ-ლაზს საქართველოში 150 000-იანი ჯარით ულაშქრია. როგორც ჩანს, სმბატ სპარაპეტი საკუთრივ ილ-ლაზის მიერ გამოყვანილ მოლაშქრეთა რაოდენობის მითითებით დაკმაყოფილებულა.

უდავოა, რომ მათე ურჰაელისა და გოტიეს ცნობები კოალიციური ლაშქრის რაოდენობის შესახებ გაზვიადებულია.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნახევარმილიონიანი თუ ექვსასათასიანი ლაშქარი თრიალეთ-მანგლის-დიდგორის სანახებში არა თუ ვერ გაიშლებოდა საბრძოლველად, ვერც კი დაეტეოდა, მაგრამ ამავე დროს ისიც უდავოა, რომ მონაწილედგის ლაშქარი ბევრად, რამდენიმე ჯერ, აღემატებოდა საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ ამ ბრძოლაში გამოყვანილ ლაშქარს. ივანე ჯავახიშვილის

ვარაუდით, მტრის ჯარი 300 000 მეომრისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი.

ასეა თუ ისეა, ყველა მონაცემიდან სავსებით აშკარაა, რომ დიდგორის ველზე, რიცხოვრივი რაოდენობის მიხედვით, არა თანაბარი ძალები შეხვდნენ ერთმანეთს. ამაზე ერთხმად მიუთითებს ყველა წყარო, როგორც ქართულ-სომხურ-ლათინური, ასევე თვით არაბულიც.

ახლა იმასაც შევეხვით, თუ საიდან და რა გზით მოდიოდა ეს კოალიციური ლაშქარი.

დავითის ისტორიკოსს მხოლოდ ის აქვს აღნიშნული, რომ მტრის ურიცხვი ლაშქარი, «ვითარცა ქვიშა ზღვისა», მოვიდა «თრიალეთს, მანგლისსა და დიდგორს».

მათე ურჰაელის ზემომოტანილი ცნობიდან კი ჩანდა, რომ როგორც ილ-ლაზი დუბეისი, ასევე სულთანი მალიქი (თოღრული) განძიდან დაძრულან და იქიდან «საშინელი სიმრავლით შევიდნენ ქართველთა ქვეყანაში ქალაქ თბილისის მხარეს, მთაში, რომელსა ქვია დეკორ (დიდგორი)».

ამ საკითხის შესახებ სხვა ცნობა აქვს ალ-ფარიკს. მისი მონაცემებით, არზრუმიდან ილ-ლაზი გაემართა «ყარსისაკენ და შევიდა იქ (საქართველოში) თრიალისით (თრიალეთით). შეიკრიბა დიდი ლაშქარი, სულთანი თოღრული მოვიდა განძის მხრიდან, ხოლო ფახრად-დინ თულან არსლან კუზიანი — დვინის მხრიდან და იარა ამ ლაშქარმა იმდენი, რომ მასსა და თბილისს შორის დარჩა მთა ნახევარ-დღის სავალი».

ამ ცნობით, დიდგორთან შეყრილი კოალიციური ლაშქარი აქ სამი მხრიდან მოსულა: ყარსიდან თრიალეთის გზით, განძიდან და დვინიდან. ამ ცნობიდან ისიც ნათელია, რომ თბილისიდან ნახევარი დღის სავალზე იმყოფებოდა არა მარტო ილ-ლაზის ლაშქარი, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, არამედ სულთანი, თოღრული და თულან არსლან კუზიანიც თავისი ჯარებით.

ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, ეს ლაშქარი ქართლში მანგლის-თრიალეთის გზით არის შემოსული.

ამ მხრივ სავსებით სწორია დავითის ისტორიკოსი. უძველესი დროიდან შიდა ქართლში შესვლა სწორედ ამ გზით შეიძლებოდა.

ამ გზას არა მარტო იმ დროისათვის, არამედ შემდეგაც - XIX საუკუნეშიც, დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებენ; როგორც ნიკოლოზ ბერძენიშვილი მიუთითებს, «მანგლის ფრიად ხელსაყრელი ადგილი უჭირავს. მანგლისის მხარე ეკვერის შიდა ქართლს, თბილისს, სომხით-საბარათიანოს და ნალკა-ჯავახეთს. იმყოფება რა ალგეთის, თეძმის, კავთურას და ვერეს გამოსავლებში, მანგლისის ხეობა სტრატეგიულად ბატონობს აღნიშნულ მხარეზე... სომხითიდან შიდა ქართლში, ჯავახეთიდან კახეთში უმოკლესი გზები სწორედ მანგლისზე გადიოდა».

ამიტომ იყო, რომ ვინც კი ამ გზით ფიქრობდა საქართველოს დამორჩილებას, მანგლისზე გადმოვლით მოდიოდა.

სწორედ აქედან უნდა იყოს შემოსული, ბერძენიშვილის ვარაუდით, «თურქ-სელჩუკთა კოალიცია დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ».

ლაშქრის თავმოყრა მანგლის-დიდგორში 1121 წლის აგვისტოს 10 რიცხვამდე უნდა მომხდარიყო.

მართალია, დავითის ისტორიკოსი 12 აგვისტოს ასახელებს მათი მოსვლის თარიღად, მაგრამ ეს თარიღი თვით ბრძოლისა უნდა იყოს და არა კოალიციური ლაშქრის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა.

საქართველოს ლაშქრის შემადგენლობა და რაოდენობა

არ არსებობს არავითარი ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებოდა საქართველოს სამეფო ხელისუფლება ამ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, მაგრამ, ცხადია, მას არ გამოეპარებოდა სულთანის და სხვა მაჰმადიან მფლობელთა მიერ მთელი 4-5 თვის მანძილზე გატარებული ღონისძიებანი. ამიტომაც იყო, რომ დავით აღმაშენებელი და მისი ლაშქარი სავსებით მზად იყო ბრძოლის მისაღებად.

გოტიეს სიტყვით, «მეფე დავით ოთხმოცი ათასი... მეომრით... იდგა ერთ ხეობაში - ორს მთას შორის მდებარე დაბურულ ტყეში».

როგორც მტრის, ისე ქართველთა ლაშქრის რაოდენობა გოტიეს გაზვიადებულად უნდა ჰქონდეს მოცემული.

ამ მხრივ უფრო სარწმუნო ჩანს სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი, რომელიც არა მარტო ლაშქრის რაოდენობის, თვით მისი შემადგენლობის შესახებაც ფრიად საინტერესო ცნობებს იძლევა.

დავით მეფე, წერს მათე ურჰაელი, ბრძოლის ველზე «მივიდა თურქთა ჯარების წინააღმდეგ 40 000 ძლიერი და გულადი კაცით და გამოცდილი მეომრით. მას ჰყავდა სხვა ჯარებიც ყივჩაღთა მეფისაგან, 15 000 გულადი და რჩეული, ხოლო ალანთა ტომისაგან 500 კაცი და ფრანგი 100».

ასე, რომ დავით აღმაშენებლის ლაშქრის რაოდენობა, ამ ცნობის მიხედვით, 56 000-იც კი არ ყოფილა.

ყურადღებას იქცევს თვით ლაშქრის შედგენილობა; როგორც ჩანს, მეომართა ძირითადი ნაწილი მეფეს საკუთრივ ქართველებისაგან შეუდგენია: 40 000 ძლიერი და გამოცდილი მოლაშქრე «სამეფო სპის» ნაწილს შეადგენდა და ცხადია, საკუთრივ ქართველებისაგან იყო შედგენილი.

მიუხედავად იმისა, რომ დავით აღმაშენებელს ყივჩაყთა 40 000-იანი მუდმივი ლაშქარი ჰყავდა, ამ გადამწყვეტ ბრძოლაში მას მხოლოდ 15 000 ყივჩაყი გამოუყვანია და ეს შემთხვევითი არ იყო.

როგორც ჩანს, მეფე ძირითად საყრდენ ძალად ისევ «სამეფო სპას», ქართველთა ლაშქარს თვლიდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ასეთ გადამწყვეტ ბრძოლასთან ჰქონდა საქმე.

თურქთა წინააღმდეგ მართლაც მხოლოდ რჩეული, უკვე ყოველმხრივ მისანდობ ყივჩაყთა გამოყვანა თუ შეიძლებოდა.

საქართველოს ლაშქრის მესამე ნაწილს «როქის სპას», ალანთაგან (ოსთაგან) დაქირავებული ჯარი შეადგენდა.

შემთხვევითი არ იყო ხუთასი ოსი მოლაშქრის დაქირავება და საამისოდ თანხის გაღება მაშინ, როცა მეფეს რეზერვში 25 000 მუდმივი მოლაშქრე ყივჩაყი ჰყავდა.

ესეც, ცხადია, დავითის სათანადო ტაქტიკური გეგმის მიხედვით იყო გაკეთებული და გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა.

გარკვეული მიზნით იყვნენ შეყვანილნი ქართველთა ლა-შქარში, თუმცა არც ისე დიდი რაოდენობით, «ფრანგებიც».

მათე ურჰაელი ამ ომში ასი «ფრანგის» მონაწილეობის შესახებ წერს, გოტიე კი ორას «ფრანგს» ასახელებს.

როგორც ჩანს, «ფრანგები» მართლაც მონაწილეობდნენ ამ ომში. «ფრანგებს» ქართველები მაშინ და შემდეგაც, დიდი ხნის მანძილზე, საერთოდ «ევროპელებს» ეძახდნენ.

ასე, რომ ეს ფრანგები იმ ევროპელ ჯვაროსანთა წარმომადგენლები იყვნენ, რომლებსაც ამ დროს მახლობელ აღმოსავლეთში ბრძოლები ჰქონდათ თურქ-სელჩუკებთან. ევროპელ რაინდებს, «ფრანგებს» დიდი გამოცდილება ჰქონდათ ამ მხრივ და მათი მონაწილეობა ქართველთა ამ გადამწყვეტ ბრძოლაში, ცხადია, სასარგებლო იქნებოდა.

ამასთანავე, მათი მონაწილეობა დიდგორის ომში იმ ურთიერთობითაც იყო გამოწვეული, რაც ამ დროსაც ჯვაროსნებსა და ქრისტიანულ საქართველოს შორის არსებობდა.

თუკი ადრე ჯვაროსნების წარმატებები თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში ხელს უმართავდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ამჟამად უკვე გაძლიერებული საქართველოს შეტევით ომებს საერთო მტრის წინააღმდეგ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯვაროსნებისათვის. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ საქართველოს სამეფოს სამზადისი თურქებთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის ჯვაროსნებს მხედველობიდან არ გამოორჩენოდათ და მასში ერთგვარი მონაწილეობაც მიეღოთ.

როგორც ვხედავთ, დავით აღმაშენებლის მიერ ყველაფერი წინასწარ იყო მოფიქრებული და გაკეთებული გამარჯვების უზრუნველსაყოფად. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, ომის წინ «მეფემან დავით, უშიშარმან და ყოვლად უძრავმან გულითა... წინა განაწყო სპა მისი. ყოველი საქმე შვენიერად და ღონიერად იყო, რაბამ რამე უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო».

მსოფლიოს «ბრძენთა ენა ვერ შემძლებელ არს მოთხრობად ზედმინევნით ყოველსავე», რაც იმ დროს მეფემ გააკეთაო - ნერდა დავითის ისტორიკოსი.

თურქ-სელჩუკთა ლაშქრის განლაგება

1121 წლის 10 აგვისტოსათვის თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის ძირითად ძალებს თრიალეთ-მანგლის-დიდგორის მიდამოები, მისი ყველა ძირითადი გზა და მისადგომი ჰქონდათ დაკავებული.

კოალიციური ლაშქრის ნაწილმა, როგორც ირკვევა, მანგლისსა და დიდგორში დაიბანაკა, მეორე ნაწილმა კი დიდგორის კალთებიდან შემოსულმა, დიღმის ხეობა დაიკავა.

მტრის ჯარით გაივსო როგორც ქვემო, ისე ზემო დიდგორი, რომელთაც დავითის ისტორიკოსი ერთ გეოგრაფიულ პუნქტად მოიხსენიებს, ოღონდ მრავლობითი რიცხვით – «დიდგორნი». დიდგორის ველი შესაყრელ პუნქტად მტერმა შემთხვევით არ შეარჩია - აქეთკენ მოემართებოდა არაერთი გზა და გადასასვლელი. კლდეკარი, საიდანაც ერთი გზა დიდგორისაკენაც მოდიოდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადასასვლელი იყო ქართლისაკენ მიმავალი დამპყრობლისათვის, დიდგორიდან მტერს გზა ეხსნებოდა თბილისისაკენ; ზოგი ძველი ისტორიკოსის მიხედვით, მტრის ლაშქრის დიდგორთან შეკრება – თბილისის კართან შეკრებას ნიშნავდა.

ამას გარდა, აქედან მათ შეეძლოთ, მცხეთის შემოვლით, გასვლა შიდა ქართლში და დავითის ლაშქრის გარემოცვა. გამარჯვების შემთხვევაში ისინი თბილისისაკენ აიღებდნენ გეზს, რომლის ხელში ჩაგდებაც მათ ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა და სადამდეც აქედან მხოლოდ ნახევარი დღის სავალი იყო.

ქართული ლაშქრის განლაგება

საქართველოს სამეფოს ლაშქარი დავით აღმაშენებლის მეთაურობით დიდგორის ველს ნიჩბისის საკმაოდ გაშლილი ხევით მიუახლოვდა. სწორედ ნიჩბისის ხევს მიჰყვება გზა დიდგორ-მანგლისისაკენ.

ეს ხეობა უნდა ჰქონდეთ მხედველობაში მათე ურჰაელსა და გოტიეს, როცა ისინი ქართველთა ლაშქრის ორ მთას შორის დაბანაკებისა და აქ გამართული ბრძოლის შესახებ მოგვითხრობენ.

გოტიეს მიხედვით, დავითის ლაშქარი დაბანაკებული იყო «ორ მთას შორის მდებარე დაბურულ ტყეში, რომლის მიმართულებითაც მტერი აპირებდა შეტევას».

როგორც ალ-ფარიკის ცნობიდან ირკვევა, საქართველოს ლაშქრის ერთი ნაწილი დავითის მემკვიდრის, დემეტრეს, სარდლობით ერთ ამ მთათაგანს აფარებდა თავს და იქიდან აპირებდა მოულოდნელ თავდასხმას. პირველი ბრძოლა ძირითად ნაწილს უნდა მიეღო, აქ კი თვით დავითი იდგა.

მას, ალ-ფარიკის სიტყვით, დასავლეთიდან უნდა შეეტია. ამრიგად, ყველაფერი მზად იყო გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

ქართული ჯარის სამზადისი ბრძოლისათვის

გოტიეს მოწმობით, დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ მოწოდების სიტყვით მიმართა თავის ლაშქარს. მას თვით ამ სიტყვის ტექსტიც აქვს მოტანილი თავის ქრონიკებში.

ამ ფაქტის რეალურობის შემოწმება შეუძლებელია, თუმცა ბევრ მკვლევარს გოტიეს ამ ცნობის სისწორეში ეჭვი არ ეპარება, ხოლო ზოგიერთ მათგანს დავითის ამ სიტყვის გოტიესეული ტექსტი ქართული მჭერმეტყველების ნიმუშების კრებულშიც კი აქვს შეტანილი.

«ეჰა, მეომარნო ქრისტიანო!»

თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთ რასმეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდევ რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევეუტიოთ!»

ამ სიტყვაში, რომელიც ძირითადად მოწოდებაა მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ ქრისტიანთა თავდადებული ბრძოლისაკენ, ისტორიკოსებისათვის ბევრი რამ არის ღირსშესანიშნავი. აქედან ჩანს, რომ დავითის ლაშქარი დაბანაკებულია ხეობაში, რომლის ვიწრო შესასვლელიც ხეთა ხორგებით შეუკრავთ.

ამით მეფეს თავისი ლაშქრისათვის უკანდახვევის ეს ერთადერთი შესაძლებლობაც მოუსპია.

როგორც ჩანს, დავითს თავის ლაშქარში ჯერ კიდევ ეგულებოდნენ ისეთები, რომელთათვისაც მხოლოდ «ღვთის სიყვარული» თავდადებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდებოდა.

უცხო ტომის (ყივჩაყების) მოლაშქრეებს კი არც ქვეყნის, საქართველოს, აღაფრთოვანებდათ მაინცდამაინც თავდადებისათვის. სწორედ ამიტომ სჭირდებოდა დავით აღმაშენებელს თავისი მებრძოლებისათვის უკანდასახევი გზის წინასწარ მოჭრა.

მართლაც, ამგვარი ღონისძიების შემდეგ მეომრებს ან უნდა გაემარჯვათ, ანდა მტრისათვის ზურგშეუქცეველი სიკვდილით დაემტკიცებინათ თავიანთი თავდადება ღვთისა და მეფისათვის.

ამავე დროს, ეს ღონისძიება მეფის ლაშქრის ზურგსაც უვნებელყოფდა.

ჯებირები მნიშვნელოვნად შეაფერხებდა ამ მხრიდან მტრის მხედრობის მოსალოდნელ იერიშებს.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ხის ხორაგებისა და ჯებირების გაკეთებას საკმაო დრო, მრავალრიცხოვანი მუშა ხელი და მასალა დასჭირდებოდა.

ბრძოლა

საისტორიო წყაროებში დიდგორის ბრძოლის დაწყების დღე და რიცხვი სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი.

ასე, მაგალითად, დავითის ისტორიკოსის თხზულების XV და XVIII საუკუნეების გადანაწერებში 18 აგვისტოა დასახელებული, ხოლო XVII საუკუნისა და XVIII საუკუნის ზოგ გადანაწერში - 12 აგვისტო. აღსანიშნავია, რომ დავითის ისტორიკოსის ძველ სომხურ თარგმანში, რომელიც მკვლევართა აზრით, XII საუკუნეშივეა შესრულებული, აგრეთვე 12 აგვისტოა მითითებული.

როგორც ჩანს, დავითის ისტორიკოსის თხზულების თავდაპირველ ხელნაწერში სწორედ 12 აგვისტო ყოფილა.

ამ მოსაზრებას ამყარებს მათე ურჭაელის მონაცემებიც. იგი არა მარტო თვესა და რიცხვს, ბრძოლის დღესაც კი ასახელებს, რაც წყაროთა მონაცემების დაზუსტების საშუალებას იძლევა.

ურჭაელის თხზულების ერთი (1869 წლის) გამოცემის მიხედვით, ბრძოლა მომხდარა 1121 წლის 15 აგვისტოს, «ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათს დღეს», მეორე, 1898 წლის გამოცემის მიხედვით კი - 13 აგვისტოს, ხუთშაბათს.

როგორც ჩანს, მათე ურჭაელის თხზულებასაც დავითის ისტორიკოსის თხზულების ბედი გაუზიარებია, მის შემდეგდროინდელ გადამწერებს რიცხვები აურევიათ, რადგან ხუთშაბათი დღე არ ყოფილა 1121 წლის არც 15-სა და არც 13 აგვისტოს.

ხუთშაბათი დღე იმ წლის აგვისტოს ზემოდხსენებული რიცხვებიდან (12-დან 18-მდე) 11-12-სა და 18-19 აგვისტოზე მო-

დიოდა, მაგრამ რადგან 18-სა და 19 აგვისტოს «ღვთისმშობლის მარხვა» უკვე დამთავრებული იყო, ზემოდ ხსენებულ რიცხვთა შორის «ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათს დღედ» მხოლოდ 12 აგვისტო შეიძლება მივიჩნიოთ, მით უფრო, რომ ამასვე გვთავაზობს დავითის ისტორიკოსის თხზულების დედანი და მისი უძველესი სომხური თარგმანიც.

ზოგიერთი მონაცემებით (გოტიე), შეტევაზე პირველად მუსლიმანთა კოალიციური ლაშქარი გადმოსულა; სხვა ისტორიკოსთა (მათე ურჰაელი, ალ-ფარიკი, იბნ ალ-ასირი) ცნობით კი, შეტევაზე პირველად ქართველთა ლაშქარი გადასულა და ბრძოლის დაწყების წინ დავით აღმაშენებელს კიდევ ერთი ტაქტიკური ხერხისათვის მიუმართავს.

იბნ ალ-ასირის მიხედვით, როდესაც ორივე მონინალმდევე ლაშქარი საომრად მტრისაკენ გაემართა, სადაც განლაგდა, საქართველოს ჯარს 200 ყივჩაყი გამოეყო და მაჰმადიანთა ლაშქრის სარდლობას ეგონა, ყივჩაყებმა ალბათ მეფეს უღალატეს და შეწყალების სათხოვნელად მოდიანო, ამიტომ ისინი დაუბრკოლებლად შეუშვეს თავიანთ განლაგებაში, მაგრამ ყივჩაღებმა უეცრად იარაღი იშიშველეს და მტრის მეომართა ხოცვა დაიწყეს. ეს სავსებით მოულოდნელი იყო მონინალმდეგისათვის, რამაც, ცხადია, მტერი დააბნია.

იბნ ალ-ასირის მიერ მოთხრობილი ეს საინტერესო დეტალი არ აქვთ აღნიშნული არც დავითის ისტორიკოსსა და არც მათე ურჰაელს. გოტიეს ერთ ცნობაში სწორედ ეს ფაქტი, 200 მეომრის მენინავეობა და თავდადება უნდა იგულისხმებოდეს, ოღონდ მას, როგორც ევროპელს, ყველაფერი ეს იმ ორასი «ფრანგისათვის» (ჯვაროსნისათვის) მიუწერია, რომლებიც იმ დროს დავით აღმაშენებლის ლაშქარში იბრძოდნენ. როგორც ჩანს, გოტიეს, «ფრანგების» დამსახურების გაზვიადებით დაინტერესებულს, ალბათ, თავისებურად გადაუკეთებია იმდროინდელი საისტორიო წყაროებით თუ გადმოცემებით შემონახული ცნობა დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ბრძოლის დროს გამოყენებული ტაქტიკური ხერხის შესახებ.

დღესდღეისობით მეფე დავითის მიერ აღნიშნული ხერხის გამოყენება დავის საგანს არ წარმოადგენს, თუმცა საეჭვოა, რომ მეფეს ეს დიდმნიშვნელოვანი ოპერაცია, რომელიც ქვეყნისა და მეფისათვის თავგანწირვას მოითხოვდა, ყივჩაყებისათვის და მით უფრო «ფრანგებისათვის» (ჯვაროსნებისათვის) მიენდო. აღსანიშნავია ისიც, რომ იბნ ალ-ასირი დავითის ლაშქარს საერთოდ «ყივჩაღთა ლაშქარს» უწოდებდა და მხოლოდ ამიტომ იხსენიებდა ამ ლაშქრიდან გამოყვანილ 200 მეზობლს ყივჩაყებად.

ამ არც ისე დიდი რაზმის მოულოდნელმა თავდასხმამ ერთხანს დააბნია მტერი. ამავე დროს, საქართველოს ლაშქარმა მტრის ფლანგებს ორი მხრიდან შეუტია.

ლაშქრის ერთი ნაწილი თვით მეფის სარდლობით ნიჩბისის ხევით, ალ-ფარიკის ცნობით დასავლეთიდან უტევედა მტერს, ხოლო დიდგორის ერთ-ერთი მხრიდან დემეტრე უფლისწული დაეშვა თავისი ლაშქრით და მთის ძირში საომრად განლაგებულ თურქ-სელჩუკთა ლაშქარს შეუტია.

«იქმნა სასტიკი ბრძოლა ორი მთის შორის, ისე რომ ლაშქართა საშინელი ხმაურისაგან ეს მთებიც იძახოდნენო (ხმაურობდნენო)» – წერს მათე ურჰაელი.

როგორც კი ბრძოლა შენივთდა, შეიკრა და გამარჯვების სასწორი ქართველთა მხარეს გადაიხარა, მტრის ლაშქრის დიდმა ნაწილმა ზურგი შეაქცია ბრძოლის ველს. შემთხვევითი არ არის, რომ დავითის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ «პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და სივლტოლად მიდრიკნა იგინი»-ო. ასევე წერს მათე ურჰაელიც, ბრძოლის შეკვრისას [ქართველებმა] გააქციეს თურქთა მთელი ჯარიო.

დავითის ისტორიკოსის მიხედვით, ეს სისხლისმღვრელი ბრძოლა მხოლოდ სამ საათამდე გაგრძელდა. იგი წერს:

«მეფისა დავითისი ესოდენტა (ასე მრავალრიცხოვან მოლაშქრეთა) მიმართ წინა-განწყობად (შტევა) სამ ჟამადმდე იყო (სამ საათამდე გაგრძელდა) და ვერცა პირველსა კუეთებასა (შეტაკებას) შეუძლეს წინა-დადგრომად»-ო.

თურქ-სელჩუკთა დამარცხებულმა ლაშქარმა დიდი ზარალი ნახა. მათე ურჰაელის სიტყვებით, «იმ დღეს იქნა სასტიკი და საშინელი ამონყვეტა თურქთა ჯარებისა და აღივსნენ გვამებით მდინარენი და მათათა ხეები და ყოველნი მათათა ქარაფნი დაიფარნენ» მტრის გვამებითო. მაჰმადიანთა ლაშქრის დიდი ნაწილის ამონყვეტის შესახებ მიუთითებს ალ-ფარიკი:

«მოიკლა მუსლიმანთაგან უთვალავი რაოდენობა და დარბეულ იქნენო». იბნ ალ-ასირის სიტყვებითაც «მაჰმადიანთა ლაშქრის უმეტესობა დაიღუპა ბრძოლის ველზე».

«აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითაო», - წერს დავითის ისტორიკოსიც; დახოცილთა შორის, მისივე სიტყვით, იყვნენ «სახელოვანი იგი მებრძოლნი არაბეთისანი». მაჰმადიან მოლაშქრეთა დიდი ნაწილი კი ტყვედ ჩაიგდეს ქართველებმა.

დიდგორის ბრძოლის აღმწერ ისტორიკოსებს ზოგიერთი ცნობა აქვთ დაცული თურქ-სელჩუკთა ლაშქრის ზარალის საერთო რაოდენობის შესახებაც.

რა თქმა უნდა, დაუჯერებელია გოტიეს ცნობა, რომლის მიხედვითაც ამ ბრძოლის დროს საქართველოს «მეფის მახვილით მოისპო ოთხასი ათასი კაცი».

ასევე, სარწმუნო არ არის ამ მხრივ მათე ურჰაელის მონაცემებიც. მისი სიტყვით, «იქმნა რიცხვი თურქთა ამონყვეტილი ჯარისა ორმოცი ბევრი (400 000), ხოლო შეიპყრეს ოცდაათი ათასი კაცი».

საერთოდ კი, მათეს ცნობით, მტრის ყოველი ათასი მოლაშქრიდან ასიც კი არ დარჩენილა ცოცხალი და გაუქცეველი.

მართალია, ალ-ფარიკი არ მიუთითებს დატყვევებულთა რაოდენობაზე, მაგრამ მისი ზოგადი ხასიათის ცნობიდანაც კარგად ჩანს, რომ ქართველებს ტყვედ ჩავარდნიათ «მუსლიმანთა და არაბთა აურაცხელი რაოდენობა», ისე რომ დიდგორის ბრძოლიდან ოცდათორმეტი წლის შემდეგაც, ალ-ფარიკის თბილისში ყოფნის დროს, ზოგი მათგანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

ქართველთა ლაშქარს ტყვედ წამოუყვანია არა მარტო უბრალო მოლაშქრენი, არამედ მათი სარდლებიცა და გოლიათებიც. დავითის ისტორიკოსი აღფრთოვანებული წერდა:

«გლახთა, – იხილემცა, ოდეს – არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ; და სხუათა გოლიათათჳს რადლა რამცა გჳნდოდა თქუმადა!»

რა თქმა უნდა, დიდგორის ბრძოლამ დაჭრილებისა თუ დახცილების სახით ბევრი ქართველი, ყივჩაყი, თუ ოსი მოლაშქრეც შეინირა.

მაგრამ საქართველოს ლაშქრის დანაკლისი, მტრის ჯარის დანაკლისთან შედარებით, იმდენად მცირე ყოფილა, რომ არც ერთ ძველ ისტორიკოსს მისი აღნიშვნა საჭიროდაც არ მიუჩნევია.

დავითის ისტორიკოსი იმასაც კი წერს, რომ მეფემ «თჳსნი სჳანი დაიცვნა უვნებელად», ყოველგვარი მნიშვნელოვანი ზარალის გარეშეო.

საქართველოს ლაშქარმა მრავალრიცხოვან ტყვეებთან ერთად დიდძალი ალაფიც იგდო ხელთ. მათე ურჳაელის სიტყვით, მტრის უჳატრონო «ცხენებისა და დაყრილ იარაღ-საჭურვლისაგან დაიფარა ყოველნი პირნი ველთანი».

აღ-ფარკიც კი იძულებულა აღნიშნოს:

ამ ომში «მათ [ქართველებმა] დიდძალი სიმდიდრე წაართვეს მუსლიმანებს»-ო. ამ ნადავლს თვით მოლაშქრენი და სამეფო ხელისუფლება დაეუფლა. დავითის ისტორიკოსის სიტყვით,

«ხოლო სჳანი ჩუენნი და უფროდსად ყოველი სამეფო აღივსო ოქროდთა და ვეცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა და სარაფარდებითა და სხჳთა ურიცხჳთა ჭურჭლებითა საბრძოლელი[ი]თა თჳთო-სახეთა ქოსთა [მიერ] და ფილაკავანთა, სასმურთა ტურფათა და სანადიმოთა, საბანელთა და სამზარეულოთა, – რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტეოს აღწერად!»

ყველაფერი ის, რაც ამ დროს ქართველების მიერ ნადავლის სახით იქნა აღებული. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა:

«ალაფთა მრავალრიცხოვნობის შესახებ არაფერს ვამბობთ, რადგან გლახებიც კი ოქრო-ვერცხლის გარდა სხჳას არ აღიებდნენ ნადავლისაგან»-ო.

ამ მრავალრიცხოვან ნადავლთა შორის მრავლად იყო ბრძოლის მონაწილე მთავარსარდალთა, დიდ მაჰმადიან მფლობელთა პირადი ნივთებიც.

ფრიად საინტერესო ცნობა დაუცავს ამ მხრივ თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს, «ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის» ავტორს.

თამარის ეს ისტორიკოსი დიდგორის ბრძოლის ამბებს იხსენიებს საქართველოს ლაშქრის მიერ 1195 წელს შამქორის ომში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების აღწერის დროს და სხვათა შორის აღნიშნავს: თამარმა იწყო შამქორის ბრძოლის შემდეგ მოპოვებული ნადავლის შეწირვა.

«დროშა იგი ხალიფასი, რომელი მოილო შალვა ახალციხელმან, წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა (გელათისა ღმრთისმშობლისა, მსგავსად მამის პაპისა (ე.ი. დავით აღმაშენებლისა) მათისა», რომელსაც დიდგორის გაქცევის (ე.ი. ბრძოლის) შემდეგ დურბეიზ სადაყის ძის ქედისაგან (კისრისაგან) მოძარცული ძვირფსსი თვლებით შემკული ოქროს მანიაკი შეუწირავს ამავე მონასტრისთვისო».

როგორც ჩანს, დიდგორის ბრძოლაში დამარცხებული და გზადაბნეული «არაბეთის მეფის», დუბეისასათვის ქართველ მოლაშქრეებს კისრიდან მოუგლეჯიათ მისი მფლობელის სიძლიერისა და სიზვიადის მაუწყებელი ძვირფასი, მოთვალულ-მომარგალიტებული ყელსაბამი, რომელიც ამ დიდი გამარჯვების აღსანიშნავად დავით აღმაშენებელს გელათის მონასტრისათვის შეუწირავს.

თამარის ისტორიკოსის ამ საინტერესო ცნობიდან ისიც კარგად ჩანს, თუ როგორ მძიმე განსაცდელში აღმოჩენილა «არაბთა მეფე» - იგი მხოლოდ სასწაულებრივ შემთხვევას გადაურჩენია სამარცხვინო ტყვეობისაგან.

დიდგორის ბრძოლაში მოპოვებული ნადავლის ნაწილის გელათის მონასტრისადმი შეწირვის შესახებ ცნობას იძლევა თვით დავითის ისტორიკოსიც.

მისი სიტყვით, მეფემ ახლად აშენებულ გელათს სხვა მრავალ «ყოვლად დიდებულ» და «ძნელად საპოვნებელ ნივთთა» გარდა, უხვად შესწირა «იავარად მოხმულნი» (ნადავლად აღებული), «დიდთა და ხორასანთა მეფეთა ტახტნი, საყდარნი (მისაყრდნობელიანი სასხდომები), კიდელნი ფერადაფერადი

და კვალად გვირგვინი და მანიაკი... რომელი მოუხუნა (წაართვა) მეფეთა არაბეთისათა, რა ჟამს თვით იგინიცა ტყვედ მოიყვანა, მასვე ტაძარსა შინა შეწირნა ღმრთისა სახსენოდ და სამადლობელად ძლევისა მის საკვირველისა».

ასეა, რომ ამ შემთხვევაში დავითის ისტორიკოსს, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში აქვს დიდგორის ბრძოლის მონაწილე «მეფენი არაბეთისანი» და ამ ბრძოლაში მოპოვებული მართლაც «ძლევად საკვირველი» (გამარჯვება).

როგორც ისტორიკოსი აღნიშნავს, დავითს გელათისათვის «გამარჯვების სამადლობელად» და «ღვთის სახსენებლად» შეუწირავს დიდგორის ბრძოლაში როგორც «იავარად მოხმული» ნივთები, ასევე ტყვეებიც.

ამრიგად, ქართველთა ლაშქარმა 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე თურქ-სელჩუკთა კოალიციურ ჯარებთან გადამწყვეტ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

მაგრამ მონინალმდევის დამარცხება დიდგორას ველზე ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მასზე საბოლოო გამარჯვებას.

ეს კარგად ესმოდათ ამ დიდ ნარმატებათა ორგანიზატორებს და ამიტომ იყო, რომ დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა, კვალდაკვალ მიჰყოლოდა ზურგშექცეულ მტერს, რათა მისთვის დაქსაქსული და დამარცხებული ძალების ხელახლა გაერთიანებისა და შემოტევის შესაძლებლობა არ მიეცა.

გაქცეული, თუ უკანდახეული მტრის დევნით დიდგორის ბრძოლის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ეტაპი დაიწყო.

აქაც გამოჩნდა დავით აღმაშენებლის, როგორც დიდი მხედართმთავრის ნიჭი და უნარი. დავითის ისტორიკოსის ცნობით, მეფე «მეოტთა (გაქცეულებს) სიმარჯვითა და განკრძალულად (ფრთხილად) სდევნიდა».

დამარცხებული და უწესრიგოდ უკანდახეული მტრის დევნა რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. მათე ურჰაელის მიხედვით, ქართველთა და ყივჩაყთა ლაშქარმა რვა დღე, ქალაქ ანისის საზღვრამდე სდია ილ-ლაზის დაქსაქსულ ჯარებს და დიდი ზიანი მიაყენა მას.

გოტიეს სიტყვით კი, დევნა თითქოს მხოლოდ სამი დღე გაგრძელდა და მტერმა ამ დროს გაცილებით მეტი ზარალი ნახა, ვიდრე თვით ბრძოლის ველზე.

იბნ ალ-ასირსაც არ გამოორჩენია მხედველობიდან ყოველივე ეს და საგანგებოდ მითითებული აქვს კიდევც, რომ ქართველებმა თურქებს 10 ფარსაგის მანძილზე სდიესო.როგორც ჩანს, ქართველთა ლაშქარს მართლაც მოუხერხებია დევნილი მტრის სრული დამარცხება და განადგურება. ისე რომ, მათმა სარდლებმა, თვით ილ-ლაზიმაც კი, ვერ შესძლეს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ძალის შემოკრება და დამარცხებული, ბრძოლაში დაჭრილი მთავარსარდალი, თავის სიძესთან ერთად, თვით ალ-ფარიკის ცნობით, მხოლოდ ოციოდე მხედრითურთ დაბრუნებულა თავის ქვეყანაში. ილ-ლაზის დაჭრისა და სამარცხვინო გაქცევის შესახებ წერენ როგორც მათე ურჰაელი, ისე გოტიე. ამ უკანასკნელის მიხედვით, «თვით ილ-ლაზი, თავში დაჭრილი, თითქმის ყველა თავისიანის სიკვდილის თვითმხილველი... გადარჩა, მცირე პირთა თანხლებით და უსაჭურვლო და სანახევროდ მკვდარი დაბრუნდა სახლში, არაბთა მეფის (დუბეისის) დახმარებით».

ასევე დამარცხებული და სირცხვილეული დაბრუნდნენ ილ-ლაზთან ერთად, მათე ურჰაელის სიტყვით, სხვა სარდლებიც:

«ძლივს მოახერხეს რა გაქცევა, სპარსთა სულთანი მალიქი (თოღრული) და ხაზი (ილ-ლაზი) დაბრუნდნენ დიდად შერცხვენილნი თავიანთ ქვეყანაში».

ამრიგად, როგორც დიდგორის ველზე, ასევე მტრის კვალ-დაკვალ დევნისა და ხოცვის დროს ქართველთა შედარებით მცირერიცხოვანმა ლაშქარმა დიდი გამარჯვება მოიპოვა. თურქ-სელჩუკთა დიდმა კოალიციურმა ლაშქარმა სასტიკი დამარცხება იგემა არა მარტო დიდგორის ველზე, საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მის საზღვრებს გარეთაც, მათ მიერვე დაპყრობილ ტერიტორიაზე.

დიდგორის ველზე მტრის კოალიციური ლაშქრის დამარცხების, მისი საკმაოდ ხანგრძლივი დევნისა და საბოლოოდ განადგურების შემდეგ, დავით აღმაშენებელს გზა გაეხსნა თბილი-

სისაკენ. დიდგორის ბრძოლაში მეფემ დაამარცხა არა მარტო თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქარი, არამედ იმ ქალაქების დამოუკიდებლობაცა და გაერთიანებაცა, რომლებიც საქართველოში კოალიციურ ლაშქარს იწვევდნენ დავითის წინააღმდეგ.

დიდგორის ველზე არსებითად გადაწყდა თბილისის, დმანისისა და სხვა ქალაქთა ბედიც, იწყებოდა მათი დამოუკიდებლობის აღსასრული. მას შემდეგ, რაც საქართველოს ქალაქების კავშირმა (თბილისმა და დმანისმა) ასეთი დიდი ომი გაუმართა სამეფო ხელისუფლებას, დავითი სავსებით დარწმუნდა, რომ საქართველოს ჯერ კიდევ დამოუკიდებელი ქალაქები უბრძოლველად არ დასთმობდნენ პოზიციებს და მათ კიდევ ახალი დამხმარე ძალების მოწვევა რომ არ ეცადათ, მეფემ გეზი პირდაპირ თბილისისაკენ აიღო. ასე რომ, 1122 წელს თბილისის, ხოლო 1123 წელს დმანისის აღება, არსებითად, სწორედ დიდგორის ბრძოლის გაგრძელებას წარმოადგენდა. დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა ქვეყნის საბოლოო გათავისუფლება და დასაბამი მისცა ოქროს ხანას საქართველოს ისტორიაში, ამასთანავე, საქართველომ საბოლოოდ დაიმკვიდრა რეგიონის უძლიერესი სახელმწიფოს სახელი.

-
- **დიდგორი** - სოფელი თბილისში. მდებარეობს დიდგორის მთის სამხრეთ კალთაზე, დიღმის-წყლის ხეობაში.
 - **მათეოს ურჰაეცი**, მათე ურჰაელი, ედესელი, (XII საუკუნის I ნახევრის სომეხი ისტორიკოსი.
 - **მაჰმად იბნ იუსუფ იბნ ალი ალ-ფარიკი** (1116-1181) - არაბი ისტორიკოსი და მოგზაური
 - **გოტიე** - ანტიოქიის სამთავროს კანცლერი.
 - **იზ-ალ-დინ აბუ ლ-ჰასან ალი იბნ ალ-ასირი**, ან უბრალოდ იბნ ალ-ასირი (1160-1234) - არაბი ისტორიკოსი
 - **დემეტრე I** - საქართველოს მეფე 1125-1156, აღმაშენებლის მემკვიდრე.
 - **ივანე ჯავახიშვილი** (1876-1940) - ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე,
 - **ნიკოლოზ (ნიკო) ალექსანდრეს ძე ბერძენიშვილი** (1895-1965) ქართველი ისტორიკოსი.

ნილის ბრძოლა (1191 წ.)

ბრძოლა თამარ მეფის ერთგულ ლაშქარსა და გიორგი რუსის გამეფების მოსურნე დიდებულებს შორის.

გაიმართა 1191 წელს. თამარის მონინალმდევე დიდებულების ნაწილი **ვარდან დადიანის** მეთაურობით სამცხე-ჯავახეთში გადავიდა.

პირველმა ბრძოლამ მტკვართან, «ხილსა ზედა», ვერ გამოავლინა გამარჯვებული.

მეამბოხებმა უკან დაიხიეს და გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ნილის ველზე, ხანრის-წყალთან.

თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, მეფის ერთგულმა ჯარმა ამბოხებულები სასტიკად დაამარცხა.

შამქორის ბრძოლა (1195 წ.)

შამქორის ბრძოლა გაიმართა 1195 წლის 1 ივნისს.

საქართველოს სახელმწიფო ლაშქრის ბრძოლა ირანის აზერბაიჯანის ათაბეგის აბუ ბაქრის (1191-1210) წინააღმდეგ შამქორის (ახლანდელი აზერბაიჯანი) მახლობლად.

აზერბაიჯანის ილდეღიზიდი ათაბეგის უძეო ყიზილ-არსლანის (1186-1191) სიკვდილის შემდეგ ხელისუფლებისათვის ბრძოლა მის ძმისშვილებს შორის ატყდა.

შუათანა ძმამ **აბუ ბაქრმა** დაამარცხა უფროსი ძმა ხუტლუ ინანჩი და მიიტაცა ათაბეგობა.

უმცროსი ძმა ამირ მირანი შირვანშაჰ **ალსართან I** (ახსითან I) დაესიდა. აბუ ბაქრმა მალე ისინიც დაამარცხა.

-
- **ვარდან დადიანი** - საქართველოს დიდგვაროვანი ფეოდალი XII საუკუნის II ნახევარში. თამარ მეფის კარზე ეჭირა ჯერ ჩუხჩარხის თანამდებობა, შემდეგ მსახურთუხუცესობა. დადიანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო გიორგი რუსის გასამეფებლად დიდგვაროვანთა მიერ მოწყობილ აჯანყებაში.

იმავე ხანს მიწისძვრამ დააქცია შირვანის მთავარი ქალაქი შემახა და ბევრი ადამიანი იმსხვერპლა.

შირვანშაჰმა და ამირ მირანმა შემწეობა სთხოვეს საქართველოს მეფეს თამარს, რომელმაც დახმარება აღუთქვა მათ.

ამის შემდეგ აღსართანი და ამირ მირანი პირადად ეახლნენ **თამარს**. საქართველოში მათ საზეიმო მიღება გაუმართეს და ლაშქრობის თადარიგიც დაიჭირეს.

ათაბაგი აბუ ბაქრიც შეუდგა მზადებას და მეზობელ მუსლიმან გამგებლებსაც უხმო საომრად.

ბაღდადის ხალიფამ მას თავისი დროშა და ათასი ოქრო გამოუგზავნა. აბუ ბაქრმა ქალაქი **განდა** მიატოვა, დასავლეთისკენ დაიძრა მონინაალმდეგის შესახვედრად და ციხე-ქალაქ შამქორთან დაბანაკდა. საქართველოს ლაშქარს დავით სოსლანი სარდლობდა.

შამქორს რომ მიუახლოვდნენ, მან ორად გაჰყო ლაშქარი. შედარებით მცირე ნაწილმა ქალაქის კართან გამართა ბრძოლა, უფრო დიდი ნაწილით კი დავით სოსლანმა შამქორი მარჯვნივ მოიტოვა და ღრმა რეიდი განახორციელა მტრის ზურგში.

ცუდი და უვალი გზის გამო მის ლაშქარს შეაგვიანდა და ქალაქის კართან მეზობლ რაზმს ერთხანს გაუჭირდა, მაგრამ ბოლოს დავით სოსლანი წამოეშველა ძირითადი ლაშქრით და ამან გადაწყვიტა ბრძოლის ბედი.

მეორე დღეს შამქორელებმა ქალაქის კლიტეები მოართვეს ქართველებს.

მაღე აბუ ბაქრმა გაქცევით უშველა თავს. ქართველებმა განძის ბაღებამდე სდიეს მონინაალმდეგეს.

მაღე განდაც დამორჩილდა. შამქორის ბრძოლაში ქართველთა ლაშქარმა დიდი ნადავლი აიღო.

ნადავლში იყო ხალიფას მიერ გამოგზავნილი დროშაც, რომელიც თამარმა გელათის მონასტერს შესწირა.

ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ქართველებმა შამქორის ბრძოლაში დაამარცხეს მუსლიმანური ქვეყნების უზარმაზარი კოალიციური ლაშქარი, რომელშიც თითქოს შუა აზიიდან და ინდოეთიდან მოსული ჯარიც კი იყო.

სინამდვილეში ახლო აღმოსავლეთში მაშინ არ იყო შესაფერისი სიტუაცია კოალიციური ლაშქრობის მოსაწყობად.

ქართველებს საქმე ჰქონდათ ირანის აზერბაიჯანის ათაბაგის აბუ ბაქრის სამხედრო ძალასთან, რომელსაც შესაძლოა, მეზობელი ამირები მიეშველნენ თავიანთი რაზმებით.

ბასიანის ბრძოლა (1203 წ.)

ბასიანის ბრძოლა 1203 - საქართველოს სამეფო ლაშქრის ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბასიანში, ქალაქ არზრუმიდან ჩრდილოეთ აღმოსავლეთით დაახლოებით 60 კმ-ზე.

შამქორის ბრძოლაში 1195 აღმოსავლეთ თურქ-სელჩუკთა კოალიციაზე გამარჯვების შემდეგ საქართველო წამყვანი პოლიტიკური ძალა გახდა წინა აზიაში.

იგი ესრნაფებოდა საზღვრების გაფართოებას და სელჩუკთა საბოლოო უკუგდებას.

რუმის სულთანმა **რუქნ-ად-დინმა** მიზნად დაისახა შავიზღვი-სპირეთის ხელში ჩაგდება და აღმოსავლეთში გაბატონება.

მან ერზინკის, აბულისტანის, ბორიტის, არზრუმისა და შამის (სირია) მფლობელებთან ერთად დაახლოებით 400 000 ჯარით საქართველოზე გამოილაშქრა. ბოლისტეკს (ჰასან-ყალა) მო-

-
- **შამხორი (შამკირი)** -ქალაქი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში
 - **განძა (განჯა)**-ქალაქი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში
 - **აბდულა აბუ ბაქრი** , (573-634 - მუჰამედის სიმამრი და პირველი მუსლიმი ხალიფა 632-634 წლებში.
 - **ახსითან I**, ასევე ცნობილი, როგორც აბულ-მუზაფარ მანუჩაჰრ ახსითან ბენ-ქესრანი (ქართული წყაროების მიხედვით აღსართან შირვანშა) - შირვანშაჰი 1149-1203 წლებში
 - **თამარი**, თამარ მეფე (1160-1213) საქართველოს დედოფალი 1184 წლიდან, გიორგი III ასული,
 - **დავით სოსლანი** (გ. დაახლ. 1205) - სახელმწიფო მოღვაწე, თამარ მეფის მეორე მეუღლე.

სულმა რუქნ-ად-დინმა თამარ მეფეს მოციქულის პირით დამორჩილება მოსთხოვა.

დროის მოგების მიზნით ქართველებმა სულთნის მოციქულს პასუხი დაუყოვნეს, სასწრაფოდ ჯავახეთში ლაშქარი შეჰყარეს (დაახლოებით 90 000 ათასი კაცი). დავით სოსლანის რჩევით, გადანყვიტეს მტერს მოულოდნელად დასხმოდნენ თავს.

სულთნის ლაშქარს ბასიანში ბუნებრივი სიმაგრეებით დაცული პოზიცია ეკავა, ამიტომ ქართველებმა ხერხს მიმართეს: ღამით ჩუმად მტრის ბანაკს მიადგნენ და ჯარები საბრძოლველად დაანყვეს.

მარჯვენა ფრთაზე «აფხაზნი და იმერელნი» იდგნენ, მარცხენაზე - «ამერელნი და ჰერნ-კახნი», ცენტრში - 30-40 ათასიანი რაზმი შალვა და ივანე ახალციხელებისა და «სხვათა თორელთა».

წინამებრძოლთა რაზმს სათავეში ედგა **ზაქარია მხარგრძელი**. ბრძოლის საერთო მეთაური იყო დავით სოსლანი.

ქართველებმა იერიშის წინ მტრის მოციქული გაათავისუფლეს და სანამ იგი რუქნ-ად-დინთან დაბრუნდებოდა, ქართველთა მენინავენი განთიადისას მტრის ბანაკში შეიჭრნენ.

მოულოდნელმა თავდასხმამ სელჩუკთა ლაშქარში არეულობა გამოიწვია. რუქნ-ად-დინდა შეძლო უკუქცეულთა შეჩერება, საბრძოლველად დანყობა და შეტევაზე გადასვლა. ხელჩართულ ბრძოლაში ორივე მხარეს დიდი ზარალი მოსდიოდა.

მთიანი ოღრო-ჩოღრო ბრძოლის ველი ცხენოსანთა მოქმედებას ზღუდავდა, ამიტომ ქართველები ჩამოქვეითდნენ და ისე იგერიებდნენ იერიშებს.

მტერმა ბრძოლაში ახალი ძალები ჩააბა. ქართველთა მენინავებმა მათი შეკავება ვეღარ შეძლეს. რუქნ-ად-დინს ბრძოლა მოგებული ეგონა, მაგრამ ქართველებმა ჩასაფრებული მთავარი ძალები აამოქმედეს.

ჯერ დავით სოსლანმა მარცხენა მხრიდან შეუტია, როდესაც რუქნ-ად-დინმა თავისი ძალები მის წინააღმდეგ გადაისროლა, მარჯვენა ფრთიდან ამერთა და ჰერეთ-კახეთის რაზმები გადავიდნენ შეტევაზე. თურქებმა ვერ გაუძლეს ორმხრივ იერიშს და «ზარგახდინი» (თავზარდაცემულნი) უკუიქცნენ.

ქართველებმა მტერს დალამებამდე სდიეს, ხელთ იგდეს დიდი ალაფი, სულთნის დროშა და უამრავი ტყვე. დაჭრილი რუქნ-ად-დინი ბრძოლის ველიდან არზრუმს გაიქცა.

ბასიანის ბრძოლამ კიდევ უფრო გაამტკიცა საქართველოს ჰეგემონობა ახლო აღმოსავლეთში.

ბარნისის ბრძოლა (1225 წ.)

ერთ-ერთი მთავარი ბრძოლა საქართველოს ლაშქარსა და ხვარაზმელებს შორის.

მონღოლ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ხვარაზმის შაჰმა ჯალალ-ად-დინმა გადანყვიტა დაემორჩილებინა მთელი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები.

ჯალალ-ად-დინის მოწოდებას - დამდგარიყვნენ მისი დროშის ქვეშ, ქართველებმა უარით უპასუხეს.

მაშინ ჯალალ-ად-დინი დაიძრა საქართველოს წინააღმდეგ. ქართველთა ლაშქარი, რომლის მთავარსარდლადაც რუსუდან მეფემ ათაბაგი ივანე I მხარგრძელი დანიშნა, მტერს სომხეთში, გარნისის მიდამოებში მიეგება.

-
- **ბასიანი** - პროვინცია ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ისტორიული მესხეთის ნაწილი, მდინარე არაქსის სათავეების რაიონში (თურქეთის ტერიტორია).
 - **სულეიმან II**, ასევე ცნობილი, როგორც **რუქნ-ად-დინ** სულეიმან-შაჰი რუმის სულთანი 1196-1204 წლებში
 - **ზაქარია II მხარგრძელი** (გ. 1212) - ქართველი დიდებული. სახელმწიფო მოღვაწე XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე, ამირსპასალარ სარგისის ძე.

მეომართა რაოდენობა

რუსუდანის ბრძანებით, ქვეყნის ყველა კუთხეში ჯარის შე-საკრებად გაიგზავნა **მაღემსრბოლი**.

ამ პერიოდში საქართველოს შეეძლო გამოეყვანა 80-90 ათასი მეომარი, თუმცა, როგორც ჩანს, ქართველებს გარკვეული რესურსი დაუტოვებიათ და 60-70 ათასამდე მეომარი გამო-უყვანიათ.

ჯალალ-ად-დინის არმია გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო. ჟამთააღმწერლის თქმით, ხვარაზმ-შაჰს 140 ათასი მეომარი დაუძრავს საქართველოს წინააღმდეგ.

სომეხი მემამულიანების თქმით, მუსლიმური კოალიცია 200 ათას მეომარს ითვლიდა.

რამდენად შეეძლო ხვარაზმიდან დევნილ შაჰს თუნდაც 140 ათასიანი არმიის მობილიზება საკამათოა, თუმცა ის აკონტროლებდა ირანის მნიშვნელოვან ნაწილს.

ამასთანავე საქართველოს წინააღმდეგ ჯალალ-ად-დინის მიერ გამოცხადებულ საღვთო ომში მონაწილეობდნენ ერაყის მუსლიმებიც.

განლაგება

ქართველთა ავანგარდს შეადგენდა მესხთა ლაშქარი თო-რელების, შალვა და ივანე ახალციხელების მეთაურობით. სა-ქართველოს ლაშქარი გორაკზე იყო განლაგებული, მტრის ჯარს კი დაბლობი ეკავა.

ჯალალ-ად-დინის ცენტრს მხედრობა ქმნიდა, მარცხენა ფრთას სულთნის ძმა ღიას ად-დინი სარდლობდა. მარჯვენა ფლანგზე ჯალალ-ად-დინმა მშვილდოსნები განალაგა.

ბრძოლა

ბრძოლა დაიწყო მტრის მარცხენა ფრთის შეტევით ქართველთა ავანგარდზე.

გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა, რომელშიც მალე მტრის მთავარი ძალებიც ჩაებნენ.

ამასობაში ივანე და შალვა ახალციხელებმა ქართველთა არმიის სარდალს ივანე ათაბაგს რამდენიმეჯერ გაუგზავნეს შუამავალი, რათა ქართული არმიის ძირითადი ძალები მტრის წინააღმდეგ დაედრა, მაგრამ დახმარება არსაიდან ჩანდა.

გარნისის მალლობზე საქართველოს არმიის სამხედრო ძალები გაუნძრევლად იდგნენ. ძირითადი ძალების დახმარებას მოკლებული ქართველთა მცირერიცხოვანი ავანგარდი იძულებული გახდა უკან დაეხია.

შალვა ახალციხელი მტერმა ტყვედ ჩაიგდო, მთებს შეხიზნული ივანე კი კლდიდან მოსხლეტილმა ლოდმა მოკლა.

ბრძოლა ქართველთა დამარცხებით დამთავრდა. ივანე ათაბაგმა გაქცევით დააღწია თავი დატყვევებას და ბიჯნისის ციხესიმაგრეს შეაფარა თავი.

გარნისთან დამარცხების მიზეზი იყო სამეფო ხელისუფლების დასუსტება და დიდმოხელე ფეოდალთა შორის შურისა და მტრობის გაძლიერება. ამ მარცხით დაიწყო საქართველოს პოლიტიკური ძლიერების დაცემა.

შედეგი

ჯალალ-ად-დინმა დვინი აიღო და თბილისისაკენ დაიძრა. ამ დროს მისი ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს დატყვევებული შალვა ახალციხელი, რომელიც მტრის ბანაკიდან წერილებს აგზავნიდა და ქართველებს მტრის გეგმებს ატყობინებდა.

რუსუდანმა დედაქალაქი მიატოვა და ქუთაისში გადავიდა. თბილისის დაცვა კი ბოცო და მემნა ბოცოსძეებს დაავალა.

1226 წელს შინაგამცემლობის შედეგად ჯალალ-ად-დინმა თბილისიცი აიღო, რომელიც გამარჯვებულმა მეომრება ააოხრეს. ამავე პერიოდში მოხდა 100 ათასი მოწამის გაჟლეტაც.

- **გარნისი, გარნი** - დაბა სომხეთში. მდებარეობს ერევნიდან 28 კმ-ში ქოთაიქის პროვინციაში, გელამის მთების ძირას, მდ. აზატის ხეობაში.
- **ჯალალ-ად-დინ მანგუბერდი**, საქართველოში უკეთ ცნობილი, როგორც ჯალალ-ად-დინი - ხვარაზმთა იმპერიის ბოლო მმართველი.
- **მუჰამედ II** (გ. 1220), ხვარაზმის შაჰი (1200-1220 წწ.). 1207 და 1212 წლებში ჩაახშო სახალხო აჯანყებები ბუხარასა და სამარყანდში.
- **რუსუდანი** (დ. დაახლ. 1194 - გ. 1245) - საქართველოს მეფე 1223-1245, თამარ მეფის და დავით სოსლანის შვილი.
- **ივანე I მხარგრძელი** (გ. 1227) - საქართველოს დიდებული XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის პირველ მესამედში. ამირსპასალარ სარგისის ძე.
- **თორელები** - დიდგვარიან ფეოდალთა საგვარეულო XII-XIV საუკუნეების საქართველოში. სახელწოდება წარმოდგება მათი საგვარეულო მამულიდან - თორი (ახლანდელი ბორჯომის რაიონში).
- **შალვა ახალციხელი** (გ. 1226) - XII-XIII ს.ს. საქართველოს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, . შამქორის ბრძოლაში (1195) ხელთ იგდო ხალიფის დროშა, რომელიც თამარ მეფემ გელათში ხახულის ღვთისმშობელს შესწირა.
- **ივანე ახალციხელი** (გ. 1225), XII-XIII ს.ს. ქართველი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე; ქართველების მიერ კარის (ყარის) აღების შემდეგ (XIII საუკუნის დასაწყისი) თამარ მეფემ დანიშნა მის მცველად და მონაპირედ, უბოძა კარის მომიჯნავე მხარეები – «კარული ქვეყანა», ათაბაგობა და ამირთამირობა. თავის ძმასთან – შალვასთან ერთად სარდლობდა მესხთა მონინავე ლაშქარს ბასიანისა (1203) და გარნისის (1225) ბრძოლებში. დაიღუპა გარნისის ბრძოლაში
- **ბოცო ბოცოს ძე**, XIII საუკუნის I ნახევარში ქართველი მოღვაწე, სამცხის დიდგვაროვან ფეოდალთა - ბოცოსძეთა პირველი თაობის წარმომადგენელი, ბოცო ჯაყელის ძე, თბილისის დამცველები ბოცოსძის მეთაურობით ისანში გამაგრდნენ. ამის შემდეგ ბოცოსძე წყაროებში აღარ იხსენიება.
- **მემნა ბოცოს ძე** (იგივე ივანე-მემნა), XIII საუკუნის I ნახევარში ქართველი მოღვაწე, სამცხის დიდგვაროვან ფეოდალთა - ბოცოსძეთა პირველი თაობის წარმომადგენელი, ბოცო ჯაყელის ძე. 1226 წელს, ჯალალ-ად-დინის შემოსევის დროს, რუსუდანი მეფემ ბოცოსძე და მის უმცროს ძმას ბოცო ბოცოსძეს დაავალა თბილისის დაცვის ხელმძღვანელობა.
- **მალემსრბოლი** -პირი, რომელიც იგზავნებოდა შორეულ ადგილას საქმიანი ქალაქების ან ცნობების სასწრაფოდ გადასაცემად

ბოლნისის ბრძოლა (1227/1228 წწ.)

ბოლნისის ბრძოლა - საქართველოს ლაშქრის ბრძოლა ხვარაზმელების წინააღმდეგ ბოლნისის მახლობლად 1227 ან 1228 წელს.

ჯალალ-ად-დინის 1225-1226 წლების ლაშქრობებით განადგურებამდე მისული საქართველო მეზობელ მუსლიმან მმართველებს (რუმის სულთანს, ხლათის მმართველ შაჰ-არმენს და სხვა) დაუკავშირდა და ხვარაზმ-შაჰის წინააღმდეგ ბრძოლის სამზადისს შეუდგა.

ჯალალ-ად-დინმა დროულად შეიტყო ეს და გადანყვიტა დაესწრო მოკავშირეებისათვის.

თავდაპირველად 1227 წელს ხვარაზმ შაჰი მულანის ველზე დაბანაკდა, ხოლო საქართველოს ლაშქარი, რომლის შემადგენლობაში ჩრდილო-კავკასიელი მეომრებიც იყვნენ - **ნაჭარმაგევი** (ისტორიკოს **ნესევის** ცნობით, ქართველთა ლაშქარი 40 000 აღემატებოდა).

ნაჭარმაგევიდან საქართველოს ჯარი თბილისზე გავლით სამხრეთით დაიძრა.

ამ დროს ხვარაზმელები უკვე ბოლნისის ხეობაში იდგნენ. ქართველები იძულებული გახდნენ მოკავშირე მაჰმადიანური ქვეყნების ლაშქრის მოსვლამდე შებოძნენ მტერს, სასტიკ ბრძოლაში დამარცხდნენ და დიდი ზარალით უკუიქცნენ.

ჯალალ-ად-დინმა დაარბია და გაძარცვა საქართველოს სხვადასხვა მხარეები.

-
- **ალ-ნასავი** (ალ-ნესევი), ხვარაზმ-შაჰთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის - ჯალალ-ად-დინის პირადი მდივანი და ისტორიკოსი (გ. 1249).
 - **ნაჭარმაგევი** - ერთ-ერთი სამეფო რეზიდენცია შუა საუკუნეების საქართველოში; ახლანდელი სოფ. კარალეთის (გორის რაიონი) ადგილზე
 - **ბოლნისი** - ქალაქი საქართველოში, ქვემო ქართლის მხარეში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი

ქვიშხეთის (ანუ ახალდაბას) ბრძოლა (1260 წ.)

ბრძოლა ქართველებსა და მონღოლებს შორის ქვიშხეთისა და ახალდაბის მიდამოებში.

ჰულაგუ-ყაენმა დავით VI ნარინის აჯანყების ჩასაქრობად 20 000-იანი ლაშქარი გამოგზავნა არლუნ-ალას სარდლობით. მონღოლებს დავით ნარინი დასავლეთ საქართველოში გახიზნული დაუხვდათ.

მაგრამ ახლა აჯანყებულ დავით VII ულუს წინააღმდეგ მოუხდათ ბრძოლა.

მეფე სამცხეში იყო გამაგრებული თავის მომხრე დიდებულებთან ერთად და ბრძოლისათვის ემზადებოდა.

აჯანყებულ ქართველთა ლაშქარი მხოლოდ 8000 მეომრისაგან შედგებოდა.

არლუნ-ალამ კი თბილისში შეიერთა ის ქართველი მთავრებიც, რომლებიც დავითს არ გაჰყვნენ.

ქართველთა ლაშქარს **სარგის ჯაყელი** სარდლობდა. მან ჯარი ტაშისკარის ვინროებიდან გაიყვანა და მტერს გაშლილ ადგილზე შეეგება (რაც სტრატეგიული თვალსაზრისით შეცდომა იყო).

აჯანყებულებმა თავდაპირველად სძლიეს მტერს, მაგრამ შემდეგ გაშლილ ველზე ბრძოლას ვერ გაუძლეს. ქართველები დამარცხდნენ. მაგრამ მონღოლებმა აჯანყებული მეფე ხელთ ვერ ჩაიგდეს.

-
- **ქვიშხეთი** - სოფელი საქართველოში, შიდა ქართლის მხარის ხაშურის მუნიციპალიტეტში, ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთზე
 - **ახალდაბა** - დაბა ბორჯომის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მტკვრის ორივე მხარეს მდინარე ნეძვის-წყლის შესართავთან
 - **დავით VI ნარინი** (1225-1293), საქართველოს მეფე 1245 (1247)-1293 რუსუდან მეფის ძე.
 - **დავით VII ულუ** (1216-1270) - საქართველოს მეფე 1247-1270 წლებში, გიორგი IV ლაშას უკანონო შვილი.
 - **სარგის I ჯაყელი** (გ. 1285) - საქართველოს სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე XIII საუკუნის II ნახევარში, მეჭურჭლეთუხუცესი, სამცხის (მესხეთის) მმართველი, სპასალარი, 1260 მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყების ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური მონაწილე იყო.

საქართველო XIV საუკუნეში

XIV საუკუნის დასაწყისიდან მონღოლებმა გააძლიერეს ბრძოლა **დავით VIII** დასამორჩილებლად. საქართველოში არაერთხელ შემოვიდა ილხანთა ჯარი. მონღოლებმა სასტიკად მოაოხრეს ქართველის დიდი ნაწილი. მეფე დავითი არაგვის ხეობაში იყო გამაგრებული. ზოგიერთი მოღალატე ფეოდალი მეფეს გამოექცა და მონღოლების მხარეს გადავიდა. მაგალითად ქსნის ერისთავი **შალვა ქვენიფნეველი**, რომელიც მონღოლებმა თავისი ჯარის სარდლად დანიშნეს.

ასევე მონღოლების მხარეს იბრძოდა **შანშე მხარგრძელიც**. აჯანყებულთა წინააღმდეგ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ოსები. მათი მთავარი ბაყათარი შალვა ქვენიფნეველთან ერთად მოუძღოდა დამსჯელ ლაშქარს მთიულეთში. მეფის მხარეს ერთგულად იდგნენ - **ჰამადა სურამელი**, ჭილა ამირეჯობი. ქართლის და სომხეთის აზნაურთა დიდი ნაწილი და ადგილობრივი თემების მოსახლეობა - ხადელები და მთიულ მოხევეები. არაგვის ხეობაში მონღოლ ცეხენოსანს მოქმედება არ შეეძლო, ხოლო ქვეით ნაწილს ვიწრო ხეობაში უჭირდა ბრძოლა.

აჯანყებულებს მონღოლებმა ქსნის ხეობიდან ცხრა ძმის ხევით შეუტყეს. გადავიდნენ თუ არა ისინი არაგვის ხეობაში, მეფის ლაშქარმა ისინი მარტივად დაამარცხა. მონღოლი სარდალი დიდად დაზარალებული გამობრუნდა.

-
- **ტრაპიზონი** -ქალაქი თურქეთის რესპუბლიკაში, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე, ტრაპიზონის პროვინციის დედაქალაქი; ისტორიული ტრაპიზონის იმპერიის დედაქალაქი.
 - **დავით VI ნარინი** (1225-1293), საქართველოს მეფე 1245 (1247)-1293, რუსუდან მეფის ძე.
 - **თეოდორა დიდი კომნენოსი** (1253-1285) - ტრაპიზონის იმპერიის მერვე იმპერატორი 1284-1285 წწ. კომნენოსების დინასტიის წარმომადგენელი.

რადგან დავითის დამორჩილება არ ხერხდებოდა, **გიორგი V** კი მცირეწლოვანი იყო. ამიტომ **ყაზან ყაენმა 1302** წელს მეფედ კვლავ **ვახტანგ III** დაამტკიცა. ძმებს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. კიდევ ერთი, რასაც მემატყიანე ამბობს არის ის, რომ ვახტანგს არ სურდა დაპირისპირება ძმასთან და ბრძოლა მაგრამ თათართა შიშით შეეხება.

ამასობაში დავით VIII მძიმე სენით დაავადდა და ბრძოლის გაგრძელება აღარ შეეძლო. დავითს ვახტანგმა ჯავახეთი დაუთმო რომლის ცენტრი ალასტანი იყო. ყაზან ყაენი ამას თანხმდებოდა, რადგან მათთვის მთავარი იყო აჯანყებული მეფე არაგვის ხეობიდან გამოეყვანათ, რადგან ამ გზით ის უკავშირდებოდა ჩრდილოელ მონღოლებს და მათი შემოსევაც სწორედ აქედან იყო მოსალოდნელი. საქართველოს მეფე ვახტანგ III გამუდმებით მონაწილეობდა შორეულ ბრძოლებში, იგი ბრძოლაში გარდაიცვალა. მეფე წამოასვენეს და დაკრძალეს ქალაქ დმანისში. ახალმა ყაენმა **ოლჯაითუმ** საქართველოს მეფედ დავით VIII შვილი **გიორგი VI** (მცირე) დაამტკიცა.

საქართველოს მეფის ხელისუფლების დაქუცმაცება და ქვეყნის მთლიანობის მოშლა იყო მხოლოდ ერთ-ერთი იმ უარყოფითი შედეგთაგანი, რაც მონღოლთა ბატონობამ მოუტანა საქართველოს. მონღოლები გამიზნულად ასუსტებდნენ მეფეს და აძლიერებდნენ გავლენიანი ფეოდალების უფლებებს. ისინი მეფეს უფლებას არ აძლევდნენ დაესაჯა ან გადაეყენებია ურჩი პირები. მოიშალა სახელმწიფო წყობილება. დაეცა მეფის ხელისუფლების ავტორიტეტი.

XIV საუკუნის დასაწყისისთვის ქვეყანაში ერთდროულად რამდენიმე მეფე იყო. დასავლეთ საქართველო ცალკე იყო გამოყოფილი და იქ დავით ნარინის შთამომავლები მეფობდნენ. სამცხე ცალკეა გამოყოფილი ბექა ჯაყელის მეთაურობით.

მონღოლების მიერ ქვეყნის დაპყრობისთანავე, ქვეყანაში იწყება დამპყრობლებთან ბრძოლა. რასაც რეპრესიები, ხოცვა-ჟლეტა და ქვეყნის აოხრება მოსდევდა. დიდი მსხვერპლი გაიღო ქართველმა ხალხმა მონღოლთა გაუთავებელ ბრძოლებში. ქვეყანა ნადგურდებოდა ოქროს ურდოსა და ილხანთა მონ-

ლოლებს შორის ბრძოლისას. ათასობით ქართველი ეწირებოდა მონღოლების შემოტანილ ეპიდემიებს. მონღოლთა ბატონობის დროს ქვეყნის მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა. გავერანდა სოფლები და ქალაქები მოიშალა სარწყავი ნაგებობი, განადგურდა კულტურა-სამეურნეო ცხოვრება. მონღოლთა საგადასახადო სისტემამ ქვეყნის ეკონომიკა გააჩანაგა. ფეოდალთა დიდმა ნაწილმა დაკარგა ძალაუფლება. გამწვავდა ურთიერთობები მთასა და ბარში.

გიორგი V მეფობის დასაწყისში მონღოლთა სახელმწიფო ძალზედ დასუსტებული იყო, მაგრამ მას მაინც შესწევდა ძალა საქართველო იძულებით მორჩილებაში ჰყოლოდა.

გიორგი V სწორი გეგმა დაისახა. საჭირო იყო ქვეყნის გაერთიანება. ამისთვის გიორგიმ მონღოლთა გამოყენება გადაწყვიტა, მეფობის დასაწყისში გიორგი V მონღოლთა სამსახურში იყო. ქართლის აჯანყებებით შეწუხებული თათრები, გიორგის ერთგულებას ძალზედ აფასებდნენ. საყაენოში დანყებული შინა ომების დროს საქართველოს სამხედრო ძალას დიდი მნიშვნელობა ენჭებოდა, ამიტომ ყაენი საქართველოს გაერთიანების და გაძლიერების წინააღმდეგი არ იყო.

გიორგი V საყაენოში დაიმეგობრა მონღოლი დიდებული ჩობა ნონინი, რომელიც საყაენოში ფაქტობრივად პირველი კაცი იყო. ოღჯაითუ ყაენმა საქართველოს მეფედ გიორგი VI კი დაამტკიცა, მაგრამ მას მეურვედ გიორგი V დაუნიშნა.

1318 წელს ჩობა ნონინის სურვილით გიორგი V დაუქვემდებარეს სხვა მეფე მთავრები. ის მეფედ იქცა (1318-1346). გიორგი V ისარგებლა იმით რომ საყაენომ მას მოქმედების თავისუფლება მისცა და, მან დაიწყო ურჩი დიდებულების დასჯა. მეფემ კახეთში ცივის მთაზე შეკრიბა ურჩი დიდებულები რომლებსაც ზურგს მონღოლები უმაგრებდნენ და დაუნდობლად გაუსწორდა. ამის შემდეგ დიდებულები მეფის სამსახურში ჩადგნენ.

ქვეყანაში ძალზე დიდ პრობლემებს ქმნიდნენ ჩამოსახლებული ოსები, საქართველოს მეფეებს მათთან ბრძოლა არ შეეძლოთ, რადგან ოსებს ზურგს მონღოლები უმაგრებდნენ. გიორგი V მათ წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. სამწლიანი

აღყის შემდეგ ქათველებმა აიღეს გორი და, გადამთიელები საქართველოდან გააძევეს. უფრო მეტიც საქართველოს მეფის ხელისუფლება ჩრდილოელ ოსებზეც გავრცელდა.

გიორგი V მონღოლთა ყაენისაგან მთელი რიგი შეღავათები მოიპოვა. საქართველოში მონღოლი ხარკის ამკრეფნი ველარ შემოდინდნენ. შემცირდა საქართველოში მდგარი მონღოლი ჯარის რაოდენობაც სულ ერთი დუმანი ისიც საზღვრის დასაცავად. გიორგი მეფემ მონღოლებისაგან დასტური და შემწეობა მიიღო, საქართველოს გაერთიანებისათვის.

1329 წელს იგი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ქუთაისი დაიკავა. დასავლეთ საქართველოს მეფე შორაპნის ერისთავად დანიშნა, დასავლეთ საქართველო ერთიანი მეფის ხელისუფლებას დაექვემდებარა. წინდახედულად მოიქცა გიორგი მეფე სამცხის შემოერთების საკითხში, ბექა ჯაყელის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა გიორგის ბიძა სარგისი. **სარგის II ჯაყელი** გიორგი V ყველა საქმეში უჭერდა მხარს. როდესაც სარგისი გარდიცვალა გიორგი თვითონ ჩავიდა სამცხეში და სამცხის მთავრად **ყვარყვარე I** დანიშნა. ეს უკვე სამცხეზე საქართველოს მეფის გავლენას ნიშნავდა.

გიორგი V სახელს უკავშირდება 1316-1317 წლის ელჩობა ეგვიპტის სასულთნოში. მოლაპარაკების შემდეგ საქართველოს დაუბრუნდა ჯვრის მონასტრი. ჯვრის მონასტერი მეჩეთად ქცეულიყო, მონასტრის გამოხსნა დავით VIII სახელთანაა დაკავშირებული, მაგრამ როგორც ჩანს მუსლიმებს ტაძარი კვლავ მიუტაცებიათ და საჭირო იყო მისი ხელახალი გამოხსნა. ჯვრის მონასტერი ხელახლა გიორგი V გამოიხსნა. ქართველებს უფლება ჰქონდათ იერუსალიმში ცხენებზე ამხედრებული და გაშლილი დროშით შესულიყვნენ.

XIV საუკუნის 30-იან წლებში გიორგის ინიციატივით მოწვეული იქნა საეკლესიო კრება. მონღოლთა ბატონობის შემდეგ წესრიგის დამყარება ეკლესიაშიც იყო საჭირო. გიორგი V ინიციატივით შეიქმნა სამართლის წიგნი «ძეგლისდება». ძეგლის დება განკუთვნილი იყო ქართველი მთიელებისთვის. ამავე პერიოდში შეიქმნა სახელმწიფო სამართლის მნიშვნელოვანი

ნიგნი « ხელმწიფის კარის გარიგება». მასში განსაზღვრული იყო სახელმწიფო კარის ეტიკეტი, სხვადასხვა მოხელეთა უფლებები და მოვალეობები. გიორგი V აღადგინა სახელმწიფოს მართვის ტრადიციული წესები. გატარდა საფინანსო რეფორმა. მოიჭრა ვერცხლის ფული რომელსაც გიორგანული თეთრი ეწოდა.

1327 წელს ყაენ აბუ-საიდის ბრძანებით მოკლეს ჩობა-ნოინი, რის შედეგადაც საყაენოში დაიწყო შიდა ომები, ამით ისარგებლა გიორგიმ და საქართველოში მდგარი მონღოლთა ჯარი გააძევა. ასე დასრულდა მონღოლთა თითქმის ასწლიანი ბატონობა.

საშინაო პრობლემების მოგვარების შემდეგ გიორგი V აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმართვა დაიწყო. საქართველო აქტიურად ჩაერია ტრაპიზონის იმპერიის საქმეებში. საქართველოს მეფეს აქტიური ურთიერთობები ჰქონდა რომის პაპ იოანე XXII. პაპის ბრძანებით კათოლიკური ცენტრი სმირნიდან, რომელიც მდებარეობდა მცირე აზიის ნახევარკუნძულზე, თბილისში გადმოიტანეს.

ეს საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას მიუთითებს. ეგვიპტის სულთანმა ქართველებს ნება მისცა იერუსალიმში აეშენებინათ ტაძარი.

გიორგი V ურთიერთობები ჰქონდა საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუასთან. რომელსაც წმინდა მიწის დასახსნელად 30 000-იანი არმიით დახმარებას ჰპირდებოდა. საქართველოს ეკონომიკის განვითარებას ხელს უწყობდა სავაჭრო ურთიერთობები ვენეციასთან და გენუასთან. გიორგი V ასეთი წარმატებების გამო მაღლიერმა ხალხმა ბრწყინვალე უწოდა.

გიორგი V ბრწყინვალე 1346 წელს გარდიცვალა.

ტახტი დაიკავა მისმა ვაჟმა **დავით IX** (1346-1360). დავითი მონაწილეობდა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებში როგორც იყო ოსების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1348 წელს საქართველოში მონღოლებისაგან შავი ქირი გავრცელდა, რასაც დიდძალი ადამიანი ემსხვერპლა. ეს სენი დიდხანს გაგრძელდა საქართველოში, შემდეგ დასავლეთ ევროპაში გავრცელდა სადაც აგრეთვე დიდი მსხვერპლი გამოიწვია.

1360 წელს გარდიცვალა დავით IX სამეფო ტახტი **ბაგრატ**

V დაიკავა (1360-1393). მას ისტორიკოსები დიდ და სახელოვან მეფეს უწოდებენ. ბაგრატს მისი მეფობის წლებში დიდი აღდგენითი და აღმშენებლობითი ფუნქციები უწარმოებია. მაგრამ საქართველოსთვის ეს მშვიდობიანი პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა ბაგრატ V მეფობის ბოლო წლებში ქვეყანას დიდი უბედურება დაატყდა **თემურ-ლენგის** სახით, რომელიც რვა ჯერ შემოესია ჩვენ ქვეყანას (1386, 1387, 1394, 1397, 1399, 1400, 1401, 1403)

-
- **დავით VIII** (დ. 1273/1274 - 1311) - საქართველოს მეფე 1293-1311 წლებში, დემეტრე II თავდადებულის ძე.
 - **შანშე (შაჰანშა) მხარგრძელი**, (გ. 1261) - XIII საუკუნის ქართველი დიდებული, მანდატურთუხუცესი, გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწე.
 - **ჰამადა (აჰმადა) სურამელი**, ქართველი დიდი ფეოდალი XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე,
 - **გიორგი V ბრწყინვალე** (1286 - 1346) - საქართველოს მეფე 1299-1302 და 1318-1346 წლებში, დემეტრე II თავდადებულისა და მისი მესამე ცოლის, ნათელა ჯაყელის ძე.
 - **მაჰმუდ ყაზან-ყაენი** (1271 -1304) - ირანის ილხანთა ანუ ჰულაგუიანთა დინასტიის მე-7 მბრძანებელი 1295-1304 წლებში
 - **ვახტანგ III** - საქართველოს მეფე 1298 ან 1299 და 1302-08. დემეტრე II თავდადებულის ძე.
 - **ოლჯაითუ-ყაენი** (1278-1316) - ჰულაგუიანთა სახელმწიფოს მე-8 ილხანი (1304-1316 წწ.). არღუნ-ხანის მე-3 შვილი, ყაზან-ყაენის ძმა და მემკვიდრე.
 - **გიორგი VI მცირე**, საქართველოს მეფე 1308-1313, დავით VIII ძე
 - **სარგის II ჯაყელი** - სამცხის (მესხეთის) მმართველი 1306-1334 წლებში, სამცხის სპასალარი
 - **ყვარყვარე I ჯაყელი** - სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი 1334-1361
 - დავით IX (გ. 1360) - საქართველოს მეფე 1346-1360 წლებში, გიორგი V ბრწყინვალის ძე
 - **ბაგრატ V დიდი** იყო საქართველოს მეფე 1360–1393 წლებში, დავით IX ძე.
 - **თემურლენგი, ტამერლანი** (1336-1405) - შუაზიელი მხედართმთავარი, ემირი (1370-1405)

ლომისის ბრძოლა (1327 წ.)

ისტორიას ქსნელთა და არაგველთა მხარდამხარ ბრძოლის უამრავი ამბავი შემორჩა, მაგრამ, მათ შორის ძმათამკვლელი შეტაკებებიც ყოფილა.

1327 წელს ლომისის მთაზე მომხდარა ბრძოლა ცხრა რაზმელებისა და «მთიულთა არაგვსათა» შორის.

ცხრა რაზმელებს მეთაურობდა **ერისთავი ვირშელი**. ეს ბრძოლა ქსნელთა გამარჯვებით დამთავრებულია.

-
- **ვირშელი იოანეს ძე** (1376 – დაახლ. XV ს. დამდეგი), ცხრა ძმის ხევის (ქსნის) ერისთავი

საქართველო XV საუკუნეში

თემურ-ლენგის გარდაცვალების შემდეგ გიორგი VII საშუალება მიეცა აქტიურად ემოქმედა. მეფემ საქართველოს სამხრეთ საზღვართან მყოფ თურქმანებს შეუტია. გიორგი და შირვანშაჰი, მათ წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდნენ. გიორგი VII 1407 წელს თურქმანებთან ბრძოლისას დაიღუპა.

სამეფო ტახტი გიორგი VII ძმა **კონსტანტინე I** დაიკავა (1407-1412). ამ დროს ძლიერდება შავბატკნიან თურქმანთა მბრძანებელი **ყარა-იუსუფი**. შავბატკნიან თურქმანთა აგრესიული გეგმები სამხრეთ კავკასიის წინააღმდეგ იყო მიმართული. მათგან თავდასაცავად კონსტანტინე I, შირვანშაჰთან და შაქის მმართველთან კოალიცია შექმნა.

გადამწყვეტი ბრძოლა 1412 წელს მოხდა, ყარა-იუსუფმა გაიმარჯვა, კონსტანტინე I ტყვედ ჩავადა. მეფესთან ერთად ტყვედ ჩავარდა კიდევ სამი აზნაური. კონსტანტინე I ტყვეობაში თავი ძალზედ ამაყად ეჭირა, ამით აღშფოთებულმა ყარა-იუსუფმა ბრძანა რომ საქართველოს მეფისათვის და აზნაურებისათვის თავი მოეკვეთათ.

1412 წელს გამეფდა კონსტანტინე I შვილი **ალექსანდრე I**. ალექსანდრეს მთავარი მიზანი სამეფო ხელისუფლების გაძლიერება და სეპარატისტულად განწყობილი აზნაურების დასჯა იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით სახიფათო პიროვნება იყო ივანე ათაბაგი, რომელსაც საქართველოსაგან სამცხის გამოყოფა სურდა. ივანე ათაბაგი არა მარტო პოლიტიკურად ცდილობდა საქართველოსგან გამოყოფას, მან ეკლესიისგანაც მოისურვა გამოყოფა. ალექსანდრე I შეიპყრო განმდგარი ათაბაგი და სამცხე დაიმორჩილა. ალექსანდრე I დასავლეთ საქართველოშიც გადავიდა და დაიმორჩილა განმდგარი მთავრები: დადიანები და შერვაშიძეები.

XV საუკუნის 30-იან წლებში ალექსანდრემ ლორე გაათავისუფლა თურქმანებისგან. ალექსანდრე ცდილობდა აღედგინა თემურ ლენგის დროს დანგრეული ქალაქები, სოფლები, ეკლესია-მონასტრები, ციხეები.

ამ მიზნით 1425-1440 წლებში მან ერთ კომლზე 40 თეთრი დაანესა გადასახადად. შემოსული თანხა ქვეყნის აღდგენას ხმარდებოდა.

ალექსანდრე I ცდილობდა მოკავშირეები მოეძებნა, ერთ-ერთი ასეთი მოკავშირე იყო ეგვიპტე. საქართველოს და ეგვიპტეს საკმაოდ აქტიური დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდათ. ეგვიპტის სულთანი ხაზს უსვამდა რომ საქართველოში არ ჩაგრავენ და არ ავინროვებდნენ მუსლიმებს. თავის მხრივ საქართველოს მეფე ანალოგიურ დამოკიდებულებას მოითხოვდა ეგვიპტისგან ქრისტიანებისადმი. ორი ქვეყნის ასეთი კარგი ურთიერთობა ხელს უწყობდა იერუსალიმში მოღვაწე ქართველი ბერების მშვიდობიან საქმიანობას.

ალექსანდრე I დროს მოენყო ქართველთა პირველი ელჩობა ევროპაში. 1438 წელს იტალიის ქალაქ ფერერაში გაიმართა საეკლესიო კრება. კრების სხდომის ნაწილი ფლორენციაში გაიმართა, ამიტომ იგი ფერერა-ფლორენციის საეკლესიო კრების სახელით არის ცნობილი. კრებას ესწრებოდნენ დასავლეთის კათოლიკური და აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენლები. კრების მიზანი იყო ეკლესიათა გაერთიანება რომის პაპის მეთაურობით. მასში მონაწილეობდა საქართველოდან წასული ელჩობაც. დელეგაციის დიდი ნაწილი, მათ შორის ბიზანტიის წარმომადგენლობაც, იძულებული გახდა ხელი მოეწერა ეკლესიათა გაერთიანებისათვის.

ბიზანტიამ ეკლესიათა გაერთიანების უნias ხელი იმ იმედით მოაწერა, რომ ევროპა დაეხმარებოდა ოსმალეთთან ბრძოლაში. ქართველმა დესპანმა ხელი არ მოაწერა ეკლესიების გაერთიანების აქტს. ქართველები ეწინააღმდეგებოდნენ ეკლესიათა გაერთიანების იდეას. ქართველთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ კრებაზე დასწრებას. ამავდროულად ვითარება საქართველოს სამხრეთ საზღვრებზე კიდევ უფრო იძაბებოდა.

1440 წელს საქართველოში თურქმანები შემოიჭრნენ, აიღეს და გადაწვეს თბილისი. მძიმე მდგომარეობა იყო ქვეყნ-

ის შიგნითაც. მეფეს ძალიან უჭირდა სეპარატისტულად განწყობილი ფეოდალების დამორჩილება. შექმნილ ვითარებაში სამეფო კარმა გადაწყვეტილება მიიღო - ურჩ ერისთავთა ნაცვლად, ქვეყნის ცალკეული მხარეების მართვა საგვარეულო წარმომადგენლებს გადაეცათ. ნათესაობა უნდა გამხდარიყო ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნების გარანტი. რეალურად ამ ღონისძიებამ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო.

1442 წელს ალექსანდრე I ტახტიდან გადადგა. საქართველოს მეფე გახდა მისი ძე **ვახტანგ IV** (1442-1446). მთელი თავისი ხანმოკლე მეფობა ვახტანგმა თურქმანთა წინააღმდეგ ბრძოლაში გაატარა. 1446 წელს სამეფო ტახტი ვახტანგის ძმამ **გიორგი VIII** დაიკავა.

გიორგი VIII მეფობისას სერიოზული ცვლილებები მოხდა საერთაშორისო ვითარებაში. ამ პერიოდში მომხდარმა ცვლილებებმა დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო საქართველოზე არამედ მთელს მსოფლიოზე.

1453 წლის 29 მაისს 53-დღიანი ალყის შემდეგ ოსმალთა სულთანმა **მეჰმედ II** აიღო კონსტანტინოპოლი. ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. ბიზანტიის იმპერატორები ყოველგვარ საშუალებას ცდილობდნენ რომ თავი დაეცვათ ოსმალები-სგან, მაგრამ უშედეგოდ.

XV საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში მოვიდა ბიზანტიის ბოლო იმპერატორის **კონსტანტინე XI** ელჩობა, რომლებსაც იმპერატორისთვის საცოლე უნდა შეერჩიათ.

იმპერატორს გიორგი VIII ასული უნდა შეერთო. მაგრამ ქორწინილი კონსტანტინოპოლის დაცემამ ჩაშალა.

ბიზანტიის დაცემამ და თურქების გაბატონებამ ბოსფორის და დარდანელის სრუტეებზე საქართველო მოწყვიტა ევროპას. ჩაიკეტა საქართველოს სამხრეთით გამავალი გზები.

1461 წელს ოსმალებმა ტრაპიზონი აიღეს. ვითარება კატასტროფული გახდა მას შემდეგ რაც ოსმალებმა 1475 წელს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიც დაიკავეს. შავი ზღვა ოსმალეთის ტბად იქცა. ევროპასთან დამაკავშირებელი ყველა გზა კი გაქრა. ამის შემდეგ ევროპელები იწყებენ აღმოსავლეთისკენ

მიმავალი გზების აღმოჩენას. ინდოეთთან კავშირი ეროპამ საზღვაო გზებით დაამყარა. სავაჭრო გზებმა საქართველოზე უკვე აზრი დაკარგა.

ოსმალეთი ევროპის ყველაზე დიდი მტერი გახდა. ვინც ოსმალეთს დაუპირისპირდებოდა ევროპის მოკავშირე იყო, ასეთი აღმოჩნდა ირანი. ბიზანტიის დაცემის შემდეგ მართლმადიდებლურ სამყაროში პირველობა მოსკოვის სამთავრომ წამოაყენა. შემუშავდა «მესამე რომის» თეორია. მოსკოვი ყველა მართლმადიდებლური ქვეყნის მფარველად აცხადებდა თავს. მართლმადიდებლური ქვეყნების იმედები მოსკოვს დაუკავშირდა. მონღოლებისგან გათავისუფლების შემდეგ რუსეთმა სწრაფად განვითარება დაიწყო.

საქართველოს მეზობელები აღმოჩნდნენ ოსმალეთი და ირანი რომლებსაც თავისი ინტერესები ჰქონდათ კავკასიაში. საქართველო უდიდესი საფრთხის წინ დადგა. ოსმალეთის მეზობლობა არც ისე საშიში იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ ქვეყანა ერთიანი და ძლიერი იქნებოდა. ყველაფერი კი საპირისპიროდ იყო.

გიორგი VIII დროს საქართველოს დაშლის პროცესმა შეუქცევადი სახე მიიღო. სეპარატისტულ ზრახვებს ყველაზე მეტად სამცხის მთავარი **ყვარყვარე ჯაყელი** ავლენდა. ყვარყვარე თითქმის აღარ ემორჩილებოდა საქართველოს მეფეს. ყვარყვარემ სცადა საქართველოს ეკლესიის ერთიანობის დარღვევა, მაგრამ კათალიკოს-პატრიარქი დავით IV ენერგიულად აღუდგა ამ პროცესს წინ და ქართული ეკლესიის ერთიანობა შეინარჩუნა.

XV საუკუნის 50-იანი წლებიდან ევროპაში იწყება დიდი ანტიოსმალური კოალიციის შექმნა. ამ კავშირში მონაწილეობას აპირებდა საქართველოც. ამ მიზნით საქართველოში ჩამოვიდა რომის პაპის ელჩი **ლუდოვიკო ბოლონიელი**. გიორგი მეფემ თანხმობა განაცხადა ამ კოალიციაში მონაწილეობას და ლუდოვიკოს წასვლისას თან გააყოლა ელჩობა. ქართული ელჩობა შეხვდა : უნგრეთის მეფეს, საღვთო რომის იმპერატორს, საფრანგეთის, დაესწრნენ ახალი მეფის ლუი XI კურთხევას, რომის პაპს, მილანში ჰერცოგს. მიუხედავად ამისა ანტიოსმალური კოალიცია ვერ შედგა.

სანამ ანტიოსმალური კოალიციის შექმნის იმედი არსებობდა მეფე და მთავრები მშვიდობას ინარჩუნებდნენ. კოალიციის ჩაშლამ ეს მშვიდობა დაარღვია.

1462 წელს გიორგი მეფეს აუჯანყდა იმერეთის ერისთავი ბაგრატი.

1463 წელს გიორგი VIII ჩიხორის ბრძოლაში დამარცხდა, ბაგრატი თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა. გიორგი მეფემ ვითარების გამოსწორება სცადა და სამცხის მთავრის ყვარყვარეს წინააღმდეგ გაილაშქრა.

1465 წელს გიორგი გაემართა სამცხისკენ, მეფის ჯარი ფრანგის ტბასთან დაბანაკდა. მეფეს ამცნობეს რომ მის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა. გადმოცემით ეს ყველაფერი **იოთამ ზედგინიძემ** ამცნობა მეფეს, მაგრამ მეფეს ეს ცნობა არ დაუჯერებია. მაშინ იოთამი ჩანვა მეფის საწოლში ღამით, მეფის კარავში შეთქმულები შეიჭრნენ და იოთამი სასიკვდილოდ დაჭრეს. მეორე დღეს მეფემ საქმის გამოძიება და შეთქმულთა გამოაშკარავება დაიწყო. ამით ისარგებლა ყვარყვარემ და მეფის ბანაკს თავს დაესხა. გიორგი მეფე დამარცხდა და სამცხის მთავარმა ის ვაჰანის ქვაბებში გამოკეტა. გიორგი მეფის დატყვევებით ისარგებლა იმერეთის მეფე **ბაგრატ VI** და თავი მეფეთა-მეფედ გამოაცხადა. ყვარყვარე მიხვდა რომ გიორგის დატყვევებით ბევრი ვერაფერი მოიგო და გაათავისუფლა გიორგი, უკან წამოსულ მეფეს კი ჯარიც გამოაყოლა სამეფო ტახტის დასაბრუნებლად. ქართლის მთავრებმა გიორგი VIII- მხარი არ დაუჭირეს, რადგან შიშობდნენ რომ მათ ლაღატის გამო მეფე სასტიკად დასჯიდა. გიორგი მეფემ ქართლის ტახტის დაკავება ვერ შესძლო და კახეთში გადავიდა.

საქართველოს სამხრეთით ერთმანეთს ებრძოდნენ თურქმანთა ორი ტომი- **შაგბატკნიანები** და **თეთრბატკნიანები**.

XV საუკუნის ბოლოს ეს ბრძოლა თეთრბატკნიანების გამარჯვებით დასრულდა. მათმა მთავარმა **უზუნ ჰასანმა** ხუთჯერ ილაშქრა საქართველოში და დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას. თუმცა როდესაც უზუნ-ჰასანს სჭირდებოდა საქართველოს მოკავშირედ გამოდიოდა ოსმალეთთან ბრძოლაში.

1466 წლიდან ბაგრატ VI იყო ქართლ-იმერეთის მეფე, მაგრამ ის ძირითადად დასავლეთ საქართველოში იყო. ქართლში მეფობდა გიორგი VIII ძმისშვილი კონსტანტინე II. მშვიდობიანი ურთიერთობა მეფეებს შორის მალე მძაფრ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

XV საუკუნის 70-იანი წლებიდან ბაგრატმა საქართველოს კვლავ გაერთიანების სანინააღმდეგო ღონისძიებები გაატარა და დასავლეთ საქართველო ეკლესიურად ჩამოაშორა მცხეთის საკათალიკოსოს.

1478 წელს გარდაიცვალა ბაგრატ VI, მისმა შვილმა ალექსანდრემ ტახტის დაკავება ვერ შესძლო. ალექსანდრეს წინააღმდეგ გამოვიდნენ დასავლეთ საქართველოს მთავრები. კონსტანტინე II გადავიდა დასავლეთ საქართველოში და თავისი ძალაუფლება აღადგინა. მაგრამ ყვარყვარე ჯაყელთან განცდილმა მარცხმა კონსტანტინეს საშუალება არ მისცა გაეგრძელებინა საქართველოს გაერთიანება.

1483 წელს ყვარყვარე ჯაყელმა არადეთის ბრძოლაში დაამარცხა ქართლის მეფის ჯარი. ამით ისარგებლა ალექსანდრე ბაგრატიის ძემ და იმერეთში გამეფდა. კონსტანტინე II არ აპირებდა ასე ადვილად შეგუებოდა მარცხს და დაიწყო საქართველოს დაშლა.

მან 1490 წელს თბილისში სამეფო დარბაზი მოიწვია და რჩევა კითხა. ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს რომ მეფეს ასეთი რჩევა მისცეს.

«ვინაიდან მტკიცედ დგანან ერთგულებასა ზედა თავსთა რჩეულთა მეფენი იმერნი და კახნი და კუალად ათაბაგისა სამცხელნი, აქ მისთვის არა განვიზრახთ ბრძოლასა, რამეთუ თუმცა მერე ვექმნეთ ამასა, არღარა მოქვცემს მეორე ნებასა, არამედ ვაცადლოთ ჟამი, უკეთუ კუალად აგოს ღმერთმან მეფობასავე შენსა».

ამის შემდეგ მეფე და ათაბაგი დაზავდნენ და დაადგინეს სამეფოების საზღვრები.

1490 წელს საქართველო ოფიციალურად დაიშალა სამეფო სამთავროებად: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ.

ჩალღანის ბრძოლა (1412 წ.)

ბრძოლა ყარაყოიუნლუს («შავბატკნიან») თურქმანებსა, შირვანშაჰისა და საქართველოს გაერთიანებულ ჯარებს შორის. «შავბატკნიან» თურქმანთა მბრძანებელმა ყარა-იუსუფმა სამხრეთ აზერბაიჯანში გაბატონების შემდეგ ჩრდილოეთ აზერბაიჯანსაც შეუტია. შირვან-შაჰმა შეიხ იბრაჰიმ დერბენდი

- **კონსტანტინე I** (გ. 1411) - საქართველოს მეფე 1407-1411, ბაგრატ V ძე.
- **ყარა-იუსუფი** (გ. 1420), დასავლეთის ოლუზი თურქმანების მომთაბარე ტომთა ერთ-ერთი გაერთიანების - ყარა-ყოიუნლუს ბელადი.
- **ალექსანდრე I** (დაახლ. დ. 1454-1456 -გ. 1511) - კახეთის მეფე 1476-1511 წლებში, მეფე გიორგი VIII ძე
- **ვახტანგ IV** - ერთიანი საქართველოს მეფე 1442-1446 წლებში. ალექსანდრე I დიდის ძე.
- **გიორგი VIII** (კახეთში - გიორგი I) - ქართლის მეფე 1446-1466, კახეთისა - 1466-1476. ალექსანდრე I დიდის ძე
- **მეჰმედ II ფათიჰი** (დამპყრობელი) (1432-1481) - ოსმალეთის იმპერიის მე-7 სულთანი. ქვეყანას მართავდა 1444-1446 და 1451-1481 წლებში
- **კონსტანტინე XI** - ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი 1448 წლიდან
- **ყვარყვარე II ჯაყელი** (დ. 1416 – გ. 1498) - სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი (1451-1498), ივანე II ძე
- **ლუდოვიკო ბოლონიელი** - მარონიტების ორდენის იტალიელი მისიონერი და ნუნციუსი აღმოსავლეთის ქვეყნებში
- **წმინდა იოთამ ზედგენიძე** (გ. 1465) - საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდანი
- **ბაგრატ VI** (იმერეთში ბაგრატ II), იმერეთის მეფე 1463–1466 წლებში, ქართლ-იმერეთის მეფე 1466-1478 წლებში
- **ყარა-ყოიუნლუ** (თურქ. - შავბატკნიანები, ყარა - შავი და ყოიუნ - ცხვარი, აქედან სპარსულ წყაროებში გვხვდება, როგორც ყარაბალი; მათ დროშაზე გამოსახული შავი ცხვრის მიხედვით)
- **აყ-ყოიუნლუ** (თეთრბატკნიანები) - ოლუზი თურქების (თურქმანების) მომთაბარე ტომთა გაერთიანება, მდინარე ტიგროსის სუემო წელში (დიარბაქირსა და სივასს შორის) XIV-XV საუკუნეებში
- **უზუნ-ჰასანი** (1423-1478) - აყ-ყოიუნლუს თურქმანთა სახელმწიფოს გამგებელი 1453-1478 წლებში.

და სიდი ალი შაქისელმა დახმარებისათვის საქართველოს მეფე კონსტანტინე I მიმართა. კონსტანტინემ 2 ათასი მხედარი მიაშველა მას.

მოკავშირეები ჩალალანთან, ელდარის ველის სამხრეთ აღმოსავლეთით, მდინარე მტკვარსა და მდ. ალაზანს შორის დაბანაკდნენ. ჩალალანის ბრძოლა მოხდა 1412 დეკემბრის შუა რიცხვებში.

მოკავშირეები დამარცხდნენ. კონსტანტინე I, შეიხ იბრაჰიმი, მისი ძმა - ბოჰული და ქართველი სარდლები თურქმანებმა შეიპყრეს. ქართველი ტყვეების ამაყი ქცევით განრისხებულმა ყარა-იუსუფმა კონსტანტინე I და მისი ძმა 300 ქართველ ტყვესთან ერთად სიკვდილით დასაჯა.

ჩიხორის ბრძოლა (1463 წ.)

ბრძოლა ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი VIII და მის წინააღმდეგ აჯანყებულ იმერეთის მეფე ბაგრატ VI შორის.

ბრძოლაში ბაგრატმა გაიმარჯვა, დაიპყრო იმერეთი, აიღო ქუთაისი და მეფედ ეკურთხა. ბრძოლა გაიმართა სოფელ ჩიხორთან.

-
- **კონსტანტინე I** (გ. 1411) - საქართველოს მეფე 1407-1411
 - **ჩიხორი** - სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მდინარე ძუსის მარჯვენა ნაპირზე.
 - **გიორგი VIII** (კახეთში - გიორგი I) - ქართლის მეფე 1446-1466, კახეთისა - 1466-1476.
 - **ბაგრატ VI**, იმერეთში ბაგრატ II (დ. დაახლ. 1439 - გ. 1478) - იმერეთის მეფე 1463-1466, ქართლ-იმერეთის მეფე 1466-1478, ბაგრატიონთა იმერეთის შტოს წარმონადგენელი, ალექსანდრე I ძმის გიორგის ძე.

არადეთის ბრძოლა (1483 წ.)

შინაპოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი ფეოდალურ საქართველოში.

ავგისტოში სამცხის ათაბაგი ყვარყვარე II ჯაყელი, რომელიც აღარ ემორჩილებოდა სამეფო ხელისუფლებას, არეშის (ახლა აზერბაიჯანშია) დარბევის შემდეგ ქართლის გზით ბრუნდებოდა სამცხეში.

სოფ. არადეთთან მას გზა გადაუღობა ქართლის ფეოდალთა ლაშქარმა და ქართლის მეფის კონსტანტინე II მორჩილება მოსთხოვა. ბრძოლა კონსტანტინე II მომხრეთა დამარცხებით დამთავრდა.

ამ მარცხმა კიდევ უფრო დაასუსტა სამეფო ხელისუფლება, რითაც ისარგებლეს დასავლეთ საქართველოს ფეოდალურმა წრეებმა, გაამეფეს იქ ალექსანდრე II და იმერეთი დამოუკიდებელ სამეფოდ გამოაცხადეს. ამგვარად არადეთის ბრძოლამ ხელი შეუწყო საქართველოს პოლიტიკური დაშლის პროცესს.

-
- **არადეთი** - სოფელი საქართველოში, ქარელის მუნიციპალიტეტში, ბრეთის თემში. მდებარეობს მდინარე აღმოსავლეთ ფრონის მარჯვენა ნაპირზე,
 - **ყვარყვარე II ჯაყელი** (დ. 1416 – გ. 1498) - სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი (1451-1498), ბექა II ძე.
 - **კონსტანტინე II** (გ. 1505) ქართლის მეფე 1478/1479-1505 წწ., ალექსანდრე I დიდის ძის დემეტრეს (დიმიტრის) ვაჟი.
 - **ალექსანდრე II** (გ. 1510), იმერეთის მეფე (1484-1510). ბაგრატ VI ძე.

საქართველო XVI საუკუნეში

საქართველოს ერთიანი სამეფოს არსებობის პერიოდში, ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ მოკავშირეების პოვნას მომდგარ მტერთან საბრძოლველად. მოკავშირეები მით უფრო საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც საქართველო დაიშალა სამეფო-სამთავროებად.

XV საუკუნის ბოლოს ქართლს უმთავრეს საფრთხეს თეთრბატკნიანი თურქმანები უქადდა. მათ რამდენიმე ჯერ დალაშქრეს ქართლი. კონსტანტინე II მოწოდებას – ქართველ მეფე-მთავრებს ერთად ებრძოლათ მტერთან – გამოხმაურება ვერ პოვა. მიუხედავად ამისა, კონსტანტინემ მოახერხა მტრის განდევნა ქართლიდან. ქართლის მეფემ ელჩი გაუგზავნა ეგვიპტის სულთანს და ოსმალეთთან ერთობლივი ბრძოლა შესთავაზა.

კონსტანტინე II ელჩობა გაუგზავნა ესპანეთის მეფე ფერდინანდს და დედოფალ იზაბელას და მათაც ოსმალეთთან ომი შესთავაზა. ქართველი ელჩები ესპანეთის მეფემ და რომის პაპმა დიდი პატივით მიიღო მაგრამ რეალური დახმარება ვერ გასწიეს. ამასობაში გაძლიერდა სამხრეთ აზერბაიჯანის მფლობელი ისმაილი, რომლის მთავარი მოწინააღმდეგენი თურქმანები იყვნენ. ისმაილმა დახმარება ქართლის და კახეთის მეფეებს და სამცხის მთავარს თხოვა. გამარჯვების შემთხვევაში ის ქართველებს ხარკისგან გათავისუფლებას ჰპირდებოდა.

გადამწყვეტ ბრძოლაში ისმაილის ჯარმა რომლიდან 9 000 ქართველი იყო, დაამარცხა თურქმანები.

1505 წელს გამეფდა კონსტანტინე II შვილი **დავით X** (1505-1525 წლები). გამეფებისთანავე ქართლს შემოუტია იმერეთის მეფემ რომელმაც, ქართლის დასავლეთ ნაწილი დაიკავა.

1511 წელს ქართლს კახეთის მეფე **გიორგი II (ავ-გიორგი)** დაესხა. ავ-გიორგი ქართლში ორი წელი დათარეშობდა. ის დავით მეფის ძმამ დაიჭირა და ციხეში გამოკეტა. ახლა ქართლის მეფემ სცადა კახეთის დაკავება. კახეთის ტახტის მემკვიდრე ლევან ბატონიშვილი მცირეწლოვანი იყო. მის შესაპყრობად კახეთში

და ქართლში ჯარი შევიდა. ლევანს უერთგულა კახელმა თავადობამ. საქმეში საგარეო ძალაც ჩაერთო. ქართლის მეფე დავითი ორჯერ იძულრბული გახდა კახეთისთვის თავი მიენებებინა და შემოსეულ მტერთან საბრძოლველად ქართლში დაბრუნებულიყო. ლევანის დაჭერაში ხელს დავით მეფეს ქართლის თავადობაც უშლიდა. უკანასკნელად დავით მეფემ ალყა შემოარტყა მარანის ციხეს. სადაც თავშეფარებული იყო დედოფალი ელენე და ლევან ბატონიშვილი. ციხის მცველებს გაუჭირდათ და უკვე დანებებასაც აპირებდნენ, რომ დავით მეფეს ამცნობეს ქართლში ოსმალთა შემოსევის ამბავი. ციხეში მყოფებმა ეს ამბავი არ იცოდნენ. ქართლის მეფემ დედოფალ ელენესთან თავის მოციქულად შეაგზავნა თავადი ამილახვარი და სამთავისის ეპისკოპოსი, რომლებსაც კატეგორიულად უნდა მოეთხოვათ დანებება. დედოფალი ამაზე თანხმობდა კიდევ, მაგრამ დავითის მოციქულებმა მას ფარულად შეატყობინეს, რომ მეფე იძულებული იყო ციხესთვის ალყა მოეხსნა. რა თქმა უნდა, დედოფალი აღარ დანებდა და ლევან ბატონიშვილი ამჯერადაც გადაურჩა დატყვევებას.

1518 წელს დავით X ხელახლა შევიდა კახეთში ჯარით, მაგრამ სოფელ მაღაროსთან დამარცხდა და იძულებული გახდა კახეთის მეფედ ლევანი ეცნო.

ირანის ახალმა შაჰმა **ისმაილ I** რამდენიმე ჯერ ილაშქრა საქართველოში. ყველაზე დიდი ბრძოლა 1522 წელს სოფელ თელეთთან მოხდა. ამ ბრძოლაში ვაჟკაცობით თავი გამოიჩინა დავით X ვაჟმა ლუარსაბმა. რომლის მეთაურობითაც ქართველებმა დაამარცხეს და უკუაგდეს ყიზილბაშთა მარცხენა ფრთა. შაჰ ისმაილ I იძულებული გახდა უკანასკნელი საშუალებისთვის მიემართა. მან ირანელთა გვარდია და სარეზერვო ჯარი იალღუჯის მთაზე გადმოიყვანა და ბრძოლის ველის უკნიდან მოექცა. მტრის უკნიდან გამოჩენამ გატეხა ქართველთა სიმტკიცე. მტერს დადევნებული ქართული მხედრობის თავმოყრა შეუძლებელი გახდა. დავით მეფე იძულებული გახდა უკან დაეხია და თბილისი დაეთმო. თბილისში შემოსულმა ყიზილბაშებმა ხალხის ხოცვა-ჟლეტვა

და დატყვევება დაიწყო. ყიზილბაშებმა შებლაღეს ქართული სალოცავები. შაჰ ისმაილის ბრძანებით 1522 წელს თბილისში მეტეხის ხიდთან ააგეს მეჩეთი. თბილისის ციხეებში ყიზილბაშთა გარნიზონები ჩადგა. ისმაილის მთავარი მიზანი საქართველოს დაპყრობა და გამაჰმადიანება იყო. მან ქვემო ქართლში ააგო ალ-ჯაყანის ციხე, რომელშიც ყიზილბაშთა გარნიზონები ჩადგა. ქართველები ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდნენ.

1524 წელს, როდესაც გარდაიცვალა შაჰი ისმაილ I, ქართველები შეტევაზე გადავიდნენ და ქვეყნიდან გააძევეს ყიზილბაშები, აიღეს და დაანგრეს ალ-ჯაყანის ციხე.

ასეთი წარმატების მიუხედავად 1525 წელს დავით X მიანება თავი მეფობას და ბერად აღიკვეცა. გამეფდა მისი ძმა **გიორგი IX**, მაგრამ არც მას არ უმეფებია დიდხანს რადგან 1527 წელს ისიც გადადგა მეფობიდან. ტახტზე ავიდა დავით X შვილი თელეთის ომის გმირი **ლუარსაბ I**.

XVI საუკუნის 40-იან წლებამდე ქართლში მშვიდობა სუფევდა. ამ პერიოდში ირანში არეულობა იყო. ამიტომ ირანი აქტიურ საგარეო პოლიტიკას ვერ აწარმოებდა. ხოლო მას შემდეგ რაც **შაჰ თამაზ I** სრულწლოვანი გახდა, მან მთელი ყურადღება საქართველოს დაპყრობას დაუთმო. ამ პერიოდში დაწყებული იყო ომი ოსმალეთთან ამიტომ ორივე მხარისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს დაუფლებას.

1541 წელს ყარაბაღში მყოფი შაჰ თამაზი 12 000-იანი ჯარით თბილისისკენ გამოემართა. ყიზილბაშები თბილისში ღამით შემოიჭრნენ. ამ დროს ქალაქში ლუარსაბი არ იმყოფებოდა. ქალაქის დაცვა, ქალაქის მოურავს და ციხისთავს გულბაათს ჰქონდა ჩაბარებული. ყიზილბაშების შემოსევით შეშინებულმა გულბაათმა ქალაქის დაცვაზე უარი განაცხადა და მტრების მხარეს გადავიდა. შაჰ თამაზმა ჯარის ნაწილი თბილისში დატოვა მეორე ნაწილი კი ლუარსაბის შესაპყრობად გაგზავნა. ლუარსაბს მტერთან პირისპირ შებრძოლების ძალები არ გააჩნდა, მაგრამ მან ბრძოლაზე უარი მაინც არ განაცხადა. ქართველები მტერს დიდგორთან დახვდნენ,

დიდად დააზარალებს და უკან გაბრუნდნენ. ლუარსაბის მცირე რაზმები მტერს უსაფრდებოდნენ და მოულოდნელი შეტევით ანადგურებდნენ. შაჰ თამაზი იძულებული გახდა ბრძოლა შეენწყვიტა და უკან გაბრუნებულიყო.

ლუარსაბ I ყოველთვის ეხმარებოდა ქართულ სამეფო სამთავროებს.

1545 წელს ლუარსაბი ჯარით დაეხმარა იმერეთის მეფეს, რომელიც ოსმალებს ებრძოდა. ასევე ეხმარებოდა სამცხის მთავარსაც.

1546 წელს შაჰ თამაზი სამცხეში შეიჭრა, მოარბია ლუარსაბის მომხრე თავად დიასამიძეებში მამულები და, აქედან ქვემო ქართლში გადავიდა. ლუარსაბს კვლავ არ შესწევდა ძალა მტერს პირისპირ შებრძოლებოდა ამიტომ, ქართველები წვრილ-წვრილი თავდასხმებით ავინროებდნენ მათ. შაჰ თამაზმა ვერც ამჯერად შესძლო ქართლის დამორჩილება, ამიტომ მან ხელი მიჰყო ქვეყნის ძარცვა-რბევას. მაგრამ ქართველების მუდმივი თავდასხმით შევიწროებული ყიზილბაშები იძულებულები გახდნენ ქართლი დროზე დაეტოვათ. უკან მიმავალ შაჰს მორჩილებით ეახლნენ იმერეთის და კახეთის მეფეები. ქართლის დაუმორჩილებლობით განზილებული შაჰი იძულებული იყო მათ სიტყვიერ მორჩილებას დასჯერებოდა.

1551 წელს შაჰ-თამაზი მესამედ შემოესია საქართველოს. მან მიზნად სამცხე და ქართლი ამოიღო. მტრის წინააღმდეგ მებრძოლთა დიდი ნაწილი ვარძიაში იყო დაბანაკებული, დიდი მსხვერპლის ფასად შაჰმა შესძლო ვარძიის აღება და გაძარცვა. ლუარსაბის მომხრე თავადები კი სიკვდილით დასაჯა. სამცხიდან შაჰი ქართლში გადმოვიდა, ის ქართლის მოოხრებას შეუდგა. მაგრამ აქ ხალხის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა. ლუარსაბის მომხრეებმა მტერს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. შაჰმა ვერც ამჯერად შესძლო ქართლის დაკავება და ის უკან გაბრუნდა. შაჰ თამაზის გასვლითანავე, ლუარსაბმა ქართლში ჩაყენებული ყიზილბაშთა ჯარი განწყვიტა და თბილისი გაათავისუფლა.

ლუარსაბის ასეთი წარმატებით შემფოთებული შაჰ თამაზი 1554 წელს ქართლში მეოთხეჯერ შემოვიდა. ქვეყნის მო-

თარეშების შემდეგ ის ატენის ციხეს შემოადგა, ამ ციხეში თავშეფარებულები იყვნენ ლუარსაბის დედა და ბევრი თავადის ცოლ-შვილი. მათი ხელში ჩაგდებათ შაჰი ლუარსაბზე ზემოქმედებას და მის დამორჩილებას ვარაუდობდა. ყიზილბაშებმა შესძლეს ატენის ციხის აღება და ძვირფასი ტყვეების ხელში ჩაგდება. მაგრამ დედოფალმა მტრებს მისი სამშობლოს წინააღმდეგ გამოყენების საშუალება არ მისცა. მან თავი მოიკლა. ამრიგად შაჰ თამაზს ლუარსაბ მეფის დამორჩილების ეს ხერხიც ჩაეშალა.

1555 წელს ირანმა და ოსმალეთმა დადეს ამასიის ზავი, რომლის ძალითაც დამპყრობლებმა საქართველო გაიყვეს. ირანმა აღმოსავლეთ საქართველო ირგუნა და დაიწყო ბრძოლები ქართლის საბოლოოდ დასამორჩილებლად.

1556 წელს შაჰ თამაზმა ყარაბაღის ბეგლარბეგი დიდი ჯარით გამოგზავნა საქართველოს დასამორჩილებლად. ქართველთა ჯარი მათ ქვემო ქართლის სოფელ გარისთან დახვდა. ლუარსაბი ამ დროს ხანდაზმული იყო მან სარდლობა თავის შვილ სიმონს ჩააბარა. თვითონ კი სხვა მოხუც დიდებულებთან და მღვდელთმსახურებთან ერთად, ერთ-ერთ გორაკზე დაბანაკდა და იქიდან ადევნებდა თვალს ბრძოლის მსვლელობას. უკუქცეული ყიზილბაშთა ერთ-ერთი ცხენოსანი რაზმი ტყეს შეეფარა და აქედან აპირებდა გაქცევას. ისინი შემთხვევით გადააწყდნენ გორაკზე დაბანაკებულ მეფე ლუარსაბს და მის ამაღას. მოხუცები არ შეუშინდნენ მტერს და შეებნენ მათ. გმრობის მაგალითს მეფე ლუარსაბი იძლეოდა. მას იარაღი შემოემტვრა, მაგრამ ბრძოლის ველი მაინც არ დატოვა. მეფემ მისი ცხენი ყიზილბაშთა ერთ-ერთ ცხენს დაატაკა და გადააგდო, მაგრამ მის ცხენსაც ფეხი ორმოში ჩაუვარდა. უცხენოდ დარჩენილი მეფე ყიზილბაშებმა სასიკვდილოდ დაჭრეს. ამასობაში სიმონ ბატონიშვილიც გამოჩნდა და ყიზილბაშთა ეს რაზმი გაანადგურა. მეფე ლუარსაბი ამ ბრძოლაში დაიღუპა. მეფე დიდი პატივით მცხეთაში დაკრძალეს.

ლუარსაბ I გარადცვალების შემდეგ მეფე გახდა მისი შვილი **სიმონ I**. სვიმონმა მთავარ მიზნად დაისახა ყიზილბაშთა

განდევნა ქვეყნიდან. სიმონის თხოვნით კახეთის მეფემ ლევანმა გამოუგზავნა ჯარი გიორგი ბატონიშვილის სარდლობით. ქართველთა ჯარი სოფელ ციხედიდთან გროვდებოდა. ქართველთა შეკრება ყიზილბაშებს არ გამოპარვიათ. ისინი ქართველთა ჯარს ღამით დაესხნენ თავს. პირველივე შეტაკებისას დაიღუპა კახელთა ჯარში სარდალი გიორგი ბატონიშვილი, რის შემდეგაც კახელებმა მოკლული ბატონიშვილი ბრძოლის ველიდან გაიყვანეს და თვითონაც აღარ დაბრუნდნენ. ყიზილბაშებმა შესძლეს ქართველების დამარცხება, სიმონ მეფე იძულებული გახდა უკან დაეხია. მან გორის ციხეს შეაფარა თავი. ყიზილბაშებმა კიდევ უფრო გაამაგრეს თბილისი და დამატებითი ჯარები შემოიყვანეს ქართლში. ამ ბრძოლაში ყველაზე მეტად ქვემო ქართლი ზარალდებოდა, მოსახლეობას მობეზრდა რბევა-ანოკება, სისხლის ღვრა, დატყვევება. თუ აქამდე ქვემო ქართლის მოსახლეობა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს, უკვე მტერთან მორიგებას ცდილობდნენ. შაჰის კარმაც შეცვალა პოლიტიკა, ყველას ვინც შაჰის მხარეს დადგებოდა დიდი წყალობით აჯილდოვებდა.

1561 წელს ყიზილბაშების მხარეს გადავიდა სიმონ მეფის ძმა დავითი, რომელიც ყაზვინში ეახლა შაჰ თამაზს, უარყო ქრისტიანობა და მაჰმადიანობა მიიღო. მას დაუდ-ხანი უწოდეს, ხოლო შაჰმა ის თავის «შვილად», ე.ი ყმა-ვასალად და საქართველოს მეფედ გამოაცხადა. დაუდ-ხანი ყიზილბაშთა ჯართან ერთად თბილისისკენ წამოვიდა. ქართლის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დაუდ-ხანი თავის მეფედ არ ცნო. ისინი კვლავ სიმონ მეფეს უჭერდნენ მხარს. სიმონმა თავისი მოლალატი ძმა რამდენიმე ჯერ დაამარცხა და თბილისის აღებისთვის დაიწყო მზადება.

1569 წელს შაჰ თამაზმა დიდი ჯარი გამოუგზავნა დაუდ-ხანს დასახმარებლად.

ეს ჯარი ქვემო ქართლში შემოვიდა და მდინარე ალგეთის ხეობაში ფარცხისთან დაბანაკდა.

სიმონ მეფეს ხელთ მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა. სიმონ მეფის ჯარმა გაბედულად შეუტია მტერს და მენინავე ჯარი უკუაქცია. თვითონ მეფე ჯარის პირველ რიგებში იბრძოდა.

ბრძოლაში გართულმა მეფემ ვერ შენიშნა თუ როგორ დაშორდა ქართველთა ჯარის ძირითად ნაწილს. მტრის ჯარში მყოფმა მოღალატე აზნაურმა **კახაბერ ყორღანაშვილმა** იცნო მცირე ძალის ამარა დარჩენილი მეფე და ეს ამბავი სარდლობას ამცნო. ყიზილბაშები მთელი ძალით შემოერთყენენ მეფეს და მის ჯარს. სიმონ მეფე დაატყვევეს. დატყვევებული მეფე ყაზვინში გაგზავნეს. შაჰ თამაზი ბევრს ეცადა დაეყოლიებინა სიმონი და გამაჰმადიანებულიყო და მის სამსახურში ჩამდგარიყო. მაგარმ სიმონ მეფემ მტკიცე უარი განაცხადა. სიმონ მეფე **ალამუტის ციხეში** გამოკეტეს.

1569-1578 წლებში ქართლის მეფედ ითვლებოდა დაუდ-ხანი. დაუდ-ხანს მარტო თბილისი და ქვემო ქართლი ემორჩილებოდა. მენინავე ჯარის ჯარისკაცმა **საჩინო ბარათაშვილმა** შეიპყრო კახაბერ ყორღანაშვილი და გელიყარის ციხეაბო კლდიდან გადმოაგდო. შეიქმნა ლეგენდა რომლის თანახმადაც მოღალატის ლეშს მხეცებმაც კი არ დააკარეს პირი.

1578 წელს ოსმალებმა ამასიის ზავი დაარღვიეს. იმავე წელს ჩილდირის ტბასთან ბრძოლაში ოსმალებმა გაანადგურეს **ყიზილბაშები** და სამცხის გავლით ქართლში შემოვიდნენ. ოსმალთა სარდალი **მუსტაფა ლალა ფაშა** თბილისს მოადგა და აიღო ქალაქი. დაუდ-ხანი სულთანს ეახლა და მორჩილება გამოუცხადა. დაუდ-ხანი ოსმალეთში დარჩა. იქ შეადგინა სამკურნალო წიგნი **«იადიგად დაუდი»**. ოსმალებმა ქართლის ციხეებში თავისი გარნიზონები ჩააყენეს, თბილისში კი ფაშა დასვეს. ირანმა თითქმის მთელი სამხრეთ კავკასია დაკარგა. ასეთ ვითარებაში შაჰის კარზე გადაწყვიტეს სვიმონ მეფის გათავისუფლება. ყიზილბაშებმა იცოდნენ რომ სვიმონ მეფე ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებდა. შექმნილ ვითარებაში ეს ირანის ინტერესებში შედიოდა.

ქართლში დაბრუნებული სიმონი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში.

1582 წელს ქართლში ოსმალთა 20 000-იანი ჯარი შემოვიდა. ოსმალთა ლაშქარს თან სამცხის გამაჰმადიანებული ათაბაგი **მუსტაფა-მანუჩარი** მოჰყვებოდა. მუხრანთან ბრძოლაში

სვიმონმა ოსმალები სასტიკად დაამარცხა. სამცხეში დაბრუნებულმა ოსმალო სარდლობამ დაამარცხება მანუჩარს დააბრალეს და მისი შეპყრობა განიზრახეს. მანუჩარმა შესძლო ოსმალთა ბანაკიდან თავის დახწევა ის კვლავ გაქრისტინდა და ჩაუდგა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას.

1590 წელს ოსმალებსა და ირანს შორის ახალი ზავი დაიდო. ირანის ახალმა შაჰმა **აბას I** მთელი კავკასია ოსმალებს დაუთმო. ამ ზავით ოსმალების ასეთ გაძლიერებამ შეამფოთა ევროპელები. დაიწყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნა. რომის პაპმა წერილები გამოუგზავნა სიმონ მეფეს და კოალიციაში მონაწილეობა შესთავაზა. ქართლის მეფე სიამოვნებით შეხვდა ამ ინიციატივას და წერილები გაუგზავნა ესპანეთის **მეფე ფილიპე II**. ანტიოსმალურმა კოალიციამ რეალური შედეგი ვერ მოიტანა.

სიმონი ბრძოლებს მაინც არ წყვეტდა. ქართველებმა ალყა შემოარტყეს გორის ციხეს. ალყა ცხრა თვეს გაგრძელდა. დიდმარხვის დღეები იყო, ოსმალებმა ყურადღება მოადუნეს რადგან იცოდნენ რომ მარხვის დროს ქართველები ბრძოლას ერიდებოდნენ, ამით ისარგებლა სიმონმა და 1599 წელს მან გორი გაათავისუფლა. ჯერი თბილისზე მიდგა შეშინებულმა ოსმალებმა 1600 წელს თბილისში ჯარი გამოგზავნეს. სიმონმა ვერ შესძლო ჯარის მობილიზება ამიტომ მან მცირე რაზმით მტერს გზა გადაუჭრა რათა თბილისში არ შემოეშვა. ბრძოლა 5 საათს გაგრძელდა. ოსმალთა რიცხობრივმა უპირატესობამ თავი იჩინა. სიმონ მეფის ცხენი საფლობში ჩავარდა. სანამ მეფე საფლობიდან ამოყავდათ ოსმალები მოვიდნენ. ერთ-ერთმა მოღალატემ მეფე იცნო და სარდლობას მოახსენა. ქართველები მეფისთვის სიცოცხლეს წირავდნენ, მაგრამ ოსმალებმა სიმონ მეფე ტყვედ მაინც ჩაიგდეს. სიმონი ოსმალებში გააგზავნეს. ოსმალები სამი დღე ზეიმობდნენ სიმონის დატყვევებას.

1611 წელს სვიმონი **იედიყულის ციხეში**, ტყვეობაში გარდაიცვალა ქართველებმა დიდი საფასური გაიღეს და მეფე საქართველოში ჩამოასვენეს.

სიმონ I სვეტიცხოველში მამის გვერდით დაკრძალეს.

- **დავით X** (1482 - 1526) - ქართლის მეფე 1505-1525, კონსტანტინე II ძე.
- **გიორგი II, ავგიორგი** (დ. 1469 - გ. 1513) - კახეთის მეფე 1511-1513 წლებში,
- **ისმაილ I** (1487 -1524) - სეფიანთა იმპერიის დამაარსებელი და მისი პირველი შაჰი 1501-1524 წლებში.
- **გიორგი IX** (1486 - 1534) - ქართლის მეფე 1525-1527წლებში, კონსტანტინე II ძე
- **ლუარსაბ I** (1502 - 1556) - ქართლის მეფე 1527-1556 წლებში, დავით X-ის ძე (წყაროებში გვხვდება მისი მეფობის სხვა თარიღებიც: 1530-1556, 1534-1558 და სხვ.),
- **თამაზ I, შაჰ-თამაზი** (1514 - 1576) - ირანის შაჰი სეფიანთა დინასტიიდან (1524-1576), ისმაილ I ვაჟი.
- **კახაბერ ყორღანაშვილი**-მოლაღატე ქართველი აზნაური
- **საჩინო ბარათაშვილი** - ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე XVI საუკუნის II ნახევარში, მეფე სიმონ ერთგული მოხელე, 1565 წლიდან ბოქაულთუხუცესი, შემდგომ მენინავე სადროშის (სომხით-საბარათიანოს) სარდალი
- **ალამუთი** - მთის ციხე, რომელიც მდებარეობდა ალამუთში. სამხრეთ კასპიის პროვინციაში დელიამში სახელი ნიშნავს «არწივის ბუდეს»
- **ყიზილბაშები** - «წითელთავიანები», თურქული მომთაბარე ტომების გაერთიანება მცირე აზიასა და აზერბაიჯანში («ყიზილბაშები» მიიღეს XV საუკუნის II ნახევარში)
- **მუსტაფა ლალა-ფაშა** (გ. 1580) (მესხური მატთანე ლალა-ფაშას უწოდებდნენ, ოსმალური წყაროები კი - მუსტაფა-ფაშას) - ოსმალთა დიდმოხელე და მთავარსარდალი.
- **«იადიგარ დაუდი»** - XVI საუკუნის ქართული სამედიცინო ენციკლოპედია (ავტორი დავით XI, დაუთ ხანი). მოიცავს იმდროინდელი მედიცინის თითქმის ყველა საკითხს.
- **მანუჩარ II ჯაყელი**, მუსტაფა-ფაშა (გ. 1614) - სამცხის ათაბაგი 1581-1614 წლებში, ქაიხოსრო II-ის ძე.
- **ფილიპე II** (1527-1598) - ესპანეთის მეფე 1556–98 წლებში
- **იედი-ყულე** - ისტორიული ციხე-სიმაგრე და საპყრობილე სტამბოლის ამავე სახელწოდების უბანში, «ოქროს კარის» გადაღმა, მარმარილოს ზღვის პირას.

მონისის ბრძოლა (1512)

ბრძოლა, რომელიც გაიმართა 1512 წელს იმერეთის მეფე **ბაგრატ III** და მისი ძმის, ვახტანგის ლაშქარს შორის. ნაქეზებული იყო ქართლის მეფე **დავით X** და სამცხის ათაბაგ **მზეჭაბუკის** მიერ. იმერეთში ახლად გამეფებულმა ბაგრატმა დაამარცხა თავისი ოპოზიცია და ტახტი განიმტკიცა.

ქართლის მეფე დავით X გადაწყვიტა შური ეძია იმერელებზე, რომლებმაც მის სამეფოს ქალაქი გორი წაართვეს. იმერეთში ამ დროს ახალი გამეფებული იყო ბაგრატ III, **ალექსანდრე II** შვილი, რომლის მეფობის დასაწყისშივე სამეფო დაარბიეს ოსმალებმა. დავით X იმერეთის მეფის წინააღმდეგ განაწყო მისი ძმა ვახტანგი, რომელსაც სავარაუდოდ იმერეთში გამეფება სურდა. ასევე მათ ეხმარებოდა სამცხის ათაბაგი **მზეჭაბუკი**. ვახტანგმა შესაფერისი მომენტი აარჩია და ბაგრატის წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა.

1512 წელს სოფელ მონისთან გაიმართა ბრძოლა ძმებს შორის. ბაგრატმა დაამარცხა ვახტანგი და კიდევ უფრო გაიმტკიცა ტახტი იმერეთში.

მონისის ბრძოლა (1520)

ბრძოლა, რომელიც გაიმართა გურიის სამთავროს და ქართლის სამეფოს ლაშქარს შორის 1520 წელს.

კახეთის მეფის ვაჟი, **გიორგი II (ავ-გიორგი)** ჯერ კიდევ გამეფებამდე დაუპირისპირდა მეფე **ალექსანდრე I** და უმცროს ძმას, დიმიტრის. იგი არ იზიარებდა მამის და ძმის პოზიციას ქართლის სამეფოსთან მშვიდობიანი ურთიერთობის შესახებ და თავის მომხრეებთან ერთად არბევდა მეზობელ სამეფოს.

1511 წელს ავ-გიორგი თავს დაესხა საფურცლიის ქალაქში მყოფ მამას და ძმას. პირველი მოკლა, ხოლო მეორეს

-
- **მზეჭაბუკი, ჯაყელი** (გ. 1516) - სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი 1500-1515 წლებში, ყვარყვარე II ძე.

თვალეები დასთხარა და ოჯახითურთ კახეთიდან გააძევა, რის შემდეგაც ქართლს შეესია და ორი წელი თარეშობდა იქ. ის დავით მეფის ძმამ, ბაგრატმა შეიპყრო და ციხეში გამოკეტა. კახეთი უმეფოდ დარჩა, რადგან ტახტის მემკვიდრე, ლევან ბატონიშვილი მცირეწლოვანი იყო.

დავით X გააუქმა კახეთის სამეფო და მისი ქართლისთვის შემოსაერთებლად დაიწყო ბრძოლა. ლევან ბატონიშვილი რამდენიმე ჯერ გადაურჩა დატყვევებას. მას კახეთის თავადები უჭერდნენ მხარს, რომლებმაც იგი გარსევან ჩოლოყაშვილის მეთაურობით ოჩანის ციხეში დამალეს. მათ ისარგებლეს ქართლში **შაჰ ისმაილ I** ლაშქრობით და ლევანი კახეთის მეფედ გამოაცხადეს.

1518 წელს დავით X ხელახლა შევიდა კახეთში ჯარით, მაგრამ სოფელ მალაროსთან ბრძოლაში დამარცხდა. ლევანმა დახმარება გურიის მთავარს, მამია I გურიელს თხოვა, რომელიც 1520 წელს ქართლში შეიჭრა. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა სოფელ მოხისთან, რომელშიც ქართლის მეფე დამარცხდა.

დავით X, მამიამ და ლევანმა ბატონიშვილმა. ზავი მუხრანში დადეს. მამიამ ქალიშვილი თინათინი ლევანს მიათხოვა, ხოლო დავით X ლევანი კახეთის მეფედ აღიარა.

თელეთის ბრძოლა (1522 წ.)

ბრძოლა ქართლის სამეფოსა და ირანის ლაშქარს შორის.

1518 წლიდან აღმოსავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგო სეფიანთა ირანის ვასალები გახდნენ.

ქართველი მეფე-მთავრები ვასალობიდან განთავისუფლებ-ისათვის იბრძოდნენ.

1522 წელს **შაჰ-ისმაილ I** ურჩი ვასალის დასამორჩილებლად ქართლში ლაშქრობა გადაწყვიტა.

დავით X შაჰს ზავი შესთავაზა. ისმაილმა დავითს მასთან გამოცხადება და მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვა.

ამ პირობაზე დავითი არ დათანხმდა და თავდაცვისათვის მზადებას შეუდგა.

მეფეს კახეთიდან და სამცხიდან მამუელი რაზმები მოუვიდა, დაიქირავა მთისა და ჩრდილოეთ კავკასიის მეომრები, გაამაგრა ციხე-კოშკები, განსაკუთრებით თბილისის ციხე.

ბრძოლა გაიმართა სოფ. თელეთთან (ახლანდელი გარდაბნის მუნიციპალიტეტი).

პირველ შეტაკებაში ქართველებმა მტერი უკუაქციეს, მაგრამ მტრის სარდლობამ ჯარი შემოაბრუნა და კვლავ შეუტია ქართველთა ლაშქარს. უფლისწული ლუარსაბი ენერგიულად ეკვეთა მტერს, მოსყვიტა ერთი ფრთა და გაქცეულ ყიზილბაშებს უკან დაედევნა.

მაგრამ შაჰს რჩეული რაზმი ჩაესაფრებინა. როდესაც მტერს დადევნებული ქართველები ამ ადგილს გასცდნენ, ყიზილბაშებმა ზურგიდან დაარტყეს მათ.

ქართველები დამარცხდნენ. მეფე შიდა ქართლში დაბრუნდა და ახალი ბრძოლისათვის სამზადისს შეუდგა.

შაჰის ჯარმა ქალაქის თავის ღალატით თბილისი აიღო, ააოხრა, ეკლესიები გაძარცვა, გადანვა და თბილისის ციხეში თავისი გარნიზონი ჩააყენა.

თელეთის ბრძოლის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა.

აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილს თელეთის ბრძოლა ნამდვილ ფაქტად მიაჩნდა.

ვახუშტის თელეთის ბრძოლის ფაქტი სჯეროდა, მაგრამ საეჭვოდ თვლიდა ამ ბრძოლაში თვითონ მეფის მონაწილეობას. «ქართლის ცხოვრების» მიხედვით, შაჰ-ისმაილ I-ის ეს ლაშქრობა **ლუარსაბ I** დროს მოხდა.

თბილისში ისმაილის სახელზე აიგო 1522 წელს შიითების მეჩეთი. ის დაანგრეს 1950 წელს მეტეხის ახალი ხიდის მშენებლობის დროს (ავტორთა შენიშვნა).

-
- **თელეთი** - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლების ზემო თელეთი-სა და ქვემო თელეთის ძველი სახელწოდება
 - **დავით X** (გ. 1526), ქართლის მეფე 1505-1525, კონსტანტინე II ძე.
 - **ლუარსაბ I** (გ. 1556), ქართლის მეფე 1527-1556, დავით X ძე

მურჯახეთის ბრძოლა (1535 წ.)

ბრძოლა იმერეთის მეფის **ბაგრატ III** და სამცხის ათაბაგის **ყვარყვარე III** ლაშქარს შორის.

ოსმალთა გავლენის დამყარება სამცხე-საათაბაგოში დიდ საფრთხეს უქმნიდა დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობას. სეპარატისტული მიზნების გამო ოსმალებს მხარს უჭერდა ათაბაგი ყვარყვარე III.

ასეთი ვითარება ამწვავებდა ურთიერთობას იმერეთის სამეფოსა და სამცხე-საათაბაგოს შორის.

ბაგრატ III ოდიშისა და გურიის სამთავროს ლაშქართან ერთად სამცხე-საათაბაგოს დასამორჩილებლად გაილაშქრა.

ბრძოლა მოხდა სოფ. მურჯახეთთან (ახალქალაქის რაიონი). მურჯახეთის ბრძოლაში ბაგრატ III გაიმარჯვა და სამცხე-საათაბაგო იმერეთის სამეფოს შეუერთა.

ჭანეთი და აჭარა **როსტომ გურიელს** გადაეცა. თვით ყვარყვარე III დაატყვევეს და შემდეგში ტყვეობაში გარდაიცვალა.

ამ დროიდან 1545-მდე სამცხე-საათაბაგო იმერეთის სამეფოში შედიოდა.

მურჯახეთის ბრძოლის შემდეგ ოსმალეთი უფრო აგრესიული გახდა დასავლეთ საქართველოს მიმართ.

-
- **მურჯახეთი** -სოფელი ახალქალაქის რაიონში.
 - **ბაგრატ III** (1495 - 1565) - იმერეთის მეფე 1510-1565, ალექსანდრე II ძე.
 - **ყვარყვარე III ჯაყელი** (გ. 1535) - სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი 1518-1535, ქაიხოსრო I ძე.
 - **როსტომ გურიელი** (გ. 1566) - გურიის მთავარი 1534-1566 წლებში, მამია I გურიელის ძე.

ქარაღაქის ბრძოლა (1543 წ.)

ქარაღაქის ბრძოლა - გურიისა და იმერეთის ლაშქრის ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ (სამცხე-საათაბაგოში), გაიმართა 1543 წელს.

ოსმალეთის სულთნის ბრძანებით არზრუმის მმართველი **მუსა-ფაშა** 22-ათასიანი ლაშქრით შეეცადა დაეპყრო სამცხე-საათაბაგო, რომელიც 1535 წლიდან იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. მტრის ლაშქარი, რომელიც ევროპული ზარბაზნებით იყო შეიარაღებული, ოლთისის ციხეს მიადგა.

იმერეთის მეფე **ბაგრატ III** ლაშქარი შეკრიბა, ციხეები გაამაგრა და ოდიშისა და გურიის მთავრებს დახმარება სთხოვა.

ლევან I დადიანი ბაგრატს არ მიეშველა. ბაგრატმა გაითვალისწინა მრავალრიცხოვანი მტრის ლაშქართან ბრძოლის სიძნელე და ხერხს მიმართა - მტერს დამორჩილება აღუთქვა. მოტყუებულმა მუსა-ფაშამ ციხე დატოვა და არზრუმისაკენ გაემართა.

ქართველთა ლაშქარი მოულოდნელად დაესხა თავს ციხეში დატოვებულ ოსმალებს და მთლიანად ამოჟლიტა.

შემდეგ ქართველები მუსა-ფაშას ძირითად ლაშქარს დაედევნენ და ქარაღაქთან ისიც სასტიკად დაამარცხეს.

ამ მარცხმა ოსმალები ვერ შეაჩერა. მალე მათ ახალი ლაშქრობა მოაწყვეს.

-
- **მუსა-ფაშა**-არზრუმის მმართველი
 - **ბაგრატ III** (დ. 1495 - გ. 1565) - იმერეთის მეფე 1510-1565, ალექსანდრე II ძე.
 - **ლევან I დადიანი**, ოდიშის მთავარი 1533-1572

სოხოისტას ბრძოლა (1545 წ.)

ბრძოლა საქართველოს და ოსმალეთის ლაშქარს შორის.

ქარალაქის ბრძოლაში (1543) იმერეთის მეფის **ბაგრატ III** გამარჯვების შემდეგ ოსმალებმა გადაწყვიტეს ხელახლა ელაშქრათ სამცხე-საათაბაგოში, ბაგრატ III დახმარება სთხოვა ქართლის მეფე **ლუარსაბ I** და გურიისა და ოდიშის მთავრებს. ამ უკანასკნელმა ლაშქრობაში მონაწილეობა არ მიიღო. იმერეთ-ქართლისა და გურიის გაერთიანებული ლაშქარი ბასიანისაკენ გაემართა, სადაც დაბანაკებული იყო ოსმალთა ჯარი.

ბრძოლა გაიმართა სოხოისტასთან. მენინავეობა ქართლის ჯარს დაეკისრა, ამით განაწყენებულმა მესხებმა მიატოვეს ბრძოლის ველი. ბრძოლა დილიდან საღამომდე გაგრძელდა.

ქართველები დამარცხდნენ. სოხოისტას ბრძოლის შედეგად იმერეთ-სამცხე-საათაბაგოს ერთიანი სახელმწიფოს არსებობას ბოლო მოეღო. ოსმალებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი სამხრეთ საქართველოში, რასაც შემდეგ მისი სრული დაპყრობა მოჰყვა.

გარისის ბრძოლა (1556 წ.)

ბრძოლა ქართველებსა და ყიზილბაშ დამპყრობლებს შორის.

ამასიის ზავით 1555 წელს, ირანმა და ოსმალეთმა საქართველო დაინაწილეს.

ქართლის მეფე **ლუარსაბ I** არ ცნობდა ამ ზავს და ბრძოლას განაგრძობდა.

მან გაათავისუფლა მთელი ქართლი. ირანის **შაჰმა თამაზ I** ლუარსაბის წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა განჯის ბეგლარბეგს **შაჰვერდი** სულთანს, რომელიც 1556 წელს ქართლში შემოიჭრა. ქართველთა მცირერიცხოვანი ლაშქარი **ლუარსაბ I** და მისი ვაჟის **სიმონის** მეთაურობით მტერს სოფ. გარისის მიდამოებში

-
- **ბაგრატ III** (დ. 1495 - გ. 1565) - იმერეთის მეფე 1510-1565, ალექსანდრე II-ს ძე.
 - **ლუარსაბ I** (გ. 1556), ქართლის მეფე 1527-1556, დავით X-ის ძე.

შეეგება. ლუარსაბ I ხანდაზმულობის გამო ბრძოლას მისი შვილი სიმონი სარდლობდა.

ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მტრის ჭარბი ძალები. ერთ-ერთ შეტაკებაში დაიღუპა ლუარსაბ I.

ციხედიდის ბრძოლა (1561 წ.)

ქართლის მეფის **სიმონ I** ბრძოლა სპარსელთა წინააღმდეგ თბილისის გასათავისუფლებლად ციხედიდის მიდამოებში.

გამეფებისთანავე სიმონ I ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაისახა ყიზილბაშთაგან თბილისის გათავისუფლება.

მან დახმარება სთხოვა კახეთის მეფე ლევანს, რომელმაც ჯარი მიაშველა უფლისწულ გიორგის მეთაურობით.

გაერთიანებული ლაშქარი ციხედიდთან (ძეგვის მიდამოებში) დაბანაკდა.

ბანაკს საგანგებო თხრილები შემოავლეს. ყარაბაღის მმართველი შაჰვერდი ზიად-ოღლუ ფარულად შევიდა თბილისის ციხეში, ყიზილბაშთა გარნიზონის დასახმარებლად.

6 აპრილს, აღდგომის დღეს, საყარაულო რაზმის უფროსი გერმანოზიშვილი რაზმთან ერთად მუხათგვერდში წირვის მოსასმენად ავიდა.

მტერმა ისარგებლა ქართველთა ამ მოდუნებით და მოულოდნელად დაეცა მათ ბანაკს.

ხელჩართულ ბრძოლაში, დიდი თავგანწირვის მიუხედავად, ქართველები დამარცხდნენ.

ბრძოლაში მოკლეს უფლისწული გიორგი.

მიუხედავად ამ მარცხისა, სიმონ I სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუწყვეტია.

- **გარისი** - სოფელი ისტორიულ ქართლში, მდინარე ხრამის ჭივჭავის-წყლის მარცხენა ნაპირზე.
- **თამაზ I, შაჰ-თამაზი** (1513-1576), ირანის შაჰი (1524-1576), ისმაილ I ვაჟი.
- **სიმონ I** (დ. 1537 - გ. 1611), ქართლის მეფე 1556-1569, 1578-1599, ლუარსაბ I ძე.
- **ციხედიდი**- ისტორიული ციხესიმაგრე აღმოსავლეთ საქართველოში, ახლანდელი სოფელ ძეგვსა და მარტაზისხევს შორის (ახლანდელი მცხეთის რაიონი), მდ. მტკვრის დინების მარჯვენა მხარეს, ციხედიდის ხევში.

დიღმის ბრძოლა (1567 წ.)

ციზილბაშ დამპყრობლებთან ქართველი ხალხის ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი.

ირანის **შაჰის თამაზ I** მიერ ქართლის მეფედ დანიშნული გამაჰმადიანებული **დავით XI** (დაუთ-ხანი) ციზილბაშთა ძალე-ბით თბილისის ციხეში იყო გამაგრებული. 1567 წელს ქართლის მეფემ სიმონ I თბილისის გასათავისუფლებლად ლაშქარი შეკრიბა და დიღმის ველზე დადგა.

დავით XI ქალაქის ციხიდან გამოვიდა ციზილბაშების, თბილისის მოლაშქრეთა და სომხით-საბარათიანოს ლაშქრით და **სიმონ I** ლაშქარს შეება.

ამ ბრძოლაში დავით XI დამარცხდა. ერთი ცნობით, მას 2000 მეომარი დაეღუპა.

ბრძოლის ველიდან გაქცეულმა დავით XI თბილისის ციხეს შეაფარა თავი.

სიმონ I თბილისს ალყა შემოარტყა, მაგრამ ქალაქის გათავისუფლება ვერ შეძლო.

-
- **დიღომი** - სოფელი თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდებარეობს თბილისის ქვაბულში, დიღმის-წყლის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში
 - **დავით XI, დაუთ-ხანი** - ქართლის ხანი (ზოგიერთი ქართული წყაროს მიხედვით, ქართლის მეფე) 1569-1578, ლუარსაბ I ძე.
 - **თამაზ I, შაჰ-თამაზი** (1513-1576), ირანის შაჰი (1524-1576), ისმაილ I ვაჟი.
 - **სიმონ I** (დ. 1537 - გ. 1611), ქართლის მეფე 1556-1569, 1578-1599, ლუარსაბ I ძე.

სამადლოს ბრძოლა (1568 წ.)

ქართლის მეფის **სიმონ I**-ის მიერ სპარსელთა წინააღმდეგ გამართული ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი.

სპარსელთა სამსახურში მყოფმა **დავით XI-მ** (დაუთხანი) დიღმის ბრძოლაში (1567) დამარცხების შემდეგ სპარსელთა ჯარის ახალი ნაწილები მოიწვია, მაგრამ სამადლოსთან სიმონ I-მა ისევ დაამარცხა.

იანეთის ბრძოლა (1568 წ.)

მდებარეობს სამტრედიის მუნიციპალიტეტში, მდ. გუბისწყლის მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი სოფ. იანეთის ტერიტორიაზე. 1568 წ. იანეთში მდგარ იმერეთის მეფე **გიორგი II** (1565-1585) თავს დაესხა **დადიანი, ჭილაძე და ლიპარტელიანი**. სასტიკი ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა მეფემ.

ფარცხისის ბრძოლა (1569 წ.)

ბრძოლა ქართველთა და ყიზილბაშთა ლაშქარს შორის.

ირანის შაჰმა განჯაში შაქისა და ყარაბაღის ლაშქარი შეკრიბა, დაიქირავა საშამხლოს რაზმები და საქართველოში გაგზავნა ქართლის მეფის **სიმონ I** წინააღმდეგ.

მოლაღატი აზნაური კახაბერ ყორღანაშვილი მიეგება მტერს გზაზე და მეგზურად წაუძღვა. ბრძოლა გაიმართა სოფელ ფარცხისთან (ახლ. თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი).

მიუხედავად მტრის სიჭარბისა, ქართველებმა მედგრად შეუტიეს და უკუაქციეს იგი.

-
- **სიმონ I** (1537 - 1611), ქართლის მეფე 1556-1569, 1578-1599, ლუარსაბ I ძე.
 - **დავით XI, დაუთხანი** - ქართლის ხანი (ზოგიერთი ქართული წყაროს მიხედვით, ქართლის მეფე) 1569-1578, ლუარსაბ I ძე
 - **გიორგი II** - იმერეთის მეფე 1565-1583

გაქცეულ ყიზილბაშებს მეფე სიმონი ფეხდაფეხ მიჰყვა და თანამებრძოლთა მცირე ჯგუფით ქართველთა ძირითად ნაწილს საკმაოდ დაშორდა.

მტრის გარემოცვაში დარჩენილი მეფე ერთ-ერთმა მოლა-ლატემ შუბის კვრით ცხენიდან ჩამოაგდო.

უთანასწორი ბრძოლაში მეფის თანამებრძოლები ერთიანად დახოცეს, ხოლო თვით სიმონი დაატყვევეს და ირანში გაგზავნეს, სადაც მან 1578 წლამდე დაჰყო ტყვეობაში.

თორღვის ბრძოლა (1574 წ.)

ბრძოლა კახეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტებს შორის.

1574 წელს გარდაიცვალა კახეთის მეფე **ლევანი**. მისმა შვილებმა დაიწყეს ბრძოლა ტახტისათვის. თავდაპირველად ტახტზე ქაიხოსრო ავიდა (ლევანის შვილი შამხალ ყარამუსალის ასულისაგან).

ალექსანდრემ (**ალექსანდრე II**, ლევანის შვილი გურიელის ქალისაგან) თავი შეაფარა ყაზახს.

ალექსანდრეს მიემხრნენ ქართლის მეფე **დავით X** (დაუთხანი), სიმამრი **ბარძიმ ამილახვარი**, **ელიზბარ ქსნის ერისთავი** და რამდენიმე კახი თავადი.

ბრძოლა გაიმართა თორღვას (ახლ. ახმეტის მუნიციპალიტეტი) 1578 წელს. ალექსანდრემ გაიმარჯვა და სამეფო ტახტიც მას დარჩა.

-
- **ფარცხისი**-სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში.
 - **სიმონ I** (დ. 1537 - გ. 1611), ქართლის მეფე 1556-1569, 1578-1599, ლუარსაბ I-ის ძე.
 - **თორღვა** (ახლ. ახმეტის მუნიციპალიტეტი)
 - **ოჩანის ციხე** - თავდაცვითი ნაგებობა თიანეთის მუნიციპალიტეტში.
 - **ლევანი** - კახეთის მეფე 1518/1520-1574 წლებში, გიორგი II (ავგიორგის) ძე.
 - **ალექსანდრე II** (დ. 1527 - გ. 1605) - კახეთის მეფე 1574-1605. ლევან მეფის ძე.
 - **ბარძიმ (ქოიარ) თავაძე ამილახვარი** - ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე XVI საუკუნის II ნახევარში, საამილახვროს უფროსი, პროთურქული დასის მეთაური.
 - **ელიზბარ ქსნის ერისთავი** - ქსნის ერისთავი XVI საუკუნის 60-70-იან წლებში.

მუხრანის ბრძოლა (1582 წ.)

ბრძოლა ქართლისა და ოსმალეთის ლაშქარს შორის.

ქართლის მეფე **სიმონ I** სპარსელთა მხარდაჭერით იბრძოდა აღმოსავლეთ საქართველოდან ოსმალთა მთლიანად განდევნისათვის. ქართლისა და კახეთის სამეფოების ლაშქარმა ალყა შემოარტყა თბილისს. ოსმალეთის სულთანმა არზრუმისა, დიარბექირისა და ჩილდირის ბეგლარბეგებს დაავალა აღმოეჩინათ დახმარება თბილისის გარნიზონისათვის.

ავგისტოს ბოლოს ოსმალთა 20 ათასიანი არმია ახალქალაქში ჩავიდა. აქ ოსმალებს ჩილდირის ბეგლარბეგი მანუჩარ II (იგივე მუსტაფა) შეუერთდა.

ოსმალთა ლაშქარი **მანუჩარ II** რჩევით ბორჯომის ხეობაზე გავლით მუხრანის ველზე დაბანაკდა.

ამ დროს იმერეთის, ოდიშისა და გურიის ლაშქარმა ოსმალთა ბრძანებით ქართლის სამეფო დაარბია.

სიმონ I თავს დაესხა მუხრანთან დაბანაკებულ მტერს და სასტიკად დაამარცხა იგი.

გადარჩენილმა ოსმალებმა ძლივს მიაღწიეს თბილისამდე. ქართველთა ლაშქარს დიდძალი ნადავლი და თბილისისათვის გათვალისწინებული ხაზინა ჩაუვარდა ხელთ.

-
- **მუხრანი** - სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარის მცხეთის მუნიციპალიტეტში
 - **სიმონ I** (1537 - 1611), ქართლის მეფე 1556-1569, 1578-1599, ლუარსაბ I ძე.
 - **მანუჩარ II ჯაყელი, მუსტაფა-ფაშა** (გ. 1614) - სამცხის ათაბაგი 1581-1614, ქაიხოსრო II ძე.

ხატისოფლის ბრძოლა (1584 წ.)

ბრძოლა ქართლისა და ოსმალეთის ლაშქარს შორის სოფ. ხატისოფელთან .

ოსმალთა წინააღმდეგ სიმონ I ბრძოლა ერთ-ერთი ეპიზოდი.

1584 ოსმალთა სარდალი ფერჰად-ფაშა მრავალრიცხოვანი ჯარით ქართლისაკენ დაიდრა და ხატისოფელთან დაბანაკდა.

ქართველთა 4 ათასიანი ლაშქარი სიმონ I მეთაურობით მდ. ხრამის ნაპირთან მოულოდნელად დაესხა მტერს და მისი ბანაკი არია, მაგრამ მრავალრიცხოვან მონინააღმდეგესთან (30 ათასი კაცი) ბრძოლის გაგრძელება ველარ შეძლო და იძულებული გახდა ბრძოლის ველს გასცლოდა.

გოფანთოს ბრძოლა (1588 წ.)

ბრძოლა ქართლის მეფე **სიმონ I** და იმერეთის მეფე **ლევანის** ლაშქარს შორის სოფ. გოფანთოს ახლოს

XVI საუკუნის 80-იან წლებში იმერეთის სამეფო-სამთავროებში შინაფეოდალური ომები მიმდინარეობდა.

ქართლისა და იმერეთის პროგრესული მოღვაწეები ცდილობდნენ ქართლ-იმერეთის გაერთიანებას.

ამ მიზნით სიმონ I თავისი ლაშქრით იმერეთში გადავიდა.

ლევანმა დახმარებისათვის **მამია IV დადიანსა** და **გიორგი II გურიელს** მიმართა, მაგრამ ისინი ერთმანეთს მტრობდნენ და დახმარება არ გაუწიეს.

-
- **ხატისოფელი** -სოფელი ბოლნისის მუნიციპალიტეტში.
 - **სიმონ I** (დ. 1537 - გ. 1611), ქართლის მეფე 1556-1569, 1578-1599, ლუ-არსაბ I ძე.
 - **ფერჰად-ფაშა**- ოსმალეთის სარდალი, ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ორჯერ ფლობდა დიდი ვეზირის თანამდებობას (1591-92) და (1592-95)

გოფანთოს ბრძოლაში იმერეთის მეფე ლევანი დამარცხდა და ლენხუმს შეაფარა თავი.

სიმონ I მძევლები წაიყვანა სასწრაფოდ ქართლში დაბრუნდა, რადგან ოსმალების ეშინოდა (ოსმალებს ამ დროს გორი და მისი მიდამოები ეჭირათ).

ამით ისარგებლა ლევანმა და იმერეთის ტახტი დაიბრუნა, რის შედეგადაც დასავლეთ საქართველოში შინაფეოდალური ომები უფრო გამწვავდა.

ოფშკვიტის ბრძოლა (1590 წ.)

ბრძოლა იმერეთის მეფე **როსტომსა**, ოდიშის მთავარ **მანუჩარ I** დადიანსა და ქართლის მეფე **სიმონ I** შორის.

სიმონ I გადაწყვიტა დასავლეთ საქართველოში შექმნილი ვითარება იქ თავისი გავლენის განსამტკიცებლად გამოეყენებინა.

იგი იმერეთის ტახტის დაუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში ჩაება.

სიმონს მხარს უჭერდა იმერელ თავადთა ერთი ჯგუფი. მრავალრიცხოვანი ჯარითა და ზარბაზნებით სიმონ I იმერეთში გადავიდა, დაიპყრო სკანდის, კვარის, კაცხის, სვერის ციხეები. შემდეგ ქუთაისი აიღო და ოდიშისკენ სალაშქროდ სოფ. ოფშკვიტთან დაბანაკდა.

-
- **გოფანთო** (სოფელი ახლ. თერჯოლის მიდამოები).
 - **სიმონ I** (დ. 1537 - გ. 1611), ქართლის მეფე 1556-1569, 1578-1599, ლუარსაბ I ძე.
 - **ლევანი** (გ. 1590) - იმერეთის მეფე 1583-1590, გიორგი II ძე.
 - **მამია IV დადიანი**, (გ. 1590) ოდიშის მთავარი 1573-1578 და 1582-1590, ლევან I დადიანის ძე.
 - **გიორგი II გურიელი** (გ. 1600) - გურიის მთავარი 1566-1583, 1587-1600, როსტომ გურიელის ძე.

იმერეთის მეფე როსტომი ოდიშის მთავარ მანუჩარ I დადიანთან გაიქცა, რომელიც სიმონ I როსტომთან ერთად მორჩილებას ჰპირდებოდა.

სიმონ I, რომელსაც იმერეთის საბოლოო შემოერთება ჰქონდა გადაწყვეტილი, როსტომის გადაცემა მოითხოვა, რაზედაც უარი მიიღო. მანუჩარ I და როსტომმა შეძლეს სიმონ I მყოფი იმერელი თავადების გადაბირება და გარიჟრაჟზე მოულოდნელად თავს დაესხნენ სიმონ I ბანაკს.

ძმათა შორის ბრძოლა დამთავრდა ქართლის მეფის დამარცხებით, რომლის მთელი ბანაკი და ზარბაზნები დადიანსა და როსტომს დარჩათ.

გორის ბრძოლა (1599 წ.)

ქართლის ლაშქრის ბრძოლა ოსმალეთისაგან გორის გასათავისუფლებლად.

ირან-ოსმალეთის 1590 წლის ზავის შედეგად ამიერკავკასიაში ოსმალები გაბატონდნენ.

დასავლეთ ქვეყნები შეეცადნენ გაძლიერებული ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციის შექმნას, რომლის გეგმაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი რუსეთს, ირანსა და საქართველოს. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქართველი პოლიტიკოსები თავის გეგმებს საერთაშორისო სიტუაციას უკავშირებდნენ.

დასავლეთ ევროპაში ანტიოსმალური კოალიციის შექმნა ვერ მოხერხდა, მაგრამ შეიქმნა კავშირი სპარსეთსა, ქართლსა

-
- **ოფშკევითი**-სოფელი იმერეთის მხარის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში
 - **როსტომი** (გ. 1605) - იმერეთის მეფე 1590-1604, კონსტანტინე ბატონიშვილის ძე.
 - **მანუჩარ I დადიანი** (გ. 1611) - ოდიშის მთავარი 1590-1611, ლევან I დადიანის ძე.
 - **სიმონ I** (დ. 1537 - გ. 1611), ქართლის მეფე 1556-1569, 1578-1599, ლუარსაბ I ძე.

და კახეთს შორის. ამ კავშირის საფუძველზე ქართლის მეფე **სიმონ I** განაახლა ომი ოსმალთა წინააღმდეგ.

1598 წელს ქართველთა ლაშქარმა გარემოიკვა გორის ციხე. ალყა ცხრა თვეს გაგრძელდა.

1599 წელს დიდმარხვის დასაწყისში ქართველებმა ციხეს ალყა მოხსნეს. ოსმალებმა სიფხიზლე მოადუნეს.

მტრის ეს შეცდომა კარგად გამოიყენა სიმონ I. მისი ბრძანებით გორის ყოფილმა მოურავმა სულხან თურმანიძემ და ფარსადან ციციშვილმა თავიანთ მამულებში საიდუმლოდ დაამზადეს ციხის კედლებზე ასასვლელი კიბეები.

ქართველთა ლაშქარი ღამით ჩუმად მიადგა ციხეს და გალავანზე გადავიდა.

ოსმალებმა გვიან შენიშნეს ქართველთა შეჭრა ციხეში. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, გამთენიისას, მტერმა იარაღი დაყარა. გორის განთავისუფლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ნახიდურის ბრძოლა (1599 წ.)

ბრძოლა ქართლისა და ოსმალეთის ლაშქარს შორის. ოსმალთაგან გორის ციხის გათავისუფლების შემდეგ (გორის ბრძოლა) თავრიზის ბეგლარბეგმა სულთნის ბრძანებით საქართველოში ილაშქრა. ჯარი ალგეთის ხეობაში, სოფ. ნახიდურთან დაბანაკდა.

ქართლის მეფე სიმონ I მტერს მცირერიცხოვანი ლაშქრით მიეგება. ქართველთა ჯარის თავმოყრა დამთავრებული არ იყო, ამიტომ მეფეს ბრძოლის დაწყებას არ ურჩევდნენ, მაგრამ სიმონ I რჩევა არ მიიღო და მტერს მედგრად შეუტია.

თვით მეფე მამაცურად იბრძოდა ბრძოლის შუაგულში. დაახლოებით 5-საათიანი ბრძოლის შემდეგ ოსმალთა

-
- **სიმონ I** (დ. 1537 - გ. 1611), ქართლის მეფე 1556-1569, 1578-1599, ლუ-არსაბ I ძე.

რიცხოვრივი უპირატესობის შედეგად ქართველები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

ოსმალებმა ბრძოლით მისდიეს ქართველთა ლაშქარს. სოფ. ფარცხისთან (ახლ. თეთრი წყაროს რაიონი), ვინრო გზაზე, სიმონ I ცხენიანად ჩაეფლო და იძულებული გახდა ტყვედ დანებებოდა ოსმალთა სარდალს.

საქართველო XVII საუკუნეში

XVII საუკუნის დასაწყისში ძალზედ იძაბება ვითარება კახეთის სამეფოში. 1601 წელს მეფე **ალექსანდრე II** ავად გახდა. კახეთის ტახტი დაიკავა მისმა ძემ **დავით I**. როდესაც ალექსანდრე გამოჯანმრთელდა დავითმა ტახტი არ დაუთმო მამას. ალექსანდრე II იძულებული გახდა ბერად აღკვეცილიყო. დავითმა არ შესცვალა კეხეთის საგარეო პოლიტიკა. 1602 წელს იგი გარდაიცვალა. კახეთის სამეფო ტახტი კვლავ ალექსანდრე I დაიკავა.

სპარსეთის ახალმა შაჰმა **აბას I** დასუსტებულ ქვეყანაში მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა, რის შემდეგაც სპარსეთი კვლავ გაძლიერდა. აბას I დროს შაჰის კარზე წინაურდებიან ქართველები. თვითონ შაჰმა კარგად იცოდა ქართული ენა. სამხედრო რეფორმების ძირითადი გამტარებელი იყო **ალავერდი-ხანი**. ალავერდი-ხანი გამაჰმადიანებული ქართველი იყო, გვარად **უნდილაძე**. იგი ბავშვობაში გაიტაცეს და სპარსეთში გაიზარდა. ალავერდი-ხანის სახელს უკავშირდება სპარსეთში დიდი აღმშენებლობითი საქმიანობებიც. ისპაანში დღესაც არის მის მიერ აშენებული ხიდი. ალავერდი-ხანი იყო სპარსეთის პირველი **ყულარაღასი**.

-
- **ნახიდური** (ყოფ. არუხლო) - სოფელი ქვემო ქართლის მხარის ბოლნისის მუნიციპალიტეტში.
 - **ფარცხისი** - სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლის მხარის თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში, ჯორჯიაშვილის თემში

სპარსეთის სახელმწიფოს სამსახურში დანიშნულებული იყვნენ ალავერდი-ხანის ვაჟები: **იმამყული-ხანი** და **დაუდ-ხანი**. შაჰ აბას I კარზე სხვა ქართველებიც მოღვაწეობდნენ: სარდალი **როსტომ სააკაძე**, **ხოსრო-მირზა** (როსტომ-ხანი). ხოსრო მირზა ისპაანის მოურავი ანუ ტარულა იყო. ისპაანის ტარულები ერთი საუკუნის მანძილზე ქართველები იყვნენ.

1603 წელს ირანმა ომი დაიწყო ოსმალეთის წინააღმდეგ. შაჰმა თავისთან დაიბარა ქართლის და კახეთის მეფეები. ალექსანდრე შაჰთან დიდი ყოყმანის შემდეგ გამოცხადდა რამაც ირანის მბრძანებელი მეტად განარისხა. შაჰი კარგად ხედავდა რომ კახეთის მეფე რუსეთს კავკასიისკენ მოუწოდებდა, რაც ამ რეგიონიდან მისი გაძევებით დასრულდებოდა. სპარსეთმა ოსმალეთი რუსეთის დახმარების გარეშე დაამარცხა, რის შემდეგაც შაჰმა მკვეთრად შეიცვალა დამოკიდებულება ალექსანდრე II - სადმი .

უკან დაბრუნებულ ალექსანდრეს შაჰმა გამოაყოლა მის კარზე აღზრდილი გამაჰმადიანებული ალექსანდრე II ვაჟი კონსტანტინე ყიზილბაშთა ჯარით. ამ ჯარს თითქოს შირვანში მდგარი ოსმალეები უნდა დაემარცხებინა, სინმდვილეში კი დავალებული ჰქონდა კახეთის დაკავება და აქ **კონსტანტინე-ხანის** დასმა.

1605 წლის 12 მარტს ძეგამში თათბირის დროს კონსტანტინე ხანის ბრძანებით ყიზილბაშებმა მისი მამა - ალექსანდრე, ძმა გიორგი და სხვა კახელი დიდებულები ამოხოცეს. ხალხმა მამის მკვლელი კონსტანტინე მეფედ არ ისურვა და მის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. აჯანყებას ალექსანდრეს რძალი **ქეთევან** დედოფალი ჩაუდგა. აჯანყებულებმა ერთ-ერთ ბრძოლაში კონსტანტინე მოკლეს, ყიზილბაშთა ჯარი კი კახეთიდან გააძევეს. მოვლენების ასეთმა განვითარებამ ძალიან შეაშინა შაჰი, მაგრამ ის ხალხის ნებას დაჰყვა და კახეთის მეფედ ქეთევანის ვაჟი ახალგაზრდა **თეიმურაზი I** დაამტკიცა.

1603 წელს როდესაც შაჰმა თავისთან ქართლის და კახეთის მეფეები იხმო, ქართლის მეფე **გიორგი X** უყოყმანოდ ეახლა შაჰს და აქტიური მონაწილეობა მიიღო ერევნის ციხის

აღებაში. ამ სამსახურისთვის შაჰმა დავითს ყოველწლიური ჯამაგირი დაუნიშნა და სპარსეთში სოფლები აჩუქა. სამაგეროდ ქართლს ლორეს პროვინცია და მდინარე დებედას ხეობა ჩამოართვა და თავის სამფლობელოდ აქცია. აქ შაჰმა მუსლიმთა სასულთნო შექმნა და ბორჩალოს თურქმანული ტომები ჩამოსახლა. ამ მიწების ხელში ჩაგდებათ შაჰს გზა გაეხსნა ქართლზე . ასევე მოექცა შაჰი კახეთსაც, მის აღმოსავლეთით მდებარე კაკ-ენისელი ალექსანდრეს ჩამოართვა და აქაც მაჰმადიანური ტომები ჩაასახლა. ქართველი მოსახლეობა ამ ტერიტორიებზე თანდათანობით მცირდებოდა. ამ ტერიტორიებზე დარჩენილი მოსახლეობა თანდათანობით გამაჰმადიანდა და მათ ინგილოები ეწოდა.

შაჰ აბას I გეგმა საქართველოში ქართველობის ამოგდება და მათ ნაცვლად ყიზილბაშების ჩამოსახლება დაიწყო.

1606 წელს გარდაიცვალა ქართლის მეფე დავით X სამეფო ტახტი დაიკავა **ლუარსაბ II**.

ერთობ საინტერესო პიროვნება გახლდათ **გიორგი სააკაძე**. მისი წინაპრები აზნაურები იყვნენ. მისი მამა მეფის სალაროს მოლარე იყო. გიორგი სააკაძე ჯერ კიდევ სიმონ I ერთად იბრძოდა ოსმალების წინააღმდეგ. ლუარსაბის გამეფებისთანავე გიორგი მეფის გვერდით დადგა. მალე ის თბილისის, ცხინვალის და დვალეთის მოურავი გახდა. თავისი ციხესიმაგრე გიორგის ნოსტეში ჰქონდა, საგვარეულო მონასტერი კი ერთანმინდაში. გიორგის გავლენა მას შემდეგ გაიზარდა რაც ლუარსაბ II ცოლად მისი და შეერთო. გიორგის ასეთი გაძლიერებით განრისხდნენ დიდი თავადები.

ბერი ეგნატაშვილი გვაუწყებს ლუარსაბ II დაიჯერა, რასაც გიორგიზე ეუბებიდნენ თავადები.

1612 წელს გიორგი სანადიროდ დაიბარეს. განზრახული იყო ნადირობის დროს გიორგის მოკვლა. მოურავი მისმა ერთ-ერთმა მომხრემ გააფრთხილა. მოურავი მიხვდა რომ მას ქართლში აღარ ენდობოდნენ, ამიტომ ის სპარსეთში გადაიხიზნა.

1612 წელს შაჰ-აბასმა, თავისთან დაიბარა თეიმურაზ I და ლუარსაბ II. მეფეები შაჰს არ ეახლნენ და შეთანხმდნენ, რომ

ერთობლივად ემოქმედათ მტრის წინააღმდეგ. ამასაობაში სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ზავის დადების შემდეგ ირანის შაჰმა მთელი ყურადღება საქართველოს დაუთმო.

1613 წელს შაჰ აბას I უზარმაზარი ლაშქრით საქართველოსკენ დაიძრა. აქედან მან ელჩი გაუგზავნა თეიმურზ I და მძევლები მოსთხოვა. თეიმურაზი იძულებული გახდა ქეთევან დედოფალი და შვილები ლევანი და ალექსანდრე შაჰთან გაეგზავნა. ამის შემდეგ შაჰმა თეიმურზით თავისთან დაიბარა. შაჰმა მძევლები სპარსეთში გაგზავნა, თვითონ კი 1614 წელს კახეთში შემოიჭრა. კახელები თავგანწირვეთ ეკვეთნენ მტერს, ალყა გაარღვიეს და მეფე სამშვიდობოს გაიყვანეს. თეიმურაზი ქართლში გადავიდა და ლუარსაბს შეხვდა. გაირკვა რომ შაჰისთვის წინააღმდეგობის განევა ქართლს არ შეეძლო. თეიმურაზ I თავი იმერეთს შეაფარა. აბასმა მათი ხელში ჩაგდება განიზრახა და მეფეებს **შადიმან ბარათაშვილი** მიუგზავნა. ლუარსაბი ენდო მის გამზრდელს და შაჰთან გამოცხადდა. შაჰ აბას I 50 დღე იმყოფებოდა საქართველოში. ამ ხნის განმავლობაში საშინლად აოხრდა ქართლი და განსაკუთრებით კახეთი. კახელების დასასჯელად შაჰმა რჩეული ჯარი გამოგზავნა.

5 000-იანმა ქართველმა მუსრი გაავლო 15 000-იან ყიზილბაშთა ჯარს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. განრისხებულმა შაჰმა 1616 წელს კახეთის დასასჯელად და ამოსაგდებად დიდი ჯარი გამოგზავნა.

აბას I ჯერ თბილისში შემოვიდა და ქალაქის მმართველად **ბაგრატ-ხანი, დაუდ-ხანის** შვილი დანიშნა. შაჰმა თავისი ჯარი რამდენიმე ნაწილად დაჰყო და კახეთს შეესია. თეიმურაზი მიხვდა რომ სპარსელებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და იმერეთში გადავიდა. კახელები დავით ჯანდიერის ხელმძღვანელობით დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს, უბრძოლველად არ ტოვებდნენ არცერთ ციხე-სიმაგრეს და სოფელს. ყიზილბაშები ანგრევდნენ სახლებს, ეკლესია-მონასტრებს, ჩეხავდნენ ბალებს და ვენახებს.

1617 წელს სპარსელებმა კვლავ ილაშქრეს კახეთში.

შაჰ აბას I გამანადგურებელი ლაშქრობების შემდეგ კახეთი საშინლად განადგურდა. სპარსელი ისტორიკოსი წერს « ისეთი ქვეყანა რომელიც ყოველდღე ურიცხვ სარგებელს იძლეოდა დაინგრა და მიწასთან იქნა გასწორებული».

100 000 კახელი დაიღუპა, 200 000 კი გადასახლებული იქნა სპარსეთის პროვინციებში - ძირითადად ფერეიდანში. ფერეიდანი ქართველები დღესაც ცხოვრობენ. ხოლო კახეთის ტერიტორიაზე ყიზილბეგმა ჩამოასახლოეს მომთაბარე თურქმანები.

1619 წელს გარდაიცვალა ბაგრატ-ხანი, შაჰმა ქართლის მმართველად ბაგრატის შვილი **სვიმონ-ხანი** დანიშნა. სვიმონი მცირეწლოვანი იყო, ამიტომ მას მეურვედ გიორგი სააკაძე დაუნიშნა. ქართლის მმართველი ფაქტობრივად გიორგი სააკაძე იყო, გიორგის არ უსარგებლია მისი მაღალი თანამდებობით და მისი მტრები არ დაუსჯია. ზოგიერთ მეტოქეს: **ქაიხოსრო ჯავახიშვილს** და **ფარსადან ციციშვილს** შეურიგდა კიდეც. უპირველეს ყოვლისა აუცილებელი იყო ქართლის ფეოდალური ძალების გაერთიანება, თანაც საჭირო იყო ფრთხილი მოქმედებები რადგან შაჰის კარს ეჭვი არ აეღო. გიორგი სააკაძე შაჰს უერთგულეს პირად აჩვენებდა თავს. სპარსეთის შაჰის განსაკუთრებულ შემფოთებას ინვევდა თეიმურაზ მეფის აქტიურობა. იგი ოსმალეთში იყო გადახვენილი და შაჰის წინააღმდეგ იღებდა მონაწილეობას. მან რუსეთშიც გაგზავნა ელჩობა და მფარველი ქვეყნისგან მოითხოვა დახმარება. ამის საპასუხოდ სპარსეთის შაჰმა სასტიკად აწამა თეიმურაზის შვილები, ხოლო 1622 წელს სიკვდილით დასაჯეს ქართლის მეფე ლუარსაბ II. ქართულმა ეკლესიამ ლუარსაბი წმინდანად შერაცხა. თეიმურაზმა რუსეთში კვლავ გააგზავნა ელჩობა და შუამავლობით ითხოვა მისი დედის დედოფალ ქეთევანის გათავისუფლება. შაჰმა ამის საპასუხოდ დედოფალს გამაჰმადიანება მოსთხოვა. ქეთევან დედოფალმა არ უარყო ქრისტიანობა და 1624 წლის 12 სექტემბერს ქეთევან დედოფალი სასტიკად აწამეს. ქართველი დედოფლის გაუტყეხლობამ და

თავდადებას ქართველებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ქეთევანის სახელი მთელს მსოფლიოს მოედო.

საქართველოდან შემაშფოთებელი ინფორმაციის მიღების შემდეგ შაჰმა ოსმალეთთან ომი შეწყვიტა, ბაღდადიდან მოხსნა თავისი რჩეული ჯარის ნაწილები და საქართველოსკენ გამოემართა. ჯარის სარდალი იყო სახელგანთქმული მხედართმთავარი **ყარჩიხა-ხანი**. ყარჩიხა-ხანს მრჩევლად გიორგი სააკაძე დაუნიშნა. ამჯერად შაჰმა საქართველოს საკითხის საბოლოოდ გადანყვეტა დაისახა, მან ყარჩიხა-ხანს დაავალა როგორც კახეთის, ისე ქართლის ამოგდება. მოსახლეობის დიდი ნაწილი უნდა ამოეჟლიტა, ნაწილი კი სპარსეთში უნდა გადაესახლებინა.

ქართლსა და კახეთში განცდილი ფაქტობრივი მარცხის შემდეგ, შაჰ აბას I შეცვალა პოლიტიკა ქართლის და კახეთის მიმართ და ხელი აიღო საქართველოს ამოგდებაზე. მან მისთვის ჩვეულ ხერხს მიმართა და ქართველებს შორის შუღლის ჩამოგდება დაიწყო. საამისო ნიადაგი ფეოდალურ საქართველოში ყოველთვის იყო. მითუმეტეს რომ საქართველოს ამოგდების საფრთხემ გაიარა და თავადთა ნაწილი შაჰთან შერიგების გუნებაზე დადგა. მათ კვლავაც არ მოსწონდათ გიორგი სააკაძის პირველკაცობა. გიორგი სააკაძეს განუდგნენ მისი მომხრე თავადებიც, მათ შორის მისი ცოლის ძმაც **ზურაბ არაგვის ერისთავი**. დიდი მოურავი დაუპირისპირდა თეიმურაზ I. მითუმეტეს შაჰი თეიმურაზს მეფედ აღიარებას ჰპირდებოდა, თუ ის გიორგი სააკაძეს თავიდან მოიშორებდა. თეიმურაზის საპირისპიროდ გიორგი სააკაძემ ქართლ-კახეთში იმერეთის ტახტის მემკვიდრის ალექსანდრე გიორგის ძის დასმა გადანყვეტა. ამით მთელი საქართველოს გაერთიანების კარგი პერსპექტივა ისახებოდა. თეიმურაზის და გიორგის მომხრეებს შორის ბრძოლა გარდაუვალი გახდა.

1629 წელს დიდი მოურავი ოსმალეთში გადასახლდა. გიორგი მალე დაწინაურდა სულთნის სამსახურშიც, სადაც მას და მის ვაჟს ავთანდილს და მასთან მყოფ ორმოც ქართველს ღალატი დააბრალეს და სიკვდილით დასაჯეს. გიორგი სააკაძის

ოსმალეთში წასვლისთანავე და გარდაცვალების შემდეგ ქართლის თავადობამ ერთიანად აიშვა. განსაკუთრებით ურჩობდა ზურაბ ერისთავი, რომელიც ფშავ-ხევსურეთის და ხევის ჩაგდებას ცდილობდა. მაგრამ მთიელებმა ფეოდალს საკადრისი პასუხი გასცეს. ზურაბ ერისთავი სვიმონ-ხანმა მოაკვლევინა.

1629 ირანის ტახტზე ადის შაჰი **სეფი I (1629-1642)**, მის ტახტზე ასვლაში დიდი წვლილი მიუძღვის დაუდ-ხანის ძეს როსტომ ხანს, რომელიც მოგვიანებით მეფობს ქართლში 1633-1658.

სეფიმ I 1631 წელს ქართლ-კახეთის მეფედ თეიმურაზ I ცნო სპარსეთისადმი ვასალობით.

ქვეყნის შიგნით თეიმურაზმა განამტკიცა ხელისუფლება. თეიმურაზმა მალალ თანამდებობაზე კახელი თავადები დანიშნა, რაც ქართლის თავადების უკმაყოფილება გამოიწვია.

თეიმურაზ I აქტიურ საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო. ჯერ კიდევ 1626-1628 წლებში მან დასავლეთ ევროპაში მიავლინა თავისი ელჩი - **ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი** იგივე ნიკიფორე ირბახი. მან ესპანეთის მეფეს სპარსეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა შესთავაზა. თეიმურაზი ახლო ურთიერთობაში იყო სპარსეთში მოღვაწე ალავერდი-ხანთან, განჯის ბეგლარბეგ დაუდ-ხანთან და შირაზის მმართველ იმამ ყული ხანთან. შაჰ სეფის გამეფების შემდეგ ალავერდი-ხანმა მისი დიდი თანამდებობა დაკარგა. შაჰის კარზე ამ დროს დიდკაცობდა ხოსრო-მირზა, მისი შეგონებით შაჰმა დაიჭირა ძმები უნდილაძეები. ამის შემდეგ განჯის ბრგლარბეგი დაუდ ხანი საქართველოში გამოიქცა და თეიმურაზ I შეეხიზნა. თეიმურაზ მეფე სპარსეთის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა, მან მოარბია განჯა, ყარაბაღი და მდინარე არაქსის პირას არსებული ქვეყნები. შაჰ სეფიმ თეიმურაზი მეფობიდან გადააყენა და მის ნაცვლად გაამეფა ხოსრო მირზა, რომელიც დიდი ჯარით საქართველოსკენ გამოემართა. მან სახელი შეიცვალა და როსტომ-ხანი დაირქვა.

როსტომ-ხანი საქართველოში 1633 წლის თებერვალში შემოვიდა. მის ჯარში ბევრი გამაჰმადიანებული ქართველი იყო. ქართლის

თავადების დიდმა ნაწილმა როსტომს დაუჭირეს მხარი, ასე რომ თეიმურაზი იძულებული გახდა ქართლი დაეტოვებინა და იმერეთში გადასულიყო. ქართლ-კახეთის ტახტი როსტომმა დაიკავა, თეიმურაზი კიდევ განაგრძობდა ბრძოლას ქართლის დასაკავებლად. მან ქართლში რამდენიმე შეთქმულება მოახდინა.

1634 წელს თეიმურაზმა კახეთი დაიკავა და გამეფდა, მალე როსტომმა ყიზილბაშთა დამატებითი ჯარი მიიღო და 1648 წელს კვლავ დაიკავა კახეთი. როსტომის გამარჯვება იმან განაპირობა რომ მან არ სცადა ადგილობრივი საზოგადოების და სამეურნეო სისტემის შეცვლა. მის მიერ გატარებული ღონისძიებები ძირითადად ზედაპირული იყო. მან ზოგიერთი სამეურნეო სისტემა სპარსულ ყაიდაზე გარდაქმნა, ზოგს კი მხოლოდ სახელი შეუცვალა, სხვა მხრივ კი ადგილობრივი ფეოდალური სისტემა უცვლელი დარჩა. ამიტომ ქართლის თავადები მალევე შეეგუვნენ როსტომს და მის სამსახურშივე ჩადგნენ. ქვეყანა ნანატრ მშვიდობას ეწვია, შეწყდა ყიზილბაშთა თარეში, შენედა თავადებს შორის დაპირისპირება. ქვეყანაში მშვიდობის დამყარების შემდეგ გახიზნული მოსახლეობა მამაკაპურ სახლებს დაუბრუნდა და გამოცოცხლდა სოფლის მეურნეობა. აღდგა დანგრეული ქალაქები, გამოცოცხლდა ვაჭრობა, ხელოსნობა. გაჰყავდათ გზები, აშენებდნენ ხიდებს და ქარვასლებს. მოწესიდა საბაჟო სისტემა. როსტომ-ხანის ინიციატივით დაიწყეს ახალი ქალაქების მშენებლობა. მის პერიოდში ქართული კულტურა და ქრისტიანობა არ იდევენებოდა, პირიქით მას ხელი ეწყობოდა. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის როსტომის ცოლს მარიამ დედოფალს. რომელიც მზრუნველობას იჩენდა ქრისტიანების მიმართ.

როსტომს ქართლში მეფეს უწოდებდნენ, სინამდვეში კი ის შაჰის ვასალი იყო, რასაც ვალი ეწოდებოდა. იგი იყო პირველი მაჰმადიანი, რომელიც ქართლ-კახეთის ტახტზე შედარებით მტკიცედ დამკვიდრდა. შაჰის კარმა ახალი პოლიტიკის გატარება დაიწყო. რომელიც მშვიდობიანი დაპყრობის პოლიტიკა იყო.

1658 წელს გარდაიცვალა როსტომ-ხანი ის სპარსეთის

ქალაქ ყუმში დაკრძალეს. როსტომს შვილი არ ჰყავდა ამიტომ ტახტზე ავიდა მისი ნაშვილები ბაგრატიონთა უმცროსი შტოს - მუხრანბატონების შთომავალი ვახტანგ V.

1658 წელს მოსკოვში გაემგზავრა თეიმურაზ I. რუსეთიდან თეიმურაზმა რელიური დახმარება ვერ მიიღო. და იმერეთში დაბრუნებული ბერად აღიკვეცა. თეიმურაზი სკანდის ციხესიმაგრეში განმარტოვდა. როდესაც ვახტანგ V იმერეთში ილაშქრა თეიმურაზი ტყვედ ჩავარდა. მთელი სიცოცხლე ყიზილბაშების მეზრძოლი თეიმურაზი სპარსეთში გადაასახლეს. ისლამზე მიღებაზე უარის მიღების შემდეგ ის ასტრახადის ციხეში გამოკეტეს.

1663 წელს 74 წლის თეიმურაზ I გარდაიცვალა. ქართველებმა მისი ნეშტი ჩამოასვენეს და ალავერდში დაკრძალეს

XVII საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს უმძიმესი ვითარება შეიქმნა კახეთში. სპარსეთის შაჰმა აბას II თავისი წინაპრის აბას I ის პოლიტიკა გააგრძელა და კახეთში მომთაბარე თურქმანების ჩამოსახლება დაიწყო. ჩამოსახლეს 80 000 თურქმანი, კახეთი კვლავ დადგა გადაშენების და გადაგვარების საფრთხის წინაშე. თურქმანები ყოველმხრივ ჩაგრავდნენ და ავინროვებდნენ ქართველებს. თურქმანები მესაქონლეობას მისდევდნენ, მათ კახეთი მხოლოდ საძოვრებად სჭირდებოდათ. თურქმანთა ჩამოსახლებით უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მთის მოსახლეობა - თუშები, ფშავეები, ხევსურები. მთასა და ბარს შორის საუკუნეების განმავლობაში არსებობდა ურთიერთკავშირი. ბარის მოსახლეობა გაჭირვების უამს მთაში იხიზნებოდა, მთის მოსახლეობა საცხოვრებლად გადადიოდა ბარში. მთა და ბარი ერთმანეთში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ცვლიდა. ბარში თურქმანთა ჩამოსახლებით დაირღვა ეს კავშირები, რაც მთასა და ბარში არსებობდა. ქართლსაც ანალოგიური ბედი ელოდა.

სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებას ჩაუდგნენ : **ზაალ არაგვის ერისთავი, ბიძანა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავი.**

აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს თუშებმა. თუშებს **ზეზ-**

ვა გაფრინდაული მეთაურობდა, ხევსურებმა **ნადირა ხოშარა-ულის** წინააღმდეგობით და ფშავებმა - **გოგილაურის** თავკავობით. თურქმანებს კახეთში ორი ძლიერ გამაგრებული პუნქტი ჰქონდათ : ბახტრიონის ციხე და ალავერდი, რომელიც ასევე ციხესიმაგრედ ექციათ.

აჯანყება 1659 წელს მოხდა. არაგვის საერისთავოს ჯარი ზაალის შვილის ზურაბის სარდლობით და ქსნის ერისთავის ჯარი ახმეტაში შეიკრიბნენ. ბახტრიონის ციხისკენ მოვიდნენ თუშები, ფშავეები და ხევსურები. კახელები ბიძინა ჩოლოყაშვილის სარდლობით ალავერდს მიადგნენ. ქართველებმა ერთდროულად შეუტიეს ამ ორ ციხეს და აიღეს. ამის შემდეგ აჯანყებულებმა ჩამოსახლებულ თურქმანებს შეუტიეს. თურქმანთა დიდი ნაწილი ამოწყდა, ვინც გადარჩა თავს გაქცევით უშველა. კახეთი ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა.

შაჰის ბრძანებით ვახტანგ V ზაალ ერისთავი მოკლა. შალვა, ელიზბარი და ბიძინა კი შაჰს ეახლნენ, რათა ამით მაინც დაეცხროთ აბას II მრისხანება და ქვეყანა სპარსელთა შესაძლო დამსჯელი ლაშქრობისგან დაეცვათ. აბას II ბრძანებით ბახტრიონის აჯანყების ხელმძღვანელები დასასჯელად იმ თურქმანებს გადასცეს, ვისი თანატომელებიც კახეთში სახლობდნენ.

1662 წელს თურქმანებმა ქართველი მამულიშვილები წამებით დასაჯეს. შემდგომში ისინი სამშობლოში გადმოსვენეს და იკორთის მონასტერში დაკრძალეს. ქართულმა ეკლესიამ შალვა ბიძინა და ელიზბარ ქსნის ერისთავები წმინდანებად შერაცხა.

ბახტრიონის აჯანყების დროს ქართლის მეფე ვახტანგ V იყო. ის ჯერ კიდევ როსტომ-ხანის დროს წავიდა სპარსეთში და გამაჰმადიანდა, მას შაჰნავაზი უწოდეს.

1658 წელს ქართლში გამეფებულმა ვახტანგმა როსტომის პოლიტიკა განაგრძო. მოჩვენებითი მაჰმადიანობით და ყმობის აღიარებით იგი ცდილობდა მშვიდობიანი ურთიერთობა შეენარჩუნებინა სპარსეთთან. ეს კი, თავის მხრივ ქვეყანას მშვიდობიანი განვითარების საშუალებას აძლევდა. ბახტრიონის

აჯანყების შემდეგ ვახტანგს კახეთიც დაემორჩილა. მან ისარგებლა იმერეთში დაწყებული არეულობით და იმერეთის ტახტზე მისი შვილი არჩილი დასვა. ვახტანგის მიერ გატარებული პოლიტიკა მიუღებელი იყო სპარსეთისა და ოსმალეთისთვის.

1639 წლის ზავით დასავლეთ საქართველო ოსმალეთს ეკუთვნოდა, სულთანმა ვახტანგის მოქმედება მის შიდა საქმეებში ჩარევად ჩათვალა და ირანს ”გურჯისტანის ვალის” მორჩილებაში ყოლა მოსთხოვა. ვახტანგი იძულებული გაცდა არჩილის ორწლიანი მეფობის შემდეგ ქართლში გამოეწვია.

1664 წელს გამაჰმადიანებული არჩილი შაჰმა კახთა მეფედ დაამტკიცა, არჩილი შემდგომში კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნდა. მისი მეფობის დროს კახეთის ეკონომიკა გაძლიერდა, განახლდა ეკლესიები, შეაკეთეს და ააშენეს ახალი ნაგებობები. ნაწილობრივ მოხდა ლეკების თარეშის აღკვეთა. მიუხედავად ამისა კახელი ბატონიშვილები არჩილს უკანონო მეფედ მიიჩნევდნენ და კახეთის მეფედ თეიმურაზ I შვილი ერეკლე I სურდათ.

1674 წელს ერეკლე რუსეთიდან კახეთში დაბრუნდა. ცოტა ხნის შემდეგ შაჰმა ის თავისთან დაიბარა. არჩილმა იფიქრა რომ შაჰი ერეკლეს კახეთის მეფედ დასმას უპირებსო, მიატოვა კახეთი მამის ნებართვის გარეშე და იმერეთში გამეფებას შეეცადა. შაჰს უყურადღებოდ არ დარჩენია ქართლსა და კახეთში მიმდინარე მოვლენები. შაჰმა თავისთან იხმო ვახტანგ V, ვახტანგმა ქართლის გამგებლად თავისი ძე გიორგი დატოვა.

1675 წელს ვახტანგი გარდაიცვალა. იგი ყუმში დაკრძალეს.

XVII საუკუნის 80-იან წლებში გიორგი XI, რომის პაპს დაუკავშირდა და დახმარება სთხოვა, რომის პაპს და ევროპას საქართველო არ აინტერესებდათ. გიორგი მხარს უჭერდა მის უმცროს ძმას არჩილს, რომელიც იმერეთში გამეფებას ცდილობდა. შაჰმა გიორგის ძმის შეპყრობა მოსთხოვა, გიორგიმ შაჰის ბრძანება არ შეასრულა. უფრო მეტიც მან შაჰის მომხრე თავადების დაკავებასაც შეეცადა. ყოველივე ამის საპასუხოდ შაჰმა 1688 წელს ის გადააყენა და ქართლის მეფედ ერეკლე I დანიშნა.

ერეკლე I თითქმის 30 წლის განმავლობაში ცხოვრობდა

ჯერ რუსეთში შემდეგ კი სპარსეთში. რუსეთში ის უფლისწულ ნიკოლოზის სახელით იყო ცნობილი, იგი დაახლოებული იყო მეფე ალექსანდრე მიხეილის ძესთან.

ვინაიდან ერეკლე დიდი ხანი უცხოეთში ცხოვრობდა ის კარგად ვერ ერკვეოდა საქართველოში შექმნილი ვითარებით. მეფე ქართლის თავადებს არ ენდობოდა, ამიტომ ყველგან თავის მომხრე პირებს ნიშნავდა. ერეკლე შეეცადა განემტკიცებინა მეფის ხელისუფლება, მოენესრიგებინა ქვეყნის მართვა გამგეობა, მაგრამ მას დასაყრდენი არ ჰქონდა და ქართლში ფეხი ვერ მოიკიდა. ამას ისიც ემატებოდა რომ გიორგი XI არ აპირებდა მეფობის ასე ადვილად დათმობას. ისინი ოთხი წელი ებრძოდნენ ერთმანეთს. გიორგი შეიძლებოდა შაჰს სასტიკად დაესაჯა, მაგრამ ამ დროს სპარსეთის შაჰს ქართლისთვის არ ეცალა. ამ პერიოდში ავღანელებმა სპარსეთში აჯანყება წამოიწყეს, სპარსეთს დიდი საფრთხე დაემუქრა. გიორგი შაჰის სამსახურში ჩადგა და მალე თავიც გამოიჩინა.

-
- **ალექსანდრე II** (დ. 1527 - გ. 1605) - კახეთის მეფე 1574-1601, 1602-1605 წლებში. ლევან მეფის ძე
 - **დავით I** (გ. 1602) - კახეთის მეფე 1601-1602 წლებში ალექსანდრე II ძე და თეიმურაზ I მამა
 - **აბას I**, შაჰ-აბას დიდად წოდებული (1571 - 1629) - ირანის შაჰი (1587-1629) სეფიანთა დინასტიისა, შაჰ-მუჰამად ხუდაბანდას ძე, მხედართმთავარი.
 - **ალავერდი-ხანი** (გ. 1614) - ირანის სარდალი და პოლიტიკური მოღვაწე. გამაჰმადიანებული ქართველი, გვარად უნდილაძე. ირანის ჯარის პირველი ყულარალასი, ფარსის ბეგლარბეგი, აბას I სამხედრო რეფორმების ერთ-ერთი აქტიური გამტარებელი.
 - **ყულარალასი** - (ყულის ჯარის, მეფის მცველების უფროსი); მეფის პირადი დაცვის ხელმძღვანელი, მეფის მცველ მეთოფეთა უფროსი გვიანფეოდალურ საქართველოში.
 - **იმამყული-ხანი** (გ. 1633) - ირანის ჯარის ყულარალასი, გამოჩენილი სარდალი. ქართველი, ალავერდი-ხან უნდილაძის შვილი.
 - **დაუდ-ხანი** - განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი 1625-1633 წლებში, წარ-

მოშობით ქართველი, ალავერდი-ხანის ძე.

- **როსტომ-ხან სააკაძე** (1588 -1643), სპარსეთის სამეფო კარზე მოღვაწე ქართველი მხედართმთავარი.
- **კონსტანტინე-ხანი I** (1566 - 1605) - კახეთის მეფე 1605, ალექსანდრე II ძე.
- **ქეთევან დედოფალი**, ასევე ქეთევან წამებული (გ. 1624) - კახეთის მეფის დავით I მეუღლე, აშოთან მუხრანბატონის ასული.
- **თეიმურაზ I** (1589 - 1663) - ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632.
- **გიორგი X** (1560-1565 შორის - გ. 1606) - ქართლის მეფე 1600-1606 წლებში. სიმონ I ძე.
- **ლუარსაბ II** (1592 - 1622) - ქართლის მეფე 1606-15 წლებში
- **გიორგი სიაუშის ძე სააკაძე**, დიდი მოურავი (დაახლ. 1580-1629) - საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მხედართმთავარი და სამხედრო სტრატეგი
- **შადიმან ბართაშვილი** - ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის I მესამედში.
- **ბაგრატ VII, ბაგრატ-ხანი** (გ. 1619) - ქართლის ხანი 1616-1619 (ქართული წყაროებით მეფე), დავით XI (დაუთ-ხანის) ძე,
- **დავით XI, დაუთ-ხანი** - ქართლის ხანი (ზოგიერთი ქართული წყაროს მიხედვით, ქართლის მეფე) 1569-1578, ლუარსაბ I ძე
- **სვიმონ II სვიმონ ხანი** -ქართლის მეფე 1619-1625 წლებში, ბაგრატ VII (ბაგრატ ხანის) ძე
- **ფარსადან ციციშვილი**, XVII საუკუნის I ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, ქართლის დიდებული, საციციანოს მეთაური
- **ყარჩიხა-ხანი** (1625) - შაჰ აბას I ერთ-ერთი გამოჩენილი სარდალი, ერევნელი სომეხი.
- **ზურაბ არაგვის ერისთავი** (გ. 1629) - არაგვის ერისთავი 1620-1629, ძე ნუგზარ არაგვის ერისთავისა.
- **ზეხვა გაფრინდული** - თუშ-ფშავ ხევსურთა გაერთიანებული ჯარის შემკრები და ორგანიზატორი
- **ნადირა საღირის-ძე ხოშარაული** - ხევსური სახალხო გმირი, 1659 წლის კახეთის აჯანყების მონაწილე, ხევსურთა ჯარის წინამძღოლი.
- **გოგოლაური** - ყიზილბაში დამპყრობლების წინააღმდეგ კახეთის აჯანყების (1659) გმირი. ხალხური პოეზიის მიხედვით გოგოლაური ფშაველთა რაზმის მეთაური
- **შაჰ სეფი ან სეფი I** (1611 - 1642)* სეფიანთა დინასტიის მეექვსე წარმომადგენელი, მუჰამედ ბაყერ მირზასა და დილარამ ხანუმის ვაჟი. აბას I შვილიშვილი. ირანის შაჰი 1629-1642 წლებში

ტაშისკარის ბრძოლა (1609 წ.)

გაიმართა 1609 წლის 16 ივნისს. ბრძოლა ქართლის სამეფოსა, ოსმალთა და ყირიმელ თათართა ლაშქარს შორის.

1609 წლის ივნისში ქართლში შეიჭრა ოსმალების მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელმაც რამდენიმე სოფელი ააოხრა და გაძარცვა, მოსახლეობის ნაწილი დაატყვევა და სწრაფად მიადგა მანგლისს.

ოსმალებმა აქედან გაჭრა სცადეს სოფ. ცხირეთისაკენ (შიდა ქართლი), სადაც მეფე **ლუარსაბ II** ეგულებოდათ.

თევდორე კვეთელმა მოატყუა მტერი და სხვა მიმართულებით წაიყვანა.

ამასობაში ქართველებმა ლაშქარი შეკრიბეს და გიორგი სააკაძისა და ზაზა ციციშვილის სარდლობით სოფელ ნიაბის (ახლანდელი კასპის მუნიციპალიტეტი) ბოლოს, სხერტის ქალაზე, მტერი უკუაქციეს.

გორისაკენ გაბრუნებულთ მდინარე მტკვარზე ხიდი აყრილი დახვდათ.

მაშინ მათ ახალციხისაკენ იბრუნეს პირი. სოფელ ბრბონასთან მდ. მტკვარი გადალახეს და სოფელ ტაშისკართან დაბანაკდნენ.

-
- **ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი** (ნიკიფორე ირბახი) (დ. 1585 - გ. 1658)
 - პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის ერთ-ერთი გამომცემელი
 - **ზაალ არაგვის ერისთავი** (გ. 1660) - არაგვის ერისთავი 1633-1660 წლებში, ზაალ ქსნის ერისთავის მკვლელი.
 - **ბიძინა ჩოლოყაშვილი** - კახეთის 1659 წლის სახალხო აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. XVII საუკუნის 30-იან წლებში კახეთის სამეფოს სახლთუხუცესი
 - **ელიზბარ ქსნის ერისთავი** (გ. 1662) - კახეთის აჯანყების (1659) ერთ-ერთი მეთაური
 - **გურჯისტანის ვალი** - შაჰის ნაცვალის საქართველოში
 - **ერეკლე I**, ნაზარ ალი-ხანი, ნიკოლოზი (1642 - 1709) - ქართლის (1688-1703) და კახეთის (1703- 1709) მეფე, თეიმურაზ I ძის დავითის შვილი
 - **გიორგი XI** (1651 - 1709) - ქართლის მეფე 1676-1688, 1703-1709. ვახტანგ V ძე.

ქართველთა ლაშქარი სოფელ ახალდაბასთან (ახლანდელი ბორჯომის მუნიციპალიტეტი) მდინარე მტკვარზე გადავიდა და მონინალმდეგეს ახალციხისაკენ გასასვლელი გზა გადუჭრა.

სამხედრო თათბირზე **გიორგი სააკაძის** გეგმა მიიღეს და სარდლობაც მასვე დაევალა.

ქართველთა ლაშქარი განთიადისას მოულოდნელად დაესხა თავს მტერს და თითქმის მთლიანად გაანადგურა, მხოლოდ მცირე ნაწილმა უშველა გაქცევით თავს.

ქართველებს დიდძალი ნადავლი და ტყვე დარჩათ. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გიორგი სააკაძემ.

წინამშურის ბრძოლა (1615 წ.)

კახეთის ლაშქრის ბრძოლა ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ **თეიმურაზ I** მეთაურობით.

კახეთის აჯანყების (1615) პერიოდში შაჰმა **აბას I** საქართველოში 15-ათასიანი ჯარი გაგზავნა **ალიყული-ხანის** სარდლობით.

ქართველთა ლაშქარი მოულოდნელად დაესხა თავს წინამურის ახლოს, დაბანაკებულ მტერს და დაამარცხა.

სპარსელთა მთელი ბანაკი და იარაღი ქართველებს დარჩათ.

-
- **ტაშისკარი** (ახლ. ხაშურის მუნიციპალიტეტი)
 - **ლუარსაზ II** (1592 - 1622) - ქართლის მეფე 1606-15 წლებში.
 - **თევდორე კველთელი**, თევდორე მღვდელი (გ. 1609), ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი გმირი.
 - **გიორგი სიაუშის ძე სააკაძე**, დიდი მოურავი (1580- 1629) - საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მხედართმთავარი და სამხედრო სტრატეგი.
 - **წინამშური** - სოფელი ახლ. მცხეთის რაიონში
 - **თეიმურაზ I** (1589 - 1663) - კახეთის მეფე 1606-1648, ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632.
 - **აბას I**, შაჰ-აბას დიდად ნოდებული (1571 - 1629) - ირანის შაჰი (1587-1629) სეფიანთა დინასტიისა, შაჰ მუჰამად ხუდაბანდას ძე, მხედართმთავარი.
 - **ალიყული-ხანი** , იესე (დ. დაახლოებით 1680/1681 - 1727), ქართლის მეფე 1714-1716, ლევან ბატონიშვილის ძე, ვახტანგ VI ძმა.

ბოჭოურის ბრძოლა (1623 წ.)

ბრძოლა ოდიშის მთავარ **ლევან II დადიანსა** და იმერეთის მეფე **გიორგი III** შორის.

ლევან II დადიანის გაძლიერებით უკმაყოფილო იმერეთის მეფე გიორგი III 1623 ოდიშზე სალაშქროდ გაემზადა.

ლევან II დადიანმა, რომელსაც აფხაზთა და ჯიქთა ლაშქარიც ახლდა, გიორგი III დაასწრო, იმერეთში შეიჭრა და გოჭოურასთან სასტიკად დაამარცხა მეფე.

გოჭოურის ბრძოლის შემდეგ აშკარა გახდა ლევან II დადიანის პოლიტიკური უპირატესობა დასავლეთ საქართველოში.

ალაიანის ბრძოლა (1625 წ.)

ბრძოლა სპარსეთის და კახეთის სამეფოს ლაშქრებს შორის.

ადრე გაზაფხულზე **შაჰ-აბას I** ყარჩიხა-ხანის სარდლობით საქართველოში გამოგზავნა დიდი ლაშქარი, რომელიც სოფ. ალაიანთან დაბანაკდა.

სპარსელთა მიზანი იყო კახელების განყვეტა და ქართლ-ლელების სპარსეთში გადასახლება.

ყარჩიხა-ხანმა კახეთის თავად-აზნაურთა რჩეული ლაშქარი თავისთან დაიბარა თითქოსდა შაჰის საჩუქრების გადასაცემად.

კახელები «საჩუქრებისათვის» კარვებში შეჰყავდათ და თავებს ჰკვეთდნენ.

400-მდე კაცის მოკვლის შემდეგ ყიზილბაშთა მუხანათობა გამომჟღავნდა.

კახელებმა ბრძოლით გაიკაფეს გზა კახეთისაკენ.

ქართლ-კახეთი ყიზილბაშთა წინააღმდეგ აჯანყების სამზადისს შეუდგა.

-
- **გოჭოურა** (სოფელი ქუთაისის მახლობლად)
 - **ლევან II დადიანი**, ოდიშის მთავარი 1611-1657, მანუჩარ I დადიანის ძე.
 - **გიორგი III** (გ. 1639) - იმერეთის მეფე 1604-1639, კონსტანტინე მეფის ძე.
 - **ალაიანი** - სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის მხარის კასპის მუნიციპალიტეტში.

მარტყოფის ბრძოლა (1625 წ.)

1625 წლის 25 მარტს ქართლ-კახეთის ლაშქრის ბრძოლა ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ; ქართლ-კახეთის აჯანყების (1625) ერთ-ერთი ეპიზოდი.

ყიზილბაშთა დიდი არმია ყარჩიხა-ხანის სარდლობით მარტყოფის ველზე იდგა და კახეთის მოსახლეობის დასარბევად ემზადებოდა.

ქართლ-კახეთი გიორგი სააკაძისა და დავით ჯანდიერის მეთაურობით აჯანყებისათვის მზად იყო.

ქართლ-კახეთის მესვეურთა გეგმით, აჯანყებულები დათქმულ დროზე მოულოდნელად უნდა შესეოდნენ სპარსელთა ბანაკს.

გიორგი სააკაძესა და მის მხლებლებს, რომელნიც სპარსელთა ბანაკში იმყოფებოდნენ, მოულოდნელი დარტყმით ჯარის სარდლები უნდა დაეხოცათ.

მტრის ბანაკში იყო აგრეთვე სააკაძის შვილი ავთანდილი, თავადიშვილები ელია დიასამიძე და პაატა ხერხეულიძე, გლეხი პაპუნა ვაშაყაშვილი.

25 მარტს, გარიჟრაჟზე, ხარება დღეს, ქართლ-კახეთის ლაშქარი მტრის ბანაკს მიუახლოვდა. ხმაურზე გუშაგებმა განგაში დასცეს. სპარსელთა ჯარის სარდლობამ სასწრაფოდ თავი მოიყარა ყარჩიხა-ხანთან და გიორგი სააკაძე იხმეს.

შეკრებისთანავე, გიორგი სააკაძემ ყარჩიხა-ხანი განგმირა, ხოლო სანამ სპარსელთა სარდლობა გონს მოვიდოდა, სააკაძის მხლებლებმა მათ ბოლო მოუღეს.

ამასობაში ქართველთა ჯარი, რომელსაც ზურაბ ერისთავი მეთაურობდა, ბანაკში შეიჭრა. ბრძოლა მთელი დღე გაგრძელდა და გვიან ღამით აჯანყებულთა გამარჯვებით დამთავრდა.

მტრის ბანაკიდან, რომელშიც 30 ათასამდე ყიზილბაში იყო, მხოლოდ 3 ათასმა უშველა თავს გაქცევით. ქართლ-კახეთის მოსახლეობა ამჯერადაც გადარჩა ამონყვეტასა და აყრა-აოხრებას.

შაჰ-აბას I ბრძანებით თავი მოჰკვეთეს გიორგი სააკაძის ვაჟს პაატას, რომელიც მძევლად იყო სპარსეთში.

აბას I დაიწყო სამზადისი საქართველოში დიდი დამსჯელი ექსპედიციის მოსაწყობად.

გიორგი სააკაძე და **თეიმურაზ I** თავდაცვისათვის ემზადებოდნენ.

მარაბდის ბრძოლა (1625 წ.)

ქართლ-კახეთის ლაშქრის ბრძოლა ყიზილბაშ დავპრობთა წინააღმდეგ 1625 წლის I ივლისს.

ქართლ-კახეთის აჯანყების (1625) ჩასაქრობად შაჰმა აბას I-მა მარტყოფის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ახალი დიდი ჯარი გააზავნა საქართველოში თავისი სიძის ისახან ყორჩიბაშის სარდლობით.

ირანის ჯარში ძირითადი ნაწილის გარდა იყო ყორჩების ლოლამთა გვარდიული ნაწილები, მეთოფეთა რაზმები და არტილერია.

ისა-ხანს დაუქვემდებარეს შირვანის მმართველის ყაზან-ხან ჩერქეზისა და ერევნის ბეგლარბეგის შაჰ-ბენდე-ხანის ლაშქარი.

-
- **მარტყოფი** - სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლის მხარის გარდაბნის მუნიციპალიტეტში,
 - **დავით ჯანდიერი** (ასლანიშვილი) (გ. 1625) - კახეთის დიდებული თავადი.
 - **გიორგი სიაუშის ძე სააკაძე**, დიდი მოურავი (1580- 1629) - საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მხედართმთავარი და სამხედრო სტრატეგი.
 - **ავთანდილ გიორგის ძე სააკაძე** (გ. 1629), გიორგი სააკაძის პირმშო და თანამებრძოლი.
 - **თეიმურაზ I** (1589 - 1663) - კახეთის მეფე 1606-1648, ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632.
 - **აბას I**, შაჰ-აბას დიდად წოდებული (1571 - 1629) - ირანის შაჰი (1587-1629) სეფიანთა დინასტიისა, შაჰ მუჰამად ხუდაბანდას ძე, მხედართმთავარი.
 - **ყარჩიხა-ხანი**-ირანის ჯარის სარდალი

ლაშქარი გაიგზავნა ჩრდილოეთ და ცენტრალური ირანი-დანაც. შაჰი აბას I სამხრეთ აზერბაიჯანიდან ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს.

ირანელთა არმია 1625 წლის ივნისის ბოლოს საქართველოში შემოვიდა და მდინარე ალგეთის ხეობაში, მარაბდის ველზე, დაბანაკდა.

თეიმურაზ I და გიორგი სააკაძემ დიდი სამზადისი ჩაატარეს და 20-ათასიანი არმიით კოჯორ-ტაბახმელის მიდამოებში დაბანაკდნენ. გიორგი სააკაძემ დახმარებისათვის ოსმალეთს მიმართა, მაგრამ უშედეგოდ. ქართველთა ბანაკში იმყოფებოდა სამცხიდან მოსული ათაბაგი **მანუჩარ III** 300 მეზობლით. სპარსელები აზერბაიჯანის ბეგლარბეგის შაჰ-ბენდე-ხანის ლაშქარს ელოდნენ და ბრძოლის დაწყებას არ ჩქარობდნენ.

ქართველთა სარდლობაში კი აზრთა სხვადასხვაობა იყო. გიორგი სააკაძე მოითხოვდა დაეცადათ, სანამ მტერი თვითონ არ გადმოვიდოდა შეტევაზე, რადგან დიდი სიცხის გამო ქართველთა ჯარს, განსაკუთრებით ქვეითებს, მარაბდის დაბალ ველზე ბრძოლა გაუჭირდებოდა, თანაც კოჯორ-ტაბახმელის ვიწროხევიებიან მიდამოებში მტერს მთელი გაშლისა და გამოყენების საშუალება არ ექნებოდა. სამხედრო თათბირმა სააკაძის გეგმა უარყო. გადაწყდა ბრძოლა მეორე დღეს, 1625 წლის 1 ივლისს, დაენწყით.

მთავარსარდლობა თეიმურაზ I იკისრა. ქართველთა ლაშქარმა ბრძოლა მისთვის უაღრესად ძნელ პირობებში დაიწყო.

ამასთან გ. სააკაძე ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობას ჩამოაცილეს.

როგორც ჩანს, სპარსელთა სარდლობა მოელოდა ქართველთა შეტევას: ყიზილბაშებმა სანგრები ააგეს და ზარბაზნები შემოუნწყეს, ზარბაზნების უკან ოთხ რიგად მეთოფეები განალაგეს. მოწინავე ჯარს ამირგუუნა-ხანი სარდლობდა, ცენტრს კი - თვით ისა-ხან ყორჩიბაში. ცენტრის მარცხნოვ და მარჯვნივ მრავალრიცხოვანი რაზმები განალაგეს, ქართველთა ლაშქარი ღამით კოჯორის მალეობებიდან მარაბდის ველისკენ დაეშვა და განთიადისას მტრის ბანაკისკენ გაემართა.

წინ რჩეული ცხენოსანი რაზმი მიდიოდა. ყიზილბაშთა სანგრებიდან გაჩაღებულმა თოფებისა და ზარბაზანთა ცეცხლმა შეტევა რამდენადმე შეაფერხა, მაგრამ ქართველები არ შედრკნენ, დიდი სისწრაფით შეიჭრნენ მტრის ბანაკში და მენინავე რაზმები გადათელეს. ამირგუნა-ხანი სასიკვდილოდ დაიჭრა.

ქართველთა ლაშქარმა მეთოფეთა რაზმებს დაარტყა და მათი წყობა მოშალა, შემდეგ ცენტრს შეუტია და მტრის რიგებში დიდი არეულობა შეიტანა.

თავზარდაცემული მტრის მარცხენა და მარჯვენა ფრთის ჯარები ცენტრს ვერ მიეშველნენ და გაიქცნენ. ქართველთა გამარჯვება თითქმის გარდაუვალი იყო, მაგრამ ისა-ხანი ბრძოლის ველს არ თმობდა და უკანასკნელ ძალებს იკრებდა.

ამ დროს ქართველთა ჯარის ერთმა ნაწილმა ბრძოლა მოგებულად ჩათვალა, ალაფობა დაიწყო და ბრძოლას თავი მიაწება, ცხენოსანთა ერთი რაზმი კი ავთანდილ სააკაძისა და დავით ერისთავის მეთაურობით მტრის გაქცეულ ნაწილებს დაედევნა და ბრძოლის ველს გასცილდა. ამან ყიზილბაშთა მდგომარეობა ძალიან შეამსებუქა. მტრის რაზმები კვლავ მოგროვდნენ სარდლის ირგვლივ და ქართველთა ლაშქარს შეუტეეს. ამ დროს ყიზილბაშებს აზერბაიჯანის ბეგლარბეგის შაჰ-ბენდე-ხანის მეთაურობით ახალი ძალებიც მოუვიდათ. ქართველთა ჯარმა მტრის ახალი რაზმების დარტყმას ვეღარ გაუძლო და გატყდა. ბრძოლის ველი პირველად ცხენოსანმა ჯარმა დატოვა და კოჯრის ვიწროებს მიაშურა.

მიტოვებული ქვეითობა, რომელიც გლეხობისაგან შედგებოდა, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ იარაღს მაინც არ ყრიდა. გლეხები გუნდ-გუნდად იბრძოდნენ და უკანასკნელ კაცამდე შეაკვდნენ მტერს. ყიზილბაშებსაც დიდი ზიანი მოუვიდათ. ქართველთა ჯარი დამარცხდა. ბრძოლის ველზე 10 ათასი ქართველი და 14 ათასი ყიზილბაში დაეცა.

მარაბდის ბრძოლაში დაიღუპნენ **დავით ჯანდიერი, თეიმურაზ მუხრანბატონი, ბაადურ ციციშვილი, ეპისკოპოსები რუსთველი და ხარჭაშნელი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი,**

შვიდი ჩოლოყაშვილი და სხვები. განსაკუთრებით დაზარალდა გლეხოზა.

მარაბდის ბრძოლაში ქართველთა დამარცხების მიზეზი იყო თავადთა პოლიტიკური სიბეცე-შეზღუდულობა, ფეოდალური ლაშქრის უდისციპლინოზა, შეიარაღებაში ჩამორჩენილობა. დამარცხების მიუხედავად, ქართველებმა მეორე დღეს კოჯრის მიდამოებში განაგრძეს ბრძოლა.

10 დღის შემდეგ მტერმა თბილისი და მისი მიდამოები დაიკავა, მაგრამ შაჰ-აბას I თავის მიზანს - მთლიანად მოეთხარა ქართლ-კახეთი - მაინც ვერ მიაღწია.

ქართველები პარტიზანულ ბრძოლებს განაგრძობდნენ.

ქსნის ბრძოლა (1625 წ.)

საქართველოს ლაშქრის ბრძოლა სპარსელთა ჯარის წინააღმდეგ გიორგი სააკაძის მეთაურობით.

მარაბდის ბრძოლაში (1625) დამარცხების მიუხედავად, ქართველებს წინააღმდეგობა არ შეუწყვეტიათ.

2 ივლისს ისინი კოჯრის მიდამოებში ებრძოდნენ მტერს. გიორგი სააკაძე მცირე რაზმებით პარტიზანულ ბრძოლაზე გადავიდა. სპარსელები შიდა ქართლში ცდილობდნენ შეჭრას,

-
- **მარაბდა** - თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების ახალი მარაბდისა და ძველი მარაბდის ძველი სახელწოდება.
 - **მანუჩარ III ჯაყელი** (1591 - 1625) - სამცხის ათაბაგი 1614-1625,
 - **თეიმურაზ ვახტანგის ძე მუხრანბატონი** (გ. 1625), მუხრანბატონების სახლის უფროსი და შიდა ქართლის სადროშოს სარდალი 1580-1625 წლებში. ვახტანგ V მამა, გიორგი სააკაძის სიძე და მისი მომხრე. მონაწილეობდა ტაშისკარისა და მარაბდის ბრძოლებში (დაიღუპა მარაბდის მახლობლად).
 - **დავით ჯანდიერი** (ასლანიშვილი) (გ. 1625) - კახეთის დიდებული თავადი
 - **ბაადურ ციციშვილი** (გ. 1 ივლისი, 1625), ქართლის თავადი, სპარსელთა წინააღმდეგ ქართლ-კახეთის აჯანყების აქტიური მონაწილე. დაიღუპა მარაბდის ბრძოლაში.
 - **ისა-ხანი** (გ. 1615) - კახეთის მეფის ალექსანდრე II ძის, გიორგის ძე

ქართველებმა მტრის მთავარ ძალებს ქვეყნის შიგნით შესვლის საშუალება არ მისცეს, რომ მოსახლეობას გახიზვნა მოესწრო.

სპარსელთა სარდალმა ისა-ხან ყორჩიბაშმა თავისი ჯარიდან 12 ათასი კაცი გამოყო, შირვანის ბეგლარბეგი ყაზახ-ხანი, აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰ-ბენდე-ხანი და ხოსრო-მირზა (შემდგომში როსტომი) ჩაუყენა სათავეში და არშის ციხის (თერგის ხეობაში) ასაღებად გაგზავნა, სადაც ქართველებს ანდუყაფარ ამილახვარი და მისი მეუღლე (ყორჩიბაშის ასული) ჰყავდათ დამწყვედი.

სპარსელებმა გაათავისუფლეს ისინი და თბილისში ბრუნდებოდნენ, მაგრამ ქსნის ხეობაში მათ თავისი ლაშქრით გზა შეუკრა გიორგი სააკაძემ.

გააფთრებული ბრძოლა სამ დღეს გაგრძელდა. მთლიანად განადგურდა შაჰ-ბენდეს რაზმები, თვით სარდალი მოკლეს და მისი ამაღაც ამოწყვიტეს.

ხოსრო-მირზამ მოახერხა ალყის გარღვევა და მცირე რაზმით თბილისში ჩასვლა.

ქართველებმა დიდძალი იარაღი და ტყვე იგდეს ხელთ.

ბაზალეთის ბრძოლა (1626 წ.)

ბრძოლა ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ I და გიორგი სააკაძის ლაშქარს შორის.

სააკაძის მისწრაფებამ ქვეყნის გაერთიანებისა და თავადთა თვითნებობის აღაგმვისაკენ, ამ უკანასკნელთა უკმაყოფილება გამოიწვია.

მათ შეძლეს მტრობა ჩამოეგდოთ გიორგი სააკაძესა და თეიმურაზ I შორის, რომელსაც არ მოსწონდა დიდი მოურავის დამოუკიდებელი ურთიერთობა ოსმალეთის სულთანთან და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან.

-
- **ქსანი** - მდინარე მალრან-დვალეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მტკვრის მარცხენა შენაკადი.

ქართლში მომხდარი განხეთქილების გამოყენება სცადა ირანის შაჰმა აბას I და თეიმურაზ I შერიგება შესთავაზა.

ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა თეიმურაზსა და სააკაძეს შორის.

1626 წლის ზაფხულის დამლევს თეიმურაზი კახეთში გადავიდა, მას თან გადაჰყვა ქართლის დიდ ფეოდალთა ერთი ნაწილი, მათ შორის სააკაძის ცოლისძმა **ზურაბ არაგვის ერისთავი** და **იოთამ ამილახვარი**. სააკაძის მხარეზე დარჩნენ ქართლის გამგებელი **ქაიხოსრო მუხრანბატონი**, სააკაძის სიძე **იესე ქსნის ერისთავი** და ქართლის სამეფო აზნაურების დიდი ნაწილი.

ქართლის ფეოდალთა ერთი ჯგუფი, რომელიც **სიმონ II** ერთგულობდა, ბრძოლაში არ მონაწილეობდა.

სააკაძემ იმერეთის მეფე **გიორგი III** შესთავაზა მისი ვაჟიშვილის **ალექსანდრე III** ქართლში გამეფება.

გამარჯვების შემთხვევაში ალექსანდრე ქართლ-კახეთის მეფე და იმერეთის ტახტის მემკვიდრე იქნებოდა. ეს საქართველოს გაერთიანების საფუძველს შექმნიდა.

გიორგი III წინადადება მიიღო და დამხმარე ჯარიც გამოუგზავნა. სააკაძეს ოსმალეთის სულთნის ნებართვით სამცხედანაც მოუვიდა დამხმარე ჯარი.

ბრძოლა გვიან შემოდგომაზე, ბაზალეთის ტბასთან გაიმართა. ცუდ ამინდში შორი გზით მოსულ სააკაძის ჯარს არახელსაყრელ პირობებში მოუხდა ბრძოლა.

სააკაძემ ერთხანს ბრძოლაში პირადი მონაწილეობა არ მიიღო. გიორგის ცხენზე **დავით (დაუთ-ბეგი) გოგორიშვილი** შეჯდა და მისი სახელით ბრძოლაში შეიჭრა.

იგი ზურაბ ერისთავმა მოკლა. ხმა გავარდა, სააკაძე მოკლესო. გიორგი იძულებული გახდა ბრძოლაში ჩაბმულიყო. სასტიკ შეტაკებაში მრავალი დაიხოცა და დაიჭრა (დაჭრილებს შორის იყვნენ გ. სააკაძე, თეიმურაზ I და ზურაბ ერისთავი). ბრძოლა თეიმურაზ I და ზურაბის გამარჯვებით დამთავრდა, რაც დიდ ფეოდალთა გამარჯვებას მოასწავებდა.

ბაზალეთის ბრძოლაში საქართველოს გაერთიანების დიდი საქმე ჩაიშალა. სააკაძის დამარცხების მთავარი მიზეზი გამაერთიანებელ ძალთა სისუსტე იყო.

ბანძის ბრძოლა (1658 წ.)

ბრძოლა იმერეთის მეფე **ალექსანდრე III** და გურია-სამეგრელოს მთავრებს შორის.

1657 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე III ოდიშზე ილაშქრა და მთავრად **ლიპარიტ III დადიანის** ნაცვლად ვამეყ დადიანი დასვა.

ლიპარიტი თავის ნახევარძმას **ქაიხოსრო I გურიელს** შეეხიზნა და ტახტის დაბრუნებისათვის მზადებას შეუდგა.

მთავრებს ჯარები მიაშველეს ახალციხის ფაშამ

-
- **ბაზალეთი** - სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში
 - **ზურაბ არაგვის ერისთავი** (გ. 1629) - არაგვის ერისთავი 1620-1629, ძე ნუგზარ არაგვის ერისთავისა.
 - **იოთამ პაპუნას ძე ამილახვარი** (გ. დაახლ. 1649) - XVII საუკუნის 30-50 წლების ქართლის დიდი ფეოდალი, პოლიტიკური მოღვაწე.
 - **ქაიხოსრო ვახტანგის ძე მუხრანბატონი** (გ. 1629) - მუხრანბატონების სახლის უფროსი და შიდა ქართლის სადროშოს სარდალი 1625-1626. ქართლის გამგებელი 1626,
 - **იესე ქსნის ერისთავი** - XVII საუკუნის I ნახევრის პოლიტიკური მოღვაწე,
 - **სიმონ II, სიმონ-ხანი** (გ. 1630 ან 1631) - ქართლის ხანი (ქართული წყაროებით - მეფე) 1619-1630/1631.
 - **ალექსანდრე III** (გ. 1660) - იმერეთის მეფე 1639-1660.
 - **დაუთ-ბეგ გოგორიშვილი** (გ. 1626), სამცხის ფეოდალი, გიორგი სააკაძის მომხრე. მასთან ერთად იყო ბაზალეთის ბრძოლაში. ვინაიდან სააკაძეს არ უნდოდა პირადი მონაწილეობა მიეღო ძმათა შორის სისხლისღვრაში, გოგორიშვილმა ჩაიცვა მისი კურტაკი, შეჯდა მისსავე ცხენზე და სააკაძის სახელით ბრძოლაში შეიჭრა. მან არევ-დარევა შეიტანა მოწინააღმდეგის რაზმში, მაგრამ თვითონაც დაიღუპა - ზურაბ არაგვის ერისთავმა მოკლა ორთაბრძოლაში.

როსტომმა და ქართლის მეფე როსტომმა.

მოკავშირეებს მიემხრნენ თავადები **მიქელაძე** და **ჭილაძე**. ბრძოლა 1658 ივლისში ბანძასთან იმერეთის მეფისა და **ვამეყ III დადიანის** ჯარების გამარჯვებით დამთავრდა.

ლიპარიტ II და ქაიხოსრო I ოსმალეთში გაიქცნენ, ხოლო მათი ლაშქრის დიდი ნაწილი ტყვედ ჩავარდა.

ბახტრიონის ბრძოლა (1659 წ.)

სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ კახეთის აჯანყების გმირული ეპიზოდი. ამ აჯანყებას სათავეში ზაალ არაგვის ერისთავი, მისი ვაჟი ზურაბი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები და ბიძინა ჩოლოყაშვილი ედგნენ.

კახელების გარდა ამ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს თუშებმა, ფშავლებმა და ხევსურებმა.

ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში მცირე ცნობებია შემონახული ამ ბრძოლის შესახებ, ზეპირსიტყვიერებაში კი მდიდარი მასალაა დაცული. აჯანყებულთა თავდასხმაზე ბახტრიონის ციხეზე, სადაც ყიზილბაშთა მთავარი ჯარი იდგა, როგორც ჩანს, ღამით, მტრისთვის მოულოდნელად მომხდარა.

აჯანყებულები ამავე დროს თავს დაესხნენ ალავერდის მონასტრის გალავანში გამაგრებულ ყიზილბაშებს და სასტიკად დაამარცხეს ორივე ციხის მრავალრიცხოვანი გარნიზონი. ამან ფაქტობრივად გადაწყვიტა აჯანყების წარმატება.

-
- **ბანძა** - სოფელი დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მარტვილის მუნიციპალიტეტში.
 - **ლიპარიტ II დადიანი**, ოდიშის ერისთავი 1657-1658, ლევან II დადიანის ძმის იესეს - ძე.
 - **ვამეყ III დადიანი** - ოდიშის მთავარი 1658-1660/1662.
 - **ქაიხოსრო I გურიელი** (გ. 1658), გურიის მთავარი 1641-1660, ვახტანგ I გურიელის ვაჟი,
 - **როსტომი** (ასევე როსტომ ხანი, ხოსრო მირზა, ქაიხოსრო ბატონიშვილი; (1565 - 1658) - ქართლის მეფე 1633-1658, ქართლ-კახეთის მეფე 1648-1656. დავით XI (დაუთ-ხანის) ძე, ქართლის ბაგრატიონების უკანასკნელი წარმომადგენელი.

ბახტრიონის ბრძოლაში მთავარი როლი კახეთის მთიელებმა - თუშ-ფშავ-ხევსურებმა შეასრულეს. ქართული ფოლკლორი ადიდებს ბრძოლის მონაწილე მთიელ გმირებს - თუშ **ზეზვა გაფრინდაულს**, ხევსურ **ნადირა ხოშარაულს**, ფშაველ **გოგოლაურს**.

ამ ბრძოლას **ვაჟა-ფშაველამ** მიუძღვნა პოემა «ბახტრიონი».

როკითის ბრძოლა (1684 წ.)

ბრძოლა იმერეთის მეფე **ალექსანდრე IV** და გურიის მთავარ გიორგი III გურიელს შორის.

გიორგი III გურიელმა იმერეთის ტახტის დასაბრუნებლად კავშირი შეკრა ალექსანდრე IV წინააღმდეგ.

გურიელს მიემხრნენ რაჭის ერისთავი **შოშიტა III**, ოდიშის ფაქტობრივი მმართველი გიორგი ლიპარტიანი, ჩიჯავაძეები, ლეჩხუმელი ფეოდალები და სხვები.

ალექსანდრე IV, პაატა აბაშიძე თავისი ქვეშევრდომი ზემო იმერლებით, მიქელაძეები და სხვებმა, ბრძოლა გაიმართეს სოფელ როკითთან.

გაიმარჯვა ალექსანდრე IV. ბრძოლაში დაიღუპნენ თვითონ გურიელი და შოშიტა III. ტყვედ ჩავარდნილები გაყიდეს.

- **ბახტრიონის ციხე** – ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე კახეთის მხარის ახმეტის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს ქალაქ ახმეტის სი-ახლოვეს, სოფელ ბორბალოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს, ილტოს შესართავის მახლობლად.
- **ზაალ არაგვის ერისთავი** (გ. 1660) - არაგვის ერისთავი 1633-1660 წლებში, ზაალ ქსნის ერისთავის მკვლელი.
- **გოგოლაური, გაფრინდაული, ხოშარაული** - ყიზილბაში დამპყრობლების წინააღმდეგ კახეთის აჯანყების (1659) გმირები
- **ვაჟა-ფშაველა** (ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი (1861-1915), ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, პოეტი, მწერალი.
- **როკითი** -(სოფელი ახლ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი).
- **ალექსანდრე IV** (გ. 1695), იმერეთის მეფე 1683-1690, 1691-1695. ბაგრატ IV უკანონო შვილი.
- **გიორგი III გურიელი** (გ. 1684) - გურიის მთავარი 1664-1684, იმერეთის მეფე 1681-1683, ქაიხოსრო I გურიელის ძე.
- **შოშიტა III**- რაჭის ერისთავი

საქართველო XVIII საუკუნეში

1703 წელს ქართლის **ჯანიშინად** დაინიშნა **ვახტანგი**. ის სამეფოში თავიდანვე ენერგიული და მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას შეუდგა. მან ქვეყნის მმართველობას ჩამოაშორა ერეკლე I დროს დაწინაურებული მოხელეები და დაინიშნა მეფის ერთგული ხალხი. ვახტანგი ხვდებოდა რომ ნებისმიერი ღონისძიების გატარება გაჭირდებოდა თუ მას არ ექნებოდა ეკლესიის მხარდაჭერა.

1705 წელს მოწვეულ საეკლესიო კრებაზე კათალიკოსად არჩეული იქნა ვახტანგის ძმა **დომენტი**.

სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისთვის შექმნა **«მცველთა ჯარი»**, რომელიც თავადიშვილების, აზნაურების და მსახურებისგან კომპლექტდებოდა. ეს ძირითადად თავადების ურჩობის აღსაკვეთად იყო შექმნილი. მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ვახტანგმა საკანონმდებლო სფეროში. მისი ინიციატივით საგანგებოდ შეადგინეს სხვადასხვა სახის სასამართლო გადაწყვეტილებები, სიგელები, საბუთები და მათი გათვალისწინებით შეიქმნა დასტურლამანი. მასში შედგენილი იყო მოხელეების უფლება - მოვალეობები, მიწათმფლობელობის ფორმები, გადასახადების რაოდენობა და მრავალი საჭირო საკითხი. ვახტანგის ინიციატივით შეკრიბეს ძველი ქართული და უცხოური სამართლის წიგნები. თვითონ ვახტანგმა შეადგინა კანონების კრებული - **«სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა»**. რომელიც მთელ საქართველოში მოქმედებდა.

1709 წელს ავღანეთში დაიღუპა ვახტანგის ბიძა ქართლის მეფე გიორგი XI, იგი წარმატებით იბრძოდა აჯანყებული ავღანელების წინააღმდეგ. გიორგი XI ახლდა 2 000 ქართველი. ავღანელთა ბელადმა გიორგის დანათესავება შესთავაზა და ნადიმზე მიიწვია. გიორგი ენდო და მცირე რაზმით მივიდა მასთან. ავღანელებმა ქართლის მეფე თავისი მხლებრებით მოკლეს. გიორგი XI მკერდზე ჩამოკიდებული ჯვარი ახსნეს და შაჰს გაუგზავნეს იმის დასტურად, თუ როგორი ერთგული იყო გიორგი სპარსეთის მბრძანებლის. შაჰმა ქართლში მეფედ გიორგის

ძმა ქაიხოსრო დანიშნა და ისიც ავღანელთა წინააღმდეგ გაგზავნა. ქართლის ჯანიშინად კვლავ ვახტანგი დარჩა.

ამავე პერიოდში ვახტანგმა თბილისის ციხეები ყიზილბაშები-სგან განმინდა და იქ ქართველები ჩააყენა. ვახტანგმა ამ საქმის გასაკეთებლად კარგი დრო შეარჩია. დასუსტებულ სპარსეთს ავღანელთა შემოსევებისგან ქართველები იცავდნენ. ასეთ ვითარებაში შაჰი ყიზილბაში ციხისთავების შეცვლაზე რეაგირებას ვერ მოახდენდა.

1705 წელს ვახტანგის ინიციატივით მოსკოვში დაიბეჭდა «დავითნი».

1709 წელს ვახტანგმა თბილისში დააარსა სტამბა, სტამბის დაარსებაში ვახტანგს დიდი დახმარება გაუწია **ანთიმოზ ივერიელმა**. ბავშვობაში სამშობლოდან მოტაცებული ანთიმოზი იერუსალიმის პატრიარქის კარზე მოხვდა და იქ აღიზარდა. როდესაც ვლახეთის მმართველმა იერუსალიმის პატრიარქს სთხოვა მისთვის გაეგზავნა სასტამბო საქმის მცოდნე პირი, პატრიარქმა ანთიმოზი გაუშვა. ანთიმოზმა რუმინეთში რამდენიმე სტამბა დააარსა. ანთიმოზმა დიდი გავლენა მოახდინა ვლახეთზე, ის ვლახეთის მიტროპოლიტიც გახდა. ანთიმოზი აქტიურად იბრძოდა რუმინეთის დამოუკიდებლობისათვის და მოითხოვდა, რომ მღვდელთმსახურება რუმინულ ენაზე შესრულებულიყო. რუმინულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ანთიმოზი წმინდანად შერაცხა. ანთიმოზ ივერიელმა საქართველოში გამოაგზავნა თავისი მოსწავლე **მიხაი იშტვანოვიჩი**. თბილისის სტამბაში ვახტანგმა პირველად სახარება დაბეჭდა. სამი წლის განმავლობაში თბილისის სტამბაში 14 წიგნი დაიბეჭდა.

1712 წელს დაიბეჭდა «ვეფხისტყაოსანი».

1709 წელს სპარსეთში გარდაიცვალა კახეთის მეფე ერეკლე I. მის ნაცვლად შაჰმა კახეთის მეფედ **დავით II** დანიშნა.

1712 წელს ყანდაარის იერიშის დროს ბევრი ქართველი დაიღუპა, მათ შორის ქართლის მეფე ქაიხოსროც. ამჯერად შაჰმა თავისთან ვახტანგი დაიბარა.

1712 წელს ვახტანგი თავისი ამალით სპარსეთში გაემგზავრა. ვახტანგს თან ახლდა **სულხან-საბა ორბელიანიც**. ქართ-

ლის მეფედ დანიშვნისთვის მთავარი პირობა გამაჰმადიანება იყო. ვახტანგმა გამაჰმადიანებაზე უარი განაცხადა, შაჰმა ის დაატყვევა. ქართლი შაჰმა ვახტანგის გამაჰმადიანებულ ძმას **იესეს** ჩააბარა. იესე ვახტანგის საპირისპირო პოლიტიკას ატარებდა ყოველმხრივ ცდილობდა შაჰისთვის ერთგულება დაემტკიცებინა. იესესთვის წინააღმდეგობის განწევას ვახტანგის შვილი ბაქარი ცდილობდა.

ქართველი პოლიტიკოსები შეეცადნენ დახმარება ევროპაში ეპოვნათ და იქნებ ის მაინც მოეხერხებინათ, რომ შაჰს ვახტანგი დაესვა ქართლის ტახტზე. ამ მიზნით ევროპაში გაემგზავრა სულხან-საბა ორბელიანი. სულხან-საბა შეხვდა საფრანგეთის მეფე ლუი XIV. ქართველი ელჩობა საფრანგეთის მეფეს სთხოვდა რომ სპარსეთში მყოფ საფრანგეთის წარმომადგენელის ვახტანგის გათავისუფლების საკითხს მოაგვარებდა. სულხან-საბა ორბელიანმა შემწეობა რომის პაპს სთხოვა. რომის პაპმა ლუი XIV მართლაც მისწერა წერილი, რომელშიც სთხოვა დახმარება აღმოეჩინა ვახტანგისთვის. ლუი XIV საქართველო არ აინტერესებდა. ევროპელები სპარსეთს ოამალეთთან ომში მოკავშირედ აღიქვამდნენ. ვახტანგი მიხვდა რომ დახმარებას ვერსაიდან მიიღებდა. თანაც იესეს მართველობით შენუხებული მოსახლეობა მხოლოდ მასზე ამყარებდა იმედებს.

1716 წელს ვახტანგმა მოჩვენებით მიიღო მაჰმადიანობა. შაჰმა ვახტანგ VI ქართლის მეფედ დაამტკიცა, მაგრამ სპარსეთში დატოვა. ქართლის გამგებლად ვახტანგ VI ძე **ბაქარი** დაინიშნა.

1719 წელს ვახტანგ VI ქართლში დაბრუნდა. ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში იყო. განსაკუთრებულ ზიანს აყენებდა ქართლს და კახეთს დაღესტნელი მთიელების თავდასხმები. ჯერ კიდევ სპარსეთში ყოფნისას ვახტანგ VI კავშირი დაამყარა რუსეთის მეფის **პეტრე I** ელჩმა **არტემი ვოლინსკიმ**. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვახტანგ VI და პეტრე I შორის შეთანხმება დაიდო.

1722 წელს პეტრემ კასპიის ზღვისპირეთში ლაშქრობა დაიწყო და ამის შესახებ ამცნობა ვახტანგს. გადასაწყვეტი იყო ჩაბმულიყო თუ არა ქართველობა სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. დარბაზის წევრთა უმრავლესობა წინააღმდეგი იყო, მათ

ეწინოდით რომ ქვეყანა ამით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ვახტანგ VI არ გაიზიარა დარბაზის უმრავლესობის აზრი. მეფემ 40 000 ჯარისკაცი შეკრიბა და განჯასთან დაბანაკდა. აქ უნდა დალოდებოდა საქართველოს მეფე რუსეთის იმპერატორს.

ამ დროს სპარსეთი უმძიმეს მდგომარეობაში იყო. ავღანელებმა ალყა შემოარტყეს სპარსეთის დედაქალაქ - ისპაჰანს. ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა ვახტანგის ძმა, რომელიც შაჰის ჯარის სარდალი იყო. შაჰმა მის ადგილზე ვახტანგის შვილი ბაქარი დანიშნა და სასწრაფოდ დახმარება ითხოვა. ბაქარმა, რომელიც არ ეთანხმებოდა მამის კავშირს რუსეთთან, სასწრაფოდ ჯარის შეკრება დაიწყო. ვახტანგ VI ბაქარს შაჰის დახმარება აუკრძალა. ამანაც იქონია გავლენა იმაზე რომ ისპაჰანი ავღანელებმა აიღეს.

სწორედ იმ დღეს როდესაც პეტრე I კასპიისპირეთში ლაშქრობა დაიწყო. ვახტანგმა მოკავშირეობა ოსმალთა სულთანსაც შესთავაზა. სულთანი მონაწილეობას აპირებდა ამ ბრძოლაში. ვახტანგ VI ძალიან ენდობოდა რუსეთის იმპერატორს, პეტრეს კი საქართველოსთან მიმართებაში საკუთარი ზრახვები ჰქონდა. რუსებმა დაიკავეს დარუბანდი, მაგრამ შემდგომი ბრძოლები არ გააგრძელეს. ვახტანგი განჯასთან იდგა და პეტრეს ელოდებოდა. ვახტანგ VI ვერ გაბედა მარტო დაეწყო ომი სპარსეთის წინააღმდეგ. ქართლის გათავისუფლება სპარსელებისაგან იმ დროს რუსების ინტერესებში არ შედიოდა. პეტრეს ასეთმა გააქტიურებამ შეაშფოთა ოსმალეთი. პეტრე I რომ აესრულებინა თავისი დანაპირები, მოუწევდა სპარსეთთან და ოსმალეთთან ერთდროული ომი, რაც რუსეთისთვის მეტად რთული იქნებოდა. პეტრე I იმედად მყოფი ვახტანგი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. სპარსეთის ახალმა შაჰმა მეფობა ერეკლე I შვილს **კონსტანტინეს** გადასცა. გამაჰმადიანებული კონსტანტინე კახეთის მეფე გახდა, ძმის დავით II გარდაცვალების შემდეგ. მალე ქართლში ოსმალები შემოვიდნენ, მათ დაიკავეს თბილისი და მთელი ქართლი, დაიწყო ოსმალობა.

ასეთ ვითარებაში 1724 წელს ვახტანგი იძულებული გახდა 1 200 კაცთან ერთად რუსეთში წასულიყო. იმავე წელს დაიდო

ხელშეკრულება რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რუსეთმა ცნო ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა. ვახტანგს პეტერბურგში ცივად ეპყრობოდნენ. ამის შესახებ წერს ივანე ჯავახიშვილი:

«ასე უკუღმართოდ დამთავრდა საქართველოსთვის რუსთა ხელისუფლების მიერ აღთქმული აღმოსავლეთის ქრისტიანთა მფარველობა. ჯერ თავის სასარგებლოდ ქართველთა ომში ჩართვით და მტრისათვის გაცემით, პეტრე პირველმა ისეთი უმადურება გამოიჩინა რომ მის მიერვე მოტყუებული და გაუბედურებული მეფე ვახტანგისთვის შესაფერისი თავშესაფარისა და საცხოვრებელი ადგილის მიჩენა არ ჰნებავდა».

ქართლში გაბატონებული ოსმალებს ვახტანგ VI ძმა იესე ეახლა და მორჩილება აღუთქვა. დამპყრობლებმა იესე ქართლის მმართველად დანიშნეს. კახთა მეფემ კონსტანტინემ დამპყრობლებს წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ დამარცხდა. კახეთში ლეკების თარეში გაძლიერდა. ისინი არა მარტო კახეთს, არამედ ქართლსაც ესხმოდნენ თავს. ქართლის მოსახლეობა ტოვებდა თავის საცხოვრებელ ადგილს, იდევნებოდა ეკლესია.

1732 წელს ოსმალებმა კახთა მეფე კონსტანტინე მოკლეს, კახეთში გამეფდა კონსტანტინეს ძმა თეიმურაზ II.

ამასობაში ვითარება შეიცვალა სპარსეთში. სპარსელთა სარდალი **ნადირ-ხანი** იწყებს ბრძოლას ავღანელთა წინააღმდეგ.

XVIII საუკუნის 30-იან წლებში ნადირმა ბრძოლა დაიწყო ოსმალთა წინააღმდეგ და ისინი აიძულა აღმოსავლეთი საქართველო დაეტოვებინა. ნადირ-ხანი რუსეთსაც დაუპირისპირდა და აიძულა 1732 წელს, კასპიის ზღვის ტერიტორიები დაეტოვებინა. ნადირმა თავისთან ვახტანგ VI დაიბარა და ქართლის ტახტს შეჰპირდა. ვახტანგი ნადირს არ ეახლა.

ვახტანგ VI 1737 წელს გარდაიცვალა ასტრახანში. დაკრძალულია იქვე, მიძინების ტაძარში.

1735 წელს ერევანში მყოფმა ნადირ-ხანმა თავისთან დაიაბარა ქართლ-კახეთის თავადები, მათ ხარკი დააკისრა. ოსმალობა, ყიზილბაშობამ შეცვალა. მალე ნადირ-ხანი შაჰი გახდა.

1737 წელს ნადირ-შაჰმა ბრძოლა დაიწყო ინდოეთის წინააღმდეგ ამ ბრძოლაში, მას თან ახლდა თეიმურაზ II ძე ერეკლეც,

რომელსაც 15 წლის ასაკიდან საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა მიღებული, მან ლეკთა მარბიელ ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლაში ლაშქარს უსარდლა.

ნადირ-შაჰმა ქართლს დიდი გადასახადი დააკისრა. ანტი-სპარსული აჯანყება დაიწყო გივი ამილახვარმა. ბრძოლის ბოლო ეტაპზე გივიმ დახმარება ოსმალეთსაც სთხოვა. თეიმურაზ II კარგ ურთიერთობებს ამყარებდა ნადირ-შაჰთან. ამიტომ ნადირ-შაჰმა **გივი ამილახვართან** ბრძოლა სწორედ თეიმურაზს დაავალა. იმავე წელს დამარცხებული და სურამის ციხეში ალყაშემოტყმული გივი თეიმურაზს დანებდა. 1744 წელს ნადირ-შაჰმა თეიმურაზი ქართლის, ერეკლე კი კახეთის მეფეებად დაამტკიცა.

1745 წელს 1 ოქტომბერს სვეტიცხოვლის ტაძარში თეიმურაზი და ერეკლე ქრისტიანული წესით აკურთხეს მეფეებად.

1632 წლის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქართლის ტახტზე ქრისტიანი მეფე ავიდა.

თეიმურაზ II ქართლში და **ერეკლე II კახეთში** გამეფებით ფაქტობრივად გაერთიანდა ეს ორი ქართული სამეფო, ვინაიდან მამა-შვილი თანხმობით მოქმედებდნენ და ერთობლივად აძლევდნენ პასუხს მტერ-მოყვარეს. მიუხედავად იმისა რომ შაჰმა ქართლ-კახეთში ქრისტიანი მეფეები დასვა, სულაც არ ნიშნავდა რომ შაჰი ხელს იღებდა ქვეყნის გაყიზილბაშებაზე. ქართლი და კახეთი კვლავ სპარსეთის ვასალ ქვეყანათ ითვლებოდა, აქ სპარსული ჯარი იდგა და სპარსელი მოხელეები აკონტროლებდნენ მეფეების მოქმედებებს. თეიმურაზი და ერეკლე კარგად იყენებდნენ სპარსულ ჯარს ლეკების წინააღმდეგ, ხოლო სპარსელ მოხელეებს თვითნებობის უფლებას არ აძლევდნენ. თეიმურაზი იყენებდა ნადირ-შაჰის კეთილგანწყობას და ამიერკავკასიაში უპირატესობის მოპოვებას ცდილობდა. მისი მოთხოვნით ნადირ-შაჰმა ქართლ-კახეთს გადასახადები შეუმცირა. ამის სანაცვლოდ სპარსეთის შაჰმა თავისთან ერეკლე დაიბარა, ერეკლეს მაგივრად სპარსეთში თეიმურაზი გაემგზავრა რადგან ის გამოცდილი პოლიტიკოსი და დახვეწილი დიპლომატი იყო. თეიმურაზი ჯერ კიდევ გზაში იყო, რომ სპარ-

სეთში გადატრიალება მოხდა 1747 წლის ივლისში. ნადირ-შაჰი შეთქმულებმა მოკლეს.

სპარსეთის შაჰი გახდა თეიმურაზის სიძე ადილ-შაჰი, მაგრამ მისი ხელისუფლება დიდხანს არ გაგრძელებულა, რამდენიმე თვეში ისიც ჩამოაგდეს. სპარსეთი გაუთავებელმა ანარქიამ მოიცვა. სპარსეთის ამიერკავკასიის სამფლობელო მრავალ წვრილ-წვრილ სახანოდ დაიშალა. მათ შორის ყველაზე ძლიერი ქართლ-კახეთის სამეფოები იყო. ეს ვითარება ერეკლემ კარგად გამოიყენა თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად.

თეიმურაზის სპარსეთში ყოფნის დროს, ერეკლეს აუჯანყდა ვახტანგ VI ძმისშვილი გამაჰმადიანებული აბდულა-ბეგ იესეს ძე. მეფე ერეკლემ თბილისის კართან სასტიკად დაამარცხა აბდულა-ბეგის ჯარი. შემდეგ ერეკლე შევიდა თბილისში და ქალაქიდან განდევნა ყიზილბაშები, ერეკლემ აიღო მეტეხის და თაბორის ციხეები, ამ ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცით გამოირჩა გლეხი **შავერდა მღებრიშვილი**, რომელიც პირველი ავარდა კოშკზე და ეკვეთა მტერს. გამარჯვებამ დიდი სახელი მოუპოვა ერეკლეს. მეზობელი სახანოების მმართველები ერეკლესთან დაახლოებას და მოკავშირეობას ცდილობდნენ. შაჰის კარი საქართველოსთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდა და მხოლოდ მცირე მოთხოვნილებით კმაყოფილდებოდა.

1748 წელს ერეკლემ სპარსეთის შაჰს მხოლოდ რამდენიმე მძევალი და 100 მეომარი გაუგზავნა ყულის ჯარში სამსახურად. ეს იყო უკანასკნელი გადახდილი ხარკი. ამის შემდეგ ქართლ-კახეთს სპარსეთისთვის ხარკი აღარ გადაუხდია. შაჰის თხოვნით ერეკლემ მცირე ხნით თბილისის ციხეებში ჩააყენა 300 ყიზილბაში მეომარი, მაგრამ 1749 წელს როდესაც თეიმურაზი დაბრუნდა ყიზილბაშებმა თბილისი დატოვეს.

ქართლ-კახეთი გათავისუფლდა სპარსეთის ბატონობისგან, თუმცა თეიმურაზ II მაინც ატარებდა გურჯისტანის ვალის ტიტულს, რაც მას სპარსეთისადმი გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებდა. გაძლიერებულმა ქართლ-კახეთმა მალე თავის გავლენის და მფარველობის ქვეშ მოაქცია მეზობელი სახანოები.

1749 წელს ერევნის ხანმა ქართლ-კახეთის მეფეებს დახმარებისთვის მიმართა. მის წინააღმდეგ მომთაბარე თარაქამას თურქმანული ტომები დაძრულიყვნენ. ქართველებმა სომხებთან ერთად დაამარცხეს მომთაბარეები, ამის შემდეგ ერევნის სახანო ქართლ-კახეთის მფარველობაში შევიდა. მალე საქართველოს მფარველობა ნახიჭევნის ხანმა, ხოლო 1750 წელს განჯის სახანომაც აღიარა.

იმ წარმატებების ფონზე, რასაც ქართლ-კახეთის სამეფო აღწევდა, მაინც გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა ლეკიანობა. ლეკების შემოსევები არ წყდებოდა. მართალია ერეკლემ რამდენიმე ბრძოლაში ისინი დაამარცხა მაგრამ ლეკები მაინც განაგრძობდნენ კახეთის აოხრებას. ლეკების საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა კახეთის აღმოსავლეთით მდებარე კაკ-ენისელის სასულთნო და ჭარ-ბელაქანი. ერეკლემ გადანყვიტა ჭარ-ბელაქნის დამორჩილება. საინგილოში სალაშქროდ ქართველმა მეფეებმა დიდი რაზმი შეკრიბეს, ქართველების გარდა ამ ლაშქარში ყმადნაფიცი ხანების ჯარიც იყო. ერეკლე და თეიმურაზი მის მოკავშირედ მიაჩნდა შაქ-შირვანის მმართველს **აჯი-ჩალაბსაც**, რომლის მამა-შვილთან მეგობრობდა კიდევ, მაგრამ მოხდა პირიქით. კაკ-ენისელის და ჭარ-ბელაქნის დამცველი სწორედ აჯი-ჩალაბი გახდა. მან საიდუმლო კავშირი გააბა ქართულ ჯარში მყოფ მაჰმადიან ხანებთან და თავის მხარეს გადაიყვანა. ქართველმა მეფეებმა აჯი-ჩალაბს გვიან გაუგეს მისი საქმიანობა და ალაზნთან ბრძოლაში დამარცხდნენ. ეს იყო თეიმურაზის და ერეკლეს პირველი სერიოზული მარცხი, აშკარა გახდა თუ რა ძნელი იქნებოდა ლეკიანობის დაძლევა.

აჯი-ჩალაბი და მისი მოკავშირეები ქართლის და კახეთის წინააღმდეგ ერთიანად დაიძრნენ. კახეთში შემოიჭრა ლეკთა ბრბოები. ერეკლემ და თეიმურაზმა ენერგიული ღონისძიებები გაატარეს. მოსახლეობა ციხეებში და მიუვალ ადგილებში გახიზნეს, ომში ქუდზე კაცი გაიწვიეს. ჯარის დასაქირავებლად სახსრები არ კმაროდა, მაგრამ მოიძებნა გამოსავალი. მათ სამეფო საგანძურიდან გამოიტანეს ოქროს და ვერცხლის ნივთები, ეს ნივთები გადასცეს ზარაფხანას, რომლისგანაც მოჭრეს ფული,

ეს გამოყენებული იქნა ჩრდილო კავკასიელების დასაქირავებლად. ამ საქმის შესრულება ერეკლემ იკისრა, ის გაემგზავრა დარიალისკენ სადაც მოლაპარაკებები გამართა ჩერქეზებთან, მათგან ერეკლემ სერიოზული დახმარება მიიღო. ქართლიდან რუსეთში გაიგზავნა ელჩობა, ელჩებმა საიმპერატორო კარს ამცნობა ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა და დახმარება სთხოვეს. ამ ელჩობამ ვერც ამჯერად გამოიღო შედეგი. ქართველების ასეთმა ენერგიულმა მოქმედებებმა მტრები შეაშინა და საქართველოს დაპყრობაზე ხელი აიღეს. უკან გაბრუნებულ აჯი-ჩალაბის ჯარებს ერეკლე ყაზახ-შამშადილოს საზღვართან მიენია და სასტიკად დაამარცხა ეს მოხდა 1752 წლის 5 სექტემბერს. ამ გამარჯვებით ერეკლემ ქვეყანას ააცილა ის დიდი საფრთხე, რასაც აჯი-ჩალაბი უქადდა, ამ ბრძოლის შემდეგ დაიშალა მაჰმადიანთა კოალიცია, რომელიც ქართლ-კახეთის სანინაალმდეგოდ იყო მიმართული. ერევნის, განჯის და სხვა ქვეყნების ხანები კვლავ მორჩილების გზას დაადგნენ. სანამ ქართველები ამ ბრძოლას მოიგებდნენ, ქართველების წინააღმდეგ კვლავ დაიდრა აზატ-ხანი, მაგრამ მას შემდეგ რაც მან შეიტყო ქართველების გამარჯვება ქართლ-კახეთის მეფეებს ზავი შესთავაზა. ამ პერიოდში თეიმურაზისთვის და ერეკლესთვის ზავი მეტად მნიშვნელოვანი იყო. ხმა ერეკლეს სამხედრო ქველობის შესახებ საზღვარ გარეთაც გავრცელდა. ამ პერიოდში ევროპულ პრესაში იბეჭდებოდა ერეკლესა და თეიმურაზის შესახებ.

ლეკებისაგან თავის დასაცავად საჭირო იყო დაღესტნიდან მომავალი გზების და ბლიკების გამაგრება, აგრეთვე ქართული სანაპირო ციხეებში ჯარის სისტემატიური დგომა და თავდასხმის შემთხვევაში მათი მოგერიება. ლეკებს ჰქონდათ სპეციალური ტაქტიკა შემუშავებული, ისინი დიდი ჯარით იშვიათად შემოდიოდნენ. ისინი მცირე ბრბოებით თავს ესხმოდნენ მშვიდობიან სოფლებს, იტაცებდნენ ხალხს, მათ გათავისუფლებისთვის კი დიდ გადასახადებს ითხოვდნენ. იმ შემთხვევაში თუ მოტაცებულებს ვერ გამოისყიდნენ, მაშინ ლეკები ქართველებს ოსმალეთის მონათა ბაზრობებზე ჰყიდნენ.

ერეკლეს და თეიმურაზის თათბირზე გადაწყდა, რომ რუსეთში ელჩად თვით თეიმურაზ II გაემგზავრებოდა. რომელიც რუსეთის საიმპერატორო კარს დახმარებას სთხოვდა და გაბედულ გეგმებსაც შესთავაზებდა. საქართველოს ჯარის რეორგანიზაციისთვის და ახალის დასაქირავებლად მას რუსეთისგან ფული უნდა მიეღო სესხად. ამ ფულით ლეკიანობას აღკვეთავდნენ, შექმნილი ჯარით კი სპარსეთში შევიდოდნენ, მონაყოზდნენ ყრილობას და რუსეთისთვის სასურველ პიროვნებას სპარსეთის შაჰად აირჩევდნენ. ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში ქვეყანა დაისვენებდა იმიერკავკასიელი მთიელების შემოსევებისაგან.

1760 წელს მეფე თეიმურაზ II მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთში გაემგზავრა, რუსეთის საიმპერატორო კარი ვერც ამჯერად შეხვდა სათანადო ინტერესით ქართველთა წინადადებებს. პეტერბურგში უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ თეიმურაზი წამოვიდა, 1762 წლის 8 იანვარს მეფე თეიმურაზ II გზაში გარდაიცვალა, ქართველებმა ის წამოასვენეს და დაკრძალეს ასტრახანის მიძინების ტაძარში. მეფე ვახტანგ VI საფლავის გვერდით.

ამასობაში კი ერეკლე II კიდევ უფრო განიმტკიცა თავისი უპირატესობა მეზობელ სახანოებზე. ერეკლემ ტყვედ იგდო მისი ძველი მეტოქე და სპარსეთის შაჰობის პრეტენდენტი აზატხანი. თეიმურაზის გარდაცვალებისთანავე ერეკლემ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. ირანის იმდროინდელ მბრძანებელს ქერიმ-ხანს მან თავისი ძვირფასი ტყვე, სპარსეთის ტახტზე **ქერიმ-ხანის** მეტოქე, **აზატ-ხანი**, მხრებშეკრული გაუგზავნა და ამით დიდი პოლიტიკური სარგებელი ნახა. მადლიერმა ხანმა სცნო ქართლ-კახეთის გაერთიანება. აღიარა ერეკლეს უფლება განჯა-ერევნის სახანოებზე და ამით დაადასტურა საქართველოს უფლება აღმოსავლეთ იმიერკავკასიაში.

ქართლ-კახეთის გაერთიანება და ერეკლეს ხელისუფლების ასეთი გაძლიერება არ მოსწონდათ ქართლის რეაქციულ თავადებს. ისინი ხვდებოდნენ, რომ ერეკლეს ასეთი გაძლიერებით მათი რეაქციული პოლიტიკა სრულ აღკვეთას გამოიწვევდა. ერეკლეს მოქმედებებით აშკარა ხდებოდა რომ ის ვერ მოით-

მენდა მის სამეფოში ნახევრად დამოუკიდებელ და მეფესთან დაპირისპირებულ თავადების არსებობას. რეაქციული თავადები იმედებს საგარეო მტრებზე ამყარებდნენ, მაგრამ ერეკლემ თავისი მოქმედებებით თავადებს ეს იმედებიც გადაუწურა. ამის შემდეგ მათ შეთქმულების მოწყობა განიზრახეს.

მათ ტახტზე ვახტანგ VI უკანონო შვილის **პაატა ბატონიშვილის** დასმა განიზრახეს. შეთქმულებაში თავადთა დიდი ნაწილი იღებდა მონაწილეობას შეთქმულები 1765 წლის ბოლოს სამშვილდელმა გლეხმა **დათუნა ფეიქარმა** გასცა. შეთქმულები მკაცრად დაისაჯნენ. თავადთა დიდი ნაწილი მათ შორის პაატა ბატონიშვილიც სიკვდილით დასაჯეს.

1768 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, ამ დროს რუსეთისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა კავკასიის ქრისტიანი ხალხის მხარდაჭერას. იმერეთის მეფე **სოლომონ I** თავისი ელჩის პირით რუსეთს სთხოვა დახმარება რუსეთის საიმპერატორო კარი დაინტერესებული იყო იმერეთის ომში ჩაბმით, ქართველების აუცილებელი მოთხოვნა იყო, რომ რუსეთს ჯარი გამოეგზავნა, რუსეთი დათანხმდა ამ მოთხოვნას. სოლომონი და ერეკლე ერთმანეთს შეხვდნენ და ერთობლივ მოქმედების გეგმაზე შეთანხმდნენ. რუსეთს არ აინტერესებდა არც ქართლ-კახეთის და არც იმერეთის ბედი, მისთვის მთავარი იყო, ოსმალეთი კავკასიაში შეევიწროებინა და ოსმალების მთავარი ყურადღება ჩრდილო შავიზღვისპირეთში გადაეტანა. იმპერატრიცა ეკატერინე II კავკასიაში გამოგზავნილი ჯარის სარდლად გენერალი ტოტლებენი დანიშნა

1770 წლის ზაფხულში გენერალი ტოტლებენი 1200 კაციანი კორპუსით და მცირე არტილერიით, ერეკლე II – 7000 კაცითა და 3 ქვემეხით ბორჯომის ხეობიდან ახალციხისკენ გაემართა გენერალი **ტოტლებენი** დარწმუნებული არ იყო ერეკლეს გაბედული გეგმის შესრულებაში. ამიტომ აწყურის იერემის ნარუმატეზლობის შემდეგ, მან მოულოდნელად გადაწყვეტილება მიიღო და უკან გამობრუნდა.

ასპინძასთან გამარჯვებამ უჩვენა ქართველებს, რომ აუცილებელი იყო რეგულარული ჯარის შექმნა. ერეკლეს რეგ-

ულარი ჯარის შექმნის საშუალება არ ჰქონდა, ამიტომ მან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო.

1774 წელს დაწესდა «**მორიგე ჯარი**». ქართლ-კახეთის ყველა მამაკაცი არ ჰქონდა მნიშვნელობა ის იყო ბატონი, აზნაური თუ გლეხი, წელიწადში ერთხელ უნდა წასულიყო მორიგე ჯარში. ამ ღონისძიების შემდეგ ერეკლეს ყოველწლიურად დამატებით 5 000 მეომარი გაუჩნდა. მორიგე ჯარმა განსაკუთრებით კარგი შედეგები დაღესტნელი მთიელების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიღო. მორიგე ჯარის შემქმნელი ერეკლეს ვაჟი **ლევანი** იყო. ამიტომ ერეკლესთვის დიდი დარტყმა იყო ლევანის მოულოდნელი გარდაცვალება 25 წლის ასაკში (1756-1781), ლევანის გარდაცვალების შემდეგ მორიგე ჯარი თანდათანობით დაიშალა.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში რუსეთმა მიიერთა **ყირიმის სახანო**, რუსეთის ძალების დიდი ნაწილი შავი ზღვის აუზის ტერიტორიებზე იდგა, აშკარად გამოიკვეთა რუსეთის ინტერესები კავკასიაშიც. კავკასიის დაუფლებისთვის მებრძოლ სპარსეთს და ოსმალეთს რუსეთიც დაემატა. ამ სამ სახელმწიფოს შორის რუსეთი ყველაზე ძლიერი იყო. ცხადი ხდებოდა რომ ვერც ოსმალეთი და ვერც სპარსეთი რუსეთს წინააღმდეგობებს ვერ გაუწევდა. ერეკლე II ამ ყველაფერს ხვდებოდა და ცდილობდა, რუსეთის სამხრეთისკენ სწრაფვა მისთვის სასარგებლოდ გამოეყენებინა. შექმნილ ვითარებაში აშკარა პრორუსული პოლიტიკის გატარება გარკვეულ საშიშროებასთან იყო დაკავშირებული, მართალია ამ პერიოდისათვის ოსმალეთიც და სპარსეთიც საგრძნობლად დასუსტებულები იყვნენ, მაგრამ მათ იმდენი ძალა მაინც ჰქონდათ რომ საქართველოსთვის სერიოზული დარტყმა მიეყენებიათ. მითუმეტეს რომ საქართველო ამ დროს უმძიმეს მდგომარეობაში იყო, მთელი საქართველოს მოსახლეობა 700-800 ათას არ აღემატებოდა. ერი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინ იდგა. ასეთ ვითარებაში ძლიერი მფარველის ძიება სრულიად ბუნებრივი იყო. სპარსეთის და ოსმალეთის მფარველობაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. შექმნილ ვითარებაში ევროპას საქართველოს დახმარების სურვილი არ ჰქონდა, რჩებოდა ერთადერთი ქვეყანა - რუსეთი.

შექმნილ ვითარებაში რუსეთის ინტერესებში შედიოდა კავკასიონის ქედის გადმოლახვა. ორმხრივი დაინტერესება აშკარა იყო, მაგრამ რუსეთს სურდა მოლაპარაკებები ისე წაეყვანა თითქოს ამ ყველაფრის ინიციატორი ერეკლე იყო. რუსი პოლიტიკოსები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ერეკლეს რუსეთისთვის მიემართა ოფიციალური თხოვნით მფარველობაში მიღების შესახებ. მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ ერეკლე დათანხმდა და 1782 წლის 21 დეკემბერს ოფიციალურად მიმართა **ეკატერინე II** იმპერიის მფარველობაში ქართლ-კახეთის მიღების შესახებ.

ეს ფაქტი რუსეთის მთავარსარდლისთვის ძალიან მნიშვნელოვან იყო. რუსეთის სარდლობის ბრძანებით ფათჰ ალი ხანმა მოშალა ლაშქრობა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ, ხოლო ერეკლეს მეტოქე ქართლის ტახტზე **ალექსანდრე ბაქარის ძე** დააპატიმრეს. ერეკლე II იმპერატრიცას გაუგზავნა სპეციალური სათხოვარი პუნქტები, რომელშიც ჩამოთვლილი იყო პირობები რომლის შემდეგ ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაში შევიდოდა. რუსეთის მთავრობამ დაიწყო ხელშეკრულების ტექსტის მომზადება. იმპერატრიცა ეკატერინე II მოთხოვნით, ქართლ-კახეთის სამეფო, ტრაქტატში გაფორმდა არა როგორც ქვეშევრდომი, არამედ სრულიად რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესული ქვეყანა.

1783 წლის ბოლოს ხელშეკრულების ტექსტზე მუშაობა დასრულდა და კავკასიის ხაზის სარდალს გენერალ-პორუჩიკ **პავლე პოტიომკინს** უფლებამოსილება მიეცა საქართველოს წარმომადგენელთან ხელშეკრულება გაეფორმებინა. ხელშეკრულების პროექტი ერეკლეს გაეგზავნა. სამეფო საბჭოზე მისი დეტალურად განხილვის შემდეგ გადაწყდა მისი მიღება.

1783 წლის 24 ივლისს ციხესიმაგრე **გეორგიევსკში** ერეკლე II სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა **იოანე მუხრანბატონმა** და **გარსევან ჭავჭავაძემ** ხელი მოაწერეს რუსეთთან მეგობრობის პირობებს. რუსეთის მხრიდან **ტრაქტატს** ხელს აწერდა გენერალი პავლე პოტიომკინი.

1784 წლის 24 იანვარს, მას შემდეგ რაც პეტერბურგიდან მიიღეს ეკატერინე II სარატიფიკაციო სიგელი, ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ერეკლე II. ტრაქტატი ძალაში შევიდა. ტრაქტატი ითვალისწინებდა ორმხრივ ვალდებულებებს.

ქართლ-კახეთის მეფე საქვეყნოდ საუკუნოდ უარყოფდა თავის დამოკიდებლობას სხვა რომელიმე ქვეყნისადმი და მხოლოდ რუსეთის მეფის უზენაესობას და მფარველობას აღიარებდა

საქართველოს სამეფო ტახტზე ასული მეფე რუსეთს უნდა დაემტკიცებინა, მასვე უნდა გამოეგზავნა სამეფო ნიშნებიც.

საგარეო პოლიტიკა ამიერიდან ქართლ-კახეთს მხოლოდ რუსეთთან შეთანხმებით უნდა ეწარმოებინა, საჭიროების შემთხვევაში ქართლ-კახეთი მთელი თავისი ძალით რუსეთის მხარეს უნდა გამოსულიყო.

თავის მხრივ რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთს ჰპირდებოდა მფარველობას და საგარეო მტრისგან დაცვას. რუსეთის იმპერატორი იმედოვნებდა რომ საქართველოს ისტორიული საზღვრები აღდგებოდა. რუსეთი ქართლ-კახეთის შიდა საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო. რუსეთის იმპერატორი პირობას იძლეოდა რომ ქვეყნის ტახტი ერეკლეს შთამომავლებს დარჩებოდა. აღმოსავლეთ საქართველოში უნდა ჩამდგარიყო რუსეთის 2 ბატალიონი საჭიროების შემთხვევაში კი დამატებითი ძალებიც გამოიგზავნებოდა. გეორგიევსკის ტრაქტატით ქართლ-კახეთი რუსეთზე დამოკიდებული ხდებოდა, მაგრამ სუვერენულ ქვეყანად მაინც რჩებოდა. ამ ტრაქტატს ორივე მხარისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერეკლე II იმედოვნებდა რომ, ამის შემდეგ ქვეყანა დაცული იქნებოდა სპარსეთისა და ოსმალეთისგან. რუსეთმა უომრად გადმოლახა კავკასიონის ქედი და ამ რეგიონში უაღრესად ხელსაყრელი პირობებში აღმოჩნდა.

ტრაქტატით გათვალისწინებული რუსეთის ორი ბატალიონი უკვე 1783 წელს ნოემბერში შემოვიდა, ხოლო 1784 წლის იანვარში ერეკლემ საზეიმოდ მიიღო იმპერატრიცას ერთგულების ფიცი. ამ ამბავმა ამიერკავკასიის მაჰმადიან სახანოებს შიშის ზარი დასცა. თავდაპირველად საქართველოს მეზობელი სახანოები ნახევრად მორჩილების გამოცხადებითა და ერთგულების

აღტყმით ცდილობდნენ რუსეთის კეთილგანწყობის მოპოვებას. შეშინდნენ დაღესტნელი მთიელებიც. მაგრამ ყველაფერი გადანყვიტა ოსმალეთის მტკიცე პოზიციამ.

რუსეთს გადანყვიტილი ჰქონდა ანალოგიური ტრაქტატი იმერეთთანაც დაედო, ამაზე სულთანმა რუსეთს აგრძნობინა რომ ამას უომრად არ დაუშვებდა. რუსეთი იძულებული გახდა იმერეთთან ტრაქტატის დადებაზე უარი ეთქვა. ოსმალეთი აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა.

მისი მოწოდებით «სარწმუნოების დაცვის ლოზუნგით» ქართლ-კახეთის წინააღმდეგ აღდგნენ ამიერკავკასიის ხანები და დაღესტნელი მთიელები. ერეკლეს განუდგნენ და ხარკი შეუნყვიტეს ერევნის და განჯის ხანებმა. ერეკლეს უკვე აღარ ემორჩილებოდნენ ყაზახ-შამშადილუს თათრები. ლეკებმა გაახშირეს თავდასხმები კახეთის სოფლებზე. რუსეთის ორი ბატალიონი და ერეკლე II ძალები საკმარისი არ იყო მაჰმადიანთა მოსაგერიებლად. ერეკლე რუსეთისგან დამატებითი ჯარების გამოგზავნას ითხოვდა, რუსები ჯარის გამოგზავნაზე თავს იკავებდნენ. რუსეთს არ მიაჩნდა მიზანშეწონილად ქართლ-კახეთის გაძლიერება და მეზობლებზე გაბატონება. ამავდროულად პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიამ რუსეთს საღვთო ომი გამოუცხადა. ამ ყველაფრის მეთაური იყო **შეიხ მანსური**. ამ მოძრაობამ მოიცვა ჩეჩნეთი და გავრცელდა ჩერქეზეთში და დაღესტანში. შეიხ მანსურთან ურთიერთობები დაამყარა **ავარელმა ომარ ხანმა**, რომელმაც დიდი ჯარი გამოგზავნა ქართლ-კახეთში სალაშქროდ.

1785 წელს კახეთის საზღვრებს მოადგა ომარ-ხანის 20 000-იანი ლაშქარი. ერეკლემ ქართლიდან ჯარი ვერ გამოიყვანა, რადგან ახალციხის მხრიდან ოსმალთა შემოსევას ელოდა. მოსავლის აღების დრო იყო და კახეთიდანაც სათანადო ჯარი ვერ შეიკრიბა. კახეთის მცირერიცხოვანი ჯარით და რუსეთის ორი ბატალიონით მტრების შეჩერება შეუძლებელი იყო. ერეკლემ მოსახლეობა ციხეებში გახიზნა თვითონ კი ჯარით თელავში დადგა. ომარ-ხანმა ალაზანი გადმოლახა და ბორჩალოსკენ გაემართა. ერეკლე ფეხდაფეხ დაედევნა

მტერს, მაგრამ ცუდი გზების გამო არტილერიის სწრაფი გადაადგილება შეუძლებელი იყო. ომარ-ხანმა ახტალა გაძარცვა. აქედან 800 -ზე მეტი ტყვე და დიდძალი ვერცხლის ფული წაიღო. ამის შემდეგ ახტალას მუშაობა ფაქტობრივად გაჩერდა, რამაც ქვეყნის ეკონომიკას სერიოზული ზარალი მოუტანა. რუსებმა მხოლოდ ის მოახერხეს რომ 1000 ჩერვონეცი გაუგზავნეს ავარიელ ხანს და ქვეყნის აოხრებაზე ხელის აღება სთხოვეს. ერეკლე იძულებული გახდა მშვიდობა დიდ გამოსასყიდად მოეპოვებინა. მას საქართველოს დარბევის შესაწყვეტად 5 000 მანეთის გადახდა მოუწია.

ერეკლე II მიხვდა რომ რუსეთის იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა. ერეკლე შეეცადა რუსეთის გარდა სხვა მოკავშირეც მოეძებნა. ქართლ-კახეთის მეფემ ელჩი გაგზავნა ეგვიპტეში, სადაც ძალაუფლება იმ დროს ქართველ მამლუქ ბეგების ხელში იყო. მამლუქებმა სიხარულით მიიღეს ერეკლეს ელჩი, მაგრამ რეალური დახმარება ვერ გასწიეს. ამ დროს ერეკლემ სამშვიდობო ხელშეკრულება დადო ახალციხის ფაშასთან. ქართლ-კახეთის მეფის წარმომადგენლები დიდი პატივით მიიღო სპარსეთის შაჰობის კანდიდატმა **ალა-მაჰმად-ხანმა**, თუმცა რაც უფრო ძლიერდებოდა ის მით უფრო აგრესიულ ქმედებებზე გადადიოდა ქართლ-კახეთის მიმართ.

1786 წელს გაიმართა თათბირი, რომელზეც უნდა გადასინჯულიყო საგარეო კურსი, მაგრამ ეს არ მოხდა. პრორუსული ორიენტაციის შეცვლა მკვეთრად გაართულებდა ურთიერთობებს რუსეთთან. უკვე ერეკლეს არც ოსმალეთი და არც სპარსეთი ენდობოდა.

1787 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი. იმავე წელს რუსეთმა ჯარი გაიყვანა ქართლ-კახეთიდან. რუსეთმა ჯარის გაყვანა იმით ახსნა, რომ თითქოს ეს საშუალებას მისცემდა ქართლ-კახეთს მოეგვარებინა ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან.

1789 წელს იმერელი თავდაზნაურობა ქართლ-კახეთში ჩამოვიდა და ერეკლეს იმერეთის შეერთება შესთავაზა. მეფემ დარბაზი მოიწვია ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების

განსახილველად. დარბაზის უმრავლესობა იმერეთის შეერთების მომხრე იყო. ორდღიანი განხილვის შემდეგ ერეკლემ განაცხადა რომ, ის ვერ შემოიერთებდა იმერეთს და ვერ წაართმევდა ტახტს მის შვილიშვილს. ამ დროს იმერეთი ოსმალეთის გავლენის სფერო იყო და მისი შემოერთებით გამწვავდებოდა ურთიერთობები ოსმალეთთან.

1789 წელს იმერეთში გამეფდა დავით არჩილის ძე, რომელმაც თავისი ბაბუის პატივსაცემად **სოლომონ II** იწოდა.

1790 წელს ერეკლე II მდივნის სოლომონ ლიონიძის ძალისხმავით დაიდო

«ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართა». ამ ხელშეკრულებით იმერეთის მეფე სოლომონ II, სამეგრელოს მთავარი **გრიგოლ დადიანი**, გურიის მთავარი **სვიმონ გურიელი** აღიარებდნენ ერეკლე II უპირატესობას და მასვე ანდობდნენ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას, თუმცა არ უერთდებოდნენ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს.

ქართლ-კახეთის რეაქციულ თავადებს თანაუგრძნობდა ერეკლეს მეუღლე **დარეჯან დედოფალი**. დარეჯანი მხოლოდ თავისი და შვილების კეთილდღეობაზე ზრუნავდა. მას ძალიან ანუხებდა ის ფაქტი, რომ ტახტის მემკვიდრე იყო გიორგი, რომელიც ერეკლეს სხვა ცოლისგან ჰყავდა. დარეჯანი შიშობდა რომ გიორგის გამეფების შემთხვევაში, მისი მრავალრიცხოვანი შვილები დაიჩაგრებოდნენ .

1791-92 წლებში დარეჯანმა და მისმა შვილებმა ერეკლეს მიაღებინეს კანონი ტახტის მემკვიდრეების და საუფლისნულოების შესახებ. მემკვიდრეობის კანონის მიღების შემდეგ ტახტი უნდა გადასულიყო არა მამიდან შვილზე, არამედ გვარში უფროსზე. საუფლისნულოების კანონის მიღების შემდეგ თითოეულ ბატონიშვილს მიეცა 1003 კომლი ყმა , ხოლო მემკვიდრე გიორგის 4000. ამის შემდეგ უფლისნულები დასხდნენ საკუთარ მამულებში და მეფე მამას საერთოდ აღარ ემორჩილებოდნენ. ბატონიშვილები, რეაქციულ თავადებზე უფრო რეაქციულად მოქმედებდნენ.

ქართლ-კახეთს კი რეალური საფრთხე ემუქრებოდა **ალა-მაჰმად ხანის** მხრიდან. ალა-მაჰმად ხანი უკვე ერეკლესგან რუსეთთან ურთიერთობის სრულ განწყვეტას მოითხოვდა. ის რომ ალა-მაჰმად-ხანი ქართლის წინააღმდეგ გამოილაშქრებდა ცხადი იყო. ერეკლე დახმარებას რუსეთს სთხოვდა. რუსეთი მას აიმედებდა, მაგრამ ჯარს არ აგზავნიდა. რუსეთი რომ ქართლ-კახეთს არ დაეხმარებოდა ეს ალა-მაჰმად ხანმაც იცოდა.

1795 წელს ალა-მაჰმად-ხან ყაჯარი თბილისისკენ დაიძრა.

10 სექტემბერს სპარსელები სოღანლულთან ბრძოლაში დამარცხდნენ. ალა-მაჰმად-ხანი გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ მას მოლაღატეებმა (თბილისელმა სომხებმა არარატიანმა და ბებუთიანმა) შეატყობინეს რომ ერეკლეს მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა.

11 სექტემბერს კრწანისის ველზე 5 000-მა ქართველმა სამკვედრო- სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა 35 000 სპარსს. ეს ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ბრძოლა იყო ქართული ერის ისტორიაში. რიცხოზობიერმა უპირატესობამ თავისი გაიტანა, ქართველები დამარცხდნენ.

75 წლის ერეკლე ბრძოლის ველიდან ძალით გაიყვანეს შვილიშვილებმა. ქართლ-კახეთის ბედი გადაწყდა, დამარცხებულ ერეკლეს რუსეთთან ურთიერთობაზე უარის თქმა არაფრით არ შეეძლო. სპარსეთის შაჰმა თბილისი აიღო და საშინლად გადაწვა.

1796 წელს რუსებმა ვითომდა ალა-მაჰმად-ხანის დასასჯელად სპარსეთში ლაშქრობა მოაწყვეს. ამ შემთხვევაში რუსეთს სურდა განემტკიცებინა პოზიციები კავკასიაში. ეკატერინე II გარდაცვალების გამო ლაშქრობა შეწყდა და ჯარი უკან დაბრუნდა. კრწანისის ბრძოლაში განცდილმა მარცხმა მძიმე გავლენა მოახდინა ერეკლეზე. ალა-მაჰმად-ხანის წასვლის შემდგომ მეფე თბილისში აღარ დაბრუნებულა. იგი თელავში გადავიდა, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1798 წლის 11 იანვარს, 77 წლის ასაკში. ერეკლე II სვეტიცხოველში დაკრძალეს.

ერეკლე II გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი დაიკავა მისმა ვაჟმა **გიორგი XII** (1746-1800). გიორგი გამეფებისას

უკვე ავადმყოფი იყო. გიორგის მამის სიცოცხლეშივე რთული ურთიერთობები ჰქონდა მის ნახევარ-ძმებთან. ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო დაიძაბა.

გიორგი XII სცადა მათი დამორჩილება მაგრამ ვერ მოახერხა. ქართველი თავადები და აზნაურები ორ ჯგუფად დაიყვნენ ერთნი მხარს უჭერდნენ გიორგი XII ვაჟს დავითს, ხოლო მეორენი ერეკლე II ძეს იულონს.

1799 წელს ქართლ-კახეთში რუსეთის ერთი პოლკი შემოვიდა გენერალ **ლაზარევის** მეთაურობით. ამ ჯარს ჩამოჰყვა რუსეთის ოფიციალური წარმომადგენელი გიორგი XII-ის კარზე **კოვალენსკი**. გიორგის მთავარი საზრუნავი იყო რომ ტახტი გადასულიყო მის შთამომავლებზე და არა მის ნახევარ-ძმებზე. რუსეთი ქართლ-კახეთში არსებულ ვითარებას კარგად იყენებდა. რუსეთის იმპერატორმა **პავლე I** დააკმაყოფილა გიორგი XII თხოვნა და ტახტის მემკვიდრედ დავითი დაამტკიცა. ამ ამბავმა გიორგის ნახევარძმების აღშფოთება გამოიწვია. გიორგი XII ვინრო წრეებთან თათბირის შემდეგ გადანყვეტილება მიიღო, შეეცვალა ტრაქტატის ზოგიერთი პირობა. კერძოდ, რუსეთს მიეცა უფლება ჩარეულიყო ქართლ-კახეთის შიდა საქმეებში. ამის სანაცვლოდ გიორგი გარანტიას ითხოვდა რუსეთისგან, რომ სამეფო ტახტი მის შთამომავლებს დარჩებოდა. ეს გადანყვეტილება თავად დავით გიორგის დისთვისაც კი არ იყო ცნობილი.

გიორგი XII მცდელობებს უკვე არავითარი აზრი არ ჰქონდა. რადგან რუსეთის საიმპერატორო კარს ყველაფერი გადანყვეტილი ჰქონდა.

1800 წლის 18 დეკემბერს პავლე I მოაწერა ხელი მანიფესტს, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო უქმდებოდა და ის უშუალოდ რუსეთის შემადგენელი ნაწილი ხდებოდა.

ათი დღის შემდეგ 1800 წლის 28 დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე სვეტიცხოველში დაკრძალეს.

გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ გენერალმა ლაზარევმა,

შეკრიბა თავადები და განუცხადა რომ ქვეყნის შემდგომ ბედს რუსეთის იმპერატორი გადაწყვეტდა. მომავალი მეფის საკითხს გენერალი საერთოდ არ შეეხო. ლაზარევის გვერდით მდგარმა **სოლომონ ლიონიძემ** თავადებს განუცხადა: გენერალი დავით გიორგის ძეს მეფობას ულოცავსო. ამის გამო სოლომონ ლიონიძემ მკაცრი შენიშვნა მიიღო, შეკრების შემდეგ სოლომონი დააპატიმრეს. მან გაქცევა მოახერხა და თავი იმერეთს შეაფარა.

ამასობაში 1801 წლის 18 იანვარს რუსეთის იმპერატორ პავლე I მანიფესტი გამოქვეყნდა. ქართლ-კახეთის დროებით გამგებლად **დავით გიორგის ძე** დაინიშნა. 1801 წლის მარტში შეთქმულებმა პავლე I მოკლეს.

ახალმა იმპერატორმა **ალექსანდრე I** კავკასიის ხაზის მმართველ გენერალ **კნორინგს** დაავალა გაერკვია ვითარება ქართლ-კახეთში. კნორინგი ჩამოვიდა თბილისში. სამეფოს გამგებელი დავით გიორგის ძე გადააყენა და ქვეყნის მმართველად გენერალი ლაზარევი დანიშნა. კნორინგმა შეისწავლა მდგომარეობა ქართლ-კახეთში და თავისი დასკვნა გაუგზავნა იმპერატორს, რომელშიც ნათქვამი იყო რომ ქართლ-კახეთის სამეფოს **დამოუკიდებლად არსებობა აღარ შეეძლო !!!**

ალექსანდრე I მანიფესტი 1801 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნდა.

-
- **ჯანიშინი** (სპარსულად ჯანეშენ - მოადგილე, ნაცვალი) - შაჰის მიერ ირანში განწვეული ქართლის მეფის ნაცვლად ქვეყნის გამგებლად დატოვებული პირი.
 - **ვახტანგ VI** (1675 -1737) - ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) 1703-14 წლებში, მეფე 1716-24 წლებში, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პოეტი, მთარგმნელი, ისტორიკოსი, კოდიფიკატორი და მეცნიერი.
 - **დომენტი IV** (ერისკაცობაში დამიანე ლევანის ძე ბაგრატიონი; გ. 1741) - აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1705-41 წლებში, ვახტანგ VI ძმა, მწიგნობარი.
 - **«მცველთა ჯარი»** - თავადიშვილების, აზნაურების და მსახურებისგან

კომპლექტირდებოდა.

- **ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებული** - ვახტანგ ბატონიშვილის ბრძანებით შექმნილი საკოდიფიკაციო კომისიის მიერ 1705-08 წლებში შედგენილი კანონთა კრებული
- **სულხან-საბა ორბელიანი** (ერისკაცობაში სულხან ორბელიანი, ბერად დაერქვა - საბა; (1658-1725) - ქართველი მწერალი, მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე.
- **ანთიმოზ (ანთიმ) ივერიელი** (1650-1716) - ქართველი მწიგნობარი, მესტამბე, განმანათლებელი, პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწე. 1708 წელს ვლახეთის მიტროპოლიტი. 1992 წელს რუმინეთის ეკლესიამ ანთიმოზ ივერიელი წმინდანად შერაცხა
- **მიხაი იშტვანოვიჩი** -უნგრელ-რუმინელი სტამბის ოსტატი, ვახტანგ VI სტამბის ერთ-ერთი გამმართავი.
- **დავით II** (1755-1795), იმერეთის მეფე 1784-89 წლებში, გიორგი VII ძე, სოლომონ I ზიდაშვილი.იესე, ალიყული-ხანი (1680/1681 - 1727), ქართლის მეფე 1714-16 და 1724-27 წლებში, ლევან ბატონიშვილის ძე, ვახტანგ V ძმა.
- **ბაქარი** (1700-1750) - ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. ვახტანგ VI ძე. რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, გრუზინსკების გვარის ფუძემდებელი.
- **პეტრე I დიდი** (1672-1725) - რუსეთის მეფე 1682-1721 და იმპერატორი 1721-25 წლებში.
- **ვოლინსკი არტემ პეტრეს ძე** (1689-1740), რუსი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. 1717-18 რუს. ელჩობას ხელმძღვანელობდა სპარსეთში
- **თეიმურაზ I** (1589 - 1663) - კახეთის მეფე 1606-1648, ქართლ-კახეთის მეფე 1625-32.
- **ნადირ-შაჰი ავშარი** (თამაზ I ყული-ხანი); (1688-1747) - სპარსეთის შაჰი 1736-47, ყიზილბაშთა ავშარის ტომიდან.
- **ქერიმ-ხანი** - სპარსეთის შაჰი ზენდების დინასტიიდან
- **აზატ-ხან ავღანი** (გ. 1781) - პუშტუნების სამხედრო მეთაური.
- **ალა-მაჰმად-ხანი** (1742-97) - სპარსეთის გამგებელი 1794 წლიდან, შაჰი 1796 წლიდან. ყაჯართა დინასტიის დამაარსებელი
- **გივი ანდუყაფარის ძე ამილახვარი** (1689 - 1757) - ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, საამილახვროს უფროსი, ზემო ქართლის სადროშის სარდალი და გორის მოურავი
- **თეიმურაზ II** (1700 - 62) - კახეთის გამგებელი 1709-15, მეფე 1733-44, ქართლის მეფე 1744-62.
- **ერეკლე II** (1720-1798), 1744-62 წლებში კახეთის, 1762-98 წლებში ქა-

რთლ-კახეთის მეფე, თეიმურაზ II ძე

- **შავერდა მღებრიშვილი** - ქართველი სახალხო გმირი, რომელმაც განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა თაბორის ციხის აღებაში
- **აჯი-ჩალაბი** ან ჰაჯი ჩელები ყურბან-ოღლუ (1703 - 55) - აზერბაიჯანის სახელმწიფო მოღვაწე, შაქის სახანოს დამაარსებელი და მისი პირველი დამოუკიდებელი ხანი (1747-55).
- **პაატა ბატონიშვილი**, ბაგრატიონი (1720 - 1765)- ქართლის მეფის ვახტანგ VI უკანონო ვაჟი.
- **დათუნა ფეიქარი** - ერეკლე II წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების გამცემი (პაატა ბატონიშვილის შეთქმულება 1765).
- **სოლომონ I** (1735-84) - იმერეთის მეფე 1752-84, ალექსანდრე V და ლევან აბაშიძის ასულის, თამარ აბაშიძის, ძე.
- **გოტლბ კურტ ჰაინრიხ ტოტლებენი** (1715-73) - რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი
- **ლევან ბატონიშვილი** (ბაგრატიონი) (1756-81) - ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, ერეკლე II ძე.
- **ყირიმის სახანო** -ყირიმის თათართა სახელმწიფო 1441-1783 წლებში.
- **ეკატერინე II დიდი** (1729-96) - რუსეთის იმპერატორი
- **ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონი** (1728-91) - ქართლის სამეფო ტახტის პრეტენდენტი, ვახტანგ VI შვილიშვილი
- **სოლომონ II** (გამეფებადმე დავითი) – (1772-1810), იმერეთის მეფე 1789-1810, სოლომონ I ძმის, არჩილის, ძე.
- **პავლე სერგეის ძე პოტიომკინი**, გრაფი (1743-96) - რუსი გენერალი, სახელმწიფო მოღვაწე. ხელი მოაწერა გეორგიევსკის ტრაქტატს.
- **იოანე (ივანე) კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი** (1755-1801) , ქართლ-კახეთის სამეფო პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ერეკლე II სიძე, 1783 წლის 24 ივლისს გ. ჭავჭავაძესთან ერთად გეორგიევსკში ხელი მოაწერა რუსეთის მფარველობაში შესვლის ტრაქტატს.
- **გარსევან რევაზის ძე ჭავჭავაძე** (1757-1811) - ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, მეფის ემიკლას-ბაში და ყაზახის მოურავი. როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის დადებაში
- **ომარ-ხანი**, ავარიელი (გ. 1801) - დაღესტნელი ფეოდალი, ხუნძახის მფლობელი და ავარიის სახანოს გამგებელი. ნურსალ-ბეგის ვაჟი.
- **სოლომონ ლიონიძე** (1754 – 1811), მისი უშუალო მონაწილეობით შემზადდა, გაფორმდა და ძალაში შევიდა 1783 წლის ცნობილი ხელშეკრულება, გეორგიევსკის ტრაქტატი საქართველოსა და რუსეთს

შორის.

- **დარეჯანი** (1734 - 1807) - ქართლ-კახეთის დედოფალი, მეფე ერეკლე II მესამე ცოლი (1750-დან); სამეგრელოს მთავრის, ოტია დადიანის ძმის, კაციას ასული
- **გიორგი XII** (1746-1800) - ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე (1798 - 1800) ერეკლე II ძე
- **კარლ ფიოდორის ძე კნორინგი**, (1746-1820), ბარონი, რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო მოხელე, გენერალ-ლეიტენანტი, ასტრახანის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორი (1799–1802), საქართველოში რუსეთის ჯარების პირველი მთავარსარდალი
- **პეტრე კოვალენსკი** (გ.1817),რუსეთის ელჩი და მინისტრი ქართლ - კახეთის სამეფოში, შემდეგ «საქართველოს მმართველი»
- **ივანე ლაზარევი** (1763-1803), რუსი გენერალ-მაიორი, მოკლა დედოფალმა მარიამმა, მეფე გიორგი XII ქვრივმა
- **პავლე I** (1754-1801), რუსეთის იმპერატორი 1796-1801, პეტრე III და ეკატერინე II შვილი
- **ალექსანდრე I** (1777-1825) - რუსეთის იმპერატორი 1801-25 წლებში,
- **დავით ბატონიშვილი**, ბაგრატიონი (1767-1819) - გიორგი XII უფროსი ძე, ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი 1800-01, მწერალი, მეცნიერი, გენერალ-ლეიტენანტი (1800).

სიმონეთის ბრძოლა (1714 წ.)

ბრძოლა ერთი მხრივ იმერეთის მეფე გიორგი VI და მეორე მხრივ **ბეჟან დადიანსა** და იმერეთის თავად ზურაბ აბაშიძეს შორის.

1714წელსსამეფო ტახტზემესამედადის გიორგი VI,რომელიც ორი თვით ადრე ტახტიდან ჩამოაგდო გურიელმა, დადიანმა, შო შიტა რაჭის ერისთავმა, ზურაბ აბაშიძემ და ლეჩხუმის მთავარმა - ბეჟან დადიანმა.

გიორგი მეფე გადმობირებული რაჭის ერისთავის თანხლებით თავს დაესხა ზურაბ აბაშიძეს და მამული დაულაშქრა.

ბეჟან დადიანი და ზურაბ აბაშიძე ახალციხის ფაშას, ისაყ I შეევედრნენ, რათა ჯარით დახმარებოდა გიორგი მეფის განდევნაში. ოსმალეთმა **ისაყ-ფაშა** გამოაგზავნა იმერეთში ჯარით.

მონინაალმდეგეებს შორის ბრძოლა გაიმართა სიმონეთში 1716 წელს.

ამ ბრძოლაში მეფე დამარცხდა და მესამედ დატოვა იმერეთის ტახტი, მან თავი ქართლს შეაფარა.

ტახტზე მოკავშირეებმა მამია გურიელის ვაჟი **გიორგი IV გურიელი** აიყვანეს.

ატენის ბრძოლა (1724 წ.)

ქართველთა ლაშქრის ბრძოლა 1724 წელს ოსმალთა დამპყრობთა წინააღმდეგ.

1724 წელს ქართლში ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ დიდი აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებმა კახეთის მეფეს კონსტანტინე II მიმართეს, რათა იგი სათავეში ჩასდგომოდა აჯანყებას.

კონსტანტინე II კახთა, თუშთა და ფშავ-ხევსურთა ლაშქრით ქართლში მივიდა.

აჯანყებულთა ლაშქარი 10 000-ს კაცს ითვლიდა. აჯანყებულებმა გადანყვიტეს ჯერ გორის ციხის, შემდეგ კი თბილისის ციხის აღება და ქართლის მტრისაგან მთლიანად გათავისუფლება.

ქართლის გამგებელმა რეჯებ-ფაშამ გორის მეციხოვნეთა დასახმარებლად ჯარი გაგზავნა ახალციხის ფაშას **ისაყ I** მეთაურობით.

15 სექტემბერს, სოფელ ატენთან გადამწყვეტი ბრძოლა გამართა, იერიშზე თავდაპირველად ქართველები გადავიდნენ და

-
- **სიმონეთი** -სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტში
 - **გიორგი VI** (გ. 1720) - იმერეთის მეფე 1703-11, 1713, 1714–16, 1719–20, ალექსანდრე IV ძე.
 - **ბეჟან I დადიანი** (გ. 1728), ოდიშის მთავარი 1717-28, გიორგი II ლიპარტიანის ძე.
 - **გიორგი IV გურიელი** (1702 - 1726) - მამია III გურიელის ძე. პერიოდულად იყო გურიის მთავარი 1711-26 წლებში.
 - **ისაყ I ჯაყელი** - ახალციხის ფაშა ოთხჯერ: 1701-05, 1708-16, 1718-1737 და 1744-45 წლებში, იუსუფ II ძე

მტერი უკუაქციეს, მაგრამ მოლაღატეთა დახმარებით ოსმალებმა საბოლოოდ მაინც მოახერხეს ქართველთა დამარცხება. მტერი აჯანყებულებს სასტიკად გაუსწორდა; დახოცილ ქართველთა თავები თბილისში ურმით გაუგზავნეს რეჯებ-ფაშას.

ატენის ბრძოლის შემდეგ ერთგვარი შესვენება დაიწყო ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა ძალები მოეკრიფათ და შემდეგ ხელახლა შეეტიათ დამპყრობლისათვის.

ზედაველას ბრძოლა (1724 წ.)

ოსმალებისა და მათი მოკავშირის, ქართლის მმართველის **იესეს** (მუსტაფა ფაშა) ბრძოლა კახეთის მეფის **კონსტანტინე II** (მაჰმად ყული-ხანი) წინააღმდეგ ხიდისთავ-ატენის გასაყარზე, ზედაველას ველზე, 1724 წლის 26 სექტემბერს.

კახელები დამარცხდნენ და კონსტანტინემ თავს გაქცევით უშველა. ოსმალებმა მტრის მეომართა მოჭრილი თავები ცხრა ურმით თბილისში წაიღეს.

მათი ბატონობა ქართლში კიდევ უფრო გამყარდა.

-
- **ატენი** - ქალაქი ფეოდალურ საქართველოში, ატენის ხეობაში, მდინარე ტანის ორივე ნაპირზე, ახლანდელი გორის მუნიციპალიტეტის ატენის სოფლის საკრებულოს ტერიტორიაზე.
 - **კონსტანტინე II**, მაჰმადიანური სახელი მაჰმად ყული-ხანი (გ. 1732) - კახეთის მეფე 1722-32, ერეკლე I ძე, თეიმურაზ II ძმა.
 - **ისაყ I ჯაყელი**, ახალციხის ფაშა 1701-45 წლებში,
 - **რეჯებ-ფაშა** - ქართლის გამგებელი
 - **ზედაველა** - ხიდისთავ-ატენის გასაყარზე, ზედაველას ველზე,
 - **კონსტანტინე II**, მაჰმადიანური სახელი მაჰმად ყული-ხანი (გ. 1732) - კახეთის მეფე 1722-32, ერეკლე I ძე, თეიმურაზ II ძმა.
 - **ალიყული-ხანი**, იესე (დ. დაახლოებით 1680/1681 - გ. 1727), ქართლის მეფე 1714-16, ლევან ბატონიშვილის ძე, ვახტანგ VI ძმა.

ანანურის ბრძოლა (1739 წ.)

ბრძოლა ქსნისა და არაგვის საერისთავოების ჯარებს შორის 1739 წელს. დასრულდა **შანშე ქსნის ერისთავის** მიერ ანანურის აღებით, გადაწვითა და არაგვის ერისთავთა დაღუპვით.

შანშე ქსნის ერისთავის ანანურზე გალაშქრების უშუალო მიზეზი გახდა მისი რუსეთში ლტოლვილობის დროს მისი ძმის, **იასე ყულარაღასის** მეუღლის, ქეთევანის დატყვევება და გაუპატიურება **ბარძიმ არაგვის ერისთავის** ძმის, უთრუთის მიერ. სამშობლოში დაბრუნებულმა შანშემ 12000 ლეკი დაიქირავა და შურისძიების მიზნით ანანურს ალყა შემოარტყა.

ბარძიმმა და უთრუთმა მომხდურებს ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ მოალყეების მიერ წყალსადენის გადაკეტვის შემდეგ ციხის დამცველებს გაუჭირდათ.

ბარძიმმა შანშესგან უვნებლობის ფიცი მიიღო და დანებდა, უთრუთი კი კოშკ «შეუპოვარში» გამაგრდა და ბრძოლა განაგრძო. განრისხებულმა შანშემ ბარძიმი სიკვდილით დასაჯა, შემდეგ ანანურის ციხეში შეიჭრა, მონასტერი აიკლო და კოშკი გადაწვა.

უთრუთი, მისი ოჯახი და თანმხლები პირები ხანძარმა იმსხვერპლა.

ბრძოლის შემდეგ არაგველებმა კოშკი ამოქოლეს და დაღუპულთა სამარხად აქციეს.

1739 წელს კოშკი არქეოლოგებმა გახსნეს; ნახანძრალი საესე აღმოჩნდა დიდებისა და ბავშვების დამწვარი ძვლებით, იარაღითა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთით.

-
- **ანანური**- სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში.
 - **შანშე ქსნის ერისთავი** (გ. 1753) - ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე.
 - **იასე ყულარაღასი**, იესე (იასე) დავითის ძე ერისთავი (1700–1745) - ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე.
 - **ბარძიმ არაგვის ერისთავი** (გ. 1739), ერისთავი 1731-39, ძე გიორგი არაგვის ერისთავისა.

აჩაბეთის ბრძოლა (1744 წ.)

1742 წელს გივი ამილახვარი აჯანყდა სპარსელების წინააღმდეგ, მაგრამ შემდეგში ოსმალეთთან და ლეკებთან დაკავშირებამ მის აჯანყებას დაუკარგა პროგრესული ხასიათი.

თეიმურაზ II და მისი ძე **ერეკლე** (შემდეგში ერეკლე II) გამოვიდნენ **ამილახვრის** წინააღმდეგ.

გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა სოფ. აჩაბეთთან. გივი ამილახვარს ეხმარებოდნენ თურქთა ჯარი უსუფ-ფაშას სარდლობით და ლეკები, თეიმურაზ II კი - სპარსელები.

ერეკლე ბატონიშვილი თუშებისა და კახელების რაზმით მოულოდნელად დაეცა აჩაბეთის ციხეს და აიღო იგი, მაგრამ ამილახვარმა მოახერხა თეიმურაზ-ერეკლეს ბანაკისათვის ალყის შემორტყმა.

ერეკლემ შეძლო ალყის გარღვევა, ზურგში მოექცა ამილახვრის ჯარს და დაამარცხა იგი.

აჩაბეთის ბრძოლის შედეგად განმტკიცდა თეიმურაზისა და ერეკლეს პოზიციები ქართლ-კახეთში.

-
- **აჩაბეთი** - ძველი სოფელი და ციხე მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე (ახლ. სოფლები ზემო აჩაბეთი და ქვემო აჩაბეთი გორის მუნიციპალიტეტში)
 - **გივი ანდუყაფარის ძე ამილახვარი** (1689 - 1757) - ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, საამილახვროს უფროსი, ზემო ქართლის სადროშის სარდალი და გორის მოურავი.
 - **თეიმურაზ II** (1700 - 1762) - კახეთის მეფე 1709-15, გამგებელი 1733-44, ქართლის მეფე 1744-62.
 - **ერეკლე II** (1720-1798), 1744-62 წლებში კახეთის, 1762-798 წლებში ქართლ-კახეთის მეფე, თეიმურაზ II ძე. ერეკლე II აკავშირებდა ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა ორ შტოს. დედამისი, თამარი, ვახტანგ VI ასული იყო, ხოლო მამა, თეიმურაზ II - ქართლის მეფე ერეკლე I ძე.

დანლისის ბრძოლა (1750 წ.)

ბრძოლა მოხდა 1750 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა და დაღესტნელ ფეოდალთა ლაშქარს შორის.

დაღესტნელთა ცხენოსანი ჯარი თავს დაესხა ყაზახს და შემდეგ მდ. იორზე ჩამოდგა.

ქართლ-კახეთის გაერთიანებულმა ლაშქარმა **თეიმურაზ II** და **ერეკლე II** წინამძღოლობით მტერს გამოსასვლელი გზები შეუკრა.

მონინალმდევე მდ. იორს დაჰყვა და დანლისს, იორ-ალაზნის შესაყართან დადგა. ქართველები მტერს წამოენივნენ და სასტიკი ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს.

თვით ერეკლე II მონინავე ჯარში იბრძოდა და დაღესტნელთა გადარჩენილმა ნაწილმა ფლატიან გორას შეაფარა თავი, მაგრამ ფლატე მოსკდა და ლტოლვილნიც დაილუპნენ.

ქართველებმა ხელთ იგდეს მრავალი ტყვე და ნადავლი.

დანლისის ბრძოლის შემდეგ დაღესტნელი ფეოდალები კარგა ხანს ველარ ბედავდნენ საქართველოში ლაშქრობას, მხოლოდ მცირერიცხოვანი რაზმები დათარეშობდნენ ქურდულად.

აგრის ბრძოლა (1751 წ.)

ქართლ-კახეთის მხედრობის ბრძოლა ჭარ-ბელაქნისა და შაქის გაერთიანებულ ლაშქართან მდ. აგრისწყლის (აგრაჩაი, ალაზნის შენაკადი, ახლანდელი აზერბაიჯანი) მიდამოებში. 1751 წელის იანვარში თეიმურაზ II და ერეკლე II გაილაშქრეს დაღესტნელ მოთარეშეთა მთავარი პლაცდარმის - ჭარ-ბელაქნის ე. წ. უზატონო თემების დასამორჩილებლად.

ქართველთა ლაშქარს ახლდა განჯელთა და საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიანთა (ელეები) რაზმებიც.

ქართველთა მოკავშირე იყო შაქის ხანი აჯი-ჩალაბიც, რომელიც შემდეგ ჭარელ ლეკებს მიემხრო.

ლაშქრობის ბედი 11 თებერვლის ბრძოლამ გადანყვიტა. ქართველთა მენინავე ლაშქარმა (ქიზიყისა და სომხით-საბა-

რათიანოს რაზმები) მტრის ცენტრი გაარღვია, მაგრამ დიდძალი ქვეითი ლაშქრით ჩასაფრებული **აჯი-ჩალაბი** მოულოდნელად დაესხა თავს ქართველთა მარცხენა ფრთას, რომელშიც ქსნისა და არაგვის საერისთავოების რაზმები შედიოდა.

ქართველთა ლაშქრის მაჰმადიანური ნაწილი უბრძოლველად უკუიქცა.

ქართველები დამარცხდნენ. ერეკლე II თავადმა **პაპა ბებურიშვილმა** და გლეხმა **დავით ბოსტაშვილმა** გადაარჩინეს განსაცდელს.

ყირხ-ბულახის ბრძოლა (1751 წ.)

ბრძოლა ქართლ-კახეთის ჯარებსა და **აზატ-ხანის** ლაშქარს შორის. გაიმართა 1751 წელს სოფელ ყირხბულახთან (ახლ. სომხეთის რესპუბლიკა).

აგრის ბრძოლაში დამარცხებამ შეარყია თეიმურაზ II და ერეკლე II გავლენა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

აზატ ხანმა ძალაუფლების გამყარება გადაწყვიტა. თავდაპირველად მან ერევნის სახანოზე მიიტანა იერიში.

ერევნის ხანმა ქართველ მეფეებს სთხოვა დახმარება. ქართველთა ჯარი ბამბაკში მივიდა, მაგრამ სიმციროს გამო ერევნის სახანოში გადასვლა და მტერთან შებრძოლება ვერ შეძლო.

მალე ერევნისაკენ გაემართა ერეკლე II, რომელსაც შეუერთდა წინათ გაგზავნილი ჯარი.

-
- **აჯი-ჩალაბი ან პაჯი ჩელები ყურბან-ოდღუ** (1703 - 55) - აზერბაიჯანის სახელმწიფო მოღვაწე, შაქის სახანოს დამაარსებელი და მისი პირველი დამოუკიდებელი ხანი (1747-55).
 - **პაპა ბებურიშვილი-ვაჩნაძე** - ერეკლე II თანამებრძოლი. კახელი თავადიშვილი.
 - **დავით (დათუნა) ბოსტაშვილი** - მაჩხაანელი გლეხი, ერეკლე II- მიერ გააზნაურებული.

აზატ-ხანის ლაშქარი 18 ათას კაცს ითვლიდა. გადამწყვეტი ბრძოლა სოფ. ყირხ-ბულახთან მოხდა.

თავდაპირველად აზატ-ხანმა ქართველთა მარცხენა ფლანგს შეუტია და უკან დაახევინა.

ერეკლემ თავის მხედრობას დაქვეითება უბრძანა და იერიშზე გადავიდა. მტერმა ვერ გაუძლო ქართველთა მძაფრ შეტევას და გაიქცა. ქართველებს დიდძალი ალაფი დარჩათ.

თულქითეფეს ბრძოლა (1752 წ.)

ბრძოლა ქართლ-კახეთის ჯარსა და შაქის სახანოს ლაშქარს შორის თულქითეფეს ველზე, ყაზახ-შამშადილის საზღვარზე (ახლანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკა).

ქართველთა ჯარმა ერეკლე II სარდლობით დაამარცხა შემოჭრილი მტერი და დიდად დაზარალებული განდევნა.

საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მაჰმადიანურ სახანოთა კავშირი და საქართველოს უპირატესობა მთელ ამიერკავკასიაში განმტკიცდა.

განჯის ბრძოლა (1752 წ.)

ქართლისა და კახეთის მეფეების თეიმურაზ II და ერეკლე II ბრძოლა ნუხის ხან აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ გაიმართა 1752 წლის 28 მარტს.

აჯი-ჩალაბის დამპყრობლური პოლიტიკით შევიწროებულმა განჯისა და ყარაბაღისა ხანებმა დახმარებისათვის მიმართეს ქართველ მეფეებს.

-
- **ყირხბულახი** - (სოფელი ახლ. სომხეთის რესპუბლიკაში).
 - **აზატ-ხან ავღანი** (გ. 1781) - პუშტუნების სამხედრო მეთაური. 1747 წლიდან, ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ, დასავლეთ სპარსეთის ტახტის მთავარი პრეტენდენტი

ნუხაზე სალაშქროდ მიმავალ ქართველებს გზაში შეუერთდა ბორჩალოს, დაღესტნელთა, ყაზახელთა, ერევნელთა და განჯელთა ლაშქარი.

გაერთიანებული ლაშქარი წყალდიდობის გამო ალაზანზე ვერ გადავიდა და ლაშქრობა ჩაიშალა.

ამასობაში ხანებმა ქართველ მეფეებს უღალატეს. თეიმურაზ II ისინი დააპატიმრა და განჯისკენ დაიძრა, რომ იქ თავისი კაცი დაესვა. განჯელებმა ციხის კარი დაკეტეს და დასახმარებლად აჯი-ჩალაბს მიმართეს.

ბრძოლა, რომელიც განჯის ახლოს გაიმართა, დილიდან საღამომდე გაგრძელდა და ქართველთა ლაშქრის დამარცხებით დამთავრდა.

მჭადიჯვრის ბრძოლა (1754 წ.)

ქართლ-კახეთის ლაშქრის ბრძოლა ხუნძაყის ბატონის **ნურსალ-ბეგის** წინააღმდეგ.

ნურსალ-ბეგმა გააერთიანა ავარიელთა დიდი ნაწილი და მრავალრიცხოვანი ლაშქრით კახეთს მიადგა.

გაიარა იგი ძარცვა-რბევით, ააოხრა არაგვის საერისთავო, დანვა ერისთავის სასახლე დუშეთში, მონასტერი და მჭადი-ჯვრის ციხე-გალავანს შემოერტყა.

ციხის გარემოცვა და ბრძოლა ნ დღეს გაგრძელდა. თეიმურაზ II და ერეკლე II თავიანთი ჯარებით დუშეთში შეერთდნენ.

16 აგვისტოს ქართველთა ლაშქარმა ერეკლე II მეთაურობით, მიუხედავად რიცხოზობრივი სიჭარბისა, დაამარცხა ლეკთა ლაშქარი, თუმცა ლეკთა თარეში შემდეგაც არ შეწყვეტილა.

-
- **მჭადიჯვარი** - სოფელი დუშეთის რაიონში, მდინარე ნარეკვავის (არაგვის მარჯვენა შენაკადი) ნაპირას.
 - **ნურსალ-ბეგი**, ხუნძაყის ბატონი მეტსახელად «მუცალი».

ყვარლის ბრძოლა (1755 წ.)

საქართველოს ლაშქრის ბრძოლა ავარიის ხანის ნურსალ-ბეგის წინააღმდეგ. ნურსალ-ბეგმა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ მთელი დაღესტანი და ჭარ-ბელაქანი დარაზმა.

მიიმხრო შამხალის სამფლობელო, ყაზი-ყუმუხის ხანი და 20 ათასიანი (ზოგი მონაცემით 30 ათასი) ლაშქრით კახეთს შეესია.

იგი ყვარლის ციხე-გალავანს შემოადგა, სადაც ალაზნის გაღმა მხრის მოსახლეობის დიდი ნაწილი იყო შეხიზნული.

მამა-შვილმა, ქართლის მეფე თეიმურაზ II და კახეთის მეფე ერეკლე II ჯარის სიმცირის გამო მტერთან შებმა შეუძლებლად მიიჩნიეს.

ერეკლე II ციხეში მაშველი რაზმის შეგზავნა გადაწყვიტა.

206 მეომარი ღამით ქიზიყიდან გავიდა, მდ.ალაზანი გადალახა, მიეპარა ლეკთა ყარაულებს და ხმლით გაიკაფა გზა ციხისაკენ.

რაზმმა ციხეში დიდძალი თოფის ნამალი შეიტანა. მეციხოვნეებმა მოახერხეს დაენვათ ლეკთა საფრები ციხის გარშემო. ამავე დროს ერეკლე II ჯარი გაგზავნა ჭარის დასარბევად. ჭარელები ციხეს მოსცილდნენ და ცოლ-შვილის მისაშველებლად თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ.

მათ გაჰყვა კაკის სულთანი და დაღესტნის სურხაი-ხანი, 28 სექტემბერს ნურსალ-ბეგი და შამხალიც გაეცალნენ ყვარლის ციხეს. საქართველოს აოხრების გეგმა ჩაიშალა.

ყვარლის ციხის დაცვას საქართველოს მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, თუ მტერი გაიმარჯვებდა და ციხე დაეცემოდა – ალაზნის გაღმა მხარე მტერს დარჩებოდა, მერე მთელი კახეთის დაპყრობაც არ იყო ძნელი.

დასუსტებულ ქართლსაც იოლად დაიპყრობდა ნურსალ-ბეგი, ოსმალთა მეშვეობით დასავლეთ საქართველოშიც გაიოლდებოდა თარეში და ქვეყნის მომავალიც დასაღუპად იყო განწირული.

-
- **ყვარელი** - ქალაქი საქართველოში, ყვარლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს ალაზნის ველზე

სპრის ბრძოლა (1756 წ.)

ბრძოლა გამართული 1756 წელს ახლანდელ სოფელ სპრის მახლობლად.

1755 წელს, ყვარლის ციხესთან დამარცხების შემდეგ ავარიის ხანის ნურსალ-ბეგის მრავალრიცხოვან რაზმებად დაშლილი ლაშქარი ქართლის სოფლებში დათარეშობდა.

ერთ-ერთ ასეთ სამათასიან რაზმს სოფელ ნიჩბისთან შეება ქართველი მეფეების თეიმურაზ II და ერეკლე II მენინავე რაზმი. გაქცეულმა მტერმა აიღო კარაღეთის ციხე.

ქართველთა მენინავე რაზმი ლეკებს სკრასთან დაენია და გაუმართა ბრძოლა, რომელიც ქართველების გამარჯვებით დამთავრდა.

ხრესილის ბრძოლა (1757 წ.)

ბრძოლა ქართველთა ლაშქრის **სოლომონ I** მეთაურობით ოსმალთა ლაშქრის წინააღმდეგ ხრესილის ველზე.

სოლომონ I ბრძოლამ მტკიცე სამეფო ხელისუფლების შესაქმნელად, დასავლეთ საქართველოს გასაერთიანებლად და ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ მეფესა და ოსმალებს შორის ურთიერთობა უფრო გაამწვავა.

ოსმალები განსაკუთრებით ვერ ურიგდებოდნენ სოლომონის ბრძოლას ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. ოსმალები დაუკავშირდნენ მეფის მონინააღმდეგე თავადებს.

მოლაღატი თავადი ლევან აბაშიძე ახალციხეში ჩავიდა და თვითონ წამოუძღვა მტერს იმერეთისაკენ.

დეკემბერში ოსმალთა ჯარი იმერეთში შემოვიდა. სოლომონმა მტერი სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილას - ხრესილის მინდორზე - შეიტყუა და სასტიკად დაამარცხა.

-
- **სკრა** - სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის მხარის გორის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს.

სამი ფაშა დაატყვევეს და შემდეგ დახოცეს. ომში მოკლეს მოლაღატე **ლევან აბაშიძე**, ხოლო **როსტომ რაჭის ერისთავმა** გაქცევით უშველა თავს.

ასპინძის ბრძოლა (1770 წ.)

ბრძოლა ოსმალეთის ლაშქართან ერეკლე II სარდლობით 1770 წლის 20 აპრილს, რუსეთ-ოსმალეთის ომის (1768-74) დროს.

საქართველოში შემოსულ რუსთა საექსპედიციო რაზმს, რომელსაც ამიერკავკასიის ფრონტზე ოსმალთა ძალების ნაწილი უნდა მიეზიდა, ერეკლე II შესთავაზა რუს-ქართველთა ერთობლივი ძალით ახალციხეზე გალაშქრება.

მისი მიზანი იყო მესხეთის განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან.

1770 მარტში სურამში რუსებისა და ქართველთა ჯარები შეერთდნენ. რუსთა სამხედრო რაზმს (1200 კაცი) გენერალი **გოტილბ ტოტლებენი** მეთაურობდა, ქართულ ლაშქარს (დაახლოებით 7 ათასი კაცი) - ერეკლე II.

24 მარტს შეერთებული მხედრობა ბორჯომის ხეობით ახალციხისაკენ დაიძრა და 14 აპრილს აიღო სადგერის ციხე, 17 აპრილს კი ალყა შემოარტყა აწყურის ციხეს.

აქ ერეკლე II უშუალოდ ახალციხეზე გალაშქრება მოითხოვა, რადგან აწყურის ძნელად მისადგომი ციხის მცირერიცხოვანი გარნიზონის წინააღმდეგ ბრძოლა დროისა და ძალის დაკარგვად

-
- **ხრესილის ველი** (ახლა. ტყიბულის ტერიტორია).
 - **სოლომონ I** (1735-84) - იმერეთის მეფე 1752-84, ალექსანდრე V და ლევან აბაშიძის ასულის, თამარ აბაშიძის, ძე.
 - **ლევან გიორგი-მაღაქიას ძე აბაშიძე** (გ. 1757) - თავადი, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, გიორგი-მაღაქია აბაშიძის ვაჟი.
 - **როსტომ რაჭის ერისთავი**, ერისთავი დაახლოებით 1750-69 წლებში. შოშიტა III ძე.

მიაჩნდა, ხოლო ციხის ღრმა ზურგში მოტოვება, მისი აზრით, თავისთავად გადაწყვეტდა ანყურის საკითხს.

ტოტლებენი შეუძლებლად თვლიდა გამაგრებული ციხის ზურგში მოტოვებას და ამიტომ საიერიშო ღონისძიებათა მომზადებას შეუდგა, მაგრამ ციხის გარემოცვისა და ბრძოლის მისეული გეგმა არასწორი იყო. ამით ისარგებლა ახალციხის ფაშამ და 18 აპრილს ანყურის ციხეში 2000-კაციანი დამხმარე რაზმი შეგზავნა.

19 აპრილს ტოტლებენი თავისი რაზმითურთ მოულოდნელად უკან დაბრუნდა.

მტერმა დრო იხელთა, ციხიდან გამოიჭრა და თავს დაესხა ქართველებს. ეკერლე II სწრაფი კონტრშეტევით უკუაგდო მტერი და ასპინძისკენ დაიძრა.

ქართველთათვის გზა რომ გადაეჭრა, ახალციხის ფაშამ 1500 მეომარი გამოიყვანა ახალქალაქისა და ხერთვისის ციხეებიდან, მაგრამ ერეკლემ ეს რაზმი დაამარცხა და უკუაქცია.

მალე ასპინძასთან მტრის ძირითადი ძალები გამოჩნდა.

ოსმალ-ლექთა 8 000 - ათასიანი კორპუსის დიდ ნაწილს ერეკლემ მტკვარზე გადმოსვლის საშუალება მისცა, ღამით კი ალაბაბა ერისთავს, სვიმონ მუხრანბატონსა და ხუდია ბორბაჩალოელს მალულად გადაახერხინა ხიდის თავხეები («ისრები»). ამით მტერს უკანდასახევის გზა მოეჭრა.

20 აპრილს ქართველები მტრის პირისპირ საბრძოლო წყობით განლაგდნენ: მარჯვენა ფლანგს **დავით ორბელიანი** სარდლობდა, მარცხენას - **გიორგი ბატონიშვილი** (შემდგომში გიორგი XII), ცენტრს - **ერეკლე II**, რომელიც საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა.

ბრძოლა ქართველთა შეტევით დაიწყო. მტერმა ვერ გაუძლო დარტყმას და უწესრიგოდ იწყო უკან დახევა ხიდისაკენ. თავხეებგადახერხილი ხიდი ჩაინგრა და ასობით ოსმალ-ლექი თან ჩაიტანა ადიდებულ მტკვარში.

მტერმა ბრძოლის ველზე 4 000 მოკლული დატოვა. დაღუპულთა შორის იყვნენ ოსმალთა კორპუსის მთავარსარდალი, რამდენიმე ცნობილი ფაშა და ბეგი.

ერეკლემ ორთაბრძოლაში მოკლა ლექთა ბელადი მალაჩილა

(კობტა-ბელადი).

ქართველებმა ხელთ იგდეს ტყვეები, დროშები, ცხენები და დიდძალი იარაღი.

ჩხერის ბრძოლა (1774 წ.)

იმერეთის სამეფოს ბრძოლა ოსმალეთის ლაშქრის წინააღმდეგ რუსეთ-ოსმალეთის 1768-74 ომის დროს (მდ. ჩხერიმელას ხეობაში).

ოსმალეთმა ისარგებლა რუსეთის ჯარის საქართველოდან წასვლით და კვლავ სცადა იმერეთის დაპყრობა.

მათ, 4000 კაცისაგან შემდგარი რაზმი შემოიყვანეს იმერეთში. ამავე დროს ახალციხის ფაშამ დადიანსა და აფხაზთა მთავარს მოუხმო სოლომონ I წინააღმდეგ.

სოლომონ I თხოვნით **ერეკლე II** დადიანს ლალატზე ხელი ააღებინა. იმერეთში შემოსულმა ოსმალთა ჯარმა სასწრაფოდ უკან გაბრუნება დაიწყო.

მაგრამ ნ თებერვალს იმერთა ჯარი მტერს ჩხერის ვიწროებში ჩაუსაფრდა და უკანდასახევი გზა მოუჭრა.

-
- **ასპინძა** - დაბა ასპინძის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის ცენტრი.
 - **დავით რევაზის ძე ორბელიანი** (გ. 1796)- საორბელოს უფროსი, ქართლის მეფის სახლთუხუცესი 1768-იდან, მენინავე სადროშოს სარდალი 1772 წლიდან.
 - **ერეკლე II** (1720-98)
 - **გიორგი XII** (1746-1800)
 - **გოტლიბ კურტ შაინრიხ ტოტლებენი** (1715-73) - რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. საქართველოში ყოფნისას ტოტლებენი თავისი თვითნებური აქციებით სახელს უტეხდა რუსულ მხედრობას. რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა 1771 წლის იანვარში იგი შეცვალა.

სოლომონის რაზმებმა კი ოსმალთა ზურგს დაარტყეს. ოს-მალებმა ბრძოლის ველზე 1000 მეომარი დაკარგეს, 600 კაცი ტყვედ ჩავარდა, იმერთა მდევარმა რაზმა ჩხერიდან ვახანამდე დაახლოებით 1400 მებრძოლი მოკლა.

რუხის ბრძოლა (1779 წ.)

იმერეთ-გურია-ოდიშის ლაშქრის ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ.

ქუჩუკ-კაინარჯის 1774 ზავით ოსმალებმა იმერეთის საქმეებში ჩარევის უფლება დაკარგა.

1779 წელს ოსმალეთი შეეცადა იმერეთისათვის ჩამოეშორებინა მისი მოკავშირე ოდიშის სამთავრო და აფხაზეთის ტერიტორიიდან ოდიშზე გაილაშქრა, ოსმალთა მოკავშირეებად გამოვიდნენ აფხაზები, ჯიქები, ალანები, ჩერქეზები, ბალყარელები და ყირიმელი თათრები.

კაცია II დადიანმა დახმარებისათვის იმერეთის მეფეს მიმართა. სოლომონ I იმერეთ-გურიის ლაშქრით დადიანს მიემხველა. მტერმა ენგური გადალახა და ზუგდიდისაკენ დაიძრა.

ბრძოლა, რომელიც რუხის ციხესა და ზუგდიდს შორის მოხდა, იმერეთ-გურია-ოდიშის ლაშქრის სრული გამარჯვებით დამთავრდა. გამარჯვებულებმა ხელთ იგდეს მრავალი ტყვე და დიდძალი ალაფი, მ. შ. მტრის არტილერია.

რუხის ბრძოლამ დიდი ხნით შეაჩერა ოსმალეთის ექსპანსია საქართველოში ჩრდილო-დასავლეთიდან.

-
- **ჩხერიმელა** - მდინარე ხარაგაულისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში. ძირულის მარცხენა შენაკადი.
 - **სოლომონ I** (1735 -84) - იმერეთის მეფე 1752-1784, ალექსანდრე V და ლევან აბაშიძის ასულის, თამარ აბაშიძის, ძე.
 - **ერეკლე II** (1720-98) - 1744-62 წლებში კახეთის, 1762-98 წლებში ქართლ-კახეთის მეფე.
 - **რუხი** - სოფელი საქართველოში, სამეგრელოს და ზემო სვანეთის მხარის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში,
 - **კაცია II დადიანი** - ოდიშის მთავარი 1758-88, ოტია დადიანის ძე.

მათხოჯის ბრძოლა (1789 წ.)

ბრძოლა იმერეთის სამეფო ტახტისათვის.

1788 იმერეთის მეფემ დავით გიორგის ძემ ოდიშზე გაილაშქრა და იქიდან გააძევა **გრიგოლ დადიანი**, რომელიც ლეჩხუმში გაიქცა. ოდიშის ფეოდალებმა გრიგოლს დაუჭირეს მხარი. მან დახმარება სთხოვა ერეკლე II.

ერეკლემ ჯარით გაგზავნა სოლომონ I ძმისწული დავით არჩილის ძე, რომელმაც ლეჩხუმში ცოლად შეირთო გრიგოლ დადიანის და - მარიამი.

1789 წლის 11 ივლისს მათხოჯთან ოდიშისა და ქართლის ჯარმა დაამარცხა **დავით გიორგის ძის** მომხრეები. გამარჯვებულებმა ქუთაისი აიღეს. დავით გიორგის ძემ ახალციხის საფაშოს შეაფარა თავი.

იმერეთში **სოლომონ II** სახელით დავით არჩილის ძე გამეფდა.

ზოვრეთის ბრძოლა (1789 წ.)

ბრძოლა სამეფო ტახტისათვის იმერეთის მეფეებს **დავით II** და **სოლომონ II შორის**.

1789 წელს მათხოჯის ბრძოლის შემდეგ იმერეთის სამეფო ტახტზე ადის სოლომონ II. დავით II ახალციხეში გაიქცა.

1790 წელს დავით II ოსმალეთისა და ლეკების ჯარით ისევ შეიჭრა იმერეთში.

დავით მეფემ სოლომონ II დაამარცხა და ცოტა ხნით ისევ დაიკავა სამეფო ტახტი.

-
- **მათხოჯი** - სოფელი ხონის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას
 - **დავით II** (1755 - 95), იმერეთის მეფე 1784-89 წლებში, გიორგი VII ძე, სოლომონ I ბიძაშვილი.
 - **გრიგოლ დადიანი** (1770-1804) - ოდიშის მთავარი 1788-1804 წლებში, კაცია II დადიანის ძე.
 - **სოლომონ II** (გამეფებამდე დავითი) – (1772-1810), იმერეთის მეფე 1789-1810, სოლომონ I ძმის, არჩილის, ძე.
 - **ზოვრეთი** - სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მდინარე ძუსის (ჩოლაბურის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში
 - **დავით II** (1755-95), იმერეთის მეფე 1784-89 წლებში, გიორგი VII ძე, სოლომონ I ბიძაშვილი.
 - **სოლომონ II** (გამეფებამდე დავითი) – (1772 - 1815), იმერეთის მეფე 1789-1810 სოლომონ I ძმის, არჩილის, ძე.

კრწანისის ბრძოლა (1795 წ.)

ბრძოლა ქართლ-კახეთისა და სპარსეთის ლაშქარს შორის თბილისთან, კრწანისის ველზე.

ალა-მაჰმად-ხანმა თავისი ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ ერეკლე II მოსთხოვა ქართლ-კახეთის სამეფოზე სპარსეთის ბატონობის აღდგენა და რუსეთთან კავშირის განწყვეტა.

გეორგიევსკის ტრაქტატის ერთგული ერეკლე II რუსეთის მთავრობას დახმარებას სთხოვდა.

სექტემბრის დასაწყისში ალა-მახმად-ხანი 35-ათასიანი ჯარით საქართველოსკენ გამოემართა და 8 სექტემბერს სოღანლულიაღლუჯის ჩრდილოეთ კალთებსა და კუმისის ტბას შორის, მდ. მტკვრის ნაპირზე, ე. წ. სარვანის მინდორზე, დაბანაკდა.

სპარსელთა ჯარში თავიანთი ლაშქრით იყვნენ განჯის მმართველი ჯავად-ხანი, ყარაბაღელ სომეხთა მელიქები მეჯღუმი და ჰაბოვი, ერევნის ხანი.

ალა-მაჰმად-ხანის ამ გამოლაშქრებას ელოდნენ საქართველოში და მრავალრიცხოვანი ჯარის შეგროვებაც შესაძლებელი იყო, მაგრამ რუსეთის დახმარების მომლოდინე ერეკლე II დროული და საჭირო ღონისძიებები ვერ გაატარა და მტერს მოუმზადებელი დახვდა.

ქართველების სარდლობამ გადაწყვიტა გამოეყენებინა მისადგომების რელიეფი და აეძულებინა მტერი ებრძოლა ისეთ პირობებში, რომ ვერ მოეხერხებინა ქარბი ძალების გაშლა და ბრძოლაში ჩაბმა.

ამასთან, ქართველებმა, მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარეს თავდაცვითი ზღუდეებისა და პოზიციების შესაქმნელად.

ქართველთა ლაშქარი 5 ათასამდე კაცს ითვლიდა, აქედან 2 ათასი იმერეთის სამეფოდან იყო, მათ სოლომონ II მეთაურობდა.

9 სექტემბერს, დილით, ქართველთა ნაწილების დასაზვერად და ხელსაყრელი პოზიციებიდან გამოსატყუებლად სპარსელთა ავანგარდი სოღანლულიდან ორჯერ გადავიდა იერიშზე.

ქართველთა მენინავე რაზმმა მტერი ორჯერვე ახლოს მიუშვა, შემდეგ კი ერთბაშად ცეცხლითა და მოულოდნელი იერიშით უკუაქცია.

10 სექტემბერს, სპარსელებმა ჩათვალეს, რომ სოღანლუღის მხრიდან, ვინრო საქარავენე გზით ნასვლა თბილისისკენ რთული იყო და ამიტომ სომეხი მელიქების რჩევით გადაწყვიტეს თელეთიდან შინდის-ტაბახმელისაკენ ასვლა, იქიდან კი დაშვება კრწანისის ველზე, საიდანაც, სეიდაბადის გავლით იოლად მიადგებოდნენ თბილისს. ამ გზით თაბორის ქედისადაც შეიძლებოდა პირდაპირ აბანოთუბანში დაშვება. მტრის მენინავე რაზმმა (3-4 ათასი კაცი) მძლავრად შეუტია ქართველთა გამაგრებულ ხაზს ტაბახმელასა და შინდისს შორის.

10 სექტემბერს, ერეკლეს ბრძანებით ბრძოლას **დავით ბატონიშვილი** სარდლობდა.

მისი რაზმი და არტილერია, თაბორის ქედის სამხრეთ ფერდობებთან, შინდისის მიდამოებში განლაგდა და მიზანში თელეთის ქედის ჩრდილო ფერდობები ამოიღო, რადგან მტერი აქედან უნდა დაშვებულყო კრწანისის ველისაკენ.

კრწანისის ველის მიდამოებში (დაახლოებით იქ, სადაც ახლა ე.წ. სამთავრობო აგარაკები, ოფტალმოლოგიური კლინიკა და სასჯელალსრულებითი დანესებულებებია), მოხერხებულად განთავსდა **ოთარ ამილახვრის, იოანე მუხრანბატონის, ზაქარია ანდრონიკაშვილის** რაზმები, იმერელთა რაზმი **ზურაბ წერეთლის** მეთაურობით.

ერეკლე, თავისი მეზობლებით სეიდაბადის ბოლოს, კრწანისის ველის განაპირას იდგა.

როდესაც მტერმა თელეთის ქედზე გადმოსვლა დაიწყო, დავითმა მათ მენინავე რაზმებს ზარბაზნის ცეცხლი დააყარა და დიდად დაზარალებული მტერი რამდენიმე ჯერ უკან შეაბრუნა.

თუმცა სპარსელებს ახალი, დასვენებული, დიდი ძალა ემატებოდა თელეთის ქედის მეორე მხრიდან.

მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმა ქართველთა სხვა რაზმებსაც მოუწია.

ბოლოს 75 წლის ერეკლემ ბაირალი აიტაცა, იშიშვლა ხმალი და მომხდური მტრის რაზმების შუაგულში შევარდა, მას შვილიშვილი, **სოლომონ II** მიჰყვა.

მეფეების თავგანწირვით აღფრთოვანებული ქართველები ლომებად იქცნენ და საღამოსათვის მრავალრიცხოვან მტერს, დიდი დანაკარგით უკან დაახევინეს.

მათი განახევრებული რაზმები თელეთის ქედის მეორე მხარეს, თავიანთ ბანაკისკენ გადადევნეს.

10 სექტემბერს ქართველები გამარჯვებული მობრუნდნენ თბილისში.

გადმოცემით, პირველი ბრძოლით დაშინებული ალა-მაჰმად-ხანი უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ღამით ციხიდან მოღალატეთა ხელშეწყობით გაპარულმა სპარსელთა ჯაშუშმა დაარწმუნა შაჰი ქართველთა სისუსტეში, თუმცა სათუთა, რომ ალა-მაჰმად-ხანს უკან გაბრუნება გადაეწყვიტა, რადგან ბრძოლებში გამოცდილ, თბილისთან ახლოს მოსულ შაჰს, პოზიციური, თუნდაც დამარცხებული ბრძოლის შემდეგ უარი, რომ ეთქვას წინსვლაზე, ძნელად წარმოსადგენია.

ალა-მაჰმად-ხანმა თავისი ჯარი 14 ნაწილად დაჰყო. მისი ჯარი, წინა დღის მარცხის მიუხედავად, რაოდენობრივად 6-ჯერ თუ 7-ჯერ მეტი იყო ქართველთა ჯარზე.

ძალები მეტად უთანასწორო იყო. შაჰმა თავის ჯარს უკან 6 ათასი თურქმენი ჩაუყენა და უბრძანა – უკანდახეული სპარსელი მებრძოლები ადგილზე გაენადგურებიათ.

11 სექტემბერს, დილის 7 საათზე, სპარსელთა ლაშქარი მტკვარ-შავნაბადის ვიწროებით თბილისისაკენ დაიძრა და საათნახევრის შემდეგ ქართველთა საბრძოლო დაცვის პირველ პოზიციებს შეუტია.

შაჰმა გადაწყვიტა, რომ შეტევა თბილისზე, ორივე მხრიდან ეწარმოებინა, ამისათვის 5 ათასამდე კაცი, ისე, როგორც 10 სექტემბერს, თბილისთან ზურგიდან მისავლელად თელეთის მიმართულებით გაგზავნეს.

თავად შაჰმა, ძირითადი ძალებით სოღანლულის ვიწრო, კლდოვან ფერდობებზე განლაგებულ საქარავნე გზით გადაწყვიტა თბილისისაკენ წამოსვლა.

11 სექტემბერს ქართველთა ჯარს ერეკლე სარდლობდა. წინა დღის მსგავსად, დაცვის მარჯვენა ფრთაზე, შინდის-ტაბახმელადან გადმოსასვლელ გზებზე მდგარ ჯარს დავით ბატონიშვილი მეთაურობდა.

მეწინავე რაზმს იოანე ბატონიშვილი ჩაუდგა სათავეში. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიდამოებში განლაგებულ ქართველთა მარცხენა ფრთას იოანე მუხრანბატონი უფროსობდა.

თვით ერეკლე ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობის გარდა, იცავდა სეიდაბადისკენ მიმავალ ცენტრალურ გზას, ის თავისი რაზმით შემალღებულ ადგილზე განთავსდა.

ოთარ ამილახვრისა და თავისი ვაჟიშვილის, ვახტანგის რაზმები, როგორც სარეზერვო, თავისთან ახლოს იახლა მეფემ.

იმერელთა ათასკაციანი რაზმი ერეკლესაგან მარჯვნივ განლაგდა, ხოლო 500 იმერელი მეზრძოლი აბანოს კარის მიდამოებში დარჩა, რათა საჭიროების შემთხვევაში მეზარბაზნეებს დახმარებოდნენ. ამინდი ღრუბლიანი და წვიმიანი იყო.

სოღანლულის გზით ნამოსული შაჰი თბილისისკენ მომავალ საქარავნე გზის მთიან ნაწილს მოადგა (დაახლოებით იქ სადაც დღეს მარნეულისა და რუსთავის გზები იყოფა).

გზის ერთ მხარეს თელეთის ქედის კლდოვანი ფერდობები იყო, მეორე მხარეს ადიდებული მტკვარი.

მთებზე ჩასაფრებულმა ქართველებმა ასეულობით მეზრძოლი დაუხოცეს მტერს და გადაადგილების საშუალება არ მისცეს. შაჰი დარწმუნდა, რომ წინსვლა ამ გზით შეუძლებელი იყო.

ბრძოლაში გამოცდილი შაჰი უკან დახევას არ აპირებდა, უეცრად მან ცხენი შეაბრუნა ადიდებული მტკვრისაკენ და თავისიანებს შესძახა:

"ვინც ჩემი ერთგულია მომყვითო, თუ მტკვარმა ნამილო ჩემი გვამი ამოიღეთ და მიწაში დაფალითო".

შაჰმა მდინარე გადაცურა, მეზრძოლთა ნაწილი უკან მიჰყვა. 300–მდე სპარსელი დაახრჩო ადიდებულმა მტკვარმა.

ნავთლულისკენ გასული შაჰი, რამდენიმე ათასი კაცით მტკვრის მარცხენა ნაპირს აღმა აჰყვა და გაღმიდან თელეთის ქედის ფერდობები დაათვალიერა.

ნახა, რომ ქართველებს ძალზე მცირე რაოდენობით ჰყავდათ მეზრძოლები.

ქართველთა მეწინავე რაზმის მეზრძოლებმა, რომელნიც საქარავნე გზას იცავდნენ ჩათვალეს, რომ ალყაში ექცეოდნენ და უკან, თბილისისკენ დაიხიეს.

გზა განთავისუფლდა და მტკვრის მარჯვენა მხარეს დარჩენილი სპარსელთა ჯარის ნაწილიც ამ გზით დაიძრა.

შაჰმა კი თავისი ჯარი, უკან, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მოლაღატეების მიერ ნაჩვენები ფონით გადმოიყვანა ორთაჭალის მიდამოებში და აქ გაერთიანებული სპარსელები ბრძოლით წამოვიდნენ სეიდაბადისკენ.

იმ მომენტში, როდესაც მოწინააღმდეგეებს ერთმანეთისაგან ერთი პატარახევი და ბაღნარები ყოფდათ, სეიდაბადის სამხრეთი კალთებიდან შეტევაზე გადავიდა **ვახტანგ ბატონიშვილის** 2-ათასიანი რაზმი, რომლის ამოცანა იყო სპარსელთა ჯარის შუაზე გაკვეთა.

მტერმა მთავარი ძალები ამ რაზმის უკუგდებაზე დააბანდა. სასტიკი ბრძოლა გაიმართა.

ალა-მაჰმად-ხანის ცხენს ზარბაზნის ტყვია მოხვდა და სისხლისმსმელი შაჰი ატალახებულ მიწაზე გაგორდა.

ვინ იცის როგორ შეიცვლებოდა ბრძოლის ბედი, ტყვია რომ მის მხედარს მოხვედროდა. ამ დროს ერეკლე II კონტრშეტევაზე გადასვლა ბრძანა, მაგრამ მძიმე ბრძოლებში, ქართველთა ისედაც მცირე ძალები თანდათან ამოიწურა და ნელ-ნელა უკან დახევა დაიწყო.

ქართველთა ჯარი თავის პირველ პოზიციას, მესამე სანგრის მიდამოს დაუბრუნდა და იქ სცადა გამაგრება.

ამავე დროს, დაცვის მარჯვენა ფრთაზე, თელეთის მიდამოდან შინდის-ტაბახმელასთან ამოსულმა სპარსელებმა უეცარი იერიში მიიტანეს დავით ბატონიშვილის რაზმზე, ქართველთა მხრიდან ხანგრძლივი და თავდაუზოგავი ბრძოლის მიუხედავად, გადმოლახეს ეს წინააღმდეგობა.

დავით ბატონიშვილმა, მტერს რომ ხელში არ ჩავარდნოდა, ზარბაზნები წყლიან ხევში გადაყარა და მისმა რაზმმა ეს პოზიცია დატოვა.

ამის შემდეგ, ქართველებისათვის ზურგიდან შემოსავლელად და უკანდასახევი გზის მოსაჭრელად, რამდენიმე ასეულისაგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი შინდისის მიმართულებიდან თავისუფლად დაიძრა, რათა თაბორის ქედით პირდაპირ აბანოთუბანში დაშვებულიყვნენ. მტრის ეს მანევრი ქართველთა სარდლობამ შენიშნა და **იმერელთა ათასეულის** მეთაურისა და არტილერიის უფროსის, მაიორ **გურამიშვილის** გასაფრთ-

ხილებლად შიკრიკი გაგზავნა, მაგრამ იგი გზაში მოკლეს. ქართველები ალყაში ექცეოდნენ.

გმირულად იბრძოდნენ ქართველები. ვახტანგ ბატონიშვილის რაზმის წევრები, რომლის შემადგენლობაში იყვნენ **300 არაგველი, ქიზიყელნი, თბილისელი მებრძოლები**, მათ შორის მსახიობები – **მაჩაბელას** სიმღერით გამხსნევებულნი, თავდაუზოგავი ბრძოლის შემდეგ სიმღერით შეხვდნენ სიკვდილს.

ერეკლეს ერთგული 200 თათარი **ხუდია ბორჩალოელის** მეთაურობით განსაკუთრებული სისასტიკით დახოცა მტერმა.

არაგველები იქეთ მიიწვედნენ სადაც შაჰის ბანაკი იყო და თვალნინ დაუხიეს დროშები შაჰს. საკვირველი გმირობა გამოიჩინეს ქართველმა არტილერისტებმა გურამიშვილის მეთაურობით.

ერთი საათის ბრძოლის შემდეგ ქართველთა ლაშქარი მესამე სანგრიდან მეოთხეში გადავიდა, აქაც ერთი საათი იბრძოდა და შემდეგ უკან დახევა დაიწყო.

დღის მეორე ნახევარში ალა-მაჰმად-ხანმა მთელი რეზერვები ბრძოლაში ჩააბა და ქართველებს დევნა დაუწყო.

ქართველთა მეზარბაზნეებმა მოახერხეს მტრის შეტევის დროებით შეკავება.

ერეკლე ალყაში ექცეოდა, მტერი დაატყვევებდა ან მოკლავდა მეფეს, მაგრამ ერთგულმა თანამებრძოლებმა, მათ შორის შვილიშვილმა, **იოანე ბატონიშვილმა**, მედგარი ბრძოლით მოაშორეს სპარსელები და ძალით გამოიყვანეს მეფე ბრძოლის ველიდან.

მან და მისმა 150-მდე მხედარმა თბილისზე გავლით საგურამოსკენ გასწია და ბოლოს თავი მთიულეთს შეაფარა. მცირე ხნის შემდეგ მტერი ქალაქში შევიდა. მოსახლეობამ მას ქუჩაში გაუმართა ბრძოლა.

სპარსელებმა თბილისი ჯერ გაძარცვეს, შემდეგ დაარბიეს და ცეცხლს მისცეს, მრავალი ათასი მცხოვრები ტყვედ წაიყვანეს. მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილისა და გადამდები სნეულებისაგან დაიღუპა.

ქართლის სოფლებს მოთარეშეთა რაზმები შეესივნენ. კრწანისის ბრძოლამ დიდი ზარალი მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს.

- **კრწანისი** - უბანი თბილისში, ფეოდალურ ხანაში - სოფელი.
- **ერეკლე II (1720-98)** - 1744-1762 წლებში კახეთის, 1762–1798 წლებში ქართლ-კახეთის მეფე
- **სოლომონ II** (გამეფებამდე დავითი) – (1772-1815), იმერეთის მეფე 1789-1810, სოლომონ I ძმის, არჩილის, ძე.
- **ალა-მაჰმად-ხანი** (1742-97) სპარსეთის გამგებელი 1794 წლიდან, შაჰი 1796 წლიდან.
- **დავით ბატონიშვილი**, ბაგრატიონი (167-1819) - გიორგი XII უფროსი ძე, ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი 1800-01, მწერალი, მეცნიერი, გენერალ-ლეიტენანტი (1800).
- **ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი** (ბაგრატიონი) (1761-1814) - ერეკლე II და დარეჯან დედოფლის ძე.
- **იოანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი)** (1768-1830), ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, განმანათლებელ-ენციკლოპედისტი, მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, გამორჩეული მებრძოლი და სარდალი, შვილი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII
- **გიორგი გურამიშვილი**, მეტსახელად ქუმელა - ქართველი არტილერისტი, ერეკლე II არმიის მაიორი. დედის მხრიდან ერეკლე II ნათესავი და მისი ნათლული. გმირულად დაიღუპა კრწანისის ბრძოლაში.
- **იოანე (ივანე) კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი** (1755 -1801), სხვა ცნობებით, 1799 - ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს წარმომადგენელი, ქართლ-კახეთის სამეფო პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ერეკლე II სიძე
- **ოთარ რევაზის ძე ამილახვარი** (1756 - 1828) - აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. საამილახვროს უფროსი, ზემო ქართლის სადროშოს სარდალი, გორის მოურავი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1825).
- **ზაქარია თამაზის ძე ანდრონიკაშვილი** (1740 - 1802), ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე.
- **ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთელი** (1747-1823), სახლთუხუცესი, გენერალ-მაიორი (1804)
- **მაჩაბელა** (გ. 1795) - ქართული კულტურის მოღვაწე XVIII საუკუნის II ნახევარში.
- **ხუდია ბორჩალოელი**- ერეკლე მეფის კარის სამხედრო მოღვაწე, დაიღუპა კრწანისის ბრძოლაში 200 ბორჩალოელ მხედრებთან ერთად 1795 წლის 12 სექტემბერს.

ნიახურის ბრძოლა (1800 წ.)

რუსებისა და ქართველების გაერთიანებული ლაშქრის ბრძოლა ავარიის მფლობელის ომარ-ხანის ლაშქრის წინააღმდეგ 1800 წლის 7 ნოემბერს.

საისტორიო ლიტერატურაში ზოგჯერ კაკაბეთის ბრძოლის ან ივრის ბრძოლის სახელითაც იხსენიება.

დაღესტნელ ფეოდალთა ეს ლაშქრობა დაკავშირებული იყო სპარსეთის გამგებლის ბაბა-ხანის სამხედრო აქციასთან.

ბაბა-ხანი **ალექსანდრე ბატონიშვილთან** (ერეკლე II ძე) ერთად ცდილობდა ქართლ-კახეთის სამეფოს ჩამოშორებას რუსეთისაგან.

გეგმის მიხედვით, დაღესტნელებსა და ყიზილბაშებს თბილისისათვის ორი მხრიდან უნდა შეეციათ, მაგრამ შინაარეულობამ სპარსეთში და შაჰის ახალმა პოლიტიკურმა მოსაზრებამ ხელი შეუშალა ამ გეგმის განხორციელებას: საქართველოს საზღვართან დაბანაკებული სპარსელთა ლაშქარი, რომელსაც ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრე **აბას-მირზა** მეთაურობდა, აიყარა და სპარსეთს დაბრუნდა. დასახული მიზნის შესრულება ძირითადად მხოლოდ ომარ-ხანის 20 ათასიან ლაშქარს დაეკისრა.

კახეთში, სადაც მოსალოდნელი იყო დაღესტნელთა შემოსევა, ჩამოყალიბდა ქიზიყელ მოხალისეთა რაზმი, რომელსაც **იოანე** და **ბაგრატ ბატონიშვილები** მეთაურობდნენ, ხოლო თბილისიდან მათ დასახმარებლად გაემართა რუსთა ორი ბატალიონი გენერლების **ივანე ლაზარევისა** და **ვასილი გულიაკოვის** წინამძღოლობით.

ნიახურის ბრძოლა გაიმართა მდინარე ივრის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ კაკაბეთის მახლობლად, ნიახურის მინდორზე.

ბრძოლა დაღესტნელთა ლაშქრის სრული განადგურებით დამთავრდა.

დაჭრილმა **ომარ-ხანმა** ორასიოდე მხედრითურთ ძლივს დააღწია თავი ტყვეობას. ქვეყანა აოხრებას გადაურჩა.

-
- **ომარ-ხანი**, ავარიელი (გ. 1801) დაღესტნელი ფეოდალი, ხუნძაყ-

სანაინი—ალავერდის ბრძოლა (1918 წლის 9—16 დეკემბერი)

შეიარაღებული კონფლიქტი სომხეთის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1918 წლის დეკემბერში, საქართველოს თავდაცვითი ომი სომხეთის წინააღმდეგ.

საბრძოლო მოქმედებები ლორესა და ჯავახეთში დაიწყო სომხეთის ჯარების მოულოდნელი თავდასხმით ქართულ სასაზღვრო ნაწილებზე 12 დეკემბერს; დასრულდა მათი დამარცხებით შულავერ-სადახლოს ბრძოლებში 29 დეკემბერს და დაზავების შეთანხმებით 31 დეკემბერს.

სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყების მომენტში, 1918 წლის 9 დეკემბრისათვის უზუნლარი-სანაინის უბანზე დაპირისპირებული მხარეების ძალთა თანაფარდობა შემდეგი იყო:

ერთი ქართული ჯავშანმატარებლის, სანაინის 60 კაციანი რაზმისა და მცირერიცხოვანი მესაზღვრეების პირისპირ — სულ დაახლოებით 200 კაცი იდგა კარგად მომზადებული, ჩაცმულ — დახურული და შეიარაღებული ორი სომხური პოლკი და რაიონის მთელი სომხური მოსახლეობა, საერთო რიცხოვნობით სულ მცირე — 3000—3500 კაცი. სომხური მხარის თითქმის ოცმაგი უპირატესობა.

14 დეკემბრისათვის ალავერდი—ახპატის უბანზე ძალთა

ის მფლობელი და ავარიის სახანოს გამგებელი. ნურსალ-ბეგის ვაჟი.

- **ალექსანდრე ბატონიშვილი** (ბაგრატიონი) (1770-1844) ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, ერეკლე II ძე.
- **ბაგრატ ბატონიშვილი** (ბაგრატიონი) (1776-1841), ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII ძე.
- **ვასილი სემიონის ძე გულიაკოვი** (1751-1804) - რუსი გენერალ-მაიორი, რომელიც დაიღუპა ზაქათალას ალბისას.
- **ივანე პეტრეს-ძე ლაზარევი** (1763-1803), რუსი გენერალ-მაიორი, მოკლა დედოფალმა მარიამმა, მეფე გიორგი XII მეუღლემ. დაკრძალულია სიონის ტაძრის გალავანში.
- **აბას-მირზა , ბაბა-ხანი** (1772-1834), სპარსეთის შახი (1797 წლიდან), ყაჯართა დინასტიიდან.

თანაფარდობა კი შემდეგი იყო:

სომხების მხრიდან — მე—2 მსროლელი დივიზიის (მეთაური — გენერალი **მოვსეს სილიკოვი**)

მე—4 და მე—6 პოლკები, 1—ლი მსროლელი დივიზიის (მეთაური — **გენერალი არეშევი**)

1—ლი პოლკის ბატალიონები, ცხენოსანი ბრიგადის (მეთაური — გენერალი **გაბრიელ ყორღანოვი**)

3 ესკადრონი, ადგილობრივი სომხური მოსახლეობის ე.წ. «ოპოლჩენიის» რაზმები, არტილერია (დაახლოებით 20 ქვემეხი). საერთო რიცხოვნობა — 6000 კაცი.

ქართველების მხრიდან — საგუბერნიო ბატალიონის სანაინის რაზმის 60 კაცი და ერთი ჯავშანმატარებელი 1. ალავერდთან — მე—5 ქვეითი პოლკის 3 ასეული, მე—6 ქვეითი პოლკის ერთი ასეული, საარტილერიო ბატარეა, მორტირების ოცეული და დამატებით ჯავშანმატარებელი 3. საერთო რიცხოვნობა — 550—600 კაცი.

ქართული მხარის ტაქტიკური თვალსაზრისით სწორად ჩატარებული მანევრი კი ჯავშანმატარებლის თავგანწირული რეიდი იყო ახტალიდან სადახლომდე და გენერალ **წულუკიძისა** და მისი შტაბის ალყიდან გამოსვლა ცრუ მარშრუტით. აქ სწორად იქნა გაკეთებული გათვლა მოწინააღმდეგის პირადი შემადგენლობის მორალურ—ფსიქოლოგიურ ფაქტორზე.

-
- **ქე-სანაინი და ალავერდი** - ქალაქები სომხეთში, ლორეს პროვინციაში, 1921 წელს საქართველოს სსრ-მ გადასცა სომხეთის სსრ-ს
 - **მოვსეს მიხეილის-ძე სილიკოვი** (1862-1937), სომეხი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი
 - **მიხეილ ვასილის-ძე არეშევი** (1876-1921), სომეხი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი
 - **გაბრიელ გრიგოლის-ძე კორღანოვი** (1880-1954), სომეხი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი
 - **ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე** (1865-1923) ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი.

ეკატერინენფელდის ბრძოლა (1918 წლის 19 დეკემბერი)

18 დეკემბრის გვიანი ღამისათვის ქვედანაყოფები უკვე ეკატერინენფელდის მიმართულებით გაემგზავრნენ.

ძირითადად ესენი იყვნენ ტფილისის, სამტრედიის, გურიისა და კახეთის გვარდიის ქვედანაყოფები, აგრეთვე რეგულარული ჯარის ერთი ქვედანაყოფი — სულ 600 კაცი.

რაზმის შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე ცხენოსანი ასეული კაპიტან **ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის** მეთაურობით, აგრეთვე ორი საარტილერიო ბატარეა რვა ზარბაზნით.

ასეთი მცირერიცხოვანი იყო ქართული შეიარაღებული ძალების ის ავანგარდი, რომლებმაც უკვე 19 დეკემბრის გამთენიისას ჩააღწიეს ეკატერინენფელდში.

აგრესორთა მთავარ დამრტყმელ ძალას ამ მიმართულებაზე სომეხთა მე—5 მსროლელი პოლკი წარმოადგენდა, პოლკოვნიკ **ტერ—ნიკოგოსოვის** მეთაურობით. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ ადგილობრივი სომხური სოფლების სომეხ მოხალისეებსაც, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მტრის საერთო რიცხვი სულ მცირე 2500 კაცს მაინც შეადგენდა, თუ მეტს არა. ასეთი იყო დაპირისპირებული მხარეების ძალთა თანაფარდობა ეკატერინენფელდში, 1918 წლის 19 დეკემბრისათვის.

ხელჩართულ ბრძოლაში ინდივიდუალური სიმამაცისა და მომზადების მხრივ ქართული მხარის აშკარა უპირატესობა გამოიკვეთა და დასახული საბრძოლო ამოცანაც შესრულდა, სომეხთა მიერ ეკატერინენფელდის ოკუპაციის მცდელობა აღიკვეთა.

-
- ეკატერინენფელდი -ქ.ბოლნისის დასახელება 1818-1921 წწ.
 - ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი (1888-1930) - ქართველი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი (1918)
 - არტემი ისაიას-ძე ტერ-ნიკოგოსოვი (1859-1921), სომეხი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი (1912)

შულავერის ბრძოლა (1918 წლის 25—29 დეკემბერი)

საქართველოს მთავრობამ 18 დეკემბერს მისცა შექმნილ სიტუაციას შესაბამისი სამართლებრივი შეფასება და საომარი მობილიზაცია გამოაცხადა. დაიწყო საქართველოს რეგულარული ჯარის ქვედანაყოფების, სახალხო გვარდიისა და მოხალისეთა ცალკეული რაზმების ფორმირება და ფრონტისაკენ გადასროლა. შეიქმნა შულავერის ფრონტი და საველე შტაბი.

მიმართულების სარდლად მე—2 ქვეითი დივიზიის მეთაური, გენერალ—მაიორი **გიორგი მაზნიაშვილი** დაინიშნა, მის მოადგილედ გენერალ—მაიორი **გიორგი სუმბათაშვილი**. მთავარსარდლის თანამდებობა გენერალური შტაბის გენერალ—მაიორმა **ალექსანდრე გედევანიშვილმა** დაიკავა, მთავარი საველე შტაბის უფროსად კი გენერალი **ვლადიმერ იმნაძე** დაინიშნა.

გენერალ კვინიტაძის 25 დეკემბრის მიხედვით, შულავერის მიმართულებაზე ქართული დაჯგუფების ძალთა ოპერატიული გაშლა ასეთი იყო: „მარცხენა ფრთას მეთაურობდა გენერალი **ჩხეტიანი**. შედიოდნენ: სამტრედიის გვარდიის 500 კაცი, მე—5 პოლკის წინნაწეული ბატალიონი, მე—4 არტ. ბატარეა, სადაზვერვო ესკადრონი. ცენტრი გენერალი სუმბათაშვილი: სხვადასხვა დასახელების 12 ერთეული, მათ შორის მე—6 პოლკის 2 როტა და ოფიცერთა ასეული,

1918 წლის 28 დეკემბრის 12 საათზე ქალაქ შულავერის ალების ოპერაცია დაიწყო. მტრის პოზიციების საარტილერიო დამუშავება ორ საათს გაგრძელდა. ნაშუადღევს კი ქართული ნაწილების მასირებული შეტევა დაიწყო 10 კმ-იანი გაშლილი ფრონტით.

28 დეკემბრის შეტევებმა დაანახა მონინააღმდეგეს, რომ იგი ვერ შეინარჩუნებდა შულავერის სიმაღლეებს და ღამით მათ დატოვეს გამაგრებული პოზიციები. ამ ბრძოლების გმირი მე—9 ასეულის მეთაური, შტაბის კაპიტანი **მურჩაძე** იყო, რომლის

გმირულმა მოქმედებებმა განსაზღვრა კიდევ მთელი ასეულის წარმატება. ამ ბრძოლებში იგი დაიჭრა”.

შულავერი ქართველმა ქვედანაყოფებმა 29 დეკემბერს დილას დაიკავეს. მთლიანობაში ქართული მხარის დანაკარგები შულავერის ალების ოპერაციაში გაცილებით მცირე იყო სომხურთან შედარებით და იგი რამდენიმე ათეულით უნდა შეფასდეს მოკლულებისა და დაჭრილების სახით. იგი ნაკლებიც იქნებოდა, რომ არა გვარდიის თვითნებობა და მოქმედებები შულავერის სტრატეგიულ სიმაღლეებზე გამართულ ბრძოლებში, რასაც დამატებით მსხვერპლი და დამატებითი დროის განღვება მოჰყვა შედეგად.

ქართული ბომბდამშენი ავიაცია საერთოდ პირველად იქნა გამოყენებული კავკასიის ომების ისტორიაში. თვით I მსოფლიო ომის მთელი მსვლელობის დროსაც კი, კავკასიის ფრონტზე რუსული ავიაცია ერთადერთხელ იქნა გამოყენებული არზრუმის ალების დროს და ისიც მხოლოდ სადაზვერვო მიზნით. სომხური მხარის დანაკარგები ცოცხალ ძალაში შედარებით მცირე იყო და შენაერთმა შეინარჩუნა საბრძოლო მზადყოფნის დონე.

-
- **შულავერი** - სოფელი საქართველოში, ქვემო ქართლის მხარის მარნეულის მუნიციპალიტეტში, შულავერის თემში
 - **გიორგი მაზნიაშვილი** (1870-1937) - ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი
 - **ალექსანდრე გედევანიშვილი** (1870-1933), ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი
 - **ვლადიმერ იმნაძე** - ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი
 - **ქრისტეფორე ჩხეტიანი** - (1873-1933), ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი
 - **მუჩაიძე** - ქართული ჯარის კაპიტანი
 - **გიორგი სუმბათაშვილი** - (1868-1921) გენერალ-მაიორი.

სადახლოს ბრძოლა (1918 წლის 30—31 დეკემბერი)

მობილიზებული ქართული ნაწილები და საბრძოლო რაზმები უკვე ძალიან სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდა და მისი პირადი შემადგენლობა 1918 წლის 30 დეკემბრის ბოლოდან შულავერი—სადახლოს ფრონტზე 10000 კაცს შეადგენდა, ხოლო საომარ მოქმედებათა ყველა თეატრზე — 15000—ზე მეტს.

თავის მხრივ, ამ მომენტისათვის სომხურ შენაერთს ისევე მოსდის მნიშვნელოვანი შევსება.

30 დეკემბერს, გენერალი **დრასთამატ კანაიანის** დაჟინებული მოთხოვნით სომხურმა მხარემ ერთ პოლკამდე (1500—1800 კაცი) შევსება მიიღო.

საბრძოლო რიგების შევსებისა და გადაჯგუფების შემდეგ მან განიზრახა გენერალ მაზნიევის არმიის ალყაში მოქცევა და განადგურება.

რაც შეეხება ქართული მხარის საბრძოლო დანაკარგებს ცოცხალ ძალაში. დაღუპულთა და დატყვევებულთა ზუსტი რიცხვის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. არსებულ მასალებზე დაყრდნობით, დაღუპულთა რაოდენობა 700—800 კაცს შეადგენდა. ამ რიცხვის ნახევარი უნდა ყოფილიყო დატყვევებულ მეომართა რაოდენობა — 350—400. ჯამში — 1200 კაცი. დაჭრილთა რაოდენობა კი 1800—დე იყო ე.ი. ქართული მხარის საერთო დანაკარგი ცოცხალ ძალაში — მოკლულების, დაჭრილების, აგრეთვე ავადმყოფებისა და დატყვევებულთა სახით — 3000 კაცს შეადგენდა.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს კიდევ, რომ ქართული მხარის დანაკარგები არც თუ ისე დიდი იყო. მაგრამ საქმე იმაშია, რომ აქტიური საომარი მოქმედებების სულ რაღაც სამი კვირის განმავლობაში (9—31 დეკემბერი) 3000 კაციანი დანაკარგი ძალიან შთამბეჭდავი რიცხვია.

ცოცხალ ძალასთან ერთად, ქართული მხარის მიერ განცდილი მატერიალური ზარალიც დიდი იყო. საქართველოს შეიარაღებული ძალების კუთვნილი ექვსი ჯავშანმატარებლიდან

ორი სომხებმა ჩაიგდეს ხელში. ქართული მხარის საერთო დანაკარგები მძიმე და მსუბუქ სასროლ იარაღში, არტილერიაში, საბრძოლო მასალებსა და აღჭურვილობაში, სურსათ—სანოვაგეში, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებებშიც მნიშვნელოვანი იყო.

კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლა (1921)

საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შორის ომის გადამწყვეტი ბრძოლა 1921 წ. 16-25 თებერვალს.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ცნობილია, როგორც „ტფილისის ოპერაცია“ (რუს. Тифлисская операция);

საქართველოში ხშირად კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლების სახელით მოიხსენიებენ იმ ორის სიმაღლის მიხედვით, რომელიც ცენტრალურ როლს თამაშობდა ტფილისის დაცვაში.

საქართველოს შეიარაღებული ძალები გენერალ გიორგი **კვინიტაძის** მეთაურობით ერთი კვირის მანძილზე იცავდნენ ტფილისის მისადგომებს, მაგრამ იძულებული გახდნენ ქალაქი დაეტოვებინათ გეგერის საერთო სარდლობით მოქმედი მე-11 ნითელი არმიის რიცხობრივი და ტექნიკური უპირატესობის გამო.

ტფილისში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა და მარტის მიწურულისთვის საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე გავრცელდა

საბჭოთა რუსეთმა საბრძოლო მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ ფაქტობრივად 1921 წ. 12 თებერვალს დაიწყო, როდესაც რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის ბიუროს მითითებით ადგილობრივმა ბოლშევიკებმა ამბოხება მოაწყეს ლორეს ზონაში, რომელიც საბჭოთა სომხეთს ესაზღვრებოდა. სამხრეთ საქართველო იყო უმოკლესი გზა ტფილისისკენ, რომლის აღებას ბოლშევიკები ელვისებური დარტყმით ვარაუდობდნენ. გარდა ამისა, ე.წ. ლორეს ნეიტრალური ზონა სადავო ტერიტორია იყო სომხეთსა და საქართველოს შორის; მის სრულ კონტროლს საქართველო 1920 წ. დეკემბრიდან ახორციელებდა.

ამბოხებული ბოლშევიკების დასახმარებლად საბჭოთა კომისარმა კავკასიაში **სერგო ორჯონიკიძემ** ნითელი არმიის ნაწილები გაგზავნა, თუმცა მოსკოვიდან ინტერვენციის დაწყების ოფიციალური ნებართვა ჯერ არ იყო მოსული. გარკვეული ორჭოფობის შემდეგ **ლენინმა** ნითელ არმიას საქართველოში შეს-

ვლისა და ტფილისის ალების მითითება მისცა.

საქართველოს მთავრობამ მობილიზაცია გამოაცხადა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად გენერალი გიორგი კვინიტაძე დანიშნა.

რუსეთის მე-11 წითელ არმიასა და მისდამი დაქვემდებარებულ შენაერთებს კი კომდივი ანატოლი გეკერი მეთაურობდა.

მე-11 არმიის ძირითადი ძალები ტფილისს სამი მიმართულებით უტევენ:

მარცხენა საბრძოლო დაჯგუფება (მე-20 და 32-ე მსროლელი დივიზიების ნაწილები, სომხური წითელი ცხენოსანი ბრიგადა, ბოლშევიკ მეთაურობითა რაზმი) ლორეს ზონიდან მოქმედებდა;

ცენტრალური დაჯგუფება (მე-18 და მე-20 მსროლელი დივიზიების ნაწილები, მე-12 ცხენოსანი დივიზია, 55-ე ჯავშნოსანი რაზმი) უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთით, 30 კმ-ის დაშორებით, მოძრაობდა მდ. ხრამზენითელი ხიდის მიმართულებით;

მარჯვენა დაჯგუფება (მე-9 მსროლელი დივიზია, ჯავშნოსანი მატარებლები და მე-2 სატანკო რაზმი) კიდევ უფრო აღმოსავლეთით, 35 კმ დაშორებით მოქმედებდა, მდ. ალგეთზე ფოილოს სარკინიგზო ხიდის მიმართულებით.

1921 წ. 16 თებერვალს, გამთენიისას, მე-11 არმიის ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ. ბოლშევიკების ცენტრალურმა დაჯგუფებამ იერიშით აიღო „წითელი ხიდი“ და საქართველოს სახალხო გვარდიის სასაზღვრო ნაწილები გენერალ ახმეტელის მეთაურობით დიდი დანაკარგებით თბილისისკენ უკუაგდო. გენერალმა წულუკიძემ შეძლო წინასწარ დანაღმული ფოილოს ხიდის აფეთქება და ამით მოწინააღმდეგის ჯავშან-ტექნიკის შეკავება, თუმცა რუსმა ქვეითებმა მოახერხეს მდინარის მეორე ნაპირზე გამაგრება, მოიგერიეს ქართული ნაწილების კონტრშეტევა და პლაცდარმი შეინარჩუნეს. ამან საშუალება მისცა წითელი არმიის სარდლობას ხიდის გამაღებელი სარემონტო სამუშაოები დაეწყო. 16-17 თებერვალს რუსებმა სოფლები: შულავერი, ეკატერინფელდი, მარნეული, კეშალო, კოდი, ელიზაბეტალი, სადგურები: სალოლლი და ბეიუქ-ქიასიკი დაიკავეს და ტფილისს 40 კმ-ზე მიუახლოვდნენ.

გენერალმა კვინიტაძემ ქალაქის დასაცავად ფრონტის ხაზი სამ სექტორად დაყო:

მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ორხევის მიდამოებში სახალხო გვარდიის ნაწილები განლაგდნენ გენერალ **ჯიჯიას** მეთაურობით;

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. ტაბახმელამდე ე.წ. სოლანლულის ფრონტი შეიქმნა გენერალ **მაზნიაშვილის** სარდლობით. მის განკარგულებაში 2500 ხიშტი, 5 საარტილერიო ბატარეა, 1 ჯავშნოსანი მატარებელი და 2 ჯავშანტრანსპორტიორი იყო;

მონაკვეთს ტაბახმელადან კოჯორამდე გენერალი **ა. ანდრონიკაშვილი** იცავდა. აქვე განლაგდა ტფილისის სამხედრო სასწავლებლის რაზმი (160 იუნკერი და 350 კადეტი) პოლკოვნიკ **ა. ჩხეიძის** მეთაურობით.

18 თებერვლის საღამოს სოლანლულში წითელი არმიის ნაწილები გამოჩნდნენ და **მ. ველიკანოვის** სარდლობით მოახერხეს ქართველების პოზიციებზე შეღწევა კოჯორისა და იაღლუჯის სიმაღლეებზე. ქართული ჯარი მთელი ღამის განმავლობაში იგერიებდა შეტევას; გამთენიისას კი ჯავშანტექნიკის დახმარებით კონტრშეტევა განახორციელა და მოწინააღმდეგე დიდი დანაკარგით უკუაგდო. რუსების უკანდახეულ ნაწილებს არტილერია და ავიაცია უტევდა. ამ ბრძოლაში ქართველებმა 1600 წითელარმიელი დაატყვევეს. ამ წარუმატებლობის მიუხედავად, 19 თებერვალს წითლებმა ახალი შეტევა წამოიწყეს, ამჯერად ტაბახმელას მიმართულებით, მაგრამ თბილისის სამხედრო სასწავლებლის რაზმის ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ და უკან დაიხიეს.

19-20 თებერვლის განმავლობაში საარტილერიო დუელი და უმნიშვნელო შეტაკებები მიმდინარეობდა ორხევის სექტორზე, თუმცა წითლებმა აქაც ვერ მიაღწიეს წარმატებას. მათ მოქმედებას უჩვეულოდ ძლიერი თოვაც უშლიდა ხელს. 20-21 თებერვალს რუსებმა გადაჯგუფება განახორციელეს: კოჯორის მიდამოებიდან მე-12 ცხენოსანი დივიზია მარჯვენა ფლანგზე გადაისროლეს და გააძლიერეს ზაქათალიდან მოსული მე-18

ცხენოსანი დივიზიით, რითაც შეიქმნა დამრტყმელი კავალერიული შენაერთი.

21 თებერვალს წითელმა არმიამ სცადა ქალაქის დამცველთა მარცხენა ფლანგისთვის შემოეველო, რასაც ქართულმა ჯარმა კონტრშეტევით უპასუხა: გენერალ ჯიჯიხიას მეთაურობით შეიქმნა შემტევი დაჯგუფება გვარდიის 5 ბატალიონისა და კავალერიული ბრიგადის შემადგენლობით, რომელმაც სოფ. ლილოდან შეუტია წითლებს. ამავდროულად, გვარდიის ორმა ბატალიონმა ორხევიდან ფრონტალური დარტყმა განახორციელა.

რუსებმა უკან დაიხიეს; ქართველებმა 10 კმ წინ წაიწიეს, მაგრამ 23 თებერვალს იძულებული გახდნენ საწყის პოზიციებს დაბრუნებოდნენ მარცხენა ფლანგზე მონინაალმდევის ცხენოსანი დივიზიის გამოჩენის გამო. ამასობაში, 20 თებერვალს, წითლების კავალერიულმა შენაერთებმა ფრონტს მარჯვნიდან მოუარეს და მანგლისი დაიკავეს, რითაც თბილისს ზურგიდან დაემუქრნენ. საქართველოს სარდლობა იძულებული გახდა ფრონტი სოფ. წყნეთამდე გაეჭიმა, თუმცა ძალები არასაკმარისი იყო. შეიქმნა დამატებითი, ლილოს საბრძოლო უბანი პოლკ.

6. გედევანიშვილის მეთაურობით.

24 თებერვალს სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა. წითელმა არმიამ ფოილოს აღდგენილი ხიდის საშუალებით მიიღო ახალი შევსება მძიმე ტექნიკის სახით. ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ რუსეთის ჯარებმა დაიწყეს ტფილისსზე გადამწყვეტი შეტევა. კოჯორთან ქართველმა იუნკრებმა ხელჩართულ ბრძოლაში უკუაგდეს ბაქოდან ჩამოსული სამხედრო კურსანტების წითელი ბრიგადა, მაგრამ რუსებმა შეძლეს მაზნიაშვილის პოზიციების გარღვევა სოლანლუდის ფრონტზე და სტრატეგიულ ე.წ. ტრიგონომეტრიულ პუნქტს დაეუფლნენ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე კი ტანკებისა და ჯავშნოსნების დახმარებით ორხევი აიღეს. საქართველოს სარდლობამ ბრძოლაში უკანასკნელი რეზერვი ჩართო და გააფთრებული ბრძოლების შემდეგ პოზიციები დაიბრუნა; თუმცა ძალების უკმარისობის გამო ფრონტი გაშიშვლდა; წითელი კავალე-

რის ორმხრივი მანევრის შედეგად შეიქმნა გარემოცვის საფრთხე. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო ლილოს სექტორზე, სადაც ქართულმა ცხენოსანმა ნაწილებმა სოფ. ნორიოსთან კონტრშეტევით უშედეგოდ სცადეს გედევანიშვილის პოზიციებიდან მოწინააღმდეგის უკუდგება. რუსებმა მამკოდა, გლდანი და ავჭალა დაიკავეს. ქართველებმა უკანასკნელი ძალისხმევით - ჯავშნოსანისა და მოხალისეთა რაზმების გამოყენებით - შეძლეს ავჭალის ვაგზლის დაბრუნება.

25 თებერვლისათვის ქალაქის დამცველთა მდგომარეობა კრიტიკული იყო. შეიქმნა სრული გარემოცვის საშიშროება. ამ ვითარებაში საქართველოს სარდლობამ მიიღო თბილისის დატოვებისა და მცხეთისკენ უკანდახევის გადაწყვეტილება.

1921 წლის 9 მარტს ოთხშაბათს, მიხეილის საავადმყოფოდან (სადაც ჩამოსვენეს კოჯრის მიდამოებიდან) მოხდა, კოჯორში გამირულად დაღუპული 33 იუნკერის ნეშტის გადმოსვენება ტფილისის სობოროს ტაძრის ეზოში. ცერემონიალში მონაწილეობდა მთელი ქალაქი.

წითელი არმია ტფილისში შევიდა. ქალაქში მარადიორობა, ძარცვა და რეპრესიები დაიწყო. მოგვიანებით ქალაქში საქართველოს რევკომი გადმოვიდა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა.

ტფილისის ბრძოლა (17-24 თებერვალი 1921)

საქართველოს ჯარების მთავარსარდალმა, გენერალმა **გიორგი კვინიტაძემ** გადანყვიტა გადამწყვეტი ბრძოლა ტფილისის კარიბჭესთან გაემართა.

16 თებერვალს - წითელი არმიის ნაწილებმა წითელი ხიდის მეშვეობით საქართველოს სამხრეთ საზღვარი გადმოლახეს და სოფელი შულავერი დაიკავეს.

აქ მათ მოხალისეთა რაზმებმა კახეთიდან **სტეფანე ახმეტელის** მეთაურობით წინააღმდეგობა გაუწიეს. შემდეგ ბოლშევიკები ჩრდილოეთით ტფილისისკენ დაიძრნენ.

17-24 თებერვალს ბრძოლები მიმდინარეობდა ტფილისის მისადგომებთან. მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, 24 თებერვლისთვის რუსეთ- საქართველოს ომის ფრონტის ხაზი კახეთიდან მანგლისამდე 90 კმ-ზე იყო გადაჭიმული, რომლის დაცვა რეზერვების სიმცირის გამო შეუძლებელი ხდებოდა. ტფილისის მისადგომები ზოგ რაიონში საერთოდ დაუცველი იყო.

17 თებერვალს - სამხედრო ძალებს სათავეში ჩაუდგა მთავარსარდალი გენერალი კვინიტაძე.

18 თებერვალს - იალღუჯის მიდამოებში ქართველმა მეომრებმა მოიპოვეს საბრძოლო წარმატება.

19 თებერვალს ტფილისში უკვე ისმოდა რუსული არმიის ქვემეხების ხმა.

განსაკუთრებით თავი ისახელეს ტფილისის სამხედრო სკოლის იუნკერებმა, რომლებმაც მტერი ქოროღლის ციხის, კუმისის და ვაშლოვანის იქით განდევნეს.

უკვე 19 თებერვალს, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან რუსების უპირატესობა აშკარად იგრძნობოდა, ქართულმა ჯარმა წითელ არმიას ძლიერი დარტყმა მიაყენა და უკან დაახევინა. ქართველებმა 1000 ტყვე იგდეს ხელთ.

20 თებერვალს, კოჯრის რაიონში მე-XI წითელი არმიის ნაწილები კვლავ დამარცხდნენ, ბრძოლის ველზე ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები მიატოვეს და უკან დაიხიეს.

19-20 თებერვალს, სოფელ ტაბახმელასთან, ტფილისის

მისადგომებთან მე-XI არმიის ნაწილებს წინააღმდეგობა 510-მა იუნკერმა გაუწია.

მათ 4 ზარბაზანი და 6 ტყვიამფრქვევი ჰქონდათ. რაზმს პოლკოვნიკი ა. ჩხეიძე მეთაურობდა.

სოფელი ქართველ იუნკერებს დარჩათ, თუმცა წითელმა არმიამ მათ გვერდი აუარა და შეტევა გააგრძელა.

23 თებერვალს, სარკინიგზო მიმოსვლა განახლდა (გენერალმა **წულუკიძემ** ლიანდაგები ააფეთქა და გზები დაანგრია, რომ მტრის შემოსვლა შეეჩერებინა), რამაც რუსეთის რეზერვის შევსება გამოიწვია და მათი შეტევა გააძლიერა დედაქალაქის მიმართულებით.

ქართულმა არტილერიამ მას ენერგიული პასუხი გასცა. 2-3 დღეში ქართველები კონტრშეტევაზე გადავიდნენ 1600 ადამიანი დაატყვევეს. კავალერიის უქონლობის გამო ქართული ჯარი ვერ დაედეგა მოწინააღმდეგეს, რამაც წითელ არმიას მისცა დასვენებისა და გადაჯგუფების დრო.

მთავრობისა და სამხედრო შტაბის გადაწყვეტილებამ, დაეტოვებინა ტფილისი, დემორალიზაცია შეიტანა ფრონტზე და პანიკა დათესა მოსახლეობაში.

24 თებერვალს, საღამოს 10 საათზე, მთავრობამ და გენერალმა გ. კვინიტაძემ მიიღეს გადაწყვეტილება მცხეთის მიმართულებით უკანდახევისა და ახალი გამაგრებული ხაზის შექმნის შესახებ. მთავრობამ დატოვა ტფილისი.

25 თებერვალს მე-XI წითელი არმიის ნაწილები უბრძოლველად შევიდნენ დაცლილ ტფილისში.

ბაქოდან **სერგო ორჯონიკიძემ ვლადიმერ ლენინს და იოსებ სტალინს** დეპეშით აცნობა:

«ტფილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!»

ტფილისის დაკავებისთანავე წითელი ჯარის ნაწილებმა ალ-ლუმი გამართეს ქალაქის მთავარ მოედანზე.

მეორე დღეს მოსახლეობამ სამგლოვიარო პროცესია მოაწყო რუსთაველის პროსპექტზე.

ხალხმა ქართველი იუნკერები რუსული ტაძრის ეზოში და-კრძალა. წითელ არმიას პროცესიისთვის ხელი არ შეუშლია.....

სურამის ბრძოლა (1921 წლის 4 მარტი)

ტფილისის დატოვების შემდეგ ქართულ ჯარს წითელ არმიასთან რამდენიმე შეტეკება ჰქონდა მცხეთასთან, გორთან, ოსიაურში, სურამის უღელტეხილზე.

მთავრობა ბათომში გადავიდა. მიუხედავად უკიდურესად რთული მდგომარეობისა მას კაპიტულაცია არ გამოუცხადებია.

1921 წლის 4 მარტს წითელ არმიასა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძალებს შორის მიმდინარე ბრძოლის პერიოდში წითელი არმიის ავანგარდული ნაწილი (3-4 ათასი კაცი) მიუახლოვდა სადგურ მიხაილოვოს, 5 მარტს კი წამოიწყო ქართული არმიის პოზიციების შტურმი.

შეტევა მოიგერიეს, სალამოს კი მიხაილოვოს დამცველები კონტრშეტევაზე გადავიდნენ, რის შედეგადაც უკან დაიხია წითელი არმიის ქვეითთა სამმა ბრიგადამ და კავალერიის პოლკმა.

დემოკრატიული რესპუბლიკის ძალების აღნიშნულმა წარმატებამ ტფილისში საბჭოთა არმიის მთავარსარდლობას მშვიდობიან მოლაპარაკებებზე წასვლა გადააწყვეტინა, მაგრამ 6 მარტს ღამით გენერალმა **კონიაშვილმა** აუხსნელი მიზეზების გამო დატოვა პოზიციები და დასავლეთის მიმართულებით დაიხია.

გენერალი გიორგი კვინიტაძე იძულებული იყო დაენყო უკან დახევა.

6 მარტს გაძლიერებულმა წითელი არმიის დაჯგუფებამ დაიკავა მიხაილოვო, შემდეგ კი სურამის გვირაბი.

საქართველოს ჯარი, სადაც 100 000 ადამიანი იყო დარჩენილი, მდინარე რიონის მარცხნივ, საჯავახოში გაჩერდა.

გარდა ამისა, ბათუმში იდგა 3000 კაციანი გარნიზონი. ტფილისში შესული წითელი არმიის ხელმძღვანელობამ საჭიროდ სცნო დასავლეთ საქართველოში მყოფ საქართველოს კანონიერ ხელისუფლებასთან მოლაპარაკება.

ამ მიზნით **ფილიპე მახარაძემ, მამია ორახელაშვილმა და შალვა ელიავამ, ნოე ჟორდანიასთან** ქართველი ინტელექტუალების

ნაწილი გაგზავნეს.

დელეგაციაში შედიოდნენ **მიხაკო წერეთელი, გერონტი ქიქოძე, თედო ლლონტი.**

წითელი არმიის ხელმძღვანელობა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისგან კაპიტულაციას ითხოვდა, ჟორდანიას საბჭოთა საქართველოში დარჩენას სთავაზობდნენ, მაგრამ არანაირ გარანტიებს არ ჰპირდებოდნენ.

ჟორდანია შეთავაზებას არ დათანხმდა. ქიქოძის მემუარების მიხედვით **ლენინი** გაბრაზდა **ორჯონიკიძესა და ბუდუ მდივანზე**, რადგან მათ ჟორდანია საქართველოში ვერ შეინარჩუნეს.

ბათომში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ყოფნის დროს შევიდა ოსმალეთის იმპერიის ჯარი. ისინი თავს დაესხნენ პორტებს და ზოგი დაიჭირეს კიდეც, მაგრამ მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ ქართული ჯარის მხრიდან და ქალაქი დატოვეს. წითელ არმიას მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია,

ბათომში გაიმართა დამფუძნებელი კრების სხდომა, რომელმაც დაადგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ემიგრაციაში წასვლა და იქიდან ბრძოლის გაგრძელება რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს განთავისუფლების მიზნით.

თვითონ დამფუძნებელ კრებას, როგორც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, თავისი უფლებამოსილება არ მოუხსნია. ამრიგად, სამართლებრივი თვალსაზრისით, საქართველო გახდა რუსეთის ინტერვენციის მსხვერპლი, რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია.

1921 წლის 17 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ბათომი დატოვა და ემიგრაციაში გაემგზავრა.

-
- **მიხაილოვო** (სადგური) -1910-1921 წწ., 1921 წლიდან ქ. სურამი
 - **ალექსანდრე კონიაშვილი** (1873-1951), ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი

- **ფილიპე მახარაძე** (1868-1941) - ქართველი ბოლშევიკი, რევოლუციონერი და საბჭოთა პარტიული მოღვაწე
- **მამია ორახელაშვილი** (1881-1937) - ქართველი ბოლშევიკი და საბჭოთა პარტიული მოღვაწე.
- **შალვა ელიავა** (1883-1937) - ქართველი საბჭოთა პარტიული მოღვაწე, რევოლუციონერი და ბოლშევიკი
- **ნოე ჟორდანი** (1868-1953) - ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე
- **მიხეილ (მიხაკო) წერეთელი** (1878-1965) პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნული გმირი
- **გერონტი დიმიტრის ძე ქიქოძე** (1888-1960) - ქართველი მწერალი, პოლიტიკოსი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი.
- **თევდორე (თედო) ლლონტი** (1888-1937) - ქართველი პოლიტიკოსი, დამფუძნებელი კრების წევრი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი 1926-28 წლებში, ფინანსთა და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი 1934 წელს
- **გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე** (1886-1937) - ბოლშევიკი რევოლუციონერი, საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე,
- **ბუდუ მდივანი** (1877-1937) - ქართველი ბოლშევიკი, რევოლუციონერი, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე

ბრძოლები აფხაზეთში (1992)

ბრძოლები საქართველოს სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტულად განწყობილ ეთნიკურ აფხაზთა ერთ ნაწილს შორის, რომელიც 13 თვეს გაგრძელდა.

სეპარატისტთა მხარეს ასევე იბრძოდნენ ადგილობრივი სომხები (ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი), დაქირავებული მეზობლები ჩრდილოეთ კავკასიიდან, კაზაკთა შეიარაღებული მილიციის მეომრები, რომელთაც არაოფიციალურად მხარს უჭერდა რუსეთის სამხედრო ბაზის გარნიზონი გუდაუთაში.

კონფლიქტის მოგვარების ხელის შემშლელი ფაქტორები იყო სამოქალაქო ომი ე. წ. «ზვიადისტებთან» (ექსპრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** მომხრეებთან), რომელიც მიახლოებით იმავე პერიოდში განვითარდა დასავლეთ საქართველოში — სამეგრელოსა და აფხაზეთში და ქართულ-ოსური კონფლიქტი.

კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 20,000-დან -30,000-მდე ეთნიკური ქართველი, ხოლო 250,000-ზე მეტი ადამიანი კი აფხაზეთიდან ლტოლვილი გახდა.

კონფლიქტის განმავლობაში ორივე მხარის მიერ ჩადენილი იქნა უამრავი სამხედრო დანაშაული, მათ შორის ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა.

მოკლული იქნა 2,500-დან -4,000-მდე აფხაზი, 20,000 აფხაზი კი ლტოლვილად იქცა.

პოსტ-საბჭოური საქართველოსთვის კონფლიქტის შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა.

ქვეყანამ მიიღო უდიდესი მსხვერპლი, უმძიმესი ფინანსური და ფსიქოლოგიური ზიანი.

ომმა და ომის შემდგომმა უნესრიგო შეტაკებებმა აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად გააპარტახა.

დღესაც აფხაზეთის რეგიონი, რომელიც საქართველოსგან დე-ფაქტო დამოუკიდებლობით სარგებლობს, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას.

მიუხედავად თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობისა,

აფხაზეთის რეგიონი მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე.

როგორც თვით აფხაზები აცხადებენ, რეგიონი რუსეთის ფედერაციის «დე ფაქტო პროტექტორატია».

1992 წლის 14 აგვისტოს სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარის, **ე. შვეარდნაძის** განკარგულებით დილის 7.00 საათზე საქართველოს შინაგანი ჯარების კოლონამ ზუგდიდი-გალის ადმინისტრაციული საზღვარი გადაკვეთა. ამის შესახებ ინფორმირებული იყო აფხაზეთის ხელმძღვანელობა და ეს ოპერაცია კომუნიკაციების დაცვას ითვალისწინებდა.

თუმცა აშკარა იყო, რომ ამ აქციით სახელმწიფო საბჭო ავტონომიურ რესპუბლიკაში სეპარატიზმის განეიტრალებას ცდილობდა.

საქართველოს პოლიციას წინ მიუძღოდა სოხუმის ბატალიონი **სოსო ახალაიას** მეთაურობით, რომელიც სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის შემდეგ უბრუნდებოდა დისლოკაციის ადგილს. შემდეგ მოდიოდა შენაერთი თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკ **დავით ზეიკიდის** მეთაურობით.

მეორე შეტაკება გულრიფშის რაიონის დასახლება აგუძერაში მოხდა, რომლის დროსაც განადგურდა ქართველთა ერთი ჯავშანმანქანა. შეტაკება მოხდა აგრეთვე გულრიფშის რაიონ სოფ. მაჭარასთან, სადაც დაიჭრა 1 ქართველი და დაიღუპა 1 აფხაზი მეზობელი.

პირველი გასროლა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოხურეისთან მოხდა. კონფლიქტი დაიწყო.

ქართულმა მხარემ გეზი სოხუმისკენ აიღო. ქართულ შენაერთებს ცეცხლი გულრიფშის რაიონშიც გაუხსნეს.

იმავე დღეს აფხაზებმა ტამიშის ხიდი ააფეთქეს და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ უკან დაიხიეს.

მალე ქართველები სოხუმს მიუახლოვდნენ. სისხლისღვრისა და შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით ქართული შენაერთები ქალაქის შემოგარენში დაბანაკდნენ.

ქალაქს აფხაზთა 300 - კაციანი ფორმირება იცავდა, რომელსაც აფხაზეთის სამხედრო კომისარი სერგეი ტგბარი

ხელმძღვანელობდა.

იმავე დღეს **ვლადისლავ არძინბამ** სოხუმის ტელევიზიით მობილიზაცია გამოაცხადა.

მისივე ბრძანებით აფხაზეთის გვარდიამ საქართველოს სამთავრობო ძალებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის განევა დაიწყო.

დაიწყო ასევე აფხაზ მოხალისეთა ბატალიონების ფორმირება. ქალაქში, რომელიც ტურისტებით იყო სავსე პანიკა ატყდა.

ისინი ქალაქს ყველა საშუალებით ტოვებდნენ. იმავე დღეს გაიმართა მოლაპარაკება მხარეებს შორის.

მოლაპარაკებაზე არძინბა არ გამოჩენილა.

18 აგვისტოს უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ ქართულმა ჯარმა ქალაქში შესვლა დაიწყო.

12:30 საათზე მათ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს შენობა ბრძოლის გარეშე აიღეს.

აფხაზური დროშის ნაცვლად, შენობის თავზე შინდის-ფერი დროშა აფრიალდა. არძინბამ ქალაქი დატოვა და გუდაუთაში გადაბარგდა.

15 აგვისტოს ქართველებმა დაბა განთიადში საზღვაო დესანტი გადასხეს. იმავე დღეს დესანტმა ლესელიძე შტურმით აიღო. საქართველო-რუსეთის საზღვარზე ქართული დროშა აღიმართა.

19 აგვისტოს კი შავნაბადას ბატალიონმა გაგრა და დაბა კოლხიდა უბრძოლველად დაიკავა.

ქალაქის კომენდანტად დაინიშნა გაგრის «მხედრონის» მეთაური **ბადრი ფირცხელიანი**, ხოლო მის მოადგილედ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი **ჯონი ლატარია**.

გაგრის დაკავების შემდეგ გუდაუთაში გახიზნული არძინბას გუნდი ფაქტობრივად ბლოკადაში მოექცა.

სეპარატისტების კონტროლის ქვეშ მხოლოდ ბიჭვინთა-ახალი ათონის მონაკვეთი რჩებოდა.

ბლოკირებული იყო ქ. ტყვარჩელის ზონა, სადაც კომპაქტურად ცხოვრობნენ აფხაზები.

20 აგვისტოს არმავირში გაიმართა ჩრდილო კავკასიის

რესპუბლიკების, როსტოვის ოლქის, სტავროპოლისა და კრასნო დარის მხარეების ხელმძღვანელთა ანტი-ქართული შეხვედრა.

ბორის ელცინისადმი მიმართვაში მათ გამოთქვეს შეშფოთება აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე რუსეთის ფედერაციის მთავრობის «დაგვიანებული» რეაქციის გამო.

20 აგვისტოს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით თბილისიდან შემოსული მედიკამენტები გაგრიდან გადაეცა გუდაუთის (ე.ი. აფხაზური მხარე) რაიონულ საავადმყოფოს. მაშინდელმა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ **ა.ჯორბენაძემ** განაცხადა, რომ აფხაზეთიდან გაიყვანეს 15 000 დამსვენებელი რუსეთიდან.

22 აგვისტოს აფხაზურმა და კონფედერატების შენაერთებმა გადმოლახეს მდ. გუმისთა, მაგრამ საქართველოს ეროვნულმა გვარდიამ ისინი უკუაგდო. იმავე დღეს ტელევიზიით გამოვიდა საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდალი

გია ყარყარაშვილი, რომელმაც მკვეთრი შეფასება მისცა მოწინააღმდეგის აღნიშნულ გამოხტომას და მოწინააღმდეგე გააფრთხილა.

წინააღმდეგობის გასაწევად აფხაზებს არც სამხედრო და არც ეკონომიკური ბაზა არ გააჩნდათ.

1992 წლის 14 აგვისტოსთვის აფხაზთა გვარდია ათასამდე ჯარისკაცს ითვლიდა. მათი მძიმე ტექნიკა მხოლოდ 3 ერთეულ ჯავშანტექნიკას შეადგენდა.

იარაღის დეფიციტი აფხაზებმა მოკლე პერიოდში შეივსეს. მათ გუდაუთაში დისლოცირებული რუსეთის საზენიტო პოლკიდან 1000 ავტომატი, 600 ტყვიამრფევევი, 500 ხელყუმბარა და უამრავი ტყვია-წამალი გადაეცათ.

რუსების წყალობით სექტემბრის ბოლოს აფხაზთა შეიარაღება ქვეითთა 6 საბრძოლო მანქანით, ტ-72 ტიპის ტანკით, აგრეთვე საარტილერიო დანადგარებითა და ნაღმტყორცნებითაც შეივსო.

იარაღთან ერთად ინტენსიურად მიმდინარეობდა სეპარატისტების ცოცხალი ძალით მომარაგება.

რუსეთის მსხვილ ქალაქებში დაქირავებულთა მოსაზიდად

სპეციალური პუნქტები მუშაობდნენ.

21 აგვისტოს მთიელ ხალხთა კონფედერაციამ საქართველოს ომი გამოუცხადა.

აფხაზეთში ჩამოსვლა დაიწყო ადილეიდან, ყაზარდო-ბალყარეთიდან, ჩეჩნეთიდან, ყარაჩაევო-ჩერქეზეთიდან, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთიდან.

აგვისტოს ბოლოს გაგრის რაიონში ქართულმა მხარემ ბზიფის მიმართულებით შეტევა დაგეგმა.

მდინარე ბზიფზე გასვლის შემთხვევაში იკეტებოდა ყველა გზა, მათ შორის მამზიშკის მთიდან ჩამოსასვლელი ბილიკებიც.

ამის შემდეგ გაგრის ზონა პრაქტიკულად შეუვალი ხდებოდა.

შეტევა 28 აგვისტოს დაიწყო.

დამრტყმელ ძალას ავტომაგისტრალზე მოძრავი ჯავშანტექნიკა წარმოადგენდა.

ბრძოლა კოლხიდიდან ნახევარ კილომეტრში დაიწყო. დამრტყმელმა კოლონამ წინ წაიწია, თუმცა ფლანგებიდან შეტევა შეჩერდა.

დამრტყმელ ძალას ცეცხლი სამი მხრიდან გაუხსნეს. შეტევა ვეღარ განვითარდა და გაგრიდან სამ კილომეტრში, წითელ ჯვართან შეჩერდა.

ქართული მხრიდან 20-მდე ჯარისკაცი დაიღუპა, 100-ზე მეტი კი დაიჭრა. დიდი დანაკარგის გამო შავნაბადას ბატალიონი 5 სექტემბერს გაგრიდან გამოვიდა.

ბზიფზე წარუმატებელი ოპერაციიდან ერთი დღის შემდეგ სოხუმში მყოფი ქართული ნაწილები ეშერის მიმართულებით შეტევაზე გადავიდნენ.

ქართულმა ნაწილებმა გუმისთის მარჯვენა სანაპიროზე სტრატეგიული პლაცდარმი აიღეს, მაგრამ იერიშის გასაგრძელებლად ძალა აღარ ეყოთ.

1992 წელს საქართველოს შეიარაღებული ძალები ფაქტობრივად არ ჰყავდა. ყველა დაჯგუფებას საკუთარი მეთაური ჰყავდა და ყველა რაზმი თავისთვის იბრძოდა.

არ არსებობდა ბატალიონებს შორის კოორდინაცია. ხშირ შემთხვევაში არ არსებობდა საერთო მეთაურობაც.

გაგრის დაჯგუფებას თავდაცვის სამინისტროს წარმო-

მადგენელი, პოლკოვნიკი **მიხეილ მარინაშვილი** (1944-1993) ხელმძღვანელობდა.

1992 წლის სექტემბრის ბოლოსთვის გაგრაში თავმოყრილი იყო დაახლოებით 3000-კაციანი შენაერთი. ქალაქში არ არსებობდა დისციპლინა და ქალაქის დაცვის ერთიანი გეგმა. ჯარისკაცებს სანგრებიც კი არ ჰქონდათ გათხრილი.

გაგრის აღება აფხაზებისთვის საციცოცხლო მნიშვნელობას იძენდა, ზამთრის დადგომასთან ერთად იკეტებოდა მთებზე გადასასვლელი ბილიკები.

თუ რუსეთთან ბლოკირებულ საზღვარს არ გახსნიდნენ, აფხაზები ზამთარს ვერ გადაიტანდნენ.

1 ოქტომბერს საღამოს ექვს საათზე, აფხაზურმა მხარემ გაგრაზე შეტევა დაიწყო. წითელი ჯვრის საგუშაგო, რომელსაც ლესელიძეს ბატალიონი იცავდა, რამდენიმე წუთში აიღეს. უკან დაიხია «ავაზას» ქვედანაყოფმაც (ტ. წითელაშვილი).

აფხაზთა მძიმე ტექნიკამ ის ადგილები გაიარა, რომელიც წინასწარ დანალმული უნდა ყოფილიყო.

შვიდი საათისთვის მოწინააღმდეგე უკვე კოლხიდას მიუახლოვდა. აფხაზთა დამრტყმელ ძალას **შამილ ბასაევის** კონფედერატთა ბატალიონი და კაზაკები შეადგენდნენ.

საერთო ჯამში ქალაქს დაახლოებით 600 ჯარისკაცი უტევდა. აფხაზებმა კოლხიდაში მდებარე შტაბი და უნივერსიტეტის შენობა დაიკავეს.

1 ოქტომბერს დაბა კოლხიდა დაიკარგა.

მეორე დღეს დილის ექვსი საათისთვის მოწინააღმდეგემ შეტევა განაახლა.

იმ დროს როცა გაგრაში დაახლოებით 3000 შეიარაღებული ჯარისკაცი და რამდენიმე ერთეული ჯავშანტექნიკა იმყოფებოდა, ქალაქში შესასვლელ 4-კილომეტრიან მონაკვეთს სულ 109 კაცი იცავდა. ქართველებმა უკან დაიხიეს. ცხრა საათზე მოწინააღმდეგემ რკინიგზის სადგური აიღო.

ერთ საათში აფხაზები უკვე ქალაქის ცენტრში იყვნენ.

2 ოქტომბერს გაგრა დაეცა.

5 ოქტომბერს აფხაზებმა განთიადი-ლესელიძეს მონაკვეთი

აიღეს და რუსეთის საზღვარზე საკუთარი დროშა ააფრიალეს.

აფხაზთა ხელში აღმოჩნდა გაგრის დაჯგუფების მთელი არსენალი. ქალაქის ალების შემდეგ, სეპარატისტები ქართულ მოსახლეობას სასტიკად გაუსწორდნენ.

დახოცილთა გვამები პირდაპირ ქალაქის ქუჩებში ეყარა.

ბრძოლები აფხაზრთში 1993 წელს საბრძოლო მოქმედებები

10 ოქტომბერს აფხაზებმა თავდაცვის სამინისტრო ჩამოაყალიბეს. სეპარატისტულ არმიას დაქირავებულები ყოველდღე ემატებოდნენ.

1993 წლისთვის სეპარატისტები ავტონომიური რესპუბლიკის ნახევარს აკონტროლებდნენ. რუსებთან საზღვრის გახსნის შემდეგ აფხაზთა პოზიციები კიდევ უფრო გამყარდა.

გაგრაში ქართული შენაერთების ლიკვიდაციის შემდეგ აფხაზებმა მთავარი ყურადღება სოხუმის აღებაზე გადაიტანეს.

ფართომაშტაბიანი ოპერაციის განსახორციელებლად აფხაზებმა მოქმედება გეგმაზომიერად დაიწყეს. უპირველეს ყოვლისა აფხაზებმა საორგანიზაციო საკითხები მოაწესრიგეს.

1993 წლის მარტში საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება ადგილობრივი სომხებისგან დაკომპლექტებული შენაერთი, **ბაგრაშიანის ბატალიონი.**

1993 წლის 16 მარტს ღამის 3.00 საათზე გუმისთის ხაზზე მყოფ ქართულ ბატალიონებს რუსულმა ავიაციამ ცეცხლი გაუხსნა, სანგრებს ამუშავებდა არტილერიაც.

საავიაციო და საარტილერიო დამუშავების შემდეგ დილის 5.00 საათზე აფხაზთა ქვეითი ნაწილები შეტევაზე გადმოვიდნენ. აფხაზებმა შეტევაში იმ დროს მათ ხელთ არსებული ყველა ძალა ჩართეს.

ქართული პოზიციების მასირებული იერიში რვა კილომეტრიან მონაკვეთზე ერთდროულად დაიწყო.

დარტყმის ძირითადი მიმართულება სარკინიგზო სადგურთან

და აჩადარასთან შეიქმნა.

თუ აფხაზები ხიდებს აილებდნენ ისინი შეტევაში ჯავ-შანტეჟნიკასაც ჩართავდნენ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა სარკინიგზო ხიდთან და აჩადარასთან შეიქმნა.

სანგრებში ხელჩართული ბრძოლა მიმდინარეობდა. ქართულმა ნაწილებმა ფლანგებზე შეტევას გაუძლეს. დილის 7:00 საათზე ცენტრში პოზიციებზე ფრონტის ხაზი მაინც გაირღვა.

აფხაზურმა ფორმირებებმა ქალაქის გარეუბანში შეაღწიეს. გუმისთაზე განლაგებულ ბატალიონებს ალყაში მოქცევის საშიშროება დაემუქრათ, თუმცა გარღვევა მალე შეაჩერეს.

ნინა ხაზზე რეზერვიდან გადასროლილმა ნაწილებმა გარეუბანში შემოსული მოწინააღმდეგე ალყაში მოაქცია და მთლიანად გაანადგურა.

16 მარტს განსაკუთრებული როლი არტილერიამ ითამაშა. (ეს დღე არის ქართული არტილერიის დაბადების დღე. ავტ. შენიშვნა)

იერიშზე გადმოსულ სეპარატისტთა უკანა ეშელონი ქართული ქვემეხების ცეცხლში მოჰყვა. აფხაზებმა უდიდესი დანაკარგი განიცადეს.

აშკარა გახდა, რომ აფხაზთა შტურმი მიზანს ვერ აღწევდა. დაახლოებით 15:00 საათისთვის სეპარატისტებმა უკან დახევა დაიწყეს. დღის ბოლოს გუმისთა აფხაზებისგან მთლიანად გაიწმინდა.

მარტო დაღუპულების სახით აფხაზურმა მხარემ 1000-მდე კაცი დაკარგა. აფხაზებმა იმდენად დიდი დანაკარგი განიცადეს, რომ მათ რიგებში ჰანიკა წარმოიშვა.

თუმცა ქართული მხარე იერიშზე არ გადასულა. ჯარი კონტრ-შეტევის ბრძანებას ამაოდ ელოდა.

ამის გამო 16 მარტის გამარჯვება მხოლოდ ომის ერთ-ერთ ეპიზოდად დარჩა.

მნიშვნელოვანმა სამხედრო წარმატებამ კონფლიქტის მიმდინარეობაზე გავლენა მაინც ვერ მოახდინა.

16 მარტის კატასტროფის შემდეგ აფხაზურმა მხარემ გამოსავალის ძიება დაიწყო. სოხუმზე წარუმატებელი შტურმის

შედეგად სეპარატისტთა არმია მთლიანად დეზორგანიზებული იყო. დამარცხებიდან ერთი კვირის თავზე 23 მარტს არძი-ნბამ დახმარებისთვის კვლავ მოსკოვს მიმრთა.

14 მაისს რუსეთის შუამავლობით ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება დაიდო. შეთანხმება ძალაში 20 მაისიდან შედიოდა.

აფხაზეთში ცოცხალი ძალისა და ტექნიკის შემოყვანა ახალი ძალით განახლდა. ორი თვის განმავლობაში აფხაზეთში შედარებითი სიმშვიდე იყო და მხოლოდ პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობდა.

ქართული მხარისათვის აფხაზები მოუღედნალად გააქტიურდნენ.

2 ივლისს დილის 5.00 საათზე ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, დაბა **ტამიშთან** აფხაზურმა მხარემ საზღვაო დესანტი გადმოსხა.

დესანტის რაოდენობა 600 კაცს შეადგენდა. ბატალიონის დესანტირებას რუსეთის სამხედრო ხომალდი უზრუნველყოფდა.

2 ივლისს ტამიშის მუნიციპალიტეტში ბაზირებული ქართული ნაწილები სანაპირო ზოლის კონტროლს პრაქტიკულად არ ახორციელებდნენ.

დესანტმა ამით ისარგებლა და ნაპირზე დაუბრკოლებლად გადავიდა.

დესანტმა ცაკირა-ტამიშის მონაკვეთი დაიკავა და პლაცდარმის სწრაფი გაფართოება დაიწყო.

2 ივლისს, გამთენიისას პირველი დარტყმა ტამიშში, ლაბრასა და ზემო კინდლში განლაგებულმა ნაწილებმა მიიღეს. დესანტთან ერთად გააქტიურდა ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში მოქმედი აფხაზური ფორმირება.

2 ივლისს, ლაბრასთან ბრძოლაში გამირულად დაეცა ამ ნიგნის ერთ-ერთი ავტორის გიორგი ბეჟიტაშვილის ძმა - ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ბატალიონის მებრძოლი **ნოდარ ბეჟიტაშვილი** (1963-1993).

ჩქირდიდან გამოსულმა ჯგუფმა შინაგანი ჯარების ნაწილს ჩრდილოეთიდან შეუტია.

შეტევა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ პოზიციაზე მყოფი

ყველა ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა.

ქართულმა მხარემ სამი საათის განმავლობაში დაახლოებით 300-მდე მებრძოლი დაკარგა. დესანტმა ოჩამჩირე-სოხუმის მაგისტრალის კონტროლი დაიწყო.

ოჩამჩირეში დესანტის გადასხმა რუსების მიერ დამუშავებული საერთო გეგმის მხოლოდ ნაწილი იყო.

დესანტის მთავარ მიზანს სტრატეგიული სიმაღლეების, უპირველეს ყოვლისა კი ანუაარხუს ხელში ჩაგდება წარმოადგენდა.

თუ დესანტი საკუთარ ამოცანას შეასრულებდა, აფხაზე-ბი სოხუმის შტურმს დაიწყებდნენ.

16 მარტს მიღებული გამოცდილებით, სეპარატისტები მიხვდნენ, რომ ქალაქს პირდაპირი დარტყმით ვერ აიღებდნენ.

ამიტომ ოჩამჩირეში დაწყებული ოპერაციის პარალელურულად აფხაზებმა გუმისთის შემოვლა დაიწყეს.

მათ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით ისარგებლეს და სოხუმის ჩრდილოეთით შემოვლითი გზის მშენებლობა დაიწყეს.

აფხაზებმა შრომა-კამანის მიმართულებით მძიმე ტექნიკა გადაისროლეს და სამი დღის განმავლობაში სოხუმ-ჰესი, სოფელი გუმა და ახალშენი აიღეს.

მონინაალმდევე სტრატეგიულ დასახლება კამანს მიუ-ახლოვდა.

ჩრდილოეთით მონინაალმდეგის გააქტიურება უმნიშვნელო ეპიზოდად ჩაითვალა.

ქართულმა მხარემ მთავარ ამოცანად ტამიშში გადმოსხმული დესანტის ლიკვიდაცია მიიჩნია.

3 ივლისს სადესანტო ნაწილებმა სიმაღლე ანუაარხუს პირველად შეუტიეს. ბრძოლა დაზვერვით ხასიათს ატარებდა და იგი ნახევარ საათში დასრულდა.

თუ სიმაღლეს აიღებდნენ, სეპარატისტები ოჩამჩირე-სოხუმის მაგისტრალზე სრულ კონტროლს დაანესებდნენ.

ქართულმა მხარემ დესანტის ლიკვიდაციისათვის მზადება დაიწყო. მოლაპარაკების შედეგად დესანტის ლიკვიდაციაში

მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრე ფორმირებებმა.

5 ივლისს მონინაალმდეგე შრომა-კამანის მიმართულებით კვლავ გააქტიურდა.

გამთენიისას აფხაზური ფორმირებები კამანში შეიჭრნენ. სოფელი დღის ბოლოს დაეცა.

სოფლის ალების შემდეგ მოსახლეობა მთლიანად გაანადგურეს. სოხუმამდე აფხაზებს სულ 12 კილომეტრი ამორებდათ.

კამანის ალებამდე ერთი დღით ადრე მონინაალმდეგემ საჰაერო დესანტით სტრატეგიული სიმაღლე ახზიუქის დაკავება სცადა. დესანტირება წარუმატებელი აღმოჩნდა;

ქართულმა ნაწილებმა მი-8 ტიპის ორი ვერტმფრენი ჰაერშივე ააფეთქეს. აფხაზურმა მხარემ 50-მდე კაცი დაკარგა.

ერთკვირიანი პაუზის შემდეგ ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში დესანტმა ანუარხუს შტურმი დაიწყო.

9 ივლისს, დილის 6.00 საათზე, მძიმე ტექნიკის მხარდაჭერით აფხაზები შეტევაზე გადმოვიდნენ.

ისინი სიმაღლის ალებას ნებისმიერ ფასად ცდილობდნენ. განუწყვეტელი ბრძოლა ხუთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. კრიტიკულ წუთებში, ახალ კინდლში ბაზირებული საარტილერიო დივიზიონმა დესანტზე იერიში მიიტანა.

მონინაალმდეგემ ამოცანა ვერ შეასრულა. დაღუპულების სახით დესანტმა 150-მდე მეზრძოლი დაკარგა.

მწყობრიდან გამოვიდა 3 ტანკი. ანუარხუსზე შეტევის პარალელურად აფხაზებმა იერიში სოხუმიდან 9 კილომეტრში მდებარე სოფელ შრომაზეც მიიტანეს.

ვითარება საგანგაშო გახდა, აფხაზებმა სოფლის ცენტრი თითქმის მთლიანად დაიკავეს, თუმცა აფხაზთა პირველი შეტევა ლიკვიდირებულ იქნა.

შრომა სტრატეგიულ სიმაღლეზე მდებარეობს. სოფელში მოხვედრა მხოლოდ ხეობიდან ამოსასვლელი ერთადერთი გზით შეიძლება.

ამის მიუხედავად აფხაზებმა შრომის ალება მაინც მოახერხეს. სეპარატისტთა პირველი იერიშის მოგერიების შემდეგ სოფელში

პოლიციის ნაწილი დარჩა.

ლამით აფხაზებმა პოლიციის მეთვალყურეები ამოხოცეს და შრომა უდანაკარგოთ დაიკავეს.

ანუარხუზე წარუმატებელი იერიშის შემდეგ დესანტმა 10 ივლისს კინდლის მიმართულებით გაჭრა სცადა, თუმცა ესეც ვერ მოახერხა.

სეპარატისტებს გზა ქართველებმა გადაუჭრეს. დესანტმა წინ ნაწევა ვერ შეძლო და გაიფანტა.

აფხაზებმა ტყვარჩელისკენ პატარა ჯგუფებით გადასვლა დაიწყეს.

11 ივლისს ოჩამჩირიდან წამოსულმა დაჯგუფებამ დესანტის წარჩენები საბოლოოდ გაანადგურა.

სოხუმისკენ გზა გაიხსნა. ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში დესანტისგან მხოლოდ წარწერები დარჩა.

16 სექტემბერს სეპარატისტებმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება დაარღვიეს და იერიშზე გადავიდნენ. აფხაზთა არტილერიამ, რომელიც წესით რუს სამხედრო დამკვირვებლებს უნდა ეკონტროლებინათ, ცეცხლი გახსნა. აფხაზთა მხარდაჭერას რუსეთის ავიაცია ახორციელებდა.

სოხუმისთვის გადამწყვეტ ბრძოლას წინ უძღოდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და სამხედრო ტექნიკის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შესახებ, რომელიც სოჭში დაიდო 27 ივლისს ორ მხარეს შორის.

შეთანხმება 16 სექტემბრამდე გაგრძელდა.

ამ დღეს სეპარატისტებმა შეთანხმება დაარღვიეს და ფართომასშტაბიანი იერიში მიიტანეს სოხუმზე ზღვიდან, ჰაერიდან და ხმელეთის მისადგომებიდან.

შეთანხმების მიხედვით, საქართველოს ამ დროისთვის მძიმე შეიარაღების დიდი ნაწილი კონფლიქტის ზონიდან უკვე გაყვანილი ჰყავდა.

გააფრთხილებული ბრძოლები გრძელდებოდა 27 სექტემბრამდე, თუმცა მასიურ შეტევას სუსტი შეიარაღებით ქართულმა ნაწილებმა ვერ გაუძლეს და ქალაქი საბოლოოდ დაეცა.

ქალაქის აღების შემდეგ შემოსულმა სეპარატისტთა

მებრძოლებმა დარჩენილი მოსახლეობის არნახული ხოცვა მოაწყვეს.

ადგილობრივი მთავრობის წევრები, **ჟიული შარტავა, გურამ გაბისკირია, მამია ალასანია და რაულ ეშბა** რომლებმაც გაქცევაზე უარი თქვეს, მთავრობის სახლის წინ დახვრიტეს, ხოლო **ალექსანდრე ბერულავა** უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

რამდენიმე დღეში სეპარატისტთა ძალებმა აფხაზეთის თითქმის მთელი ტერიტორია დაიკავეს (კოდორის ხეობის გარდა).

- **ზვიად გამსახურდია** (1939-93)- საქართველოს პირველი პრეზიდენტი (1991-92), საქართველოს ეროვნული გმირი
- **ედვარდ შევარდნაძე** (1928-2014) - საქართველოს მეორე პრეზიდენტი (1995-2003)
- **სოსო ახალაია**-სოხუმის სამხედრო-საზღვაო პოლიციის უფროსი, პოლკოვნიკი
- **დავით ზეიციძე** (დ.1945), თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი, პოლიციის გენერალ-მაიორი (1993)
- **ვლადისლავ არძინბა** (1945-2010) -ისტორიკოსი-აღმოსავლეთმცოდნე, ხეთოლოგი, 1990–94 წლებში აფხაზეთის რესპუბლიკის «დე-ფაქტო» მეთაური.
- **ბადრი ფირცხელიანი** -გაგრის კომენდანტი
- **ჯონი ლატარია** (გ.2015), გაგრის გამგებელი
- **ავთანდილ ჯორბენაძე** (დ.1951)-1986-92წწ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრადგვის სამმართველოს უფროსის მოადგილე;
- **გიორგი (გია) ყარყარაშვილი** (დ. 1966),ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1992)
- **მიხეილ მარინაშვილი**,(1944-1993) პოლკოვნიკი, გაგრის დაცვის უფროსი
- **შამილ ბასაევი** (1965-2006) - ჩეჩენი საველე მეთაური
- **ბაგრამიანის ბატალიონი** – აფხაზეთის 1992-93 წლების ომის პერიოდში (1993 წლის 9 თებერვალს) ჩამოყალიბებული სომხური ბატალიონი, თავი გამოიჩინა განსაკუთრებული სისასტიკით და მონაწილეობა მიიღო ქართველთა გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაში.
- **ტამიში**, სოფელი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, შავი ზღვისპირა დაბლობზე, მდინარე დღამშის ნაპირას.

- **ყიული შარტავა** (1944-93) - ქართველი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე 1993, გენერალ-მაიორი. (1993)
- 27 სექტემბერს – სოხუმის დაცემის დღეს დახვრიტეს სეპარატისტებმა. საქართველოს ეროვნული გმირი
- **მამია ალასანია** (1943-93) - უშიშროების პოლკოვნიკი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი (1986-88)
- **გურამ გაბესკირია** (1947-93) - ქალაქ სოხუმის მერი, რომელიც მოკლულ იქნა აფხაზი სეპარატისტების მიერ 1993 წელს ქართველების ეთნიკური წმენდის დროს, პოლკოვნიკი(1993)
- **რაულ ეშბა** ,აფხაზეთის მრეწველობის მინისტრი
- **ალექსანდრე (სამა) ბერულავა** (1945-93) - ქართველი ჟურნალისტი. უგზოუკვლოდ დაიკარგა (სავარაუდოდ დახვრიტეს) აფხაზი სეპარატისტებისა და ჩრდილოკავკასიელი ინტერვენტების მიერ სოხუმის აღების დღეს.

რუსეთ-საქართველოს 5-დღიანი ბრძოლა (2008)

შეიარაღებული კონფლიქტი 2008 წლის აგვისტოში, ერთი მხრივ საქართველოსა და მეორე მხრივ რუსეთის ფედერაციას შორის, ოს და აფხაზ სეპარატისტებთან ერთად.

ომი დაიწყო ქართულ ჯარებსა და რუსი სამხედროებით ზურგგამაგრებულ ოს სეპარატისტთა შორის კონფლიქტით ცხინვალის რეგიონში. ოსური დასახლებების მხრიდან რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარე განუწყვეტელი საარტილერიო სროლების შემდეგ, 7 აგვისტოს საქართველომ სამხედრო ოპერაცია დაიწყო ქალაქ ცხინვალის ასაღებად. მომდევნო დღეს რუსეთმა, რომელსაც რეგიონში სამშვიდობოები ჰყავდა, ქართველთა იერიშის საპასუხოდ ცხინვალის რეგიონში საკუთარი ჯარების ქვედანაყოფები და მძიმე ტექნიკა მასობრივად შეიყვანა. პარალელურად, რუსეთმა საქართველოს სხვა რეგიონების საჰაერო დაბომბვაც დაიწყო. რუსებისა და ოსების ჯარები ქართველებს ცხინვალის ბრძოლაში სამი დღე ებრძოდნენ, რაც ომის ყველაზე დიდი და გადამწყვეტი ბრძოლა იყო. რუსულმა გემებმა საქართველოს შავიზღვისპირეთი დაბლოკეს და სახმელეთო ჯარები და პარაშუტისტები გადმოსხეს დასავლეთ საქართველოში.

9 აგვისტოს რუსულმა და აფხაზურმა ძალებმა მეორე ფრონტი გახსნეს კოდორის ხეობაზე თავდასხმით და დასავლეთ საქართველოს შიდა ტერიტორიებში შეიჭრნენ. ხუთი დღის მძიმე ბრძოლების შემდეგ ქართული ჯარები განდევნილ იქნენ ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან. რუსების მიერ ოკუპირებულ იქნა ქალაქები ფოთი და გორი, სხვა რაიონებთან ერთად.

ევროკავშირის თავმჯდომარე საფრანგეთის პრეზიდენტის შუამდგომლობით კონფლიქტურმა მხარეებმა 12 აგვისტოს მიაღწიეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რომელსაც საქართველომ თბილისში 15 აგვისტოს მოაწერა ხელი, ხოლო რუსეთმა მოსკოვში — 16 აგვისტოს.

12 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა **დიმიტრი მედვედევმა**

უკვე გასცა ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება, თუმცა ბრძოლები უმალ არ შეწყვეტილა. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ რუსეთმა საკუთარი ჯარების უმეტესი ნაწილი სამეგრელოს და შიდა ქართლის რეგიონებიდან გაიყვანა. თუმცა ამასთან ბუფერული ზონები შექმნა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრების გასწვრივ და სათვალთვალო პუნქტები დატოვა ფოთში, სენაკსა და პერევეში.

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო. რუსეთმა დაასრულა გასვლა საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებიდან 8 ოქტომბერს, თუმცა 2009 წლის მდგომარეობით რუსული ჯარების გაძლიერებული გარნიზონები რჩება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში (მათ შორის იმ ტერიტორიებზეც, რომლებსაც ომამდე საქართველო აკონტროლებდა). რამდენიმე ინციდენტი ორივე კონფლიქტური ზონაში კვლავაც ხდებოდა ომის დასრულებიდან რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ.

პრობლემის სამშვიდობო გადაწყვეტისკენ თითქმის ერთ-ხმად მოწოდებისა და ნატოსა და რუსეთს შორის პირდაპირი კონფლიქტის თავიდან არიდების გარდა, საერთაშორისო რეაქცია, რომელსაც ევროკავშირი და აშშ დომინირებდა, ხაზგასმით უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ხოლო არცნობილი ტერიტორიები კი სოლიდარობას უცხადებს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს.

ბოლო წლების განმავლობაში საარტილერიო სროლები მხარეებს შორის დროდადრო მწვავედებოდა, რასაც ორივე მხარეს მსხვერპლი მოჰყვა. პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** ოსებს მშვიდობის სანაცვლოდ ფართო ავტონომია შესთავაზა, რაც ოსებმა უარყვეს, ვინაიდან მათი გაცხადებული სურვილი სრული დამოუკიდებლობა იყო.

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოს გავლენის ქვეშ მოქცევა სააკაშვილის ადმინისტრაციის მთავარი მიზანი იყო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ.

ამასთან, 2002 წლიდან აშშ-ის არმია საქართველოს ინტენსიურ წვრთნებს უტარებდა და დახმარებას უწევდა.

1-7 აგვისტო: ღაპირისპირების შესაღწევა

გვიან 1 აგვისტოდან ინტენსიური სროლები დაიწყო საქართველოს თავდაცვის ქვედანაყოფებსა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის, რის შედეგადაც ექვსი დაიღუპა, ხოლო 21 ადამიანი დაიჭრა. ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებდა სროლის დანწყებაში.

3 აგვისტოს რუსეთის მთავრობამ საშუალება მისცა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას რუსეთში გახიზნულიყო. ამავე დღეს რეგიონს ლტოლვილებით დატვირთული 20 ავტობუსი ტოვებს.

4 აგვისტოს რუსეთის 58-ე არმიის ხუთი ბატალიონი როკის გვირაბის სიახლოვეს იქნა დისლოცირებული, ჩრდილოეთ ოსეთის მხარეს.

კანტიკუნტი სროლები გრძელდებოდა მომდევნო რამდენიმე დღეს.

6 აგვისტოს საქართველოს განცხადებით ქართულმა მხარემ ჯავშანტრანსპორტიორი დაკარგა, რის გამოც სამი ქართველი სამშვიდობო ჯარისკაცი დაიჭრა. იმავე ღამეს სროლებმა ოთხი ადამიანი იმსხვერპლა, რის გამოც ქართულმა მხარემ სროლები განაახლა. ცხინვალის მცხოვრებლები გახიზვნას იწყებენ, ხოლო ქართულმა მხარემ ტანკები, არტილერია და ჯარები რეგიონის საზღვართან მიიყვანა.

7 აგვისტოსთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით 10 ჯარისკაცი დაიღუპა.

დღის ბოლოსთვის პრეზიდენტის ბრძანებით ქართულმა მხარემ ცალმხრივი სროლის შეწყვეტა გამოაცხადა. სააკაშვილმა მოუწოდა მხარეებს მოლაპარაკებებისკენ «ნებისმიერ ფორმატში» და პირობა სამხრეთ ოსეთის სრულ ავტონომიაზე ძალაში დატოვა, ასევე საყოველთაო ამნისტია გამოაცხადა სეპარატისტებისთვის, ხოლო საერთაშორისო თანამეგობობას მოუწოდა მხარეთა შორის მოლაპარაკებებისთვის შუამდგომლობა გაენია.

7-8 აგვისტო: ქართული იერიში

ცეცხლის ორმხრივ შეწყვეტაზე სააკაშვილის წინადადების შემდეგ თავდასხმებმა ქართულ სოფლებზე უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. სოფელი ავნევი თითქმის სრულიად განადგურდა, თამარაშენი და ფრისი დაიბომბა, ხოლო **დიმიტრი სანაკოევის** ადმინისტრაციის შენობა - ქურთას პოლიციის სადგური, არტილერიის ინტენსიური ცეცხლის ქვეშ მოექცა. მშვიდობიანი მოსახლეობა სოფლებიდან გაიხიზნა.

7 აგვისტოს საღამოს 22:00 ოსები სოფელ ავნევის ალებას ზეიმობდნენ.

7 აგვისტოს საღამოს 11:30 საათზე ქართულმა მხარემ საპასუხო სამხედრო ოპერაცია დაიწყო, რომლის მიზანი სამშვიდობო ჯარების სარდალ **მამუკა ყურაშვილის** განცხადებით, რეგიონში «კონსტიტუციური წესრიგის» დამყარება იყო.

11:45 საათზე ეუთოს მონიტორების განცხადებით ქურ-ვები ცხინვალზე ყოველი 15-20 წამის ინტერვალით ეცემოდა. ქართველები 27 ნაღმსატყორცნსა და 152 მმ კალიბრის ტყვიამფრქვევებს იყენებდნენ.

ელუარდ კოკოითის განცხადებით, მისი ძალები ქართველებს ცხინვალის მისადგომებთან ებრძოდნენ. ქართული დაზვერვის ცნობით 58-ე რუსული არმია სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შემოვიდა როკის გვირაბით, სანამ ქართული მხარე იერიშს დაიწყებდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ქართულმა მხარემ უტყუარი მტკიცებულება იმაზე, რომ რუსეთი ქვეყანაში შემოიჭრა მანამ, სანამ ქართველები ოპერაციას დაიწყებდნენ, ან ის, რომ სიტუაცია ქართველებისთვის ოსურ ზონაში იმდენად მძიმე იყო, რომ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია გარდაუვალი იყო, ვერ შეძლო.

დღის განმავლობაში, რუსულ მედიაზე დაყრდნობით, ქალაქში სულ მცირე 15 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

4:45 საათზე საქართველოს რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრმა **თემურ იაკობაშვილმა** გამოაცხადა, რომ ცხინვალის თითქმის ალებული იყო და რომ ქართული ძალები

რეგიონის ორ-მესამედს აკონტროლებდნენ. ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი თაიმურაზ მამსუროვის განცხადებით, საქართველოს შეიარაღების რამდენიმე სუ-25 თვითმფრინავი დაესხა თავს, ვლადიკავკაზიდან წამოსულ ჰუმანიტარულ ტვირთს. თვით მამსუროვი, რომელიც ამ ბადრაგს მოყვებოდა, უვნებელი გადარჩა. მისივე განცხადებით, ასობით შეიარაღებული მოხალისე დაიძრა ჩრდილოეთ ოსეთიდან ცხინვალის რეგიონში. აფხაზეთის პრეზიდენტის **სერგეი ბაგაფშის** განცხადებით, მოხალისეები აფხაზეთიდანაც გაემართნენ სამხრეთ ოსეთის დასახმარებლად.

გაეროს უსაფრთხოების საბჭომ სასწრაფო შეხვედრა გამართა ნიუ-იორკში, გამოხატა რა «სერიოზული შეშფოთება კონფლიქტის ესკალაციის გამო».

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის განცხადებით ჩრდილოეთ ოსეთში 1100 ლტოლვილი გადავიდა კონფლიქტის ზონიდან.

8 აგვისტო: რუსეთის ჩართვა

8 აგვისტოს დილას, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, **ვლადიმირ პუტინმა**, რომელიც პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნაზე იმყოფებოდა, დაგმო საქართველოს «აგრესიული ქმედებები» და თქვა, რომ რუსეთი ამ ქმედებებს უპასუხოდ არ დატოვებდა.

09:30 საათზე პრეზიდენტმა მედვედევმა სასწრაფო შეხვედრა გამართა მთავრობის წევრებთან, კონფლიქტის შესახებ რუსეთის შესაძლო მოქმედების გეგმის შესამუშავებლად.

ნახევარ საათში, სამი რუსული სუ-24 საქართველოს საჰაერო სივრცეში იჭრება და ორ ბომბს აგდებს ქარელის პოლიციის სადგურთან. რამდენიმე ბომბი გორის სიახლოვესაც ჩამოვარდა, თუმცა მათ მსხვერპლი არ მოჰყოლია. რუსეთის წარმომადგენლებმა ეს ცნობები უარყვეს.

11:40 საათზე სააკაშვილის ბრძანებით მობილიზირებულ იქნა ქართული სარეზერვო ჯარები რუსეთის მიერ «ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიისგან» თავდაცვისთვის და

მოუწოდა რუსეთს შეეწყვიტა «ქართული ქალაქების დაბომბვა». სამხრეთ ოსეთში რუსეთის გარნიზონის მეთაურის განცხადებით ქართული ნაღმები ცხინვალში პირდაპირ მათ ყაზარმებს მოხვდა, რის შედეგადაც 12 რუსი სამხედრო დაიღუპა, ხოლო 30 დაიჭრა..

რუსეთის 58-ე არმიის ტანკების კოლონამ დაიწყო ცხინვალისკენ მოძრაობა, რეგიონში რუსული ძალების მისაშველებლად. რუსული კოლონა 150 ტანკისგან, ჯავშანტრანსპორტიორისგან და სხვა დანადგარებისგან შედგებოდა.

8 აგვისტოს კონფლიქტის ზონაში მომავალი T-72 ტანკები, БМП-2 საქვეითო საბრძოლო მანქანები და 152 მმ 2С3 Akatsia თვითმავალი ჰაუბიცები, ასევე რეაქტიური არტილერიის დანაყოფები გამოჩნდა.

ქართული ჯარები ცხინვალიდან უკან იხევენ და რუსული სუ-24 და სუ-27 თვითმფრინავები სრულიად აკონტროლებდნენ ცხინვალის საჰაერო სივრცეს.

მარატ კულახმეტოვის განცხადებით მძიმე არტილერიის გამო ცხინვალი თითქმის სრულიად დანგრეული იყო.

12:00 საათზე საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს განცხადებით, თუ ცნობები რუსული ტანკების შესახებ ცხინვალის რეგიონში დადასტურდებოდა, საქართველო რუსეთს ომს გამოუცხადებდა. იმავე ღამეს რუსული და ოსური ძალები ქალაქის დიდ ნაწილს აკონტროლებდნენ. რუსეთის ავიამოიერიშეებმა გორის დაბომბვა დაიწყო.

რუსულმა ბომბდამშენებმა 2 ბომბი ჩამოაგდეს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე. რუსულმა თვითმფრინავებმა ასევე დაბომბეს სამხედრო აეროდრომი მარნეულში, რამაც 4 ადამიანი იმსხვერპლა, რომელთაგან 3 ქართველი ჯარისკაცი იყო.

დაახლოებით 23:45 წუთზე, რუსულმა ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს ქალაქ ფოთზე, კერძოდ კი - პორტზე.

ასევე 58-ე არმიის კუთვნილი ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექს ე.წ. ტოჩკა-უ-თი (რომლებიც ოჩამჩირეში იყო განთავსებული) გაშვებულ იქნა 2 რაკეტა, რომელიც ფოთის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოვარდა.

საქართველო უკან იწვევდა ერაყში მყოფ I ბრიგადის 2000 ჯარისკაცს.

9 აგვისტოს ესკალაცია

სროლები რუსულსა და ქართულ მხარეებს შორის ღამით ისევ განახლდა. **კახა ლომია**მ განაცხადა, რომ სააკაშვილი ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებას აპირებდა. ლომიას განცხადებით რუსებმა ასევე დაბომბეს ფოთის პორტი და აგრძელებდნენ სამოქალაქო და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის დაბომბვას. დილით ადრე, ასევე დაიბომბა ვაზიანის აეროდრომის ასაფრენი ბილიკი. საქართველომ აკრძალა რუსული ტელეარხების ტრანსლაცია ქვეყანაში, რუსეთის მხრიდან საინფორმაციო ომის წარმოების გამო. ამასობაში, რუსეთმა განწყვიტა საჰაერო კავშირი საქართველოსთან. ამ დროისთვის გაერომ ვერ შეძლო კონსენსუსს მიეღწია განცხადებისთვის შესაფერისი ფორმულირების შერჩევისთვის.

დილით ადრე რუსეთის ბომბდამშენებმა დაბომბეს სენაკის სამხედრო ბაზა. დაიღუპა 13 ქართველი ჯარისკაცი და ათზე მეტი დაიჭრა.

დაახლოებით 9:00 საათზე 58-ე არმიის ქვედანაყოფებმა სრულიად განმინდეს ცხინვალის ქართული ჯარებისგან.

9:27 საათზე ორმა რუსულმა მოიერიშემ ქართული არტილერიის პოზიციები დაბომბა გორთან. 5 ადამიანი დაიღუპა, როდესაც სულ მცირე 1 ბომბი საცხოვრებელ კორპუსს მოხვდა ქალაქ გორში.

9:41 საათზე რუსეთის საჰაერო ძალების ფსკოვის 76-ე საჰაერო დივიზია ცხინვალში შევიდა. რუსეთის სახმელეთო ჯარების მეთაურის, **ივორ კონაშენკოვის** განცხადებით, ისინი გადაიყვანეს რუსული სახმელეთო ჯარების გასაძლიერებლად. მანვე განაცხადა, რომ რუსეთის საჰაერო ძალების 98-ე ივანოვოს დივიზია და მოსკოვის 45-ე სადაზვერვო ჯგუფი «სპეცნაზი» ასევე გადაინაცვლებს კონფლიქტის რეგიონში.

9:57 საათზე რუსული მხარე იუწყება, რომ 58-ე არმიამ

სრულიადა განმინდა ცხინვალის ქართული შეიარაღებული ძალებისგან.

10:30 საათზე რუსულმა გენერალურმა შტაბმა დაადასტურა მათი 2 მოიერიშეს ჩამოგდება (სუ-25 და ტუ-22მ). ქართული მხარის განცხადებით, ჩამოგებულია 10 რუსული მოიერიშე თვითმფრინავი. ოსების განცხადებით მათ 2 ქართული თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ქართველი ჩინოვნიკის განცხადებით მათ ჩამოაგდეს რუსული მოიერიშე და შეიპყრეს პილოტი.

11:10 საათზე საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოაცხადა 15 დღის განმავლობაში.

12:30 საათზე სამხრეთ ოსეთში რუსებმა საპარაშუტო დესანტი გადმოსხეს. პრეზიდენტი სააკაშვილი საკუთარ გამოსვლაში მხარეებს ცეცხლის შეწყვეტაზე მოუწოდებს.

იგი 9 აგვისტოს აფხაზებისა და რუსების შეტევით დაიწყო და 3 დღეში, 12 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებული ძალების კოდორის ხეობიდან გამოსვლით დასრულდა.

რამდენიმე ეროვნებით ქართველი კახისა და ზაქათალის რეგიონებიდან საქართველოში გადავიდა ქართულ ჯარებთან შესაერთებლად.

10 აგვისტო: ქართული ჯარები ცხინვალს ტოვებენ

სამხრეთ ოსეთის ოფიციალური განცხადებით ბრძოლები ცხინვალის სამხრეთ შემოსასვლელთან დასრულდა შუა—ღამისთვის; თუმცა ამ განცხადების სარწმუნოება სადაო გახდა. რუსეთის 58-ე არმიის სარდალი სამხრეთ ოსეთში, გენერალ-ლეიტენანტი **ანატოლი ხრულიოვი** ქართველებმა დაჭრეს ცხინვალთან კვირა დილას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მტკიცებით რუსეთმა 6000 ჯარისკაცი შემოიყვანა სამხრეთ ოსეთში ხმელეთით და 4000 ჯარისკაცი აფხაზეთში ზღვით, რომლებიც გამთენიისას შეტევისთვის იყვნენ მზად.

ვლადიმირ პუტინი, პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიის შემდეგ ჩრდილოეთ ოსეთში ჩაფრინდა, მისი თქმით «ჰუმანიტარული მისიის» სახელმძღვანელოდ, და განაცხადა, რომ საეჭვო იყო ამ ეტაპზე სამხრეთ ოსეთის საქართველოში ინტეგრაციის ალბათობა.

დაახლოებით 07:23 საათზე რუსეთის ფლოტის ხელმძღვანელობის განცხადებაზე დაყრდნობით, რომ რამდენიმე რუსული სამხედრო გემი საქართველოს სანაპიროს მიუახლოვდა, მათ შორის შავი ზღვის ფლოტის სარაკეტო კრეისერი «მოსკვა», საესკორტო გემი «სმეტლივი» სამი ვრცელი აერობილიკიანი ჯავშნოსანი და რამდენიმე დამხმარე გემი. რუსული გემები საქართველოს სანაპიროს არ ბლოკავდნენ, ვინაიდან «რუსეთი არ ომობდა საქართველოსთან». ოპერაციის გაცხადებული მიზანი ლტოლვილთათვის დახმარების განევა იყო, თუმცა სხვა წყარომ ასევე რუსული ფლოტის მმართველობიდან განაცხადა, რომ ბადრაგის მიზანი საქართველოში ზღვით სამხედრო მონყობილობის მინოდების შეზღუდვა იყო. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრე ლომიაამ განაცხადა, რომ რუსული გემები აფხაზეთის პორტ ოჩამჩირეში შევიდნენ.

10 ავისტოს 6:20 საათზე საქართველომ ცეცხლის შეტყვევება მოითხოვა და რუსეთს მოლაპარაკება შესთავაზა. რუსეთმა დაადასტურა შემოთავაზების მიღება.

მიუხედავად ამისა, რუსეთის და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა სატელეფონი საუბარი გამართეს. საუბარი იმით დასრულდა, რომ ქართველი მინისტრი დააზუსტებდა ქართული ჯარები გაყვანილი იყო თუ არა სამხრეთ ოსეთიდან.

22:00 საათზე საქართველო დათანხმდა რუსეთის სამშვიდობოების შესვლას ზუგდიდში.

ლამით რუსეთმა სამხედრო დესანტი ჩამოსხა სოხუმის აეროდრომზე, რუსეთის სამშვიდობოების მიერ სამხრეთ ოსეთის მსგავსი ოპერაციის ჩასატარებლად, აფხაზეთის წინააღმდეგ საქართველოს აგრესიის აღსაკვეთად.

11 აგვისტო: რუსეთის კონტრუქტაჟა

11 აგვისტოს დილით ადრე, ცხინვალი ისევ ქართული არტილერიის ცეცხლქვეშ იყო.

გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სესიაზე აშშ-ის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა** აშშ-ის სახელმწიფო მდივანს **კონდოლიზა რაისს** დიპლომატიურ სატელეფონო საუბარში ახსენა, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი «უნდა წავიდეს». რუსეთის ელჩმა **ვიტალი ჩურკინმა** პროტესტი გამოთქვა, ვინაიდან ეს საუბარი კონფიდენციალური უნდა ყოფილიყო.

მოსკოვის დროით ადრე დილას, რუსეთმა განაცხადა, რომ მზად იყო საქართველოსთან მშვიდობისთვის. გაეროს ოფიციალური წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საქართველო მზად იყო რუსეთთან მოლაპარაკებები დაეწყო სამხრეთ ოსეთიდან ჯარების გაყვანის თაობაზე.

მცირე ხანში საქართველომ განაცხადა, რომ რუსეთისგან ულტიმატუმი მიიღო აფხაზეთში არსებული ძალების განიარაღებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსული ჯარები საქართველოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე შემოვიდოდნენ. ულტიმატუმი საქართველოს მთავრობას რეგიონში გაეროს სამხედრო დამკვირვებლებმა გადასცეს.

რუსეთმა აფხაზეთში 10 აგვისტოს საღამოს 9000 ქვეითი და 350 ჯავშანმანქანა შეიყვანა.

მოგვიანებით აფხაზეთში ჩამოვიდა რუსეთის საჰაერო ძალების მეთაური გენერალ-ლეიტენანტ **ვალერი ევრუხოვინი**.

რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე **ალექსანდრე ნაგოვიცინი** ადასტურებდა შუადღის ბრიფინგზე, რომ რუსეთის არმიამ მეორე სუ-25 დაკარგა. მან ასევე დაადასტურა 18 ჯარისკაცის დაღუპვა და 14-ის გაუჩინარება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ საქართველოს სამხედრო ბაზა სენაკში რუსმა მედესანტეებმა დაიკავეს.

საქართველოს განცხადებით, ვინაიდან გორი საქართველოს

მთავარ სატრანსპორტო არტერიაზე მდებარეობს, ქვეყანა ორად არის გაყოფილი. საქართველოს ჯარები ამჟამად უკან იხევენ დედაქალაქის დასაცავად. საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის ალექსანდრე ლომაიას განცხადებით ქართულ არმიას ნაბრძანები აქვს ქალაქ მცხეთასთან გამაგრება.

2011 წლის 21 ნოემბერს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, ვლადიკავკაზში სამხედროებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა:

«რომ არ ყოფილიყო ომი საქართველოსთან, რუსეთის უარყოფითი პოზიციის მიუხედავად, ნატო-ში რამდენიმე ქვეყანას ერთად მიიღებდნენ».

მისი თქმით, რომ არა 2008 წლის ომი, ახლა სხვა გეოპოლიტიკური ვითარება იქნებოდა და რუსეთის პოზიციის გაუთვალისწინებლად, «ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი რამდენიმე ქვეყანას ნატო-ში ხელოვნურად შეათრევდა»

-
- **მიხეილ სააკაშვილი** (დ.1967) -საქართველოს პრეზიდენტი 2004-07 და 2008-13 წწ.
 - **დიმიტრი მედვედევი** (დ.1965) - რუსეთის პრეზიდენტი 2008-12 წლებში.
 - **ვლადიმერ პუტინი** (დ.1952), რუსეთის პრეზიდენტი 2000-04, 2004-08, 2016-დან
 - **დიმიტრი სანაკოევი** (დ.1969) - ოსი პოლიტიკოსი; 2006 წლიდან სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
 - **მამუკა ყურაშვილი** (დ.1970), ქართველი სამხედრო მოღვაწე, ბრიგადის გენერალი
 - **ედუარდ კოკოითი** (დ.1964) სამხრეთ ოსეთის «დე ფაქტო» პრეზიდენტი 2001-11 წწ.
 - **თემურ იაკობაშვილი** (დ.1967), 2008-10 წწ. - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში;
 - **სერგეი ბაგაფში** (1949-2011)- აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების «დე-ფაქტო» პრეზიდენტი 2005-11 წწ.
 - **მარატ კულახმეტოვი**-(დ.1959) რუსეთის სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი

- **ანატოლი ხრულიოვი** (დ.1955), რუსეთის სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი
- **ალექსანდრე (კახა) ლომაია** (დ.1963) ქართველი პოლიტიკოსი, დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე. 2007-09 წწ. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი
- **ვიტალი ჩურკინი** (1952-2017), რუსეთის წარმომადგენელი გაერო-ში
- **იგორ კონაშენკოვი** (დ.1966), რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი
- **ვალერი ევტუხოვიჩი** (დ.1954), რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი
- **ანატოლი ნაგოვიცინი** (დ.1952), რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-პოლკოვნიკი
- **სერგეი ლავროვი** (დ.1950), რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 2004 წლიდან
- **კონდოლიზა რაისი** (დ. 1954) -აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 2005-09 წლებში

ავტორების შესახებ



მამუკა ჯემალის-ძე გოგიტიძე

დაიბადა ქ.თბილისში, 21 ნოემბერს 1963 წელს სამხედრო მოსამსახურის ოჯახში.

1980 წელს დაამთავრა ქ.თბილისის № 64 რუსული საშუალო სკოლა.

1985-1991 წწ. მსახურობდა ოფიცრად საბჭოთა არმიაში.

1992 წელს დაამთავრა ს.-ს. ორბელიანის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი, თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სახმელეთო ფაკულტეტი (1999, ექსტერნად) და 2002 წელს უკრაინის თავდაცვის ეროვნული აკადემიის ოპერატიულ-ტაქტიკური ფაკულტეტი.

1991-2010 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში სხვადასხვა თანამდებობებზე.

2006 წლის 17 აპრილს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ივანე ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თემაზე „ქართველი ოფიცრების რუსეთის იმპერიის არმიაში მე-XVIII-XIX სს.დასაწყისში,,

პირველმა ქართველ ისტორიკოსებისგან შეისწავლა რუსეთის არმიის ქართველი ეროვნების სამხედრო მოღვაწეების ცხოვრება და მოღვაწეობა რუსეთის იმპერიაში მე-XVIII-მე-XX სს. და ამით საგრძნობლად გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია.

მინიჭებული აქვს პოლკოვნიკის სამხედრო ნოდება (28.02.2003)

არის სამხედრო ძალების ვეტერანი.

2010 წლიდან მუშაობს საქართველოს შსს-ს სისტემაში, მინიჭებული აქვს „პოლიციის პოლკოვნიკის,, სპეციალური წოდება (02.07.2010)

2018 წლის წლიდან, არის მოწვეული პროფესორი საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში სამხედრო ხელოვნების საგანში.

ისტორიის დოქტორი, მამუკა გოგიტიძე 30 წელზე მეტია რაც მუშაობს საქართველოს და კავკასიის სამხედრო ისტორიის საკითხებზე. მას კარგად იცნობენ როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში.

იგი არის 11 მონოგრაფიისა, 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი, რომლებიც დაბეჭდილია საზღვარგარეთის და საქართველოს სამეცნიერო ჟურნალებში.

არის საზღვარგარეთის რიგ სამხედრო - სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო საბჭოების წევრი.

ენევა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

2010 წლიდან არის მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ხშირი სტუმარი.

არჩეულია საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად (2013),

არის რამოდენიმე სადოქტორო დისერტაციის ოპონენტი, მრავალი წიგნის რედაქტორი, რეცენზენტი, და სამეცნიერო გრანტების მფლობელი, მათ რიცხვში აღსანიშნავია გრანტები, რომლებიც მან მოიპოვა 2010 და 2013 წლებში სამხედრო ისტორიის დარგში.

1. საქართველოს საშუალო სკოლებში სამხედრო ხელოვნების ისტორიის სახელმძღვანელოს რეკომენდაციითა დამუშავების საავტორო ჯგუფის თანაავტორი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გრანტი);

2. ქართული სამხედრო-ენციკლოპედიური ლექსიკონის სამუშაო ჯგუფის წევრი, ავტორი და შემდგენელი (რუსთაველის ფონდის გრანტი);

2015 წლის 29 დეკემბერს არჩეულ იქნა ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის სამხედრო მეცნიერების საბჭოს წევრად.

2017 წლის 28 დეკემბერს ჩამოაყალიბა საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოება და არჩეულ იქნა მის პირველ თავმჯდომარედ.

2018 წელს მიენიჭა „ქართული კულტურის ამაგდარის„ ნოდება.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003), საქართველოს საპატრიარქოს ნმ.გიორგის მედლით (2008), საქართველოს და უკრაინის უწყებრივი ჯილდოებით.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



გიორგი ალექსანდრეს-ძე ბეჟიტაშვილი

დაიბადა 1966 წლის 28 ნოემბერს, ქ. გურჯაანში, მოსამსახურის ოჯახში

1985-87 წლებში, მსახურობდა საბჭოთა არმიის სავალდებულო სამხედრო სამსახურში. (მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში)

1992-93 წლებში, მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლაში ძმასთან, ნოდართან ერთად. 1993 წლის 2 ივლისს, ნოდარ ბეჟიტაშვილი ლაბრასთან შეტაკებისას დაიღუპა.

1994-2000 წლებში, გიორგი მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

2000 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, იურისტის კვალიფიკაციით.

2000-02 წლებში, მუშაობდა უნივერსიტეტ „გეორგიას“ პრორექტორად. 2000-2007 წლებში, ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ უნივერსიტეტ „სეუ“-ში, დეკანის მოადგილედ.

2007-08 წლებში, მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების, სახმელეთო ჯარების სარდლის თანაშემწედ – სარდლობის აპარატის უფროსად.

არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, რეზერვის ოფიცერი.

2008-09 წლებში, ბიზნესისა და საგარეო ურთიერთობების უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობას ასრულებდა.

2009 წლიდან დღემდე, ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას, შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ უნივერსიტეტ „რეუ“-ში. არის ბიზნესისა და მართვის

ფაკულტეტის დეკანი.

2009-2012 წლებში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში სწავლობდა, რომელიც 2012 წლის 1 მარტს დაამთავრა. სადოქტორო დისერტაცია დაიცვა თემაზე: „ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაცია ევროპაში (1921-1953 წწ.“ და მიენიჭა ისტორიის აკადემიური დოქტორის ხარისხი.

2011 წელს, მიენიჭა დავით აღმაშენებლის პრემია – ნიგნისთვის „ედელვაისის აღსასრული“.

2012 წლიდან არის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიის აკადემიკოსი და სწავლული მდივანი. ასევე არის საერო აკადემიის – „ფაზისის“ აკადემიკოსი.

2012 წლიდან არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. ასევე არის ისტორიის, არქეოლოგიისა და რელიგიის საკითხთა შესავლის ცენტრის წევრი. მისი ავტორობით გამოცემულია რამოდენიმე სახელმძღვანელო, მონოგრაფიები, ისტორიული კვლევები სამხედრო სფეროში, არის 10 ნიგნის ავტორი (4 ნიგნი მ.გოგტიძესთან თანაავტორობით), მისი სტატიები იბეჭდება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პერიოდულ პრესაში. მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კომფერენციებში.

2014 წლის მარტში, პრალის, კარლოვის უნივერსიტეტში არჩეული იქნა შოთა რუსთაველის სახელობის, ეროვნული უნივერსიტეტის წარმომადგენლად .

მისი მეცნიერული კვლევის სფეროა, საქართველოდან ემიგრაციაში წასული დამოუკიდებელი საქართველოს გენერალიტეტის წარმომადგენლების, ოფიცრების, იუნკრების მოღვაწეობა და ცხოვრება 1921 წლიდან 1953 წლამდე. იგი აგრეთვე მუშაობს რელიგიურ თემატიკაზე.

2017 წელს მიენიჭა „კულტურის ამაგდარის,, ნოდება და 2018 წელს ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია.

2017 წელს არჩეულია საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ.

ჰყავს ერთი შვილი და შვილიშვილი.

მამია იუზის-ძე გოგოლაძე



დაიბადა 1969 წლის 8 თებერვალს ქ.თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1986 წელს დაამთავრა თბილისის № 126-ე საშუალო სკოლა და ჩააბარა სპი-ს მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე.

1987-89 წლებში მსახურობდა საბჭოთა ჯარში (ქ.ბაქო)

1993 წელს წარჩინებით დაამთავრა სპი-ს მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი.

1993-2007 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, მათ შორის იყო თავდაცვის სამინისტროს სამხედრო წარმომადგენლობის მთავარი სამმართველოს ოფიცერი, უფროსი ოფიცერი, განყოფილების უფროსი, სამმართველოს უფროსი.

დღემდე არის საქართველოს პრეზიდენტთან არსებული მუდმივმოქმედი სამხედრო-ტექნიკური კომისიის ექსპერტი.

2007 წლიდან არის თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი

2017 წლის 28 დეკემბერს აღჩეულ იქნა საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ. მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

ბამოყენებული წყაროები:

1. აბდლაძე ა., ერთი სომხური ანდერძ-მინანური ბასიანის ბრძოლის შესახებ, «მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია», 1972, № 1;
2. აკოფაშვილი გ., ქსე, ტ. 5, გვ. 8, თბ., 1980
3. ალ .ჯამბაკურ-ორბელიანი. მეფის ირაკლი მეორის ცოტ-ცოტა ამ ბები, ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი. კაკაბაძე ს. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. ნ. 1. თბ., 1914.
4. ასათიანი ნ., ქსე, ტ. 1, , თბ., 1975
5. ბოგვერაძე ა., ენციკლოპედია «საქართველო», ტ. 1, თბ., 1997 წელი.
6. ბოგვერაძე ა., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, თბ., 1984 წელი.
7. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 2, თბ., 1965
8. ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედ., ნაწ. 1, თბ., 1948;
9. ბერძენიშვილი დ., ენციკლოპედია «საქართველო», ტ. 1, გვ. 217-218, თბ., 1997 წელი.
10. ბურჭულაძე ვ., ყირიმის ომი და საქართველო, თბ., 1960
11. გამყრელიძე ა., ბასიანის ომის თარიღი და ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ზოგიერთი საკითხი, კტ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966
12. გვასალია ჯ., ქსე, ტ. 7, გვ. 268, თბ., 1984
13. გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. 2, თბ., 1965;
14. გვრიტიშვილი დ. ურთიერთობა ქსნისა და არაგვის ერისთავებს შორის. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბ., 1951 წ. ნაკვ. 19.
15. გუჩუა ვ., გადავხედოთ წარსულს, თბ., 1967
16. გუჩუა ვ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2,, თბ.,

1977 წელი.

17. გუჩუა ვ., ქართველთა ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის XVI საუკუნეში, წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973;
18. გუჩუა ვ., სვანიძე მ., ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის XVI საუკუნეში, წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973;
19. გუჩუა ვ., ქსე, ტ. 3, , თბ., 1978
20. ვათეიშვილი ჯ., ქსე, ტ. 7, თბ., 1984
21. ვაჩნაძე მ., გურული ვ., ბახტაძე მ.; საქართველოს ისტორია; X კლასის სახელმძღვანელო; არტანუჯი; 2004
22. ზედაველას ბრძოლები : [ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია ზედაველას ორი ბრძოლა: პირველი მოხდა 1724 წელს ხიდისთავ - ატენის გასაყართან. მეორე მეთვრამეტე საუკუნის 80 - იანი წლების მეორე ნახევარში ყარაღაჯთან] / ს. ალიმბარაშვილი // განთიადი. - ქუთაისი, 2008. - N5-6.
23. ზაქარაია პ. საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები. თბ., 1988..
24. ქეთევან ჩოლოყაშვილი - იესე ყულარაღასის მეუღლე: (დაახლოებით 170?-1780) // ქსნის ერისთავიანთ ქალები: ნ.1 : XIV-XIX სს. / ვიტალი ქენქაძე. - თბილისი, 2014.
25. თეიმურაზ პეტრიაშვილი, ყვარლის ბრძოლა ანუ მაშინ კიდევ ერთხელ გადარჩა საქართველო, თბ.,2008.
26. თეიმურაზ პეტრიაშვილი, ყვარლის ბრძოლა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ჟურნალი. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 2013 წ.,N2,71-80.
27. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი მოამზადა ლ.მიქიაშვილმა, თბ,1983.

28. თეიმურაზ ბაგრატიონი, «მეფე ერეკლე».გაზ. ივერია, თბ.,1891..
29. თბილისის აღება აღა-მაჰმად-ხანისაგან 1795 წ. (მოთხრობა თვალით მნახველისა), ჟურნალი «ივერია», თბ.,1885 წ. N2.
30. თეიმურაზ პეტრიაშვილი, კრწანისს ნაბრძოლი ხმალი და ბატის ფრთის კალამი იოანე ბატონიშვილისა, თბ., 2006.
31. თეიმურაზ პეტრიაშვილი, კრწანისი, ჟურნალი «მნათობი» N3., თბ., 2007.
32. თეიმურაზ პეტრიაშვილი, «კრწანისის ბრძოლა», დოკ. მოთხრობა, ჟურნალი «ისტორიანი»,თბ.,2012,N9 (21).
33. თეიმურაზ პეტრიაშვილი, «კრწანისის ბრძოლა», თბ., 2016; გამომცემლობა «ინტელექტი».
34. იობაშვილი გ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1, თბ., 1975 წელი.
35. იობაშვილი გ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11., თბ., 1987 წელი.
36. კაკაბაძე, სარგის (1982). დიდგორის ომი. თბილისი: «განათლება».
37. მესხია, შოთა (1972). ძლევადა საკვირველი. თბილისი: «მეცნიერება».
38. კაციტაძე დ., ქსე, ტ. 11, თბ., 1987
39. კაჭარავა დ., ქსე, ტ. 3, გვ. 227, თბ., 1978
40. კაჭარავა დ., ქსე, ტ. 4, გვ. 150, თბ., 1979
41. კიკნაძე რ., ქსე, ტ. 10, თბ., 1986
42. ლორთქიფანიძე მ., ჯაფარიძე ო., მუსხელიშვილი, დ. მეტრეველი რ. (2012). საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტ. II — საქართველოს ისტორია IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე. თბილისი: პალიტრა L.
43. ლევან სანიკიძე, დედა ისტორია, ნაკვეთი II, თბ.,1986.
44. მარგიშვილი ს. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, თბ., «სიესტა», 2006
45. მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი (2007). საქა-

- რთველოს მეფეები. თბილისი: ნეკერი
46. მაჭარაძე ვ., ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957;
 47. მახათაძე ნ., ქართული კულტურის კერა პეტერბურგში XVIII-XIX საუკუნეებში, თბ., 1967;
 48. მეგრელიძე დ., ქსე, ტ. 2, თბ., 1977
 49. მეგრელიძე დ., ქსე, ტ. 3, თბ., 1978
 50. მეგრელიძე შ., საქართველო აღმოსავლეთის ომებში, თბ., 1974
 51. მეტრეველი რ., დიდნი საქმენი, XI საუკუნის მეორე ნახევრისა და XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1978;
 52. მეტრეველი რ., ქსე, ტ. 8, თბ., 1984
 53. მეტრეველი, როინ (2010). საქართველოს მეფეები და პატრიარქები. თბილისი: არტანუჯი.
 54. მეტრეველი, როინ (2011). წმინდა დავით აღმაშენებელი. თბილისი.
 55. მუსხელიშვილი დ., სამსონაძე მ, დაუშვილი ა. (2012). საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან 2009 წლამდე. თბილისი: გამომცემლობა გუმბათი.
 56. ნარსია გ., ქსე, ტ. 7, თბ., 1984
 57. ნარსია გ., ქსე, ტ. 11, თბ., 1987
 58. ომან ხერხეულიძე , მეფობა ირაკლი მეორისა, მეფის ძის თეიმურაზისა, საქართველოს ცხოვრება, II, ზ.ჭიჭინაძის გამოცემა, 1913.
 59. პოლიევქტოს კარბელაშვილი (პ.ცხვილოელი), ყვარლის ციხე და ნურსალ-ბეგი, გაზ. ივერია, 1893წ., NN 57-58.
 60. პაპუნა ორბელიანი, «ამბავნი ქართლისანი», ტექსტი დაადგინა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.
 61. რეხვიაშვილი, რ. იმერეთის სამეფო 1462-1810, თბ. 1989
 62. როინ მეტრეველი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, გვ. 507, თბ., 1978 წელი.
 63. როინ მეტრეველი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, გვ. 211, თბ., 1979 წელი.

64. საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XX საუკუნემდე), ტ. 1, თბ., 2012,
65. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973;
66. სამუშია. ჯ. «ბაგრატ III ლაშქრობა განძის საამიროს წინააღმდეგ». ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები IV, გამომცემლობა «მერიდიანი», თბილისი, 2011:
67. სამუშია, ჯაბა (2015). საქართველოს ილუსტრირებული ისტორია, ტ. VI – დავით აღმაშენებელი. თბილისი: პალიტრა L.
68. სამუშია ჯ.; საქართველოს დიდი ბრძოლები; ელფის გამომცემლობა, თბილისი; 2009
69. სამუშია. ჯ. «ბაგრატ III ლაშქრობა განძის საამიროს წინააღმდეგ». ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები IV, გამომცემლობა «მერიდიანი», თბილისი, 2011:
70. სარგის კაკაბაძე, კრწანისის ომი, თბ., 1991.
71. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5. თბ., 1990 წ.
72. სვანიძე მ., საქართველოს-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., თბ., 1971;
73. სილაგაძე ბ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2., თბ., 1977 წელი.
74. სიხარულიძე ი., ყულალისი-არყისციხე, კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, ნაწ., 1, ბათ., 1980
75. სოსელია ო., ქსე, ტ. 3, თბ., 1978
76. სოსელია ო., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 30;
77. სულიკო ლომჯარია, «სოფელო ჩემო» ,თბილისი, «მერიდიანი», 2012

78. ტუხაშვილი ლ., ქსე, ტ. 1, გვ. 70, თბ., 1975
79. ტუხაშვილი ლ., ქსე, ტ. 2, გვ. 71, თბ., 1977
80. უთმელიძე მ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, გვ. 463, თბ., 1983 წელი.
81. «ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი», გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ზ. ბრაგვაძე, მ. კვაჭაძე და სხვ. (740გვ.), რედ. და პროექტის ხელმძღვ. გელა გამყრელიძე. საქ. ეროვნ. მუზეუმი, არქეოლ. ცენტრი. – I-ლი გამოცემა. – თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა,
82. «ქართლის ცხოვრება», რ. მეტრეველის რედაქციით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბ., 2008: გვ. 272-273
83. 79. «ქართლის ცხოვრება», ტომ. I-IV, თბილისი, 1955-1973.
84. ქიქოძე გ., ერეკლე მეორე, თბ., 1958;
85. შაიშველაშვილი ი., «კრწანისის ომი», თბ., 1965;
86. ჩაჩხიანი ა. სადახლოს ბრძოლის ტაქტიკური ასპექტები სომხეთ-საქართველოს ომში. კავკასიის მაცნე (2006), №13
87. ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, ტ. 1, თბ., 1975;
88. ჩიქოვანი მ., ქსე, ტ. 2, გვ. 130, თბ., 197
89. ჩხატარაიშვილი ქ., ქსე, ტ. 8, გვ. 519, თბ., 1984
90. ჩხატარაიშვილი ქ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, გვ. 357-358, თბ., 1983 წელი.
91. ცინცაძე ი., ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795 წ.), თბ., 1963;
92. ცინცაძე ი., ბასიანის ბრძოლა, თბ., 1971;
93. ხანთაძე შ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, გვ. 653, თბ., 1986 წელი.
94. ხანთაძე შ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1, გვ. 534, თბ., 1975 წელი.77
95. ჯამბაკურ-ორბელიანი ა., ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ ტფილისში, ტფ., 1895;
96. ჯანაშია, სიმონ; ბერძენიშვილი, ნიკოლოზ (1980). სა-

- ქართველოს ისტორია. თბილისი: მეცნიერება.
97. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი 12 ტომად, ტ. 3, თბ., 1982;
 98. ჯამბურია გ., ქსე, ტ. 6, გვ. 462, თბ., 1983
 99. ჯამბურია გ., ქსე, ტ. 6, გვ. 425-426, თბ., 1983
 100. ჯამბურია გ., ქსე, ტ. 2, გვ. 142, თბ., 1977
 101. Ватейшвили Дж. Л., Из истории грузино-русского боевого содружества против иранской агрессии (Какабетское сражение 1800 г.), «მაცნე». ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია», 1972, № 4;
 102. Ватейшвили Дж. Л., К историографии Какабетского сражения, Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX века, М., 1973;
 103. Гогитидзе, М. Грузинские офицеры в армии Российской империи в XVIII – начале XIX века : автореф. дис. ... канд. ист. наук / Тбил. гос. ун-т им. Ив. Джавахишвили. – Тбилиси, 2006. – На груз. и русск. яз.
 104. Материалы Википедии – свободной энциклопедии [Электронный ресурс] // URL: <http://ru.wikipedia>

რეზიუმე

ნაშრომში „საქართველოს 100 ბრძოლა“, ავტორების მიერ მდიდარი საარქივო მასალების საფუძველზე ქრონოლოგიურადაა განხილული საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტი I საუკუნიდან 1801 წლამდე, 1918-21 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბრძოლები და 1992-2008 წლების საქართველოში მომხდარი საომარი მოქმედებები.

ნაშრომში არაა ასახული მეფის რუსეთის (1801-1917) და საბჭოთა კავშირის პერიოდის (1921-1991) ბრძოლები.

Resume

In the work "100 fighters of Georgia, the authors have a considerable history of the history of important history of the history of the history of Georgia from the 18th to the 1801s, the 1918-21 battles of the Democratic Republic of Georgia and from 1992 to 2008 hostilities in Georgia.

The work does not reflect the battles of royal Russia (1801-1917) and the Soviet Union (1921-1991).

